N18 (569) 5/V-11/V-2011 ფასი 1 ლარი

# გზა



ბორის პაიჭაძის შთამომავალი ლამაზმანი

„არავინ გვეკითხება, მოგვწონს თუ არა"

**ქართული პროზის საგანძური**

ტომი №62

სერგი ჭილაია

## შვილები

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის" ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა" ერთად 4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი

ჯემალ ქარჩხაძე

## მანიაკი ქალაქში!



ბავშვებზე ძალადობაში ეჭვმიტანილი დააკავეს?

„დამნაშავე სექტის წევრი იყო"...

„ყველა მეგობარი ქალბატონი გავუშვი"...



„პრესისთვის დახურული თემაა"...

რით გააოცა დიმა ოზოლაძემ ლიკა ევგენიძე



„ეს დეფექტი კარგად ჩანს"

„აფხაზებმა ის მივიღეთ, რაც გვეკუთვნოდა"...



„მამაჩემმა ქართველისთვის ტყვიის სროლა არ იკადრა"...

ISSN 1987 - 5029

## გზავნილები — შემთხვევითი ქორწინება

# Elos

სილამაზის ტექნოლოგიის ინოვაციური მეთოდი



## სხეულზე პროცედურები

**Elos — ეპილაცია** წარმოადგენს სხეულის ნებისმიერ უბანზე თმის მოცილების 100%-ან გარანტიას. პროცედურა უმტკივნეულოა, კანზე არ ტოვებს სიწითლეს და პროცედურის შემდეგ კანი არ საჭიროებს სპეციალურ მოვლას. Elos ტექნოლოგიას შეუძლია მოგაშოროთ ყველა ტიპის, მათ შორის უხეში, გარუჯული, ჭაღარა და ძალიან ღია თმა!

## სახის პროცედურები

**Elos გაახალგაზრდავება** — აღადგენს სახის კონტურს, კანის ფერს, აძლიერებს სიმკვრივეს, ასწორებს ნაოჭებსა და კანს უბრუნებს ბრწყინვალებას. Elos ტექნოლოგია გეხმარებათ გაუმკლავდეთ აკნეს, პიგმენტაციას, კუპეროზს, ნაწიბურებს, კანის დაბერებასა და სხვა დეფექტებს.
ეს არის პლასტიკური ქირურგიის რეალური ალტერნატივა!

Oxford MEDICAL PRIVATE CLINICS

**ჩაეწერეთ უფასო კონსულტაციაზე**

**29 00 66 29 47 47**

**თბილისი, ფალიაშვილის 15, www.oxford-med.ge**






## „კვირის პალიტრის“ კოლექცია

# „დიდი მხატვრები“

წიგნების სერია რჩეულ ფერმწერებზე - შედევრები და ისტორიები

**წიგნი XIX**

# ახვლედიანი

## 9 - დან – 16 მაისამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!




I. II. III. IV. V. VI. VII. VIII. IX. X. XI. XII. XIII. XIV. XV. XVI. XVII და XVIII ტომი. წიგნის მაღაზიებში გაყიდვაშია!

ყურადღება:

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვა.ჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ

კვირის პალიტრა

მზა

№18 (569)
5 — 11 მაისი, 2011 წ.
ფასი 1 ლარი

## ქვეყანა



## ბინ ლადენის ლიკვიდაციის აღსანიშნავად

ამერიკელმა მოქალაქემ 10 წლის წინ მოშვებული წვერი ბინ ლადენის ლიკვიდაციის შემდეგ გაიპარსა. პროფესიით პედაგოგმა ჰარი უედლმა 2001 წლის 11 სექტემბერს დადო პირობა, რომ წვერს მანამ არ გაიპარსავდა, სანამ ოსამა ბინ ლადენს არ დაიჭერდნენ ან არ მოკლავდნენ.

6

## სახე



## „არასდროს მისარგებლია იმით, რომ ბორის პაიჭაძის შთამომავალი ვარ“

„როდესაც პოდიუმზე პირველად გავდიოდი, კულისებში ყოფნისას ძალიან ვღელავდი, მაგრამ როგორც კი ფეხი დავდგი, ყველაფერი დამავიწყდა და მერე უკვე სასიამოვნო შეგრძნება დამეუფლა“.

18

■ მინიატიურები 5
საცოდავები...
■ ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე 6
■ კრიმინალი 12
რუსთავში მანიაკი დააკავეს (?)
■ საგანძური 14
სერგი ჭილაიას „შვილები“ და ლევან სანიკიძის მისალოცი „ზარათი“
■ მადლი 16
„თითოეული ბავშვისგან სითბო, სიყვარული ვიგრძენი...“
■ მოდელი 18
„არასდროს მისარგებლია იმით, რომ ბორის პაიჭაძის შთამომავალი ვარ“
■ ფსიქოპორტრეტი 20
როგორ ებრძვის ჩაინიკა გოიმობას...
■ ეკრანს მიღმა 22
„შუადღის მშვენებას“ კრიტიკის ეშინია
■ დეკლარანტი 24
ევროპულ სტილზე გადასული უფულო პარლამენტარი
■ მსახიობი 26
სჭირდება თუ არა შეყვარებული დეტექტივ ლევან ჯიბღაშვილს?
■ მოგზაური 28
ავტოსტოპით მოგზაურობა ყარაბაღში

## ცხოვრება

## მისაქციელის ტრაგედიის ახალი დეტალები



სასამართლომ მაია გელდიაშვილი შეურაცხადად ცნო და ჩადენილი მკვლელობისთვის, 4 წლით თავისუფლების აღკვეთა — ფსიქიატრიულ სავადმყოფოში იძულებითი მკურნალობა მიუსაჯა.

32

## მზა ვნილები

## შემთხვევითი ქორწინება



„როდესაც შეყვარებული მყავდა, ბოროტმა ადამიანებმა დაარწმუნეს, რომ ქალწული არ ვიყავი. ეს ყველამ გაიგო და ყველამ მიმატოვა. ახლა მარტო ვარ, ყურადღებას არავინ მაქცევს, ყველას გთხოვთ, ჭორს ნუ დაიჯერებთ, კარგად გაანალიზეთ“.

64

■ **ლიკვიდატორები** 30
25 წლის შემდეგ შეფასებული ჩერნობილის შემზარავი ტრაგედია

■ **კონკურსანტი** 32
ქართველი „რიჩი ბლექმორი“ რუსთავის ფარგლებსაც გასცდა

■ **ტრაგედია** 32
5 წლის შაკო წიკლაურის მკვლელი დედა ციხეში შეიშალა

■ **საუკუნის ტოლი** 36
„შვილების, შვილიშვილებისა და მეზობლების სიხარულს შევხარი...“

■ **ერთი მინის შვილები** 37
„მამაჩემმა ქართველისთვის ტყვიის სროლა არ იკადრა“

■ **თინეიჯერული პონტები** 40
აკრძალული სიყვარული

■ **ტაძარი** 42
იგავი ხორბლისა და ღვარძლისა

■ **ანტიდეპრესანტი** 44

■ **ავტო** 44

■ **ერუდიტი** 46
„ბავშვობაში წიგნებთან ერთად ვიძინებდი“

■ **საკითხავი ქალებისათვის** 48

■ **ჯანმრთელობა** 50

■ **ნვეთი პოეზია** 52

■ **რეალური** 53
მორიგანი — აჩრდილთა ღედოფალი (გაგრძელება)

■ **ქართული დეტექტივი** 56
რუსუდან ბერიძე. ანტიკვარი (დასასრული)

■ **რომანი** 60
სვეტა კვარაცხელია. ნაადრევი ენძელები (გაგრძელება)

■ **გზავნილები** 64
შემთხვევითი ქორწინება

■ **ყველა ერთისათვის** 67

■ **მობილი-ზაცია** 69

■ **სამყარო** 76

■ **გასართობი** 78

■ **ასტროლოგია** 80

■ **სკანვორდი** 81

■ **საფირმო კროსვორდი** 82


## სამყარო



# რას ამოიკითხავთ ტუჩებზე...

ოდნავ წინ წამოწეული ზედა ტუჩი — მიზანდასახულ, თავდაჯერებულ, თავმოყვარე და ამბიციურ ადამიანზე მიგვანიშნებს. მან კარგად იცის საკუთარი თავის ფასი. ხშირად უგულებელყოფს სხვის აზრს.

48

## ბიბლუსი






— რომელი ხარ? — შიშით გაბზარული ხმით იკითხა.
— ვერ მიცანი?
— ვერა.
— ავთო თვალჭრელიძე ვარ.
— ვინ? — მაინც ვერაფერს მიხვდა ახვლედიანი.
— შენი სულთამხუთავი.

56

## ტაიმ-აუტი



# მატყუარა გამომგონებლები

ყველასთვის ცნობილია, რომ გალილეო გალილეიმ ტელესკოპი გამოიგონა, მაგრამ როგორც გაირკვა, მეცნიერმა სხვისი წარმატება მიითვისა.

77


საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ანა უთურგაიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

# საცოდავები...



**შესავლის ნაცვლად** არა, არა — XXI საუკუნე მაინც სულ სხვაა — როგორი ტემპებით ვითარდება მოვლენები!.. წარმოიდგინეთ: ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ მსოფლიო იმაზე ფიქრით იძინებდა, ვაითუ ბინ ლადენმა ხვალინდელი დილა არ გაგვითენოსო, დღეს კი მსოფლიოს №1 ტერორისტი მოკლულიც არის და „დამარხულიც" (თანაც — ზღვაში)!..

სულ რაღაც ოციოდე დღის წინ, ქართული ფეხბურთის მესვეურები (მაგარი სიტყვაა ეს „მესვეურები", ნეტავ ვინც წამდაუწუმ იყენებს, თუ იცის მისი მნიშვნელობა?) ერთხმად აცხადებდნენ, — ოქროს ხანა გვიდგას და ისრაელის ნაკრებთან დამარცხება შემთხვევითობა იყოო; დღეს აღმოჩნდა, რომ ისე „ყარს" ქართული საფეხბურთო მეურნეობა, რომ სუნმა შორეული აზიის ტოტალიზატორებამდეც კი მიაღწია...

ანდა, ლომაია რომ არის, „პარაფსიქოლოგიის მამა" — „დაჟინებული მზერით" რომ არჩენს სხვადასხვა უხერხულ ავადმყოფობას, სულ ახლახან გაუქმებით ემუქრებოდა ჩვენს მედიასახლს, დღეს — ბოდიშს იხდის! რა ქნას პატარამ?!.



ისე, ხუმრობა იქით იყოს და, უცნაური ხალხი ვართ ქართველები — ხანდახან ვერის ბაღში (რა ვქნა, მე ისევ „კიროვის პარკი" წამომცდება ხოლმე) მიყვარს შევლა და ზუსტად იმ კაცისგან, რომელიც იქაურობის ჩემპიონატის მუდმივი პრიზიორია დომინოში და ზუსტად ერთი კვირის წინ ქადაგებდა, — სანამ ბინ ლადენი ცოცხალია, მსოფლიო მშვიდად ვერ იქნებაო, დღეს ასეთი რამ მოვისმინე: „ეეჰ, საწყალი, აბა, ამას წარმოიდგენდა? ისე, რა წესია, კაცი იწვა, ეძინა, თან შვილთან ერთად ყოფილა... სადამ ჰუსეინის არ იყოს — როეცნენ და კატასავით ჩამოახრჩვეს... არა, ძმაო, ეს ამერიკელები არ არიან კაი ხალხი, რა..."

მეც ასე ვარ — იქნებ ზოგიერთ თქვენგანს ახსოვდეს კიდეც, როდესაც პარაფსიქოლოგმა ლომაიამ „კვირის პალიტრასა" და იმ ჟურნალისტზე რაღაც საშინელებები შეთხზა, ერთობ მწვავე „პროვოკაცია" ვუძღვენი და მისი რისხვაც დავიმსახურე (ასე მითხრეს, — შენი სურათი უკულმა დაკიდა და რაღაცას ბუტბუტებდაო); ახლა უკვე მეცოდება — ბოდიშს ვიხდი, ფულად კომპენსაციას კი ვერ გადაგიხდით, იქნებ აღარაფერი მომთხოვოთ, პირწმინდად გავკოტრდიო... ჩემი კეთილი გული რა ვთქვი — შემეცოდა და დამავიწყდა, 10 ათასი ლარი მხოლოდ მანქანის ნომერში რომ ჰქონდა მიცემული და თავისი „მზერით დამუხტულ" ერთ ჭიქა წყალში რომ 300 ლარს ფეხს არ უცვლიდა, — ხალხი უკანასკნელ ნივთებს ყიდდა, რომ ამ თაღლითისთვის ფული მიეტანა, მე კი მეცოდება...

მიშაც მეცოდება, აბა, თქვენ გგონიათ, მძულს?! ბოლოს გუშინწინ შემეცოდა, ბინ ლადენის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით განცხადება რომ გააკეთა; რატომ?.. რატომ და, სპეციალურად ვეძებე ინტერნეტში და, საქართველოს გარდა, მსოფლიოს არც ერთმა (არც ერთმა-მეთქი!) საინფორმაციო სააგენტომ არ ახსენა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა საკუთარი პოზიცია გამოხატა... ჰოდა, შემეცოდა; შემეცოდა, როგორც „აფსაიდში" უიმედოდ ჩარჩენილი ფეხბურთელი, რომელსაც გოლის გატანა მხოლოდ საკუთარ კარში თუღა ეღირსება...

ოპოზიცია ხომ მეცოდება და მეცოდება — 2 მაისი ისე მოვიდა და წავიდა, რომ ქუჩა კი არა, ტროტუარიც ვერ გადაკეტეს მათ მოწოდებაზე შეკრებილმა მომიტინგეებმა და ისევ ნაცად ხერხს მიმართეს, გამოაცხადეს — დღეს მხოლოდ იმისთვის შევიკრიბეთ, რომ დიდი დემონსტრაციების დაწყების თარიღი გამოვაცხადოთ და აჰა — 21 მაისიდან სააკაშვილის ხელისუფლების დემონტაჟი იწყებაო!

სააკაშვილი კი ამ დროს, იმ ქართული ზღაპრის მწყერჩიტასი არ იყოს, — „იცინის, იცინის, კვდება სიცილით!.."

კიდევ, დომენტი შემეცოდა დღეს... დომენტი ხომ იცით? საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი როა — ზვიად სიჭინავა, მაგას „სასაბუთე სახელი" ჰქვია დომენტი.

შეცოდებით კი მაშინ შემეცოდა, „ჩაწყობილი თამაშების" სკანდალთან დაკავშირებით „მერიოტში" მოწყობილ შეხვედრაზე რევაზ ძოძუაშვილმა რომ აიღო სიტყვა: საწყალ სიჭინავას სახეზე აშკარად ეწერა, „მიხიჩას" ნალაპარაკებიდან ერთი სიტყვაც რომ არ მესმის; ქართული რომ წესიერად არ ვიცი, იმის ბრალიაო.

ნუ გეშინია, დომენტი, ამ შემთხვევაში შენ მიერ ქართულის არცოდნა არაფერ შუაშია — მაგის ნათქვამს შენ კი არა, ვერავინ იგებს და იმიტომ ჰგონიათ ყოველთვის მართალი...

მოკლედ, „საცოდავების კვირა" იყო ეს კვირა — ბინ ლადენიდან დაწყებული და ზუგდიდის „ბაიას" მცველით დამთავრებული, რომელმაც მე-2 წუთზე წითელი ბარათი „აიკიდა" და ყველა ფილიპინელი „მაზავშიკი" გააკოტრა...

**P.S.** ეტყობა, ჩვენს შსს-საც ჩემსავით გული აუჩუყდა ამ ბოლო დროს და ის თოფურიძის რიხით დაჭერილი ფეხბურთელები ორ საათში გაუშვა სახლებში.

ბოროტი ენები ამბობენ, სამინისტროს თანამშრომელთა კომპიუტერები კარგად რომ „დაშმონო", ინტერნეტტოტალიზატორებში ყველაზე მეტი ვიზიტი მათ აღმოაჩნდებათო...

ვინ იცის, ვინ იცის...

არადა, მე ხალხი ვიცი, რომელსაც უკვე გამაზული აქვს („ხელზე") 2013 წლის არჩევნების შედეგები და ხელისუფლების ცვლილებას ვეებერთელა „კუში" უწერია იატაკვეშა ტოტალიზატორებში... (ე.ი. ეს ამბავი წარმოუდგენლად მიაჩნიათ ფსონის შემდგენლებს)...

*პროვოკატორი*

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com



# ქვეყანა

## პარიზში შოკოლადის ოთახი შექმნეს



„შანელის“ მოდის სახლის დიზაინერმა კარლ ლაგერფილდმა პარიზის ერთ-ერთ სასტუმროში 10 ტონა შოკოლადისგან სასტუმროს ნომერი მოაწყო. ოთახში ყველაფერი შოკოლადისგან არის დამზადებული. საწოლზე წამოწოლილია „შოკოლადის მამაკაცი“, რომელსაც ხელში ნაყინი უჭირავს. ლაგერფილდმა ოთახი ნაყინის მწარმოებელ ფირმასთან — Magnum თანამშრომლობის შედეგად შექმნა. საწოლზე წამოწოლილი ფიგურა კი კარლის ერთ-ერთი მუზა — მოდელი ბაპტისტ ჯიაბიკონია.

## ბინ ლადენის ლიკვიდაციის აღსანიშნავად



ამერიკელმა მოქალაქემ 10 წლის წინ მოშვებული წვერი ბინ ლადენის ლიკვიდაციის შემდეგ გაიპარსა. პროფესიით პედაგოგმა ჰარი უედლმა 2001 წლის 11 სექტემბერს დადო პირობა, რომ წვერს მანამ არ გაიპარსავდა, სანამ ოსამა ბინ ლადენს არ დაიჭერდნენ ან არ მოკლავდნენ. უედლის თქმით, საპარსი 10 წლის შემდეგ პირველად, 1-ელ მაისს აიღო ხელში. როცა მეგობარმა დაურეკა და ბინ ლადენის დაღუპვის ამბავი აუწყა, იმ მომენტში მისი წვერის სიგრძე 38 სმ იყო. გაპარსვის პროცესი უედლის მეზობლებმა ვიდეოზე გადაიღეს.

## სამეფო წყვილი სეიშელის კუნძულებზე გაემგზავრა

დიდი ბრიტანეთის პრინცი უილიამი და მისი მეუღლე ქეთრინი თაფლობის თვეს სეიშელის კუნძულებზე გაატარებენ. წყვილი ინდოეთის ოკეანეში მდებარე 92 კუნძულიდან ერთ-ერთზე, დიდებულ რეზიდენციაში 10 დღე დარჩება. უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, რეზიდენციის ადგილი კარგა ხანს გასაიდუმლოებული იყო. შენობა ხისგან არის აშენებული და ღია აბაზანა, აუზი და ბაღი აქვს. კემბრიჯის ჰერცოგმა და ჰერცოგინიამ ჟურნალისტებს სთხოვეს, რომ ახალდაქორწინებულები თაფლობის თვეში არ შეაწუხონ.




ავეჯის სალონი “კლასიკა” იტალიური ავეჯის და ტექსტილის დიდი არჩევანი



სასადილო გარნიტური
“ე ლ ი ს ა ბ ე ტ ი ”




ტყავის სამეული

ალ. ყაზბეგის 14ბ ✆ 38 88 11
ც. დადიანის 7, “ქარვასლა”, I სარ. ✆ 66 10 50 www.classica.com.ge
კლასიკა Classica


## ფრანგები ჟანა დ’არკის მუზეუმს ხურავენ

საფრანგეთის ქალაქ რუანში ჟანა დ’არკის მუზეუმს დასახურავად, უნიკალურ ექსპონატებს კი — აუქციონზე გასატანად ამზადებენ. „ფრანგები საკუთარი ისტორიის მიმართ ინტერესს კარგავენ. სამწუხაროა, რომ ცვილის ფიგურების, დოკუმენტებისა და მუზეუმის სხვა უნიკალური ექსპონატების აუქციონზე გაყიდვა მოგვიხდება. ეს კატასტროფა იქნება, რადგან ისინი კერძო კოლექციებში დაიფანტება“, — აცხადებს მუზეუმის დირექტორი ალენ პრეო. მუზეუმის კოლექცია სულ 450.551 ევროდ არის შეფასებული. 80-იან წლებში ჟანა დ’არკის მუზეუმს ყოველდღიურად 40000 ფრანგი სტუმრობდა, ახლა მათი რიცხვი 25000-ზე ნაკლებია.

# ხელისუფლების თამაშში ოპოზიციური პარტიებიც ჩაებნენ?!

**„სახალხო კრებამ“ რევოლუცია გადადო. მისი წარმომადგენლები პრესის მეშვეობით ავრცელებდნენ ინფორმაციას, რომ 2 მაისს სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟს დაიწყებდნენ. სულ ახლახან კი აღმასრულებელი საბჭოს წევრმა ნონა გაფრინდაშვილმა ჟურნალისტებს აუწყა, რომ „კრება“ ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით საერთო-სახალხო გამოსვლებს 21 მაისიდან დაიწყებს.**



*ხათუნა ბახტურიძე*

— ჩვენ 2 მაისს რევოლუციის მოწყობას არ ვაპირებდით. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჩვენ წინააღმდეგ აქცია წამოიწყეს. მათ სურდათ, ხალხი დაებნიათ და 2 მაისთან დაკავშირებით ცრუმოლოდინი გაეჩინათ, შემდეგ კი ეთქვათ, — ხომ ხედავთ, ოპოზიციას ისევ არაფერი გამოუვიდაო. ხელისუფლების თამაშში ჩაბმულნი არიან ის ოპოზიციური პარტიები, რომლებიც ჩვენზე ქილიკობენ და ამით ხელისუფლების წისქვილზე ასხამენ წყალს.

— **მაშინ რას ნიშნავს ის ფაქტი, რომ თავად თქვენი ორგანიზაციის წარმომადგენლები აცხადებდნენ, — 2 მაისს სააკაშვილის დემონტაჟს ვიწყებთო?**

— „სახალხო კრებამ“ გამოაცხადა, რომ 2 მაისს საზოგადოებას კონკრეტულ სამოქმედო გეგმას გავაცნობდით. ასეც მოხდა...

— **თუ თვის ბოლოს ხელისუფლებამ და „ოპოზიციურმა რვიანმა“ საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლასთან დაკავშირებით შეთანხმებას მიაღწიეს, ფიქრობთ, რომ ქუჩაში ხალხის გამოყვანას მაინც მოახერხებთ?**

— კარგი, რა, ვიღას სჯერა, რომ ეს ხელისუფლება ხალხის სასიკეთოდ რამეს შეცვლის?! ამ მოლაპარაკებებში დრო გაიწელება. შემდეგ, ხელისუფლების წარმომადგენლები უმნიშვნელო დათმობაზე წავლენ... საარჩევნო გარემო იდეალურადაც რომ შეცვალონ, მმართველი გუნდი სახელმწიფო რესურსებს ისევ გამოიყენებს, პოლიციაც ისევ მათ სამსახურში იდგება და არჩევნები მაინც გაყალბდება.

— **საარჩევნო გარემოს შეცვლა სწორედ იმას გულისხმობს, რომ მმართველმა გუნდმა სახელისუფლებო რესურსი არ გამოიყენოს, პოლიცია არჩევნებში არ ჩაერიოს და ცესკოზე კონტროლის მექანიზმი დაწესდეს...**

— ამ ზღაპრების ჩვენ აღარ გვჯერა. ერთადერთი გამოსავალი — სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟია.

— **ფიქრობთ, რომ ხელისუფლება საარჩევნო გარემოს არ შეცვლის, მაგრამ სააკაშვილი თქვენს მოთხოვნას გაითვალისწინებს და გადადგება?..**

— ჩვენ დავიწყებთ მოქმედებას და მერე ვნახავთ, რა და როგორ მოხდება.

— **ოპოზიციამ არაერთხელ გაუცრუა იმედი თავის მხარდამჭერებს. ფიქრობთ, რომ კიდევ გენდობიან?**

— ჩვენ სხვა ოპოზიციონერი ლიდერების შეცდომებს არ გავიმეორებთ. პირობას ვდებთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას არ გავურიგდებით. ჩვენ უკან დასახევი გზა აღარ გვაქვს. ქვეყანა სავალალო დღეშია. სააკაშვილი ყოველდღიურად ანგრევს და ანადგურებს ქვეყანას.

— **სხვა ოპოზიციონერები ამბობენ, რომ პუტინთან მოსიარულე პარტიებს ქართველი საზოგადოება მხარს არ დაუჭერს...**

— ნინო ბურჯანაძე მარტო პუტინთან არ დადის, ის „კრების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრია და დიპლომატიურ შეხვედრებს ევროპის თითქმის ყველა ლიდერთან მართავს. მე რა მიკვირს, იცით? ვისაც ნინო ბურჯანაძის მოსკოვში ვიზიტი ცუდად ხვდება თვალში, იმას რატომ არ აპროტესტებს, სააკაშვილის ხელისუფლებამ მოსკოვისთვის ნახევარი ქართლის ჩაბარება რომ არ იკმარა და ახლა ყველაფერს რუსებზე ყიდის?! ნუთუ ნორმალურია, რომ ქვეყანა ოკუპანტად აღიარებულ მეზობელ სახელმწიფოს მთელ ენერგობერკეტებს საკუთარი ნებით უგდებდეს ხელში?! დღეს აბსოლუტურად ყველაფერი — წყლიდან დაწყებული, ოქროთი დამთავრებული — რუსეთის ხელშია; როცა მოუნდებათ, მაშინ წაგვიჭერენ კისერში ხელს და ეს სწორედ სააკაშვილის „დამსახურებაა“. ნინო ბურჯანაძე მოსკოვშიც დადის და რუს პოლიტიკოსებსაც ელაპარაკება, მაგრამ ქვეყნის სიმდიდრეს მათ არასდროს ჩაუგდებს ხელში. ახლა ვისაც ქვეყანაზე გული შესტკივა, ვისაც თავმოყვარეობა აქვს და არ მოსწონს, როგორ თელავს სააკაშვილი ფეხქვეშ ადამიანის უფლებებს, როგორ მდიდრდება ჩვენს ხარჯზე, როგორ გვინგრევს და გვინადგურებს სამშობლოს, ჩვენ გვერდით უნდა დადგეს. ■

# დონალდ ტრამპი ობამას ისევ აუხირდა

დონალდ ტრამპი ამაყობს, რომ აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას, დაბადების მოწმობის ჩვენება სახალხოდ აიძულა. „მე ერთადერთი ადამიანი ვარ, რომელმაც აშშ-ის პრეზიდენტი აიძულა, დაბადების მოწმობა გამოემზეურებინა“, — განაცხადა ტრამპმა ჟურნალისტებთან საუბრისას. ახლა ის კოლეჯში სწავლის პერიოდსა და პრეზიდენტის განათლების ხარისხს იკვლევს. შეგახსენებთ, მილიარდერი დონალდ ტრამპი ირწმუნებოდა, რომ ბარაკ ობამა აშშ-ში არ დაბადებულა და მისგან დაბადების მოწმობის ასლის წარდგენას ითხოვდა. ცოტა ხნის წინ თეთრმა სახლმა პრეზიდენტის დაბადების მოწმობის სრული ასლი წარმოადგინა, სადაც ობამას დაბადების ადგილად ჰავაის შტატია მითითებული. პრეზიდენტი 1961 წლის 4 აგვისტოს 19 სთ-სა და 24 წთ-ზე ჰონოლულუში დაბადებულა. ■

სიახლე! კარდიოლოგიური სამსახური
cardiology.ge

ჩვენ გადავწყვიტეთ მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურება ყველასათვის ხელმისაწვდომი გავხადოთ!

თბილისი, თევდორე მღვდლის 9. II სართული.
პაციენტთა მიღება წინასწარი ჩაწერით.
მაღალკვალიფიციური ექიმები: კარდიოლოგი, ენდოკრინოლოგი,
კვლევები თანამედროვე აპარატურატურაზე.

ექიმის კონსულტაცია 15 ლარი.

ტელ: 345433, 897787856. www. cardiology.ge

# ქართული არმია დაარსებიდან 20 წლის შემდეგ

## „ნატოს სტანდარტებამდე ჯერ კიდევ შორია..."

**საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 20 წელი შეუსრულდა. გზა, რომელიც სახელმწიფოსთვის ამ უმნიშვნელოვანესმა სისტემამ, დღემდე გამოიარა, თუმცა ჯერ საკმაოდ მოკლეა, მაგრამ ბევრი დრამატული და ტრაგიკული მოვლენითაც გამოირჩევა.**

*ლალი პაპასკირი*

*საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1990 წლის დეკემბერში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებით, შს სამინისტროსთან შინაგანი ჯარები — ეროვნული გვარდია შეიქმნა... 1991 წლის 24 აპრილს კი საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა, წვევამდელთა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ განკარგულება გამოსცა. იმავე წლის 30 აპრილს, პირველი ოფიციალური საგაზაფხულო გაწვევა გამოცხადდა და ეს დღე ქართული არმიის დღედ იქცა. მას შემდეგ, ქვეყანამ სხვადასხვა ხანგრძლივობისა და მასშტაბის კონფლიქტი გადაიტანა: 1992-93 წლებში — ომი აფხაზეთში, 2008 წლის აგვისტოში — ე.წ. ხუთდღიანი ომი... 2004 წლამდე ქართველი ჯარისკაცი მშიერ, დაბეჩავებულ ადამიანთან ასოცირდებოდა; შემდგომ, თავდაცვის უწყებაში ბევრი რამე შეიცვალა, გაუმჯობესდა შეიარაღება, ინფრასტრუქტურა, სამხედროების მომზადების დონე და პირობები... თუმცა სპეციალისტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს რეფორმები ზედაპირულია და მნიშვნელოვანი ხარვეზები მაინც დარჩა...*

**ირაკლი სესიაშვილი,** *არასამთავრობო ორგანიზაციის — „სამართალი და თავისუფლება" დირექტორი:*

— ქართული არმია შექმნილიც კი არ იყო, როცა რამდენიმე ფრონტზე ერთდროულად მოუწია ბრძოლამ, მათ შორის — აფხაზეთსა და სამაჩაბლოში რუსეთის აგრესიის მოგერიებამ... იმ წლებში დასავლეთის მხარდაჭერაც არ გვქონდა, დაფინანსებაც მცირე იყო და ასეთ პირობებში ჯარის არსებობა ძალზე ძნელი იყო. 2000 წელს მაშინდელმა მინისტრმა დავით თევზაძემ საინტერესო რეფორმები წამოიწყო და საქართველო ნატოს სხვადასხვა პროგრამის მონაწილე გახდა. ეს იყო ქართული არმიისთვის პირველი წინგადადგმული ნაბიჯი... „ვარდების რევოლუციის" შემდეგ, სახელმწიფოს ინიციატივით, სამხედრო არსენალი გაუმჯობესდა, მაგრამ მზარდმა დაფინანსებამ საჭირო შედეგი მაინც ვერ მოიტანა, რადგან თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში საჭირო ზომები ვერ განხორციელდა. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, ხშირად, უსაფუძვლო საკადრო ცვლილებები იყო. გარდა ამისა, ხელისუფლებამ აქცენტი შეიარაღებული ძალების ხარისხზე კი არა, რაოდენობაზე გააკეთა. პრეზიდენტმა და მისმა გუნდმა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებულ ჯარს წარმოუდგენელი ამოცანები დაუსახეს, მაგალითად — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. 2008 წლამდე ქართველ საზოგადოებასაც ეგონა, რომ დაკარგული მიწები არმიის საშუალებით უნდა დაგვებრუნებინა.

— **2008 წლის ხუთდღიანმა ომმა ჯარში არსებული პრობლემები თვალნათლივ დაგვანახვა. თქვენი აზრით, მუშაობს თუ არა ხელისუფლება მის აღმოსაფხვრელად?**

— დავიწყოთ იმით, რომ ამ უწყებას ძალიან ბევრი შეცდომა ჰქონდა დაშვებული, მათ შორის — უსაფრთხოების კონცეფციასა და სავარაუდო საფრთხეების შეფასების დოკუმენტის შედგენისას... შეიარაღებული ძალების განვითარება ამა თუ იმ მინისტრის აზროვნებაზე დაყრდნობით ხდებოდა, არადა, ისინი თითქმის გამოუცდელები იყვნენ. მაშინ, როცა საქართველოს შეიარაღებული ძალები ყალიბდებოდა, ასეთი მინისტრების დანიშვნა, კატასტროფის ტოლფასი იყო... არაპროფესიონალიზმის შედეგია ხუთდღიანი ომი, ასობით დაღუპული სამხედრო და მშვიდობიანი მოქალაქე... ბოლო ხმაზე გაყვიროდნენ, — პროფესიონალი სამხედროები გვყავსო და აგვისტოს ომი ისე დასრულდა, ერთი სანგარიც არ გათხრილა... შემდეგ კი იყო „ვითომ ამბოხი" შეიარაღებულ ძალებში, ჯარისკაცების დამცირება, რასაც როგორც ცალკეული, ისე კომპლექსური შეცდომებიც დაემატა. სამწუხაროდ, ქართულ არმიაში ჯერ კიდევ მწვავე პრობლემაა ხელმძღვანელთა დამოკიდებულება ხელქვეითების მიმართ. თუ ჯარისკაცის ღირსებას შეურაცხყოფენ, ის ერისა და ქვეყნის ღირსებას ვერ დაიცავს — ეს შეიარაღებული ძალების ანა-ბანაა! „თავდაცვის" ხელმძღვანელობას კი ჰგონია, რომ მკაცრი ხელით დაამყარებს წესრიგს... ვიდრე თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო და სამხედრო მმართველობა პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტდება, ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების რაოდენობა კი არ შემცირდება, არამედ პირიქით — გაიზრდება... ასე რომ, მართალია, უკან დარჩა არმია, რომელიც „დედოვშჩინასთან", შიმშილსა და ფორმაჩამოხეულ ჯარისკაცებთან ასოცირდებოდა, მაგრამ რეალობამ დაგვანახვა, რომ ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმები ზედაპირული იყო და ნატოს სტანდარტებამდე ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი. ■

# ობამა ბინ ლადენის განადგურებას ონლაინრეჟიმში უყურებდა

აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა, სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად, ოსამა ბინ ლადენის ლიკვიდაციის ოპერაციას ონლაინრეჟიმში ადევნებდა თვალყურს — ეს ინფორმაცია აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს. სპეცდანიშნულების რაზმების მოქმედებებს აბოტაბადედან ვაშინგტონში პირდაპირი ეთერით გადასცემდნენ. ტრანსლაციის დროს გამოჩნდა, რომ ბინ ლადენს ცოლი გადაეფარა, რის შედეგადაც, მეუღლესთან ერთად, ისიც დაიღუპა. თეთრმა სახლმა გაავრცელა ფოტოები, სადაც კაბინეტში შეკრებილი აშშ-ის დიპლომატები პრეზიდენტ ობამასთან ერთად ამ ოპერაციის მიმდინარეობას უყურებენ. როგორც ფოტოზე ჩანს, სახელმწიფოს მეთაური ამ დროს, მოკრძალებულ ადგილას, არა მაგიდის თავში, არამედ — კუთხეში იჯდა. ■



რადიო თავისუფლება
radiotavisupleba.ge
უსმინეთ პროგრამას „თავისუფლების 10 წუთი"!
რადიო თავისუფლება — რადიო პალიტრის ეთერში!
ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, საღამოს ათის ნახევარზე.

# „სულ რაღაც ერთი თვე დარჩა“...

**„დროა, მიხეილ სააკაშვილმა ბარგის ჩალაგება დაიწყოს...“ — ამ განცხადებას „ქართული აკადემიის“ წარმომადგენელი ნუკრი ქანთარია აკეთებს. მისი აზრით, ხელისუფლებაში სააკაშვილის ყოფნის დრო დათვლილია და ახლა გასარკვევი მხოლოდ ის არის, თუ რა გზითა და ფორმით უნდა შეიცვალოს მმართველი გუნდი...**



*ხათუნა ბახტურიძე*

**— ბატონო ნუკრი, რა გაძლევთ ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს?**

— ქვეყანაში შექმნილი ვითარება: დაკარგული ტერიტორიები, რუსეთისთვის ჩაბარებული ენერგორესურსები, გალატაკებული და შეურაცხყოფილი მოსახლეობა... ახლა მთავარია, საზოგადოება შეთანხმდეს, თუ რა გზით გაუშვას ხელისუფლება — არჩევნებით თუ რევოლუციური გზით.

**— თქვენ უფრო მართებულად რომელს მიიჩნევთ?**

— მე „ოპოზიციური რვიანის“ პოზიციას ვიზიარებ. ამას „ქართული აკადემიის“ სახელით ვამბობ. ვფიქრობ, რომ მოლაპარაკების რესურსი ბოლომდე უნდა ამოიწუროს. მით უმეტეს, რომ ახლა ამ საკითხით საერთაშორისო საზოგადოება დაინტერესდა. თინა კეიდანაუს, ჯო ბასისა და ჰილარი კლინტონის მიერ ბოლო დროს გაკეთებული განცხადებები იმის იმედს გვაძლევს, რომ ხელისუფლებას საარჩევნო გარემოს შეცვლაზე დავიყოლიებთ. ამ საქმის მოგვარება მხოლოდ „ოპოზიციურ რვიანს“ არ უნდა დავაკისროთ, ყველა — პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ამომრჩევლები ერთად უნდა დავდგეთ... შესაძლოა, ვინმეს გულუბრყვილო მოვეჩვენო, მაგრამ მგონია, რომ თუ საზოგადოება აქტიური იქნება და პოლიტიკური პარტიებიც გონიერებასა და სიმტკიცეს გამოიჩენენ, სააკაშვილისთვის ბარგის ჩალაგების დროც მალე დადგება. თინა კეიდანაუს თბილისში ვიზიტისას გაირკვა, რომ ვაშინგტონი საქართველოს ხელისუფლებისგან „რვიანთან“ მოლაპარაკებების სწრაფად (მაისის ბოლოსთვის) დასრულებას მოითხოვს. ახლა მთავარია, ხელისუფლებას საარჩევნო კოდექსი შევაცვლევინოთ, მერე ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები... რევოლუციებისა და ქაოსის ეპოქა უკვე გამოვიარეთ და ისიც ვნახეთ, რომ ამან სასურველი შედეგი არ მოგვიტანა.

**— საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა აკაკი მინაშვილმა განაცხადა, რომ მათთვის მაისის ბოლომდე ვადა არავის დაუწესებია და ხელისუფლება ახალი საარჩევნო კოდექსის მიღებას შემოდგომისთვის გეგმავს.**

— „ნაციონალები“ რაღაცებს მიედმოედებიან, უნდათ, დრო გაწელონ, ხელაღებით უარყოფენ თავიანთ ნათქვამს. ამერიკელმა კოლეგებმა გარკვევით თქვეს, რომ საერთაშორისო საზოგადოება მოხარული იქნება, თუ ხელისუფლება და ოპოზიცია პრინციპულ საკითხებზე — საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით, მაისის ბოლომდე შეთანხმდებიან. შემოდგომის ბოლოსთვის ეს საკითხები უკვე პარლამენტმა უნდა განიხილოს. თუ ხელისუფლება თვის ბოლომდე ვერ მოახერხებს ოპოზიციასთან შეთანხმებას, აშკარა გახდება, რომ სააკაშვილის გუნდი არა მარტო ქართველი ხალხს, არამედ იმათაც ფეხებზე იკიდებს, ვისი წყალობითაც დღეს მმართველ ძალას წარმოადგენს. სააკაშვილს ეს საქციელი ძალიან ცუდად შემოუტრიალდება, იძულებული გახდება, რომ კადაფის გზით წავიდეს...

**— ე.ი. ფიქრობთ, რომ თუ მაისის ბოლომდე შეთანხმება ვერ მოხერხდა, ხალხი ქუჩაში გამოვა?**

— ამის წინასწარ განსჯა ძნელია. ჩემი აზრით, ამ ეტაპზე საჭიროა, დავიწყოთ კამპანია სახელწოდებით — „მოგვეცი არჩევნები“ და არა ზოგადი რევოლუციური გამოსვლები. მაგრამ თუ ხელისუფლება ამაზე არ წამოვა, მომდევნო ნაბიჯი მოფიქრებული უნდა გვქონდეს. დღეს, თუნდაც ერთი თვის შემდეგ, ვერც ერთი პოლიტიკური პარტია ვერ მოახერხებს საპროტესტო აქციებით სასურველი შედეგის მიღწევას: ქართველი ხალხი უკვე ისედაც დაღლილია ამდენი წარუმატებლობით და კიდევ ერთი მარცხი დიდ ზიანს მოგვაყენებს.

**— რას ფიქრობთ იმასთან დაკავშირებით, რომ ოპოზიციონერი ლიდერების უმრავლესობა „სახალხო კრების“ მიერ „დაანონსებულ“ აქციებს მხარს არ უჭერს?**

— „სახალხო კრებამ“ მხარდაჭერა იმიტომ ვერ მოიპოვა, რომ მას სწორად გათვლილი გეგმა არა აქვს. ვთქვათ, გაიქცა სააკაშვილი და თავისი გუნდის წევრებიც გაიყოლა; მერე რას აკეთებს „სახალხო კრება“? ასეთი მნიშვნელოვანი საკითხების გაუთვალისწინებლობა ქვეყანას სერიოზული ხიფათის წინაშე დააყენებს. ხომ შეიძლება, რომ სააკაშვილის გუნდზე განაწყენებულმა ადამიანებმა ყოფილ ჩინოვნიკებზე ანგარიშსწორება მოინდომონ?! სააკაშვილი და მისი გუნდი კი ყველაფრის ღირსია, მაგრამ შეიძლება, უსამართლობისა და განუკითხაობის მომსწრენი გავხდეთ. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რევოლუციის შემდგომ, საპროტესტო აქციების ლიდერი ისევ 93%-იანი მხარდაჭერით გახდება პრეზიდენტი და ისევ მოინდომებს საკუთარი გუნდით ხელისუფლებაში გამაგრებას. თუ ისევ ავტოკრატი ლიდერი გვეყოლება, რაღა მნიშვნელობა აქვს, რა სახელი ერქმევა?!. ჩვენ იმისთვის უნდა ვიბრძოლოთ, რომ არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის ტრადიცია დავამკვიდროთ. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ამისთვის და თუ ამანაც არ გაამართლა და სააკაშვილმა გამოსავალი აღარ დაგვიტოვა, მხოლოდ მერე უნდა ვიფიქროთ რევოლუციაზე. ■



# „9 მაისს 66-ჯერ ვიზეიმებთ გამარჯვებას“

**კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური კონფლიქტი — ასე შეაფასეს მეორე მსოფლიო ომი ისტორიკოსებმა... საბჭოთა საქართველოდან 70 წლის წინ ფრონტზე წასული 300 ათასზე მეტი ქართველი შეეწირა ფაშისტურ გერმანიასთან ბრძოლას, ათეულათასობით ადამიანი კი შინ დასახიჩრებული დაბრუნდა. სამწუხაროდ, მათი რიცხვი ყოველწლიურად მცირდება... ჩვენი რესპონდენტი, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, 86 წლის გერასიმე კვიციანი ჯარში მოხალისედ გაიწვიეს. თითქმის მთელი ჩრდილოეთ კავკასიის მოვლის შემდეგ, ფრონტის წინა ხაზზე აღმოჩნდა, იქიდან კი ერთი ჭრილობითა და რამდენიმე მედლით დაბრუნდა.**



ლალი პაპასკირი

**გერასიმე კვიციანი:**

— 2008 წელს რომ ამბობენ, გამოუცდელი ჯარისკაცები გაყარეს ომშიო, — ჩვენც პირტიტველა ბიჭები ვიყავით, მაგრამ ხელმძღვანელობა გვყავდა გამოცდილი... მანამდე, ათასში ერთხელ თუ ავიღებდი ხელში სანადირო თოფს, მწყრისთვის რომ მესროლა, თორემ თოხისა და ბარის მეტი არაფერი მჭერია. ჩემსავით „შიშველი-გადარეული“ ბევრი იყო და ამიტომაც, ბათუმში წაგვიყვანეს. დიდი არაფერი — იქ „კალაშნიკოვის“ დაშლა, აწყობა და სროლა გვასწავლეს... მერე კი — ჰაიდა ომში!.. ახლა შვილიშვილები მეკითხებიან, ძნელი იყოო? ძნელი იყო კი არა, საჭმელი რომ არაფერი გვქონდა, ხის ფესვებსა და ფოთლებს ვჭამდით; იმ გაყინულ მხარეში ნედლს ვერაფერს იპოვიდა კაცი და გამხმარი ფოთლების ჭამით ყბები გვეღლებოდა... ომში არავის ულხინს, ყველას სტკივა, შია, სცივა და დაღლილია. ძილი გვენატრებოდა. სანგარში მუხლებამდე წყალი იდგა, გვციოდა, მაგრამ შეჩვეულები ვიყავით. როგორც კი საშუალება მოგვეცემოდა, რამდენიმე საათით თვალს დავხუჭავდით და ვისვენებდით, რაც ჩვენთვის ფუფუნება იყო... ომის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ, საახალწლოდ, ერთ ჩვენებურ, იმერელ ბიჭს ამანათი ჩამოუვიდა; სხვა რაღაცებთან ერთად, შიგ ჩურჩხელებიც იდო. ამ ხნის კაცი ვარ და ისე გემრიელად ჩურჩხელა არასდროს მიჭამია...

— **ჭრილობა სად მიიღეთ?**

— ყაბარდო-ბალყარეთში, ალყის გარღვევის დროს. ერთ-ერთ სათვალთვალო პუნქტთან მორიგეობა გვიწევდა. ერთი კვირის განმავლობაში 5 ჯარისკაცი დავკარგეთ. ვიცოდი, რომ კარგი დღე არ მელოდა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. ვიფიქრე, — რა იქნება, მაინცდამაინც იმ ადგილას არ ვიდგემეთქი? — და რამდენიმე მეტრის მოშორებით, ხესთან ახლოს დავდექი... პირველი ტყვია ხეს მოხვდა, მეორემ კი ლავიწის ძვალში გამიარა. ფორთხვით მივედი ჩემს ნაწილამდე და მერე არაფერი მახსოვს... რაც მთავარია, გადავრჩი.

— **ბევრი ამბობს, არ მეშინოდაო...**

— არ დაიჯერო, ვინც ასე ამბობს, — იტყუება. გიჟი უნდა იყო, სიკვდილს თვალებში უყურებდე და არ გეშინოდეს... თავიდან ისე მეშინოდა, მუხლები მიკანკალებდა; მერე თანდათან მოვერიე შიშს, მაგრამ ბოლომდე — ვერა... დღეს ჩვენს მეომრებს უფლის სწამთ; ჩვენ სტალინის გვჯეროდა. დარწმუნებული ვიყავით, რომ ის რაღაც გზას იპოვიდა და მაინც გავიმარჯვებდით... ალყაში ვიყავით, როცა მოვიდა ბელადის ბრძანება: ერთი ნაბიჯი — უკან, ორი ნაბიჯი — წინ!.. მთელმა ნაწილმა მისი ბრძანება უსიტყვოდ შეასრულა. მან იცოდა, რას აკეთებდა და ამიტომაც მოვიგეთ ომი.

— **მას შემდეგ 66 წელი გავიდა. რას ნიშნავს თქვენთვის 9 მაისი?**

— გამარჯვებას!.. ჩემთვის 9 მაისს შემოდის გაზაფხული. ალბათ არ დამიჯერებთ, მაგრამ ყოველ 9 მაისს თავიდან ვიბადები... ჩვენები ბერლინში რომ შევიდნენ, სამხედრო ჰოსპიტალში ვიწექი. რადიომ გადმოსცა ეს საზეიმო ინფორმაცია. ახლაც მახსოვს, როგორ გაისუსა ფუტკრის სკასავით აზუზუნებული ჰოსპიტალი... ჩემ გვერდით დაჭრილი მეომარი იწვა, რომელმაც სიხარულისგან ინსულტი მიიღო... ■

# მუსიკოსთა ნაკრები — სიცოცხლის გადასარჩენად

„ფრანი“, „მგზავრები“, „ნიკოლშოუ“, „გორდელა“, „რეგიონი“, „ჩვენებურები“, ნიაზ დიასამიძე — ასეთია მუსიკოსთა შემადგენლობა, რომელსაც საქველმოქმედო კონცერტისთვის „ქართული საბრძოლო ხელოვნების კავშირმა“ მოუყარა თავი. კონცერტი 7 მაისს, კლუბში — „33 ა“ გაიმართება. მუსიკალური ნომრების გარდა, ქართული საბრძოლო ხელოვნების (Georgian live concert in Georgian style) საჩვენებელი წარმოდგენა მოეწყობა. ამ ღონისძიების შედეგად შემოსული მთელი შემოსავალი გადაეცემა 26 წლის ნიკოლოზ ლაცაბიძეს: მას ესაჭიროება გადაუდებელი ქირურგიული ოპერაცია სისხლძარღვოვან უბანზე, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება დაზიანდეს და თავის ტვინში ფართო სისხლჩაქცევა გამოიწვიოს. ნიკოლოზის სიცოცხლის გადასარჩენად საჭირო ასეთი ოპერაცია საქართველოში, სამწუხაროდ, არ კეთდება.




„ქართული საბრძოლო ხელოვნების კავშირმა“ მიზნად დაისახა თავისი წევრის გადარჩენა. სწორედ მის მესვეურთა და მათი მეგობრების დახმარებით მოხერხდა ის, რომ თავი მოეყარათ ბევრი ნიჭიერი შემსრულებლისთვის, რომლებიც 7 მაისს მუსიკის მოყვარულებსაც მიანიჭებენ სიამოვნებას და ნიკოლოზსაც დაეხმარებიან. ■

რუბრიკა მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ
გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები




# ავერსი მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს ასაჩუქრებს

ავერსმა კიდევ ერთ სასიკეთო საქმეს დაუდო საფუძველი. კომპანია ავერსი უკვე მეხუთე წელია, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს 9 მაისის აღსანიშნავად მედიკამენტების ნაკრებით ასაჩუქრებს.

გასულ წელს 3576-მა ვეტერანმა ისარგებლა ავერსის აქციით. წლეულს აქცია კვლავ ტარდება და პირველიდან 9 მაისის ჩათვლით მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები ავერსის სპეციალურ სასაჩუქრე ნაკრებს მიიღებენ სრულიად უსასყიდლოდ.

ქველმოქმედება ავერსისთვის ტრადიციად იქცა და კომპანიამ უკვე დაიმკვიდრა უპრეცედენტო აქციების ინიციატორის სახელი. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისთვის განსაკუთრებული მილოცვა და მედიკამენტების გადაცემაც ერთერთი იმ აქციათაგანია, რომელიც საზოგადოებაში დიდი პოპულარობითა და მოწონებით სარგებლობს.

ომის ვეტერანებისთვის მედიკამენტების ასორტიმენტი მათი მოთხოვნის შესაბამისად შეირჩა.

სასაჩუქრე პაკეტი ავერსი-რაციონალის მედიკამენტებით არის დაკომპლექტებული. ისინი მომხმარებლის მხრიდან განსაკუთრებით მოთხოვნადია. სასაჩუქრე პაკეტში შემავალი მედიკამენტები მაღალი ხარისხითა და ეფექტურობით გამოირჩევა. ამ პრეპარატების მწარმოებელია ავერსი-რაციონალი, რომელიც საერთაშორისო დონეზე აღიარებული ფარმაცევტული საწარმო გახლავთ და არა ერთი სერტიფიკატის მფლობელია, რომლებიც მის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას ადასტურებს.

ავერსი თითოეული ჩვენგანის ჯანმრთელობაზე ზრუნავს და მუდმივად ცდილობს, რომ ისეთ დამსახურებულ ადამიანებს, როგორებიც მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები არიან, ყურადღება და მზრუნველობა არ მოაკლოს.

სასაჩუქრე მედიკამენტების პაკეტი მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს გადაეცემათ, ხოლო თუ რომელიმე მათგანს რაიმე მიზეზის გამო აფთიაქში მისვლა არ შეუძლია, საკმარისია, ვეტერანის ახლობელმა ან ნათესავმა ავერსის აფთიაქში მისი საბუთები წარადგინოს და სასაჩუქრე ნაკრებს მას გადასცემენ. საჭირო საბუთი კი მხოლოდ ომის და სამხედრო ძალების ვეტერანის მოწმობაა სურათიანურთ.

სასაჩუქრე ნაკრები ამჯერად 11 სახეობის მედიკამენტისგან შედგება.

ესენია:

დიკლოფეროლი, ენოზიდ H, ეფექტი ფლუ, კორსიზი, მემორტაბის სიროფი, ჰეპოლამის სიროფი, ოპტიმალი, ომეზოლი, ცეტეკი, ლიზლი SR, ენზალ D.

ავერსი გილოცავთ 9 მაისს და მეორე მსოფლიო ომის ყველა მონაწილეს გისურვებთ ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას!



**გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!**
**საინფორმაციო სამსახური: 967-227** WWW.AVERSI.GE

# რუსთავში მანიაკი დააკავეს(?)

## ზოგი ფიქრობს, რომ ნამდვილი დამნაშავე არ არის

**„რუსთავი მანიაკების ქალაქია! ქალაქში მანიაკი დადის!“ — ეს ფრაზა ხშირად ისმის რუსთაველებს შორის. მართლაც, არავინ იცის, რა არის იმის მიზეზი, რომ საქართველოში არსებული სამი მანიაკიდან სამივე რუსთაველი გახლავთ. საზოგადოებას ახსოვს წლების წინ, რუსთავში მომხდარი სერიული მკვლელობები... მაშინ, ერთმანეთის მიყოლებით, არასრულწლოვანი გოგონები დახოცეს. დანაშაულის ხელწერა ერთნაირი იყო. ყველა ე.წ. მანიაკის არსებობაზე ლაპარაკობდა, მათ შორის — ძალოვნებიც. ფოტორობოტიც შეიქმნა და მალე არასრულწლოვნების გაუპატიურებისა და მკვლელობის ბრალდებით, პაატა სხირტლაძე დააკავეს.**

*თეა ხურცილავა*

ციხეში უმძიმესი ბრალდებით გამოკეტილ ახალგაზრდა სხირტლაძეს პატიმრები სადისტურად გაუსწორდნენ: მას საკანში ყური მოაჭრეს. ამბობდნენ, რომ ის სექტის მიმდევარი იყო, მსხვერპლს არჩევდა, აუპატიურებდა და მერე კლავდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ სხირტლაძე სრულიად უდანაშაულოდ დააკავეს. ბრალდებები მოეხსნა და პატიმრობიდანაც გაათავისუფლეს, მაგრამ მისი ფსიქიკური მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ ციხიდან გამოსულს მკურნალობა დასჭირდა. მისი ადვოკატი, დათო კორკოტაშვილი უდანაშაულო პატიმარზე განხორციელებულ ძალადობას აპროტესტებდა და დამნაშავეების დასჯას ითხოვდა, მაგრამ — უშედეგოდ...

მოგვიანებით, რუსთავში მომხდარ მკვლელობებში დევნილი, ფრიდონ პირტახია დაადანაშაულეს. მისი დაკავება მარტვილში მოხდა და ისიც ე.წ. რუსთაველი მანიაკის სახელით შევიდა ციხეში. ძალოვნებმა მისი აღიარებითი ჩვენებაც გაავრცელეს, მაგრამ პირტახიას ბრალდების საქმე, ბოლომდე არ გამოუძიებიათ. ორთაჭალის ციხეში სპეცეტაპით გადაყვანილი პატიმარი საკანში გარდაცვლილი იპოვეს (ვენები ჰქონდა გადასერილი). მომხდარი თვითმკვლელობად შეფასდა, მაგრამ ამ ფაქტმა ბევრი კითხვა პასუხგაუცემელი დატოვა. მაშინ იმასაც ამბობდნენ, რომ პირტახიას დანაშაულები მიაწერეს და ბოლოს მოიშორეს კიდეც...

2009 წელს რუსთაველი მანიაკების სიას 16 წლის დავით პილპილაშვილიც შეემატა, რომელიც მსხვერპლს ძარცვავდა და აუპატიურებდა...



მერვე სართულის ნაცვლად, ლიფტი მეხუთე სართულზე გააჩერა და გოგონასთვის პირზე ქსოვილის აფარება სცადა

გასულ კვირას რუსთავში ე.წ. მანიაკის არსებობაზე კვლავ ალაპარაკდნენ. გამხდარ, მაღალ მამაკაცს პოლიცია ორი კვირა ეძებდა. თვითმხილველთა აღწერით, დამნაშავეს შავი ქურთუკი ეცვა, ძირითადად, 8-10 წლის გოგონებს ელაპარაკებოდა და ემუქრებოდა. ფოტორობოტიც შეიქმნა. პოლიციელებს თურმე ბავშვები ქუჩაში მანქანით დაჰყავდათ და დამნაშავის მოძებნას ასე ცდილობდნენ. 28 აპრილს კი — 23 წლის გიორგი ჯიჯიშვილი დააკავეს. მის წინააღმდეგ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით (მუქარა) აღიძრა. ძალოვანთა მტკიცებით, ის რამდენიმე არასრულწლოვანს ემუქრებოდა. კანონით, ეს დანაშაული ჯარიმით ან 3 წლამდე პატიმრობით ისჯება. დაკავებულის აღიარებითი ჩვენების ფრაგმენტიც გაავრცელეს. როგორც ამბობენ, რამდენიმე კვირის წინ რუსთავში, 10 წლის გოგონას, როცა ის სკოლიდან სახლში ბრუნდებოდა, სადარბაზოსთან მამაკაცი დახვდა და ლიფტში დაემგზავრა; მერვე სართულის ნაცვლად, ლიფტი მეხუთე სართულზე გააჩერა და გოგონასთვის პირზე ქსოვილის აფარება სცადა. ბავშვმა გაქცევა მოახერხა და მისი ტირილი დედამ გაიგონა. დამნაშავე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ამ ფაქტიდან რამდენიმე დღეში ძალადობის მსგავსი მცდელობა 7 წლის გოგონაზე განხორციელდა.

აი, რა გვიამბო ბავშვის ბებიამ:

*„ბავშვი 7 წლისაა. 26 აპრილს ეზოში სათამაშოდ ჩავიყვანე. მეც იქ ვიყავი. ბავშვებთან ერთად საქანელაზე იჯდა. 10 წუთით, იქვე, მაღაზიაში გავედი; რომ მოვბრუნდი, მისი მეგობარი გოგონა სადარბაზოსთან დამხვდა, ჩემი შვილიშვილი კი ველარ ვნახე. ბავშვმა მითხრა, — ვიღაც კაცმა სადარბაზოში შეიყვანა და უთხრა, — გასაღები მომაძებნინეო. მეზობლის გოგონა აქტიურია, კორპუსში ყველას იცნობს. უცხო მამაკაციო, რომ მითხრა, შევშინდი და სადარბაზოში შევედი. ყველა კარზე ვაკაკუნებდი და თან ბავშვს ვეძახდი. ხმა არავინ გამცა. მეექვსე სართულზე მცხოვრები მამაკაცი კაკუნზე გამოვიდა და ეს რომ გაიგო, სახურავისკენ გაიქცა. გამწარებული ვყვიროდი. მერვე სართულზე ვნახეთ ბავშვი, შეშინებული იყო და ტიროდა. რომ დაწყნარდა, მითხრა, — სადარბაზოსთან ვიდექი, ონკანის გაღებას ვაპირებდი; იქ გამხდარი ბიჭი იდგა, ტყავის ქურთუკი ეცვა, ქუდი ეხურა; მითხრა, — წამოდი, გასაღები მომაძებნინეო. ბავშვი ასე შეიტყუა სადარბაზოში. ჩემმა შვილიშვილმა მისი მეგობარი გოგონაც წაიყვანა და ერთად ავიდნენ მეხუთე სართულამდე. მეორე სართულზე თურმე იმ ბიჭმა ბავშვი ხელში აიყვანა, სადარბაზოს ფანჯრიდან გადაახედა და უთხრა, — ნახე, იქნებ იქ იყოს გასაღებიო. მეხუთე სართულზე კი მეორე ბავშვისთვის უთქვამს, — შენ ქვემოთ ჩადი და იქ ნახეო. თვითონ ბავშვთან ერთად განმარტოვდა. მეცხრე სართულზე ლიფტის „ოთახი“ ღია იყო და ბავშვი იქ შეუყვანია. ალბათ წინასწარ ჰქონდა ადგილი შერჩეული. იქაც პატარა სარკმლიდან გადაახედა. ბავშვს ტირილი რომ დაუწყია, პატარა დანა ამოუღია და უთქვამს, — თუ იყვირებ ან იტირებ, იცოდე, რაღაცას დაგიშავებო. ბავშვმა ჩემი ძახილი რომ გაიგონა, უთქვამს, მეძახიანო. — მე შენი შეშინება არ მინდოდა, პოლიციიდან ვარ, ქალაქში მანიაკი დადის და შენს დედიკოს უთხარი, გარეთ არ გამოგიშვასო. ამ სიტყვებით ბავშვი გამოუშვა და ლოყაზე აკოცა. ბავშვს ზედმეტად არ შეხებია. თვითონ სახურავიდან მეორე კორპუსში გადამძვრალა. ყველანი სადარბაზოსთან ველოდით მის გამოსვლას. ბოლოს მეზობელი კორპუსის სადარბაზოდან მშვიდად გამოვიდა ახალგაზრდა ბიჭი, რომელსაც ხელში რაღაც ეჭირა და წითელი მაისური ეცვა. ეს იყოო, — თქვა ბავშვმა, იმან კი, ხმა რომ გაიგონა, გაიქცა. პატრული გამოვიძახეთ და ის წამებში მოვიდა. მადლობა პოლიციელებს მინდა გადავუხადო. მთელი უბანი შემოიარეს. ფოტორობოტ-*

იც შეიქმნა და ორ დღეში დააკავეს. საქმეში დაზარალებულად გვცნეს. სიმართლე გითხრათ, ჩემი შვილიშვილი რომ ვნახე და არაფერი სჭირდა, დაკავებულის დასჯაზე უკვე აღარ ვფიქრობდი“.

დაკავებული აღიარებს, რომ ბავშვი ზევით აიყვანა, მაგრამ ამბობს, არანაირი ძალადობა არ ჩამიდენიაო. აღიარებითი ჩვენების შემდეგ, გიორგი ჯიჯიშვილი მოშორებით, კიდევ ერთ კორპუსთან მიიყვანეს. გავრცელებული ინფორმაციით, დაკავების დღეს იგი იმ კორპუსის ტერიტორიაზე ტრიალებდა. იქაურ მცხოვრებლებსაც ვესაუბრე. მამაკაცმა მითხრა, რომ დაკავებული მან იმ დღეს მეხუთე კორპუსთან ნახა.

**თვითმხილველი:**

„ხშირად ეზოში ვარ. მეზობლის ქალმა მითხრა, — ამ მაღალი ბიჭის მოქმედებები არ მომწონსო. ამის შემდეგ მივაქციე ყურადღება. დილის 11 საათი იქნებოდა, რომ შევნიშნეთ. ხელში ტელეფონი ეჭირა და ვიღაცას ელაპარაკებოდა. მერე სადარბაზოში შევიდა, მაგრამ იქიდან მალე გამოვიდა. მთელი დღე კორპუსთან იტრიალა. ის რომ წავიდოდა, კიდევ ორი უცხო ბიჭი გამოჩნდა, ისინიც საეჭვოდ მომეჩვენა. რომ მოიყვანეს, ამოვიცანი, ნამდვილად აქ ტრიალებდა. ხალხი შეშინებულია, ბავშვებს გარეთ ვერ უშვებენ. სალამოობით თავად ჩამოჰყავთ. ზოგიერთი ფიქრობს, რომ პოლიციამ მისი დაკავებით „ქულები დაიწერა“ და ნამდვილი დამნაშავე არ არის“.

გიული კოპაძე იქვე მაღაზიაში მუშაობს. მისი თქმით, საღამოს 7 საათზე ჯიჯიშვილი პილიციელებმა შემთხვევის ადგილზე მიიყვანეს და პირველ სადარბაზოში შეიყვანეს.

**გულიკო კოპაძე:**

„იქ აძლევდა განმარტებებს, მაგრამ რას ამბობდა, ვერ მოვისმინე. ბევრი იმასაც ამბობს, რომ ეს ბიჭი არ არის დამნაშავე. ითქვა ისიც, რომ დამნაშავე რომელიღაც სექტის წევრი იყო. თურმე პოლიციელებმა სხვაგანაც აიყვანეს კიდევ ერთი მამაკაცი და ამბობენ, მისი ბედით იეღოველები დაინტერესდნენო. პოლიციაში დაურეკავთ. ხალხში შეშინებულია. ერთმა ახალგაზრდა ქალმა გვითხრა, რომ მის შვილსაც აეკიდა ვიღაც. ძალადობაზე საუბარი ისევ გახშირდა“.

ახალგაზრდა ქალმა კი წლების წინ მოზარდებზე განხორციელებულ ძალადობის ფაქტებთან გაავლო პარალელი:

„მაშინ ჩემი ბიძაშვილი კინაღამ მოძალადის მსხვერპლი გახდა. მე-19 მიკრორაიონში ცხოვრობდა და წვერიანი კაცი დასდევდა. პოლიცია ჩაუსაფრდა და ბოლოს, როცა დამნაშავე დაიჭირეს, მან ამოიცნო. მაშინ ე.წ. მანიაკმა ჩემი ბიძაშვილის კლასელი გოგო მოკლა. მეათე კლასში სწავლობდნენ. ისიც სადარბაზოებში უსაფრდებოდა ბავშვებს. უყურებდა უაზროდ და დასდევდა.

ამბობენ, სულ სამი შემთხვევა იყო, მაგრამ არც ერთ მოზარდზე ძალადობა არ განხორციელებულა და არც გაუუპატიურებიათ ვინმე“.

რუსთავში დაკავებული გიორგი ჯიჯიშვილის ნაცნობებსაც მივაგენით. ისინი მომხდარით გაოგნებულები არიან. ყველა დადებითად ახასიათებს და გავრცელებული ვერსიის არავის სჯერა. გიორგი რუსთავში დედასთან და ძმასთან ერთად ცხოვრობს. დედა სახლთან ახლოს, პატარა ბაზარში მწვანილს ყიდის, თუმცა ამ ფაქტის შემდეგ, იქ აღარავის უნახავს.

„სულ სამი ადამიანი ვვაჭრობთ აქ. ერთი ქართველია, გიორგის დედა სომეხია, მე კი — აზერბაიჯანელი. ერთმანეთის გვერდით ვსხედვართ და ერთმანეთს ვენდობით. ბიჭს სიგარეტის ფულს დედა აძლევდა. რომ მოდიოდა, ყველას თავაზიანად გვესალმებოდა. ჯარი მოიარა, მაგრამ არსად მუშაობდა. როგორ შეგვიძლია, მასზე ცუდი ვთქვათ, ღმერთი ზევიდან გვიყურებს. პატიოსანი ბიჭი იყო და მისთვის არასდროს არაფერი შეგვინიშნავს საეჭვო“, — გვითხრა დედის ნაცნობმა.

გამოძიება გრძელდება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ■

# ირაკლი ლომაიამ ჟურნალისტ ხათუნა პაიჭაძეს ბოდიში მოუხადა

პარაფსიქოლოგმა ირაკლი ლომაიამ გაზეთ „კვირის პალიტრას“ და მის ჟურნალისტს — ხათუნა პაიჭაძეს ბოდიში მოუხადა. ლომაიას სიმბოლური თანხის — 1 ლარის გადახდა, საჯაროდ ბოდიშის მოხდა და ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში „კვირის პალიტრისა“ და პაიჭაძის წინააღმდეგ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა თბილისის სააპელაციო სასამართლომ დააკისრა. შეგახსენებთ, რომ პარაფსიქოლოგი ხათუნა პაიჭაძეს, „კვირის პალიტრის“ სახელით, ფულის გამოძალვაში ადანაშაულებდა. ■




# ვასილ სანოძე თავის მოკვლას აპირებდა?!

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის ცნობით, ვასილ სანოძეს სამსახურებრივი ტაბელური იარაღი საკუთარ ბინაში შემთხვევით გაუვარდა, რის შედეგადაც თავის არეში დაიჭრა. როგორც გაირკვა, ინციდენტამდე რამდენიმე საათით ადრე სანოძე რესტორან „პურის სახლში“, ფრანგ სტუმრებთან ერთად იმყოფებოდა. შსს-ს მაღალჩინოსანთან დაკავშირებით არაოფიციალური ვერსიებიც ვრცელდება. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, სანოძემ თვითმკვლელობა სცადა. სანდრო გირგვლიანის ოჯახის ადვოკატი შალვა შავგულიძე, ამ ფაქტს გირგვლიანის მკვლელობის ხელახალი გამოძიების ამბავს უკავშირებს. „სანოძის ფიგურა გირგვლიანის საქმეში ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მას უშუალო კავშირი აქვს დანაშაულთან. საქმის „ხელახალი გამოძიების შემთხვევაში, სანოძე მოწმის სტატუსით უნდა დაკითხულიყო“, — აღნიშნა შავგულიძემ. ■



# ახალი საქართველოს ახალი ლიტერატურა

**„პალიტრა მედიამ“ კიდევ ერთი ლიტერატურული სერია წამოიწყო. ამჯერად, ჟურნალ „ლიტერატურულ პალიტრასთან“ ერთად მკითხველი ახალგაზრდა ქართველი მწერლების ნაწარმოებებს მიიღებს.**



29 აპრილს რესტორან „კალაში“ პროექტის — „ახალი ქართული ლიტერატურის“ და ამ სერიის პირველი წიგნის — დათო ტურაშვილის „გურჯი ხათუნისა“ და თერთმეტი მოთხრობის პრეზენტაცია მოეწყო. ეს წიგნი, ჟურნალთან ერთად მკითხველისთვის მთელი თვის განმავლობაში იქნება ხელმისაწვდომი.

ახალი პროექტის პრეზენტაციაზე ძირითადად, სწორედ ახალი თაობის მწერლები და მათი შემოქმედების გულშემატკივრები შეიკრიბნენ. „ა ლა ფურშეტის“ პარალელურად, მედიასახლის კრეატიული დირექტორი მარიკა დარჩია და ჟურნალ „ლიტერატურული პალიტრის“ შემოქმედებითი ჯგუფი — მოწვეული რედაქტორი და ახალი პროექტის ავტორი, მწერალი ბესო ხვედელიძე, მთავარი რედაქტორი ზაალ ჩხეიძე და მისი მოადგილე — მანანა ჯანელიძე სტუმრებს ახალი სერიის მნიშვნელობაზე ესაუბრებოდნენ. ზაალ ჩხეიძეს ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ სწორედ ლიტერატურულ ჟურნალთან ერთად ხორციელდება ახალი პროექტი და წიგნის პარალელურად, კიდევ ბევრ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ ნაშრომს გაეცნობა მკითხველი. აღნიშნეს, რომ „ახალი ქართული ლიტერატურის“ სერიით მკითხველი თვეში ერთხელ ერთ წიგნად მიიღებს თითო ქართველი მწერლის ნაწარმოებების პროზაულ თუ პოეტურ კრებულს. ამით დედაქალაქს მიღმა, ქვეყნის ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებნიც შეიძენენ ხელმისაწვდომ ფასად წიგნებს და უკვე მასობრივი მკითხველი შეაფასებს XX საუკუნის 90-იანი წლებიდან სამწერლო ასპარეზზე გამოსულ მწერალთა შემოქმედებას. ■

საგანძური

# სერგი ჭილაიას „შვილები“

## და ლევან სანიკიძის მისალოცი „ბარათი“



**„ქართული პროზის საგანძური“, რომელიც „გზასთან“ ერთად ყოველკვირა, ქართველი პროზაიკოსის ნაწარმოებს ან ნაწარმოებთა კრებულს გთავაზობთ, დასასრულს უახლოვდება. მომავალ ხუთშაბათს ბევრი მკითხველის მიერ ნანატრი ავტორის — ჯემალ ქარჩხაძის წიგნი გამოვა დღის სინათლეზე, დღეს კი, 62-ე ტომად, ჟურნალს სერგი ჭილაიას რომანი „შვილები“ ახლავს.**

ეს ნაწარმოები „ეკატერინე ჭავჭავაძის“ გაგრძელებას წარმოადგენს. „საგანძურისთვის“ მასზე არჩევანის შეჩერებისას, რედაქციამ ბატონი სერგის ოჯახის აზრიც გაითვალისწინა. წინამდებარე წერილიც, რომლითაც ლევან სანიკიძემ პრესის ფურცლებიდან სერგი ჭილაიას მე-80 დაბადების დღე მიულოცა, ქალბატონმა დალი წულაიამ შემოგვთავაზა.

**ლევან სანიკიძე**

**„ორბობს მოხუცი“**

მაშ, დრომ — ულმობელმა, „ყოვლისმყლაპავმა“ ქრონოსმა — კიდევ ერთი ოთხმოცეული ჩამომარცვლა სწორედ ღირსეული კაციშვილის წუთისოფლისა.

სახელი მისი — სერგი ჭილაია, შესანიშნავი მეცნიერი, მწერალი, მოქალაქე და მოღვაწე საქართველოში.

ბატონმა სერგიმ შეურცხვენელი სიცოცხლით იცხოვრა, სირცხვილის ცდუნებებით ყელამდე ავსებულ მის თანადროულ წუთისოფელში.

დიახ, მან ხომ მთელი მისი ცხოვრება, დაბადებით მოაქყამამდე, განვლო „მესამე დასის“ საქართველოში. არადა, იგი, თავისი ბუნებით, „პირველი დასის“ ანუ ილია ჭავჭავაძის მადლით ნაკურთხი „თერგდალეულობის“ გარემოს უფრო მოიხდენდა. და ასე, ამ „ნაგვიანევად“, ანუ არა თავის დროისად დაბადებულმა ქართველმა კაცმა, ჭეშმარიტმა კოლხის ჯილაგმა, მაინც შეძლო მაღალღირსებით „გადაეტანა“ თავისი წილხვდომილი „საწუთრო ესე მუხთალი და ქვედამზიდავი“. სწორედ ილიას, იმავე საქართველოს მამის მკვლელთა („მესამედასელთა“, გინა „სოციალ-დემოკრატთა“) საბატონო და სათარეშო საქართველოში გამოატარა სერგი ჭილაიამ თავისი ბავშვობაც, ყრმობაც, ჭაბუკობაც, ვაჟკაცობაც და, აჰა, „ჭარმაღობაც“ (საბა). იგი მოესწრო „ორნაირივე ანტი-ილიაობას („მენშევიკურსაც“, „ბოლშევიკურსაც“), საქართველოს ორნაირივე „დამოუკიდებლობას“ (ორივე ქარის მოტანილს), ორნაირივე ქართული მთავრობის „ქართულად გაქცევას“, ორნაირივე „ქართულ ფრონდას“ და საქართველოს ორნაირივე დაქცევას, — სასწაულებრივად კი გადარჩა!

და ცხოვრობდა ბატონი სერგი კრძალული ცხოვრებით, სულ-უძვრელად და კან-უცვლელად. მისი „კარიერა“ მხოლოდ ეს იყო: მდივანი მწერალთა კავშირისა (ოჰ, ეს „კავშირი“!), პროფესორი უნივერსიტეტისა, დეკანი ფილოლოგიის ფაკულტეტისა, გამგე უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრისა.

და, კიდევ „მხოლოდ“ — შესანიშნავი წიგნები: „ვახტანგ ორბელიანი“, „მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა“ (სამ ტომად), „წლები და პრობლემები“, „ეკატერინე ჭავჭავაძე“, „შვილები“, „მე და ჩემი პროფესორი“, „ცისფერი კომუნარები“, „მოგონებათა გამა“... და კიდევ... თუმცა „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა“ — რამდენი კრიტიკულ-პუბლიცისტური ნარკვევი, სტატია, წერილი, ესსე, ესკიზი, ჩანაწერი, ჩანახატი, თუ ჩანაგვირისტი...

და, მისი კალამი კვლავაც დაუმცხრალად, „უქარქაშოდ“ იძვრის დღელამსწორებით მისსავ სამუშაო მაგიდაზე...

კვლავაც მხნე, აუშლელი ნაბიჯით შემოდის იგი თავის სალოცავ უნივერსიტეტში. კვლავ ელოდება სტუდენტობით ტვირთული აუდიტორია ლექტორს, მშვენიერ მესიტყვე-მექართულეს.

მხნედ მოდის-მეთქი, მოაბიჯებს ბიბლიურ-ასაკობრივ სიღრმეებისკენ, რათა უწინარესად ყოვლისა მოესწროს ახალი, დიადი საქართველოს დაბადებას.

ამისთვის ცოცხლობს, ამისთვის „ორბობს მოხუცი“ (ვითარცა იტყოდა მეფე დემეტრე პირველი, ძე დიადი დავით აღმაშენებლისა). ■

რუბრიკა მოამზადა ირმა ხარშილაძემ

# გამომცემლობა პალიტრა




## დინოზავრები



ფორმატი: 25.5X28.5
გვ. რაოდ.: 10
ყდა: მაგარი

ახალი!

ფასი: 16.99

ეს სამგანზომილებიანი წიგნი, თავისი მოძრავი ილუსტრაციებით დინოზავრებს თქვენს წინაშე ცოცხლად წარმოაჩენს! იმოგზაურე დინოზავრების საოცრებებით აღსავსე ერაში. აქ შეხვდებით უზარმაზარ, მრისხანე მტაცებლებს. გაიგებთ თუ რომელი დინოზავრი ითვლება ყველა დროის უდიდეს მფრინავად და რა თავდაცვითი მექანიზმები გააჩნია ეულოცეფალუსს!

## თუთიყუშ ქაქოს თავგადასავალი



ფორმატი: 21.61 X 30.52
გვ. რაოდ.: 88
ყდა: მაგარი

ფასი: 19.99

მისი თავგადასავალი ხალისიანი, მიმზიდველი და მომხიბვლელია. კითხულობ და ქაქოსთან ერთად განიცდი, გიყვარს, გეშინია, ხან გაოცდები, ხანაც გულიანად იცინებ... მოკლედ, ეს არის შემეცნებითი საბავშვო პოემა... ყველასათვის, ვისაც იტაცებს მოგზაურობა საინტერესო ამბებისა და ადამიანების სამყაროში. თუ კითხვით დაიღლებით, ჩართეთ თანდართული დისკი. მისი მეშვეობით, ამ საოცარ ისტორიას მსახიობი რამაზ იოსელიანი მოგიყვებათ.

სიახლე!

## ჭიამაიას გაკვეთილები




ფორმატი: 17.5X15.5
გვ. რაოდ.: 11
ყდა: ბალიშა
გადაშალეთ წიგნი და გაჰყევით ჭიამაიას, რომელიც მეგობრობისა და სიყვარულის ცისარტყელას გაპოვნინებთ.
ფასი: 7.99

## მხიარულება ფერმაში




ფორმატი: 22.5X27.5
გვ. რაოდ.: 20
ყდა: მაგარი

ფასი: 19.99

ამ წიგნის დახმარებით ბევრი ცხოველისა და ფრინველის გამოძერწვას ისწავლი! ადვილად შესასრულებელი მითითებების მიხედვით შენ შეგიძლია გამოძერწო ფერმის ბინადრები და დაალაგო ისინი სპეციალურ სურათზე.

წაიკითხე და გამოძერწე
5 წლიდან

## დათუნიას ძილის დრო




ფორმატი: 17.5X15.5
გვ. რაოდ.: 11
ყდა: ბალიშა
წიგნში მოთხრობილია დედიკო დათუნიასა და მისი ბელის ამბავი. წაიკითხეთ ეს წიგი და უპასუხეთ თითოეულ გვერდზე დასმულ კითხვებს.
ფასი: 7.99

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 38 26 73; 38 26 74 www.elva.ge

# „თითოეული ბავშვისაგან სითბო, სიყვარული ვიგრძენით..."

**ცოტა ხნის წინ, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების პრემიით ის ადამიანები და შემოქმედებითი ჯგუფები დაჯილდოვდნენ, რომლებიც მომავალი თაობის აღზრდის საქმეს ემსახურებიან. მსგავსი ღონისძიება დაახლოებით, 1 თვის წინაც გაიმართა, ოღონდ — დედაქალაქის მასშტაბით, ამჯერად კი საზეიმო საღამოში საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ნიჭიერი წარმომადგენლები იყვნენ ჩართულები: ქუთაისიდან, გორიდან, ტაბახმელიდან, გურჯაანიდან, გურიის ინვალიდთა ასოციაციიდან, მარნეულის აზერბაიჯანელთა კულტურის ცენტრიდან, თბილისიდან... ღონისძიება ბატონ ირაკლი პეტრიაშვილის ინიციატივით მოეწყო:**

*ეთო ყორღანაშვილი*

**თამარ დუმბაძე,** *გურიის ინვალიდთა ასოციაციის პედაგოგი:*

— სცენაზე ბევრჯერ ვმდგარვართ, მაგრამ ასეთი დიდი აუდიტორიის წინაშე — პირველად. ბავშვებმა სხვადასხვა ნომერი წარადგინეს: სიმღერები, ლექსები, თეატრალური დადგმა... ასოციაციაში 40 ბენეფიციარია. ღონისძიებაში 8 ბავშვი მონაწილეობდა.

**— ისინი როგორ შეარჩიეთ?**

— შესარჩევი კონკურსი ჩავატარეთ. ზოგი მათგანისათვის ტრანსპორტირება არ შეიძლება და ამიტომ ვერ წამოვიდა... 18 წელია, ეს ასოციაცია არსებობს და 8 წელია ასოციაციის თანამშრომელი ვარ. თავდაპირველად, მუშაობა გამიჭირდა, მაგრამ თითოეული ბავშვისაგან იმდენი სითბო, სიყვარული ვიგრძენი, რომ... ჩვენთან „დღის ცენტრი" ფუნქციონირებს. ასოციაციის წარმომადგენლები ბავშვებს შინ აკითხავენ, ჩვენთან მოჰყავთ, სადაც დილის გამამხნევებელ ვარჯიშს ვუტარებთ, მერე კი — გაკვეთილებს (ხელოვნება, მეტყველების განვითარება, მასაჟი). სხვადასხვა საჭირო აპარატურა გვაქვს — იაპონიის საელჩომ დაგვაფინანსა. ადგილობრივი გამგეობა, ბატონი რამაზ ნიკოლაიშვილი და ბიზნესმენი — ბეგი სიორიძე (დღევანდელ ღონისძიებაზე ჩვენი გამომგზავრებაც მან დააფინანსა) გვეხმარებიან, რისთვისაც ყველას დიდ მადლობას ვუხდი.


ანსამბლი „ლაშა-გიორგი"


ანსამბლი „ფრესკა"

**თეონა ლურსმანაშვილი,** *30 წლის:*

— 15 წლის ვიყავი, როცა ვაშლის ხიდან ჩამოვვარდი. მას შემდეგ ინვალიდის ეტლს მივეჯაჭვე. გარეთ გასვლა არ მინდოდა. ყველა ადამიანს სიბრალულის გრძნობას ალვუძრავდი, ყველასგან გარიყული ვიყავი. ორჯერ თავის მოკვლაც ვცადე... შემდეგ ამ ორგანიზაციის შესახებ შევიტყვე და მასში გავწევრდი. დეპრესიიდან გამოსვლა მოვახერხე.

**— სად ცხოვრობ?**

— ოფისთან ახლოს ქირით ვცხოვრობ, რადგან ჩემი დიდ მანძილზე ხშირად გადაადგილება არ შეიძლება..

**— ბინის ქირას როგორ იხდი?**

— პენსია — 80 ლარი მაქვს. გარდა ამისა, ორგანიზაცია ყოველთვის მხარში გვიდგას. როცა „ჩაკეტილი" ვიყავი, ვგრძნობდი, რომ „ვიძირებოდი", ახლა კი „ზევით ამოვდივარ"... სიმღერის ნიჭი აღმომაჩნდა, ლექსებსაც ვკითხულობ... ამხელა აუდიტორიის წინაშე პირველად გავედი. სცენაზე გასვლამდე ვღელავდი...

**ნანა სამხარაძე,** *გორის საესტრადო ანსამბლის — „აი ია" ხელმძღვანელი:*

— ჩვენი ანსამბლი 1983 წელს შეიქმნა. ბევრი ამჟამად უკვე ცნობილი მუსიკოსი აღგვიზრდია, მაგალითად — გიორგი სუხიტაშვილი, ლიკა შუბითიძე, ნინა წკრიალაშვილი, მარიამ რომელაშვილი... ამჟამად, ანსამბლი 22 ბავშვისაგან შედგება. საქართველოს მასშტაბით, თითქმის ყველა კონკურსში მონაწილეობენ და იმარჯვებენ. ნიჭიერი ბავშვები არიან, მაგრამ ფინანსურად უჭირთ (თურქეთის ფესტივალზე 5 ბავშვი მიმყავს, მეტის წაყვანას ვერ ვახერხებ). მაგალითად, მელანო ფისაძე 4 წლის ასაკში დედამ მიატოვა. უკვე 4 წელია, რაც მამამაც მიატოვა. როგორც შემიძლია, მელანოს ისე ვეხმარები — უსასყიდლოდ ვამეცადინებ. უნიჭიერესი ბავშვია!..

**მელანო ფისაძე,** *16 წლის:*

— ბებიასთან და ჩემს 2 ძმიკოსთან ერთად ვცხოვრობ. დიდი ხანია, ანსამბლში — „აი ია" — ვარ. ბევრი წარმატება მქონია, რაც ჩემი პედაგოგის დამსახურებაა. დღეს კომპოზიტორ ცირა ბზიშვილის დაწერილი სიმღერა — „დაუკარი" შევასრულე. სიმღერაში ჯაზი, ფოლკლორი და პოპია გაერთიანებული.

**ლონდა უგულავა:**

— სუხიშვილების სტუდიასთან არსებულ ანსამბლებს — „ფრესკა", „ლაშა-გიორგი" და 24-ე საჯარო სკოლასთან არსებულ ანსამბლ „ლაშა-გიორგის" მეუღლესთან — კახა ხერხაძესთან ერთად ვხელმძღვანელობ. ბავშვებთან მუშაობა რთულია, მაგრამ პატარები გვიყვარს. ჩვენი ანსამბლები გასტროლებზე ხშირად დადიან, პრიზებს იღებენ... დღევანდელ საღამოზეც დაგვაჯილდოეს. ბატონ ირაკლი პეტრიაშვილს დიდ მადლობას ვუხდით, რადგან მან ეს საღამო ბავშვებს მიუძღვნა...

**ვაჟა აზარაშვილი,** *ჟიურის თავმჯდომარე:*

— ჟიურის წევრებს გვიხარია, რომ ასეთი ნიჭიერი თაობა გვეზრდება — ეს საქართველოს მომავალია! კარგია, რომ პროექტში ინვალიდებიც ჩაერთვნენ. მათ შორის ბევრი ნიჭიერია. ღონისძიების ყველა ორგანიზატორს დიდ მადლობას ვუხდი, რადგან ჰუმანურ, ეროვნულ საქმეს აკეთებენ.

**— ღონისძიების მონაწილეთა შეფასებისას მკაცრი იყავით?**

— ობიექტური ვიყავი, მაგრამ — ცოტათი „რბილი"... ■




# 50 წიგნი

რომელიც უნდა წაიკითხო,
სანამ ცოცხალი ხარ!

16-დან —
23 მაისამდე




ჰომეროსი

30 მაისიდან —
6 ივნისამდე




მაინ რიდი

13-დან —
20 ივნისამდე




თომას მანი
(ტომი I)

და სხვა დიდი წიგნები...

ყოველ ორ კვირაში
„კვირის პალიტრასთან"
ერთად!

## 2-დან — 9 მაისამდე

წიგნი 12
ედგარ პო
„მოთხრობები"

მხოლოდ „კვირის პალიტრის" მკითხველისთვის
წიგნის სპეციალური ფასი -7 ლარი

წაიკითხე წიგნები უკეთესად იქნები!

**უკვე გამოსული ტომები:** ონორე დე ბალზაკი, ჯეკ ლონდონი, შოთა რუსთაველი, ალექსანდრე დიუმა, უილიამ შექსპირი, ჟიულ ვერნი, მიხაილ ბულგაკოვი, ოსკარ უაილდი, ჩარლზ დიკენსი, ერიხ მარია რემარკი, ფრედერიკ ბეგბედერი **შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!**

გამოიწერეთ „კვირის პალიტრა" და მიიღეთ თითო ტომი 7 ლარად! **ტელ: 38 26 73; 38 26 74 ელვა.ჯი**



# სახე

# „არასდროს მისარგებლია იმით, რომ ბორის პაიჭაძის შთამომავალი ვარ“

**ბორის პაიჭაძის შვილთაშვილი — 16 წლის ელენე პაიჭაძე X კლასის მოსწავლეა, მოდელობითაა გატაცებული და ამავე დროს, სუხიშვილების ანსამბლის მოცეკვავეა. ხელოვნების გარდა, ტექნიკურ საგნებსაც კარგად ფლობს და ერთ წელიწადში გამოცდების ექსტერნად ჩასაბარებლად ემზადება. თაკო ჩხეიძის ერთ-ერთი მოდელი თავისი ინტერესებისა და საქმიანობის შესახებ გვიამბობს:**



ძალიან მორცხვი ბავშვი ვიყავი

*თამთა დადეშელი*

— 11 წლის ვიყავი, როცა „ნატალის“ სამოდელო სააგენტოში მიმიყვანეს — ძალიან მორცხვი ბავშვი ვიყავი და სურდათ, უფრო მეტად გავხსნილიყავი. იქ 3 წელი დავყავი, შემდეგ კი თაკო ჩხეიძესთან, „ჯეო-მოდელსში“ გადავედი.

— **მორცხვობა დაძლიე? რა დაგეხმარა ამაში?**

— ბევრ საგანს ვსწავლობდით — სამსახიობო ხელოვნებას, სიარულს, სამეჯლისო და ლათინურამერიკულ ცეკვებს და ესთეტიკას. კარგ სიტუაციაში აღმოვჩნდი და მორცხვობაც ადვილად დავძლიე.

— **პირველად როდის გამოხვედი პოდიუმზე, ფართო აუდიტორიის წინაშე?**

— „ნატალიში“ მოსწავლის სტატუსით ვიყავი და ყოველი წლის ბოლოს ცეკვების ჩვენება გვქონდა მუსკომედიის თეატრში; თვითონ სტუდიაში კი ხშირად ტარდებოდა კარნავალი. გარდა ამისა, „სუხიშვილებთან“ არსებულ ახალგაზრდულ ანსამბლ „ლაშა-გიორგიში“ ვცეკვავ. უახლოეს მომავალში ბულგარეთში ვაპირებთ გასტროლებზე წასვლას და ძალიან მიხარია...

— **რა უფრო გხიბლავს, პოდიუმზე ყოფნა თუ ფოტოსესიის პროცესი?**

— ორივე ძალიან მომწონს, მაგრამ მოდელობა ჩემი ჰობია — მის პროფესიად არჩევას არ ვაპირებ. ახლა X კლასში ვარ და გადავწყვიტე, რომ გაისად ექსტერნად ჩავაბარო 20 გამოცდა, ატესტატი ავიღო და გამოყენებითი მათემატიკის განხრით ვისწავლო.

— **კონკურსებში თუ მონაწილეობდი?**

— შარშან „მის თინეიჯერი საქართველოზე“ გავედი და საპრიზო პირველი ადგილი დავიკავე. ამ კონკურსს თამუნა გომართელი და ეკა მგალობლიშვილი ატარებდნენ. ასევე, პირველად გავედი თბილისის Fashion Week-ზე და წელსაც ვმონაწილეობ. საინტერესო შემოთავაზებები იმედია, მომავალშიც მექნება.

— **პოდიუმზე გამოსვლისას თუ ღელავ ხოლმე?**

— როდესაც პოდიუმზე პირველად გავდიოდი, კულისებში ყოფნისას ძალიან ვღელავდი, მაგრამ როგორც კი ფეხი დავდგი, ყველაფერი დამავიწყდა და მერე უკვე სასიამოვნო შეგრძნება დამეუფლა.

— **თაყვანისმცემლები ხშირად გაწუხებენ? როგორი ბიჭები მოგწონს?**

— რა გითხრათ... ზოგჯერ საჩუქრებს მიძღვნიან. ჯერ ასაკით პატარა ვარ და სიყვარულისთვის მზად არ ვარ, თუმცა, როცა ამის დრო მოვა, აუცილებლად განათლებული ადამიანი უნდა იყოს, ხასიათით კარგად ვეწყობოდეთ ერთმანეთს და ა.შ. ამ თემაზე ლაპარაკი ვფიქრობ, ადრეა.

— **როგორია შენი ჩაცმის სტილი? როგორი სამოსი ჭარბობს შენს გარდერობში?**

— ძირითადად, კლასიკური. სპორტული სტილიც მომწონს, მაგრამ როცა სკოლის გარდა სადმე მივდივარ, ქუსლიან ფეხსაცმელს ვანიჭებ უპირატესო-

ბორის პაიჭაძე შვილებთან ერთად (მარცხნივ — ელენეს მამა, ბორისი უმცროსი)






ბას. ძალიან მომწონს შავი და წითელი ფერები; რუხიც. პოდიუმზე გამოსვლისას, დიზაინერის კოლექციაზეა დამოკიდებული, თუ როგორი სტილის სამოსს ჩავიცვამ. წინა Fashion Week-ზე ორიგინალური კაბა მეცვა — მასზე გეომეტრიული ფიგურები იყო გამოსახული და ძალიან მომეწონა. ამჯერადაც კარგი სამოსი შემირჩიეს — ტყავის, მეტალებით გაწყობილი ე.წ. „ბუტილკა“.

— **ყოფილა შემთხვევა, როცა დიზაინერის მიერ შერჩეული ტანსაცმელი არ მოგწონებია, მაგრამ იძულებული ყოფილხარ, ჩაგეცვა?**

— კი, მაგრამ ასეთ შემთხვევაში უარს მაინც ვერ ვამბობთ — ჩვენ მოდელები ვართ და არავინ გვეკითხება, მოგვწონს თუ არა.

— **რომელი დიზაინერი მოგწონს ყველაზე მეტად?**

— უცხოელებიდან მაკქუინია ჩემი საყვარელი დიზაინერი; ქართველებიდან კი ავთანდილ ცქვიტინიძე და დათუნა სულიკაშვილი გამორჩეულად მომწონან. შარშან, დათუნას ჩვენებაშიც ვმონაწილეობდი.

— **ფორმის შესანარჩუნებლად დიეტის დაცვა თუ გიხდება?**

— არა, მთელი დღის განმავლობაში იმდენად დატვირთული ვარ სააგენტოშიც და ცეკვაზეც, იმდენს ვვარჯიშობთ, რომ საკვების აკრძალვა არ მიწევს. თუმცა, 6 საათის შემდეგ ვცდილობ, ნაკლებად მივირთვა და როდესაც ჩვენება გვაქვს, წინა რამდენიმე დღის განმავლობაში შედარებით მსუბუქად ვიკვებები — ნაკლებ კალორიას ვიღებ.

— **კლიპებში ხომ არ მიგიღია მონაწილეობა ან ამ ეტაპზე ხომ არ გაქვს რაიმე შემოთავაზება?**

— შარშან გადამიღეს „ჯეოსელის“ საახალწლო რეკლამაში — „ჯეოსტარელებიც“ მონაწილეობდნენ. გადაღებები ღამისთევით მიმდინარეობდა, ძალიან სახალისო იყო და კარგად დამამახსოვრდა, გავერთეთ.

— **ამისათვის ჰონორარიც გადაგიხადეს?**

— არა, მაშინ კონტრაქტი არ მქონდა. ახლა უკვე მაქვს და თუ სადმე მონაწილეობას გადავწყვეტ, ჯერ სააგენტომ უნდა მომცეს ნებართვა. მაგალითად, „ელიტ მოდელ ლუქზე“ მინდოდა გამოსვლა, მაგრამ ვერ გავედი. ამ მხრივ ცოტა შეზღუდვებია, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ.

— **თავისუფალ დროს როგორ ერთობი?**

— სხვათა შორის, თავისუფალი დრო ძალიან ცოტა მაქვს — 7 საათამდე სახლში ვერ შევდივარ, მერე კი ან კომაროვში მივდივარ მათემატიკაზე, ან ცეკვაზე. კვირაში ერთი დღე მრჩება — შაბათი ან კვირა და ვცდილობ, მეგობრებთან ერთად სადმე წავიდე — კინოში, ბარში ან სხვაგან. ძირითადად, ვჭორაობთ ხოლმე ან სადმე ფოტოებს ვიღებთ.

— **გარუჯვა თუ გიყვარს?**

— დიახ, მაგრამ სოლარიუმში არასდროს დავდივარ. მზე და ზღვა ძალიან მიყვარს, აუზსაც ხშირად ვსტუმრობ.

— **გარდა იმისა, რაც აღნიშნე, რა გეგმები გაქვს მომავალში?**

— ივნისის ბოლოს სტუდიის ჩვენებები ტარდება ხოლმე, სადაც ყველანი გამოვდივართ. შარშან, მაგალითად, სხვა დიზაინერებთან ერთად ბიჭოლაც იყო. თაკოც გვესწრება და შენიშვნებს, მითითებებს გვაძლევს ხოლმე, როცა საჭიროა. ახლებიდან რამდენიმე გოგონას არჩევენ და „ნიუ ფეისებში“ გადმოჰყავთ.

— **რა რეაქცია აქვთ ხოლმე, როცა იგებენ, რომ ბორის პაიჭაძის შვილთაშვილი ხარ?**

— უკვირთ და ზოგი მეკითხება ხოლმე, ფეხბურთელი ხომ არ ხარო (*იცინის*)? ბაბუაზე ყველაფერი გადმოცემით ვიცი და ძალიან ვამაყობ ჩემი წინაპრით, თუმცა ამით არასდროს მისარგებლია და ბევრმა არც კი იცის, რომ მისი შთამომავალი ვარ. ■



# როგორ ებრძვის ჩაინიკა გოიმობას ანუ „ვილი გუმენ, ლაქი სტრაიკი ზით“



იქნებ ჩემზე ლაპარაკობენ?!

**ძილი მისი ჰობია. ცოტა ზარმაცია — ეზარება ჭამის დაწყება და მერე — დამთავრება, თუმცა თავის ზედმეტ კილოგრამებს ამ უცნაურ სიზარმაცეს არ მიაწერს. იუმორისტის, კობა ბარათელის სიმსუქნის მთავარი მიზეზი მისი ჭიდაობის მწვრთნელი ყოფილა, რომელსაც პატარა კობასთვის ჭკუა დაურიგებია, — წონაში მოიმატე, შენს ასაკში მეტოქე არ გეყოლება და სულ გამარჯვებული იქნებიო.**

**ეჭვიანობისა და ერთგულების შესახებ თავისებური ფილოსოფია აქვს. თუმცა როდის ხუმრობს და როდის — სერიოზულად ლაპარაკობს, ამაში, იმედი მაქვს, თავად გაერკვევით.**

ნინო მჭედლიშვილი

**— რომელი თვისება გახსენდება, როცა შენი ხასიათის შესახებ გეკითხებიან?**

— კეთილი და გულუბრყვილო ვარ. მიუხედავად იმისა, რომ ეჭვიანობაც მახასიათებს, ადვილად ვტყუვდები.

**— რაში გამოიხატება შენი ეჭვიანობა? მაგალითად, რის უფლებას არ მისცემ საყვარელ ადამიანს?**

— არა, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობისას ეჭვიანობას არ ვგულისხმობ, ზოგადად, ეჭვიანი ვარ. მაგალითად, რაღაცას რომ მეუბნებიან, ვეჭვობ, ხომ არ მაშაყირებენ, ხომ არ მეკაიფებიან, ხომ არ მატყუებენ-მეთქი?!.

**— ქალთან ურთიერთობისას არ ხარ ეჭვიანი?**

— უფრო ეგოისტი ვარ, ვიდრე — ეჭვიანი. ადრე, გოგო რომ მომეწონებოდა, ვფიქრობდი, რატომ არის ახლა შინ, რატომ არ არის ჩემ გვერდით-მეთქი? ერთი სიტყვით, მესაკუთრე ვარ.

**— შენს მეუღლეს ინტერესით თუ გააყოლებენ თვალს მამაკაცები, ეს გაგაღიზიანებს?**

— მარტო თვალს თუ გააყოლებენ — არა, მაგრამ ამ მზერაში ცუდი განზრახვაც თუ დავინახე, ის უფრო გაღიზიანდება, ვინც თვალს გააყოლებს...

**— კონფლიქტური ხარ?**

— არა, ყველანაირად ვცდილობ, კონფლიქტამდე არ მივიყვანო საქმე. უბრალოდ, სიტყვით ავუხსნი, რომ ეს სწორი არ არის.

**— როდის ივსება შენი მოთმინების ფიალა?**

— არ ვიცი, ასეთი სიტუაციები თითზე ჩამოსათვლელად მქონია.

**— როცა შენ ზურგს უკან ჩურჩულებენ, უსმენ თუ ერიდები ამ სიტუაციას?**

— ძალიან მაინტერესებს, ჩემზე ხომ არ ლაპარაკობენ? ისეთ გამომეტყველებას მივიღებ, თითქოს არ მაინტერესებს, მაგრამ აუცილებლად მოვუსმენ. აი, სად იჩენს თავს ჩემი ეჭვიანობა — იქნებ ჩემზე ლაპარაკობენ?!

**— მეზობლის სახლში ყვირილის მიზეზიც გაინტერესებს?**

— არა, ეგ ნაკლებად. ჩემს სახლში იყოს მშვიდობა და დანარჩენი... ქვა ქვაზე დადუღებულა (*იცინის*).

**— ზარმაცი ხარ?**

— ცოტათი კი. აი, მაგალითად, ჭამის დაწყება მეზარება თავიდან და მერე — დამთავრება. ფეხით სიარული მეხალისება, მანქანით უფრო მეზარება. რატომ? კარგი მძღოლები რომ არიან დანარჩენები, იმიტომ. საქესთან რომ ვზივარ, სულ ვიგინები. ვლანძღავ ყველას, სქესის მიუხედავად, ვინც „გაზიდან“ ფეხს ამაღებინებს და მიმადებინებს „ტორმუზზე“.

**— თვითონ კანონმორჩილი ხარ?**

— საგზაო წესებს რაც შეეხება — კი. ადრე ღამით დავდიოდი „წითელზე“. ამასთან დაკავშირებით ჩემი ფილოსოფია მქონდა: ღამეა, ახლა ვინ დამინახავს-მეთქი?! მერე ვიფიქრე, ჩემნაირი დამოკიდებულება სხვასაც რომ აღმოაჩნდეს, ხომ შევასკდებით ერთმანეთს გზაჯვარედინზე და ხომ წავალთ იქ, საიდანაც უკან აღარ ბრუნდებიან-მეთქი?! — და ახლა ღამითაც ვიცავ საგზაო წესებს. თან, რამდენიმე ავტოშემთხვევა მქონდა. „ჰიუნდაიმ“ ახალი მანქანა უნდა მაჩუქოს წესით, იმდენჯერ დავამტვრიე და მაინც იმ მანქანით დავდივარ. ისეთი შემთხვევაც მქონია, ბალიშებიც რომ გაიშალა, თავისი „თეთრეულით“ (*იცინის*).

**— ოჯახში როგორი ხარ?**

— ძნელად ასატანი. ჯერ მარტო ოთხ კოლოფ სიგარეტს ვეწევი დღეში. ეს ცოტაა? ბავშვები მოვკალი ამდენი კვამლით.

**— გაგვაცანი შენი ოჯახი.**

— ორი შვილი მყავს: 11 წლის ნიკო და 9 წლის მარი. მეუღლე, ნინო ინჟინერია, მაგრამ ამჟამად დიასახლისობს.

**— რატომ? შენი მესაკუთრეობის გამო ხომ არა?**



ახლა ღამითაც ვიცავ საგზაო წესებს

— არა, არა, შვილების ბრალია. ასე ამბობს, მარი რომ გათხოვდება, მერე დავიწყებ მუშაობასო. მარი რომ გათხოვდება, ერთი წელი იმუშავებს ნინო, მერე მარის შვილი ეყოლება და მისი შვილების გამო დაჯდება სახლში. ვერ ვიტყვი, დიასახლისობაზე გიჟდება-მეთქი, მაგრამ შესაფერისი სამსახური ვერ იშოვა დღემდე. ხელსაქმე უყვარს, ქარგავს ძალიან კარგად. ნეტავ, ენაც მოქარგული ჰქონდეს (*იცინის*).

— **ძნელად ასატანი თუ ხარ სახლში, ვერ მოიქარგავს ცოლი ენას.**

— არა, მთლად ცუდი ქმარი არ ვარ. პრეტენზიები არ მაქვს, შენიშვნებს ძირითადად, შვილებს ვაძლევ ხოლმე. მაგალითად, შინ რომ მოდიან, ქურთუკს გაიხდიან და მიაგდებენ, არ მომწონს; საკიდარზე მივუთითებ ხოლმე. წესრიგი მიყვარს. მაგალითად, საფერფლეში ერთი ნამწვი მაინც თუ გდია, უნდა გადავყარო, სხვანაირად არ შემიძლია. თუ კომპიუტერთან ვზივარ, ბავშვს ვავალებ საფერფლის დაცლას.

— **კომპიუტერთან რას აკეთებ?**

— „პრეფერანსს“ ვთამაშობ, ზოგჯერ „ოდნოკლასნიკებში“ შევდივარ, ნოსტალგია რომ მომაწვება.

— **რომ ამბობენ, ეგ საიტი გოიმებს აქვთო?!**

— მერე, გოიმი ვარ მეც! ყავას ვსვამ ბევრს, ამით ჩემი გოიმობა მინდა დავმალო, მაგრამ არ გამომდის. ამდენი ყავის სმა არ შეიძლებაო, მითხრეს, ექიმთან წადიო. მივმართე ექიმს და არ ჰქონდა ყავა (*იცინის*). „ფეისბუქიც“ გავხსენი, გოიმობის დასაფარავად, მერე პაროლი დამავიწყდა და დავრჩი ასე. თან, მე ხომ XIX საუკუნის 30-იან თუ 60-იან წლებში ვარ დაბადებული და „კომპიუტერულად“ დიდად განათლებული არა ვარ. მძიმე ბავშვობა მქონდა, მეექვსე კლასში უკვე 80 კილოგრამი ვიყავი.

— **ხუმრობ?**

— არა, 70 კილო მაინც ვიქნებოდი. მაშინ ვჭიდაობდი, მწვრთნელი მეუბნებოდა, წონაში მოიმატე და შენი ასაკის მოჭიდავეებში მეტოქე არ გეყოლება, სულ პირველ ადგილზე იქნებიო. ერთხელ შემხვდა ჩემი წონის მეტოქე. რომ მეჭიდავებოდა, „ტომი და ჯერი“ გამახსენდა. რომ შემატყო, სუსტი ვიყავი, იფიქრა, ამას გავეკაიფებიო და მართლაც დაიწყო შაყირი. ერთ-ერთი ილეთის დროს ხელიდან დავუსხლტი და ზევიდან დავაჯექი. შეიძლება ითქვას, უნებლიეთ მოვუგე. ეს ბიჭი აფხაზეთის ჩემპიონი იყო. მერე ვტრაბახობდი, ეს ვინ დავამარცხე-მეთქი?!. ასე რომ, ჩემი მწვრთნელის კისერზე იყოს ჩემი ამჟამინდელი კილოგრამები.

— **კიდევ რაში გამოიხატებოდა შენი მძიმე ბავშვობა?**

— ჩემს ბავშვობაში კარგი, ხარისხიანი მუსიკალური აპარატურა არ იყო და სიმღერებს კასეტიანი მაგნიტოფონით ვუსმენდით, თან — ვიღაცისგან გადაწერილს, სიტყვები კარგად არ ისმოდა და დამახინჯებულად ვიმახსოვრებდი. მაგალითად, „ფრითი ვუმენს“ ვმღეროდი ასე, — „ვილი გუმენ, ლაქი სტრაიკი ზით“. და დღემდე ასე ვმღერი. ოო, აი, კიდევ ერთხელ გამოვავლინე გოიმობა, ინგლისური ენა არ ვიცი.

— **გაბრაზებული როგორი ხარ?**

— ბუზღუნა. თუმცა ერთი პატარა მოფერება და — ეგრევე მოვლბები.

— **ერთგული თუ ხარ?**

— ალბათ.

— **ალბათ?! ქართველი კაცის „ერთგულებაზე“ ბევრს ლაპარაკობენ ქართველი ქალები.**

— იმიტომ, რომ ქალები ეგოისტები გახდნენ. გამომდინარე იქიდან, რომ მეტნი არიან, ვიდრე მამაკაცები, მესაკუთრეებად იქცნენ. არ ვიცი, რამდენად მართალია ეს სტატისტიკა, მაგრამ როგორც შევიტყვე, ერთ კაცზე ექვსი ქალი მოდის. ხუმრობით ვამბობ ხოლმე, — თუ ერთ კაცზე ექვსი ქალი მოდის, მე რომ ერთს ვუერთგულო, იმ ხუთმა რა დააშავა-მეთქი?! კაცს უფლება აქვს, ჰყავდეს იმდენი ქალი, რამდენი ნეკნიც აქვს.

— **ქალის ნეკნების რაოდენობაზე თუ გსმენია რამე?..**

— მაგ შემთხვევაში არითმეტიკა უძლურია (*იცინის*). ვხუმრობ, რა თქმა უნდა, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში მთავარი — ერთგულებაა.

— **ალკოჰოლთან „მეგობრობ“?**

— უჰ, რამდენჯერ „გავაგდე“ და „არ მშორდება“. ისეთი შემთხვევაც მქონია, რომ დალევ და მეორე დღეს არაფერი გახსოვს.

— **ნაბახუსევზე მეუღლე რომ მოგიყვეს, როგორ მღეროდი მერიის წინ „თბილისოს“ და როგორ ითხოვდი მეორე ხმას გიგი უგულავასგან, დაიჯერებ?**

— დავიჯერებ, გამორიცხული არაფერია. თუმცა სოხუმის მერიასთან რომ მექნა ეგ, უფრო ბედნიერი ვიქნებოდი. მე ხომ აფხაზეთიდან ვარ. თან მთვრალი ისეთი კატეგორიული ვარ, გამიშვებდნენ სოხუმშიც.

— **ბოლო დროს ბიჭოლას როლი მოირგე და მოგიხდა.**

— მე მოვუხდი როლს. ბიჭებმა მითხრეს, გეძებდაო. არ ვიცი, რატომ, — შეიძლება, რამე უნდოდა შეეკერა ჩემთვის. ისე, გავიცნობდი სიამოვნებით. ბოლოს და ბოლოს, ჩემმა მეუღლემ ხელსაქმე იცის, დაასაქმებს მაინც.

— **ღამით იოლად იძინებ ხოლმე თუ დიდხანს წვალობ?**

— რომ დავწვები, მინდა, რომ საქმეზე ვიფიქრო, მაგრამ მალევე მეძინება. ■



# „შუადღის“ მშვენებას“ კრიტიკის ეშინია

## რასთან ასოცირდება დიმა ობოლაძე?



**ლიკა ევგენიძე კონტაქტური და თბილი ადამიანია. მიაჩნია, რომ ბევრ ადამიანთან ურთიერთობა ცხოვრებისეულ გამოცდილებას სძენს. ცოტა ხნის წინ „რუსთავი 2“-ის ეთერით, ტოქშოუში — „შუადღე“ — მისი ტელედებიუტი შედგა (როგორც ავტორები ამბობენ, ეს გადაცემა „რეალური სახლი“ გახლავთ, თავისი შუადღის ამბებით). ლიკას პარტნიორები, პროვოკაციული რეკლამის ტექსტი რომ მოვიშველიოთ, არიან: ყველაზე ლაღი — აჩიკო სოლოღაშვილი, ყველაზე ქალური და სანდომიანი — ბარბარე (ბაია) დვალიშვილი და „რუსთავი 2“-ის უცვლელი სახე — დიმა ობოლაძე... ინტერვიუსთვის შუადღის მშვენება — ლიკა ევგენიძე ამოვარჩიე...**

*ლალი ფაცია*

**— ახალი ტოქშოუსთვის როგორ შეგარჩიეს?**

— „რუსთავი 2“-დან დამირეკეს, მეც მივედი და სინჯები ჩავწერეთ. სხვათა შორის, ჩემთან ერთად აჩიკო სოლოღაშვილიც იყო დაბარებული. მოკლედ, პირველად ჩვენ შეგვარჩიეს, შემდეგ — ბაია დვალიშვილი და დიმა ობოლაძე. მოსამზადებელი პერიოდი დიდხანს გაგრძელდა...

**— როგორ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ამ გადაცემის მთავარი მიზანი?**

— ეს შუადღის ტოქშოუა და ისეთი ფორმატი აქვს, როგორიც დღის ამ მონაკვეთისთვის განკუთვნილი გადაცემებისთვის არის გათვალისწინებული. რაკი შუადღეს გადის, ცოტას ვფრთხილობთ, რადგანაც უმეტესად დიასახლისები და ბავშვები გვიყურებენ... საკმაოდ დიდი და კარგი სტუდია გვაქვს, რომელიც ორიგინალური იდეების განხორციელების საშუალებას გვაძლევს. ამასთან, იქ ერთდროულად ბევრი სტუმრის მოყვანაც შეგვიძლია. გვინდა, კეთილგანწყობილები ვიყოთ და მაყურებელი კარგ ხასიათზე დავაყენოთ.

**— სტუდიაში 4 უცვლელი და 5 თანაწამყვანი (დღეში — თითო) გყავთ. რატომ?**

— კი, 5 თანაწამყვანი გვყავს და თითოეულს თავისი ფუნქცია აქვს გადაცემაში. ისინიც (თიკა ფაცაცია, თაკო ფხაკაძე, თამუნა ჩერგოლეიშვილი, სანდრო კვიტაშვილი და ლევან ბუთხუზი) იმავე წესით შეარჩიეს, რომლებითაც ჩვენ.

**— დასახელებული ადამიანებიდან ლევან ბუთხუზი არ მეცნო. ვინ არის?**

— პროფესიით გეოლოგია. უყვარს ცხოველები და ზოგადად, ველური ბუნება... გადაცემაშიც ამ თემებზე საუბრობს და ვფიქრობთ, რომ მაყურებლისთვის საინტერესო იქნება. ლევანი ჩვენთან ერთად, პარასკეობით იმუშავებს. რაც შეეხება თამუნა ჩერგოლეიშვილს, ის ჟურნალ „ტაბულას“ რედაქტორია და მის ჟურნალში ორშაბათობით დაბეჭდილი საინტერესო სტატიების გარშემო ისაუბრებს. თიკა ფაცაცია ეთერში სამშაბათობითაა, როცა მსუბუქი და გასართობი თემები გვაქვს ხოლმე. ოთხშაბათს „ყვითელი თემებით“ ჩვენს ეთერში თაკო ფხაკაძე იმუშავებს. ხუთშაბათობით, რაკი სანდრო კვიტაშვილია, შესაბამისად, საგანმანათლებლო თემებს შევეხებით.

**— მოდი, 4 ძირითად წამყვანზე ანუ შენს უშუალო პარტნიორებზე ვისაუბროთ. როგორ შეეწყვეთ ერთმანეთს? მანამდე იცნობდი თუ არა ამ ადამიანებს ახლოს?**

— ამ გადაცემამდე ახლოს არც ერთს არ ვიცნობდი. კარგად გავუგეთ ერთმანეთს. ისე დავმეგობრდით, რომ მგონია, თითქოს მათ მთელი ცხოვრებაა ვიცნობ...

**— ვინაიდან ეს შენი ტელედებიუტია, ალბათ სირთულეებსაც გადააწყდი...**

— ნებისმიერი საქმის დაწყებას თავისებური მღელვარება ახლავს. სირთულე მხოლოდ ჩემთვის კი არა, აჩიკოსა და ბაიასთვისაც (ჩვენ შორის ერთადერთი გამოცდილი წამყვანი — დიმაა) პირდაპირ ეთერში მუშაობა გახლავთ, რადგან ტელეეკრანისთვის სამივე ახალი სახე ვართ და ჯერ შეჩვევის პროცესია. ალბათ დროთა განმავლობაში დავიხვეწებით. ბუნებრივია, შეცდომებიც მოგვდის. მოკლედ, ახალი წამყვანი ვარ და იმედია, ძალიან არ გამაკრიტიკებენ (*იღიმება*).

**— დიმა არ გეხმარებათ?**

— როგორ არა?! ნებისმიერ თემაზე საუბრისას ხალისი შემოაქვს. თავისუფალი და იუმორით დაჯილდოებული ადამიანია, რაც საქმეს გვიიოლებს. პირველად რომ გავიგეთ, ჩვენთან ერთად უნდა ემუშავა, გაგ-



ლიკა ევგენიძე მეუღლესთან ერთად

ვიკვირდა, რადგან შუადღის გადაცემასთან ვერ დავაკავშირეთ (რაც უნდა იყოს, მაინც სპორტთან და ფეხბურთთან ასოცირდება), მაგრამ რომ გავიცანით, აზრი შეგვეცვალა. ბაია და აჩიკოც გახსნილი ადამიანები არიან. ბაია ფანტასტიკური ენერგეტიკის მქონე ქალბატონია — მშვიდი, კარგი ხასიათის. როცა ლაპარაკობს, გინდა, სულ უსმინო. აჩიკო უსაყვარლესი, მხიარული ადამიანია... პირველ გადაცემაში გაგვიჭირდა ერთმანეთთან საუბარი (სტუდიაში რომ ზიხარ, ამას ვერ ხვდები). არადა, ეს დეფექტი ეკრანზე კარგად ჩანს. ნელნელა ამასაც გამოვასწორებთ. ვცდილობ, ვაკონტროლო საკუთარი თავი, რომ ვთქვათ, რუსული სიტყვა, ინგლისური ფრაზა ან სლენგი არ წამომცდეს...



თავის მოსავლელად დრო საერთოდ არ მრჩება

— **გასულ კვირას გადაცემაში სტუმრად გყავდათ მაია ასათიანი. თემა იყო — სად გადის ზღვარი კრიტიკასა და ლანძღვას შორის. ისე მოხდა, რომ მაია მკაცრად გააკრიტიკეთ, რის გამოც მაყურებლებს გაუჩნდათ კითხვა, — „რუსთავი 2“-მა ახალი ტოქშოუ იმისთვის შექმნა, რომ საკუთარი წამყვანები გააკრიტიკოსო?..**

— არა, ასე ნამდვილად არ ყოფილა. შეიძლება, ცოტა ზედმეტი მოგვივიდა, მაგრამ გადაცემაში უნდა დასმულიყო ყველა ის კითხვა, რომელიც საზოგადოებას მაიასა და მისი გადაცემის ირგვლივ უჩნდება. მაიკოც იმიტომ მოვიწვიეთ, რომ პირადად გაეცა ამ კითხვებზე პასუხები. ამასთან, რეიტინგული გადაცემის ავტორი და წამყვანია და ასეთი ადამიანის მოწვევა ახალ გადაცემაში ცუდი არ იქნებოდა.

— **11 თვის გოგონა გყავს. ბავშვის აღზრდასა და სამსახურს ერთმანეთს როგორ უთავსებ?**

— ჩემი გოგონა უკვე რეჟიმშია და მისი ძიძასთან დატოვება თავისუფლად შეიძლება. ბავშვს ღამე ჩემთან სძინავს. დილით რომ იღვიძებს, სამსახურში წასვლამდე ჩემთანაა; სამსახურიდან რომ ვბრუნდები, ისევ ერთად ვართ. შაბათ-კვირასაც პატარას ვუთმობ...

— **როგორც ვიცი, პროფესიით მსახიობი და კინომცოდნე ხარ...**

— მოსკოვში, სამსახიობო ფაკულტეტზე სწავლამ ბევრი კარგი რამ შემძინა — ისეთი ფილმები ვნახე, რომელთაც ვერასოდეს ვნახავდი და ისეთი პიესები და მოთხრობები წავიკითხე, იქ რომ არ მესწავლა, ალბათ ვერც წავიკითხავდი. გამოცდილებაც შევიძინე, მაგრამ მსახიობობა ჩემი საქმე არ არის, რადგან ურთულესი პროფესიაა — თეატრში მუშაობა მთელ ცხოვრებას იკავებს. კინოში კი სიამოვნებით ვითამაშებდი...

— **სანამ თქვენი გადაცემა დაიწყებოდა, „რუსთავი 2“-ის ეთერში გადიოდა რეკლამები, სადაც ასე წარგადგინეს — „შუადღის მშვენება — ლიკა ევგენიძე“... მომხიბვლელ გარეგნობაზე საგანგებოდ ზრუნავ?**

— ჯერჯერობით ისეთ რეჟიმში გვიწევს მუშაობა, რომ თავის მოსავლელად დრო საერთოდ არ მრჩება...

— **ბევრმა შესაძლოა, არ იცის, რომ ულამაზესი ქალბატონის, მსახიობ კირა ანდრონიკაშვილის შვილიშვილი ხარ...**

— კირას რომ ჰკითხო, ყველაზე მაგრად ის უვლის თავს. საკუთარი რეცეპტები აქვს — მაგალითად, სახლიდან გასვლის წინ, 15 წუთის განმავლობაში უნდა დაწვე; სახის კანის ფორმაში მოსაყვანად, სახე მჭადის ფქვილით უნდა დაიბანო, დილაობით ყინული წაისვა და კიტრის ნაჭრები დაიწყო... ასაკოვანი ქალია და ხედავთ, რა კარგად გამოიყურება?! არადა, საკმაოდ მარტივ ხერხებს მიმართავს საკუთარი გარეგნობისა და ჯანმრთელობის კარგ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად. მის რჩევებს ხანდახან მეც ვითვალისწინებ.

— **დიეტას იცავ?**

— არა, ჩემი გარკვეული წონა მაქვს, რომელსაც იოლად ვინარჩუნებ. უბრალოდ, ღამით ჭამას ვერიდები. თუ ვატყობ, რომ წონაში ცოტა მოვიმატე, ცომეულს აღარ ვჭამ ხოლმე — ეს არის და ეს...

■



# ევროპულ სტილზე გადასული უფულო პარლამენტარი



ნინო ჯავახიშვილი

**მინიდოსიე:**

**ნუგზარ ერგემლიძე ბათუმში, 1955 წლის 1-ელ მაისს დაიბადა. მამა პარტიული მუშაკი, სტალინისტი და კომუნისტური იდეების უერთგულესი კაცი ყოფილა — რკინიგზის სამმართველოს პარტკომის მდივნად უმუშავია, ვიდრე სახელმწიფოს სათავეში ნიკიტა ხრუშჩოვი მოვიდოდა. მერე კი გაუთავისუფლებიათ და მანქანათმშენებლობის ქარხანაში ინჟინრად დაუწყია მუშაობა. როგორც ბატონი ნუგზარი იხსენებს, მაშინ გაუგია გაჭირვების გემო... დედა პედაგოგი გახლდათ და წლების მანძილზე მაღალმთიან აჭარაში რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. ამჟამად პენსიაზეა და ბატონი ნუგზარის თქმით, ცოტა არ იყოს, უკმაყოფილოა: კრილოვის „ჭრიჭინას“ თუ გავიხსენებთ, დღეს „ჭრიჭინასა“ და „ჭიანჭველას“ ერთნაირი პენსია აქვთ და თქვენ წარმოიდგინეთ, ისინი, ვისაც არასდროს უმუშავია, თავხედდებიან და ეს პენსია ეცოტავებათ; სამართლიანობა უნდა აღდგეს და ვინც უფრო მეტი იშრომა და იღვაწა სახელმწიფოსთვის მეტი სარგებლის მოსატანად, მას მაღალი პენსია უნდა ჰქონდესო, — მითხრა დეპუტატმა (რაშიც ვეთანხმები და აქვე დავძენ, რომ ამ პრინციპით შეიძლება, პარლამენტარები და მთავრობის წევრები არათუ მაღალი, არამედ 80-ლარიანი პენსიის გარეშეც დარჩნენ: მათ გარდა, ვის სჯერა, რომ პარლამენტარებს საკუთარი შრომით, სახელმწიფოსა და ხალხისთვის დიდი სარგებელი მოაქვთ?!).**

**ნუგზარ ერგემლიძე და ანა ქადეიშვილი 1985 წელს სიყვარულით შეუღლებულან. ორი ვაჟი ჰყავთ — 24 წლის გიორგი და 13 წლის ნიკა. „დეკლარირებულ“ შვილებს შორის ვერ მოხვდა ბატონი ნუგზარის პირველი შვილი — ირაკლი, რომელიც ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს; ის რეჟისორი გახლავთ.**

**პარლამენტარი დიდი უძრავ-მოძრავი ქონებით ვერ დაიკვეხნის. ოჯახთან ერთად ბარნოვზე, 97 კვმ-იან ბინაში ცხოვრობს; ბათუმში, მირიან მეფის ქუჩაზე პატარა სახლი აქვს და კიდევ — 1999 წელს გამოშვებული ავტომანქანა „მერსედესი“.**

## „არც მე მიყვარს წუწუნი“

*ბავშვობაში თურმე ძალიან უჭირდა, როდესაც დედასთან ერთად მარტო ცხოვრობდა. 12 წლის იყო, მამა რომ გარდაეცვალა და დღემდე ახსოვს, ბიძამისმა ლენინგრადიდან ბურთი რომ ჩამოუტანა, პირველი სათამაშო მანქანა რომ აჩუქეს, მეზობელი რომ ყიდულობდა მისთვის რაღაცებს და მეგობრის მამამ სკოლის დამთავრების აღსანიშნავად, საკოსტიუმე ქსოვილი რომ უყიდა. თუმცა ბუნებით ოპტიმისტს, გაჭირვების გამო არასდროს დაუწუწუნია. სტუდენტობის დროც კარგად ახსოვს:*

— სამხატვრო აკადემიაში ვსწავლობდი. ჯიბეში 2-3 მანეთი თუ გვქონდა, ბიჭებს გვიხაროდა. შევაგროვებდით და ვქეიფობდით. 10-10 მანეთს თუ დავდებდით, კარგ რესტორანში — „დარიალში“ ვქეიფობდით, 5-5 მანეთად — „ყაზბეგში“, 2-2 მანეთად კი — „ობლებში“. სახინკლეში ხომ ყოველდღე დავდიოდით, მედუქნეს „არებს“ ხომ არ დავაწერინებდით?! სტუდენტობისას არც გამჭირვებია, კარგად ვმღეროდი და ყველგან მეპატიჟებოდნენ. დედაც თავისი ხელფასის ნაწილს მიგზავნიდა. გარდა ამისა, სტიპენდიაც მქონდა — 40 მანეთი.

— **პირველი ხელფასი თუ გახსოვთ?**

— ჩემმა მეგობარმა, სოსო ბარდანაშვილმა და მე დავწერეთ მუსიკა და ლიბრეტო პირველი ქართული როკოპერისთვის და მახსოვს, 600 მანეთი ავიღე, კიდევ, საავტოროსთვის — 3.000 მანეთი. მაშინ 21 წლის ვიყავი.

— **ერთდროულად ყველაზე დიდი ფული როდის გქონიათ?**

— მეგობრებთან ერთად მცხეთაში კლუბი „ხეკორძულა“ გავხსენით და 12.000 მანეთი შემხვდა. მახსოვს, ფული ჩანთით წამოვიღე, მაშინ გადარიცხვები და ბარათები არ არსებობდა.

— **გიყვართ ფულის ხარჯვა? დაუნანებლად რაში შეგიძლიათ დახარჯვა?**

— ფული „გემრიელია“. თუ გაქვს, უნდა დახარჯო კიდეც. დაუნანებლად მხოლოდ სასმელში ვხარჯავ (*იცინის*)... თუმცა ახლა აღარ ვსვამ, ევროპულ სტილზე გადავედი და მინდა, იგივე ვურჩიო მოქეიფე ხალხსაც. ადრე თუ რამდენიმე ბოთლ ღვინოს ან ორ ბოთლ არაყს ვსვამდი, ახლა 200-250 გრამს გეახლებით და თქვენ წარმოიდგინეთ, ისეთივე მთვრალი ვარ, როგორიც 10 ლიტრის დალევისას. ესე იგი, ზედმეტს ვსვამდი. სხვათა შორის, ფინანსურად ცოტა სული მოვითქვი — ბევრი სასმლის ყიდვა აღარ მიწევს. უკვე 16 წელია, სიგარეტსაც არ ვეწევი. ჩვენ საბჭოთა კავშირის დროს შევეჩვიეთ 7-8 საათის განმავლობაში სუფრასთან ჯდომასა და ჭამა-სმას. ეს ცხოვრების არაჯანსაღი წესია. ერთმა ჟურნალისტმა მითხრა: გაიგეთ, შაქარი რომ გაძვირდაო?.. ძალიან კარგი, თუ გაძვირდა, როდის იყო, ქართველებს შაქარმოყრილი ცხოვრება გვქონდა?! რაც ნაკლებ შაქარს შეჭამს ქართველი კაცი, მით უფრო არ დაემართება შაქრიანი დიაბეტი ან სხვა რამე დაავადება... რომ გითხრათ, რას ჭამდა ჩვენი წინაპარი, გაგეცინებათ: ლობიოს, ღომს, ყველს და ძირითადად, მწვანილს. ახალ წელს თუ შეჭამდნენ ხორცს, მაგრამ განა ამის გამო წუწუნებდნენ. სხვებისგან განსხვავებით, არც მე მიყვარს წუწუნი. მე და დედა ზოგჯერ მჭადსა და ყველს ვჭამდით, მაგრამ არ ვტიროდით. მტირალა საზოგადოება ქვეყანას ვერ ააშენებს. სავარძელში ჯდომითა და წამოწოლით ვერაფერს მიაღწევ, ქვეყანა ასე არ შენდება. რატომღაც ხალხი ისეთ მთავრობას უცდის, რომელიც ბანანებს გადმოუყრის. ასეთი რამ არასდროს მოხდება. ხალხის უბედურება ის არის, რომ თავის პრობლემებს სხვას აბრალებს. ძმაკაცს, რომელიც უმუშევარი იყო, შევთავაზე: ჩემს ძველ მანქანას გაჩუქებ, „იტაქსავე“ და ოჯახში „ორ კაპიკს“




შეიტან-მეთქი. იუკადრისა: „ტაქსაობას“ როგორ ვიკადრებო?! მე „ორი კაპიკისთვის“ რესტორანში მიმღერია და არც მრცხვენია ამის თქმის. შრომა სირცხვილია?! როდესაც მიჭირდა, ჩვენი სახლი ბარნოვზე (ჩინეთის საელჩოს წინ) გავაქირავეთ და თვითონ სხვაგან დავიქირავეთ უფრო იაფად. მერე რა მოხდა? ჯობს, კუდაბზიკობას თავი დავანებოთ. თუ ბენზინის ფული არა მაქვს, კეთილი უნდა ვინებო და ორსართულიანი ჯიპიდან „გოლფში“ გადავჯდე და თუ ამის საშუალებაც არა მაქვს, ფეხით ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით უნდა ვიარო. შეიძლება, გალაკტიონი იყო და ავტობუსით მგზავრობდე — ეს არავის ესმის.

— **როგორც ჩანს, მებრძოლი ბუნების ადამიანი ხართ.**

— ყველა ის ადამიანი, რომელსაც არა აქვს მიზნად დასახული, ყველას სჯობდეს ცხოვრება-ქონებით, ოპტიმისტია. ასეთი კაცი ბედნიერებას სხვაგან ეძებს. უფულობის გამო თავს უბედურად არ მივიჩნევ, ზოგისთვის კი ეს — ტრაგედიაა. ადამიანში ნიჭს უნდა აფასებდე და არა — ფულს. თუ ასე არ არის, მაშინ უბედური ხარ, სხვას ჯიპში რომ ხედავ...

— **თქვენ არასდროს გწყდებოდათ გული, რამე რომ გაკლდათ?**

— ალბათ მე ბავშვობიდანვე შევეჩვიე, რომ ერთს აქვს და მეორეს — არა. იცით, რატომ ვუყვარვარ ჩემს მეგობრებს? მათ ოჯახებში შურიანი თვალით არასდროს შევსულვარ. კეთილშობილად დაბადებულს შური ამახინჯებს. ყველა მილიონერი რომ ვერ ვიქნებით, ამას უნდა შევეგუოთ...

## „მაგდენი ფულიც არ მაქვს, რომ გავასესხო“

*მუშნი ზარანდიასეული პრინციპი — კაცი უნდა ეყოს ხელფასს და არა ხელფასი — კაცს, არც ისე კარგად შეუთვისებია დეკლარანტს. მისი ყოველწლიური შემოსავალი 47.706 ლარს აღწევს (თვეში დაახლოებით 2.400 ლარს იღებს), მაგრამ რამდენიმე ბანკიდან კრედიტი მაინც გამოუტანია და წვრილ-წვრილი რაღაცები შეუძენია. ოჯახის ერთადერთი მარჩენალი თავად არის, რადგან არც მეუღლე მუშაობს და ბუნებრივია, არც უმცროსი შვილი: ნიკუშა სკოლის მოსწავლეა.*

— გიორგი თავგადადებული მუსიკოსია, აქტიურად მუშაობს საკუთარ თავზე. ჩემი მეუღლე არ მუშაობს: სიდედრი 5 წელია, ლოგინად არის ჩავარდნილი და მას უვლის. უამრავი წამალი სჭირდება. გარდა ამისა, დედაჩემმაც უკვე 10 წელია, მხედველობა დაკარგა და მომვლელი ავუყვანე, 150 ლარს ვუხდი თვეში. ზოგს ჰგონია, რომ ბედნიერი ვარ, რადგან არ „ვტირი“. ასე არ არის — ზოგჯერ მდიდრებიც ტირიან (*იცინის*)... რა თქმა უნდა, მეტი შემოსავალი არც მე მაწყენდა.

— **როგორც ჩანს, ხელფასი არ გყოფნით და ამიტომაც გამოგაქვთ კრედიტები, ხომ?**

— რომ არ მყოფნიდეს, მშიერი მოვკვდებოდი. უბრალოდ, იმიტომ გეუბნებით, რომ არ გეგონოთ, თითქოს ეს ბევრი იყოს (*საკმარისი შეიძლება, არც 2.400-ლარიანი ხელფასი იყოს და არც 24.000-ლარიანი, მაგრამ წელიწადში 47.706 ლარი ჩვეულებრივი მოკვდავების ხელფასთან შედარებით, ცუდად არ გამოიყურება. ბატონ ნუგზარს თი-ბი-სიდან 12.000 ლარი აქვს სესხად გამოტანილი, კვლავ თი-ბი-სიდან — 7.500 ლარი; საქართველოს ბანკიდან „ორენჯ ბარათით“ — 1.500 დოლარი, „ტაოპრივატბანკიდან“ კი — 2.000 დოლარი. თვითონაც მიხვდებით, რომ დეკლარაციაში ანაბრებს, ფასიან ქაღალდებსა და აქციებს ვერ მივაკვლიე იმ ერთადერთი მიზეზის გამო, რომ დეკლარანტს ასეთი რამ არა აქვს. — ავტ.*). ამ სესხებს ვფარავ და ხელფასიდან 1.700 ლარიღა მრჩება ხოლმე.

— **ამ კრედიტებით რაიმე შეიძინეთ? დეკლარაციაში არაფერია მითითებული.**

— ეს არ არის დიდი კრედიტი. ზოგს იმდენი აქვს გამოტანილი... კრედიტები, სხვათა შორის, ბანკების კარგი და მაცდური მუშაობის შედეგია. ზოგჯერ არც მჭირდებოდა და მაინც გამოვიტანე, პირობებმა მომხიბლა. საოჯახო ნივთები და რაღაც წვრილმანები ვიყიდე. ერთი სესხით მეორე გადავფარე და ასე გრძელდება უკვე რამდენიმე წელია. სესხის აღება იმიტომ გავბედე, რომ დეპუტატი ვიყავი, თორემ ისე არ ავიღებდი. ეს ევროპული ცხოვრების წესია. თან, ვალი რომ გაქვს, იძულებული ხარ და იხდი, უფრო მოწესრიგებული ხარ ფულის ხარჯვის მხრივ.

— **ფულის გასესხება თუ გიყვართ?**

— მაგდენი ფულიც არა მაქვს, რომ გავასესხო. 100 ლარს მეგობარი რამდენიმე დღით რომ მთხოვს, კი, ბატონო, რა პრობლემაა, შემიძლია, ვასესხო. ზოგჯერ 20, 30, 50 ლარიც მიჩუქებია ვინმესთვის, მაგრამ როცა არა გაქვს, რას იზამ? თქვენ გავიწყდებათ, რამდენი გადასახადი გვაქვს. იძულებული ხარ, ფუფუნების ნივთები მოიკლო და მხოლოდ აუცილებლით დაკმაყოფილდე. სხვა შემოსავალიც რომ მქონდეს, ეს სხვა საქმეა, მაგრამ ყველამ იცის, რომ ხელფასით ვცხოვრობ...

— **ასეთი სტაბილური სამსახური აქამდე არც გქონიათ, ხომ?**

— რაღა სტაბილურია, ყოველდღე გვეუბნებიან — წადით, გადადექითო. აგერ მაისში არჩევნებიც ჩატარდება და მერე ვნახოთ. მე პარლამენტარობაზე მიჯაჭვული არა ვარ. წავალ, კონცერტს ჩავატარებ, ვიმღერებ და ასე შევინახავ ოჯახს.

— **ბოლოს ისიც მითხარით, გიყვართ ჯიბით ბევრი ფულის ტარება თუ ყოველდღიურად რაღაც განსაზღვრული თანხა გიდევთ საფულეში?**

— რა განსაზღვრული თანხა, ზოგჯერ სულაც არაფერი მაქვს... რამდენიმე ლარი კი ყოველთვის მიდევს — პარლამენტთან მათხოვრები რომ დგანან, მათთვის. 20, 50, ზოგჯერ 100 ლარიც მდებია ჯიბეში, ხან როგორ და ხან — როგორ. საერთოდ, უფულო კაცად მიცნობენ. რომ იკითხოთ, ამას ყველა გეტყვის...

**პოსტსკრიპტუმის მაგიერ:**

*უფულო რომ არის, ამიტომაც ინატრა: რამე ფილმს თუ გადაიღებენ ჩემი სცენარით ან ვინმე თუ დამიტოვებს მემკვიდრეობით მილიონს, უარს არ ვიტყვი, გამიხარდება; უცებ დავხარჯავ და ისევ უფულოდ დავრჩებიო, — მითხრა საუბრისას პარლამენტარმა და მომღერალმა (თუ ჯერ — მომღერალმა და მერე — პარლამენტარმა, პოლიტიკოსობა დღეს ხომ აღარავის უჭირს, ყველაზე ადვილად ასათვისებელი პროფესიაა)... მე კი, სიმართლე გითხრათ, მთელი დღე იმის ანგარიშს მოვანდომე, მილიონით რამდენი კილოგრამი ლობიოს, სიმინდის ფქვილის, ყველისა და მწვანილის ყიდვა შეიძლება და რამდენ წელს ეყოფა ეს სარჩო ადამიანს, თუკი ხორცს მხოლოდ ერთხელ — ახალ წელს მიირთმევს...* ■

# სჭირდება თუ არა შეყვარებული დეტექტივ ლევან ჯიბლაშვილს?


ეს პრესისთვის ჯერჯერობით დახურული თემაა

**შარშან ტელეეკრანზე სერიალი „დეტექტივები“ გამოჩნდა, რომელმაც მაყურებლის ინტერესი გამოიწვია. პირველი სეზონის დასრულებისთანავე ცნობილი გახდა, რომ მაყურებელი ამ სერიალის მეორე სეზონსაც მალე იხილავდა. გადავწყვიტე, ამ სერიალსა და სხვა საინტერესო თემებზე სასაუბროდ ერთ-ერთ „დეტექტივს“ — მსახიობ ლევან ჯიბლაშვილს ვწვეოდი, რომელიც ჯერ მხოლოდ 23 წლის არის და უკვე სტალინის როლიც კი აქვს შესრულებული...**

*ნათია ჟივიძე*

— **ყველაზე მეტად, მკითხველს ალბათ ის აინტერესებს, თუ როდის იწყება „დეტექტივების“ მეორე სეზონი?**

— 7 მაისს დაიწყება. მეორე სეზონიც, ისევე, როგორც პირველი, შაბათ-კვირას, საღამოს 11 საათზე გავა ეთერში. პირველი სეზონი ჯერ გადავიღეთ და მაყურებელმა მერე იხილა, მაგრამ ამ შემთხვევაში, ყველაფერი პარალელურ რეჟიმში ხდება — დაახლოებით 6 სერია კიდევ დაგვრჩა გადასაღები.

— **სულ რამდენი სერია იქნება?**

— როგორც პირველ სეზონში იყო, 16 სერია ანუ — 8 გახმაურებული ამბავი. ამბიციაში არ ჩამომართვათ და ძალიან მაგარი სერიალი გამოდის.

— **პირველ სეზონს აჯობებს?**

— პირველმა სეზონმა თავისი „სათქმელი ძალიან კარგად თქვა“. მთელ ჯგუფს გვესიამოვნა, რომ ჩვენი ამხელა შრომა დაფასდა. ხშირად ხდება — რომელიმე პროექტის პრომო მაგარია, მაგრამ მერე პროდუქცია ისეთივე არ გამოდის. ჩვენს შემთხვევაში ასე არ მოხდა — პრომოც მაგარი გამოვიდა და სერიალმაც გაამართლა. „დეტექტივებით“ შეიქმნა პროექტი, რომლის ანალოგიც საქართველოში არ ყოფილა. პირველი სეზონის გამეორებამ გაცილებით მეტი რეიტინგი მოიტანა, რადგან ხალხმა რომ გაიგო, კარგი სერიალი იყო, მოუთმენლად ელოდებოდა გამეორებას. ვისაც ნანახი ჰქონდა, მათაც კი დიდი ინტერესით უყურეს ხელმეორედ. რაც შეეხება მეორე სეზონს, რა მასალაც ვნახე, ძალიან მომეწონა. პირველ ნაწილში ასახული იყო გახმაურებული ამბები, რომლებიც კონკრეტული პერსონაჟების გარშემო ხდებოდა, — რომელიმე ქალის მკვლელობა, ნარკომანია; მეორე ნაწილში კი უფრო მასშტაბურ დანაშაულებს ვიძიებთ...

— **მაგალითად?**

— მაგალითისთვის გეტყვით, რომ პირველ ორ სერიაში ცხინვალის კონფლიქტთან დაკავშირებული ამბებია გადმოცემული. ყველამ აღნიშნა, რომ პირველი ნაწილი კარგი გამოვიდა, ხოლო მეორე ნაწილს რომ ვუყურე, ხელები ავწიე — ძალიან მაგარია...

— **მესამე სეზონსაც ხომ არ გადაიღებთ?**

— ზუსტად არ ვიცი, მგონი, არის გეგმაში, ვნახოთ. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროექტის გაკეთება საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, ალბათ მესამე სეზონსაც გადავიღებთ.

— **მეორე სეზონის სერიებში მთავარი გმირები ხომ არ შეცვლილან? როგორც ვიცი, სალომე ფაღავა თქვენთან ერთად აღარ იქნება...**

— მართალია, სალომე ჩვენთან აღარ იქნება. მაგრამ რამდენიმე სხვა ახალი მსახიობი დაგვემატა, თუმცა დეტექტივების ოთხეული არ შეცვლილა. მათ როლებს კვლავ მე, დიმა ტატიშვილი, ზაზა იაქაშვილი და ლელა მებურიშვილი ვასრულებთ. კიდევ დაგვემატნენ სოდის (სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის), კუდისა (კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის) და პატრულის თანამშრომლების როლების შემსრულებლები.

— **როგორ აგითვისებია პოლიციელთა ტერმინოლოგია!..**

— აბა რა, ბევრ პოლიციელზე მეტი ვიცი. მგონი, საქმის გახსნასაც შევძლებ. მეგობრები მეხუმრებიან ხოლმე, — როლში ხომ არ გგონია შენი თავი, როგორ იყურებიო?!. ხანდახან მართლა მკაცრი გამოხედვა მაქვს (*იცინის*).

— **სალომე რატომ გაუშვეს? მეორე სეზონში კრიმინალური ექსპერტი აღარ გჭირდებათ?**

— არ ვიცი, ეგ რეჟისორმა გადაწყვიტა. სალომეს გმირი, კესო, რომელიც თითის ანაბეჭდებსა და ფოტოებს იღებდა, ამ სეზონში უკვე ნაკლებად საჭიროა. ალბათ სალომეს გმირმა ამოწურა თავისი რესურსი. ზუსტად ვერ გეტყვით.

— **აბა, შენ შეყვარებული არ გჭირდება?**

— როგორ არა?! შეყვარებული საზღვარგარეთ წავიდა, მაგრამ ახალი თანაშემწე დამინიშნეს და ვნახოთ... პირველ სეზონში ვინც მეგობარი ქალბატონი მყავდა, ყველა გავუშვი და ახლა ახალი ტალღა იწყება.

— **ცხოვრებაშიც ასეთი მექალთანე ხარ?**

— არა, მაგას ვერ ვიტყვი, რად-




რუსულ ფილმში ახალგაზრდა სტალინის როლი შევასრულე

გან უკვე სამი წელია, ერთი და იგივე ადამიანი მიყვარს.

**— თუ გქონია შემთხვევა, რომ სხვა ქალის გამო, შეყვარებულს დაშორებოდი, როგორც ეს სერიალში მოხდა?**

— არა, მსგავსი არაფერი ყოფილა. ბევრი შეყვარებული ნამდვილად არ მყოლია. მხოლოდ ერთი მიყვარს.

**— სამი წელი შეყვარებულობისთვის საკმაოდ ბევრი დროა. დაქორწინებას არ აპირებთ?**

— არა, ჯერჯერობით არ ვაპირებთ, რადგან ახლა ვალაგებ ჩემს ცხოვრებას. მსახიობობის გარდა, ბიზნესის სფეროშიც ჩაბმული ვარ და რაღაც პატარა საქმეს ვაკეთებ. დაქორწინებას არ ვჩქარობ, წინ ჯერ კიდევ ბევრი დრო მაქვს. მერე რა მოხდა, თუ სამი წელია, ერთმანეთი გვიყვარს? ეს უკეთესიცაა, რადგან ერთმანეთს კარგად ვეცნობით.

**— არ გაგვიმხელ, ვინ არის შენი შეყვარებული?**

— არა. ეს პრესისთვის ჯერჯერობით დახურული თემაა. ცნობილი ადამიანი ნამდვილად არ არის და არც ჩემს სფეროში მოღვაწეობს.

**— ერთმანეთი სად გაიცანით?**

— აქ, საქართველოში (*იცინის*)... არ მინდა ამ თემაზე უფრო დაწვრილებით ლაპარაკი.

**— იქნებ მის ოჯახს არ მოსწონხარ სასიძოდ და იმიტომ მალავ ყველაფერს?..**

— რა მოსაწონი მე ვარ (*იცინის*)?!.

**— კარიერისა და ბიზნესის გამო იმდენად დატვირთული ხარ, რომ შეყვარებულისთვის ალბათ ცოტა დრო გრჩება. ამას არ აპროტესტებს?**

— ამ ყველაფერს საკმაოდ სალად აღიქვამს. მართალია, ცოტა თავისუფალი დრო მაქვს, მაგრამ ის საკმაოდ ჯანსაღად აზროვნებს და ჩემი კარგად ესმის. როცა ქალიც და მამაკაციც თავიანთი საქმით არიან დაკავებული, ეს მათი ურთიერთობისთვის უკეთესიცაა. მირჩევნია, ჩემი მეორე ნახევარი მუშაობდეს, თავისი საქმე ჰქონდეს და მენატრებოდეს, ვიდრე ნებისმიერ დროს შინ რომ მივალ, სამზარეულოში დამხვდეს. ეს ცოტა მოსაბეზრებელია...

**— კარგი. „დეტექტივებს" დავუბრუნდეთ. როგორც ვიცი, დანარჩენი დეტექტივების როლების შემსრულებლები ამ სერიალში კასტინგის მეშვეობით მოხვდნენ. შენც იგივე გზა გაიარე?**

— არა. თეატრალური უნივერსიტეტი 2008 წელს დავამთავრე, მანამდე კი რუსულ ფილმში სტალინის როლი შევასრულე და კიდევ, რუსულ-ქართულ სურათში — „რუსული სამკუთხედი" ვმონაწილეობდი. ეს ორი პროექტი ჯერ ტელევიზიით გასული არ იყო, რომ რაღაც რეკლამაში მიღებდნენ, სადაც რეჟისორი ლაშა ცერიაშვილი გავიცანი. მაშინ შემომთავაზა, რომ სერიალში „ასა" მეთამაშა, სადაც ლაშას ძალიან დავუახლოვდი. როცა „დეტექტივებზე" მუშაობა დაიწყეს, ლაშამ დამირეკა და გასაუბრებაზე მისვლა მთხოვა. რომ მივედი, ამ დეტექტივის შესახებ მიამბო, სცენარი წამაკითხა და გიორგის როლი შემომთავაზა. სიამოვნებით დავთანხმდი და მგონი, კარგი პერსონაჟიც შევქმენი, თუმცა სალომეს გმირი რომ გავაბრაზე, რამდენიმე ადამიანმა მითხრა, რა ცუდი ბიჭი ყოფილხარო. ეს შეფასება არ მწყენია, რადგან შეიძლება, შენი გმირი ვინმეს არ მოსწონდეს, ამაში ცუდი არაფერია.

**— როგორც ვიცი, ამ სერიალის პარალელურად, კიდევ ერთ ფილმშიც გადაგიღეს.**

— კი, ნიკა ხომასურიძის „დავიწყებულ მეფეში" ვითამაშე. ეს იყო 105-წუთიანი უწყვეტი კადრი. საკმაოდ რთული გადასაღები გახლდათ. ახლა კიდევ რამდენიმე პროექტზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები...

**— როგორც მივხვდი, თეატრში არ მუშაობ...**

— თეატრში იმიტომ არა ვარ, რომ დილით რეპეტიციებსა და საღამოს სპექტაკლებს საკმაოდ ბევრი დრო მიაქვს. მე კი ჩემი ბიზნესი მაქვს და მირჩევნია, ეს დრო მას მოვახმარო.

**— სცენაზე არც ადრე გითამაშია?**

— როგორ არა?! საბედნიეროდ, ჩემი პედაგოგი, ქალბატონი მედეა კუჭუხიძე იყო, რომლის ორ სპექტაკლშიც სტუდენტობისას ვითამაშე. მერე გიორგი ქანთარიამ გურამ რჩეულიშვილის ნოველების მიხედვით დადგა სპექტაკლი, სადაც გურამის როლი შევასრულე.

**— საკმაოდ ახალგაზრდა ხარ იმისთვის, რომ სტალინის როლი შეგესრულებინა. გარდა ამისა, სწრაფად გახდი პოპულარული. ეს ყველაფერი შენს ხასიათზე უარყოფითად ხომ არ მოქმედებს?..**

— სტალინის როლზე მუშაობა მართლაც, საკმაოდ რთული იყო. მაშინ მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი და ხომ წარმოგიდგენია, ჩემთვის რამხელა სიხარული იყო, მოსკოვში ამ როლზე რომ დამამტკიცეს?! ეიფორიაში ვიყავი. მიმაჩნია, რომ მსახიობის კარიერაში სტალინის როლის შესრულება ბევრს ნიშნავს. ეს ჩემი პირველი მასშტაბური როლი იყო და ამის გაცნობიერება ვერც მოვასწარი. ახლა არ ვიცი, რამდენად პოპულარული ვარ, ქუჩაში ნამდვილად მცნობენ...

**— როგორც ვიცი, ბევრი თაყვანისმცემელიც გყავს. შენი შეყვარებული როგორ ეგუება ამ ფაქტს?**

— ჩვეულებრივად. საბედნიეროდ, შემაწუხებელი თაყვანისმცემლები ნამდვილად არ მყავს. პირიქით, სასიამოვნოც კია, როცა ამდენ ხალხს უყვარხარ. ვიღაც ჩემი მისამართით სიმპათიას რომ გამოხატავს, მსიამოვნებს, რადგან მე ხომ ხალხის სიამოვნებისთვის ვშრომობ. მათ მიერ ჩემი მისამართით გამოხატული სიყვარული კი იმას ნიშნავს, რომ ჩემი შრომა კარგად ფასდება... ■


შემაწუხებელი თაყვანისმცემლები ნამდვილად არ მყავს

# ავტოსტოპით მოგზაურობა ყარაბაღში

**„Itchhiking“ — იგივე „ავტოსტოპით“ მოგზაურობა საქართველოში შედარებით უცხო ხილია. ამიტომ, უფასოდ ან მინიმალური დანახარჯებით მოგზაურობის მსურველი საკმაოდ ბევრია. 20 წლის გიორგი პაპალაშვილმა, ბოლო 2 წლის განმავლობაში „ავტოსტოპით“ რამდენიმე ქვეყანაში იმოგზაურა, მათ შორის, მთიან ყარაბაღსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკაშიც.**



## „მიყვარს ისეთ რეგიონებში მოგზაურობა, სადაც დაძაბული სიტუაციაა“

*ლევან ჟორჟოლიანი*

**გიორგი პაპალაშვილი**, *სტუდენტი:*

— 2009 წლის თებერვალში, მე და ჩემმა მეგობრებმა, თბილისიდან ბათუმამდე, „ავტოსტოპით“ ყველა ქალაქი შემოვიარეთ. 10 დღით წავედით და თან 10-10 ლარი წავიღეთ. ამ 10 ლარში შედიოდა მგზავრობის, თავშესაფრისა და საკვების ხარჯები. ვიყავით ხაშურში, ბორჯომში, ქუთაისში, ანაკლიასა და ზუგდიდში. უამრავი ფოტო გადავიღეთ.

**— სად რჩებოდით?**

— სრულიად უცნობ ადამიანებთან. იმ ქალაქში, სადაც შევჩერდებოდით, ადგილობრივებს ღამის გათევებას ვთხოვდით.

**— ადვილად გთანხმდებოდნენ?**

— თავიდან, სანამ მოგზაურობას დავიწყებდით, მეგონა, რომ საქართველოში წარმოუდგენელი იყო, ვინმეს უფასოდ წაეყვანე, ან ღამე ოჯახს შეეფარებინე, მაგრამ ვცდებოდი. საქართველოში „ავტოსტოპით“ მოგზაურობა გაცილებით იოლია, ვიდრე — მეზობელ ქვეყნებში. თუმცა ერთიც არის, სასურველია, უცხოელს ჰგავდე (*იცინის*).

**— როგორც ვიცი, ფოტოგრაფიით ხარ გატაცებული?**

— დიახ, ფოტოაპარატი ჩემი განუყრელი ნივთია. ყველგან თან დამაქვს და საინტერესო მომენტებს აღვბეჭდავ ხოლმე.

**— რატომ გადაწყვიტე ყარაბაღში წასვლა?**

— მიყვარს ისეთ რეგიონებში მოგზაურობა, სადაც დაძაბული სიტუაციაა. არ მიზიდავს „გადაპრანჭული“ ქვეყნები. შარშან სექტემბერში, მე და ჩემმა ჩეხმა მეგობარმა სომხეთის გავლით, ყარაბაღში წასვლა დავგეგმეთ. სიმართლე გითხრა, მოგზაურობის პროცესი უფრო საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე — იქაურობა. ჯერ საზღვარზე შემექმნა პრობლემა, რატომღაც არ იჯერებდნენ, რომ ქართველი ვიყავი. მათთვის საეჭვო ისიც აღმოჩნდა, რომ პასპორტში აზერბაიჯანის ვიზა მქონდა ჩარტყმული. რამდენიმესაათიანი ლოდინისა და მტკიცების შემდეგ, დარწმუნდნენ, რომ სპეცსამსახურის თანამშრომელი არ ვიყავი და საზღვარზე გაგვატარეს. მძღოლმა, რომელსაც მივყავდით, შემოგვთავაზა, ღამე მასთან სახლში გაგვეთია, დილით კი კარგად დასვენებულებს გაგვეგრძელებინა გზა. სიამოვნებით დავთანხმდით. მართლაც, სახლში მიგვიყვანა. საღამოა, ვსვამთ ყავას. მძღოლმა საუბარი გაგვიბა, ცოტა ხნის შემდეგ კი პირდაპირ ლანძღვაზე გადმოვიდა. გვითხრა, რომ აზერბაიჯანის შემდეგ სომხეთში ჩასვლა არ უნდა გაგვებედა. მივხვდით, რომ იქაურობას დროზე უნდა გავცლოდით. არადა, სად გინდა, რომ წახვიდე?! გარეთ ბნელა. ლამპიონებიც ჩამქრალია. კიდევ კარგი, შენობა აღმოვაჩინეთ, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს სანატორიუმი ყოფილა და ღამე იქ გავათიეთ. დილით კი გეზი ყარაბაღისკენ ავიღეთ.

**— როგორი სიტუაციაა ყარაბაღში?**

— სიმშვიდეა, თუმცა მხოლოდ დედაქალაქია (სტეპანაკერტი) მოწყობილი. სხვა ქალაქებში კი მთელ შენობას ვერ ნახავთ. ყველა ომის დროსაა დანგრეული. მოსახლეობა უმეტესწილად სტეპანაკერტში ცხოვრობს. ფუნქციონირებს უნივერსიტეტი, სკოლები, საჯარო დაწესებულებები, აქვთ სავარჯიშო დარბაზები და საფეხბურთო მოედნებიც.



სხვა ქალაქებში კი მთელ შენობას ვერ ნახავთ

**— ფოტოების გადაღების დროს პრობლემა ხომ არ შეგქმნია?**

— ქუჩაში მოძრაობის დროს, ხალხი ისე გვიყურებდა, როგორც მტერს. ერთი სული ჰქონდათ, როდის გავეცლებოდით. სტეპანაკერტის მახლობლად, ერთი პატარა ქალაქია, რომელიც მთლიანადაა გასწორებული მიწასთან და სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობა. მინდოდა, ფოტოები გადამეღო, მაგრამ ამის უფლება პოლიციამ არ მომცა. მთის წვერზე მეჩეთია, რომელსაც ამჟამად ტუალეტად იყენებენ, არც ეს გადამაღებინეს.

**— ყარაბაღის შემდეგ სად იმოგზაურე?**

— თურქეთში... იქ ბევრი არ მიხეტიალია. კარგად დავისვენე. იქაური მუსიკოსი გავიცანი, რომელიც ღია ცის ქვეშ კონცერტებს მართავდა და კარგი დრო გავატარე.

**— ირანში როდის იმოგზაურე?**

— 2 თვის წინ, თებერვალში. ირანში მოგზაურობის სურვილი ყოველთვის მქონდა. აზერბაიჯანში ვიყავი მეგობართან და ირანში წასვლასაც ერთად ვგეგმავდით, თუმცა ბოლო მომენტში მითხრა, რომ ეშინოდა და წამოსვლას ვერ შეძლებდა, ამიტომ მარტოს მომიწია მოგზაურობამ. საზღვრამდე ავტობუსით ვიმგზავრე. რაღა დაგიმალოთ, ვნერვიულობდი. მესაზღვრეებიც აგრესიულები არიან, მაგრამ იქ ჩასულს სულ სხვა სიტუაცია დამხვდა. არ ვიცი, სოფლებში რა ხდება, თუმცა თეირანის და ისპაჰანის მცხოვრებლები გულღიები არიან. მართალია, ქალებს ჩადრი ახურავთ, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ისინი მას მხოლოდ კანონის იძულებით ატარებენ.

**— იცოდი, ვისთან დარჩებოდი?**

— არა, ისე წავედი, რომ არაფერი მქონდა დაგეგმილი. ირანში ღამის ორის ნახევარზე ჩავედი. ავტობუსმა თეირანის გარეუბანში სასტუმროსთან გააჩერა, სადაც ღამის გათევა 8 დოლარი ღირდა. დილით, როცა სასტუმროს კარი გავაღე, კარგა ხანი დამჭირდა, რომ იქაურ ქაოსში ორიენტაცია არ დამეკარგა. ქუჩებში ზღვა ხალხი მოძრაობდა, აბრები კი მხოლოდ სპარსულენოვანი იყო. თეირანის ცენტრამდე ძლივს მივაღწიე. უახლოეს ინტერნეტკაფეში შევედი, სპეციალურ საიტზე დავწერე ჩემ შესახებ და ღამის გასათევი ვითხოვე. რამდენიმე ადამიანი მაშინვე გამომეხმაურა.

**— ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდა?**

— თეირანში ჩასვლისას თბილი ამინდები დამხვდა, ისეთი, რომ მოკლემკლავიანი მაისურით დავდიოდი. ქალაქში არის დიდი მთა, სადაც მუხლამდე თოვლი იდო. ახალგაცნობილმა მეგობრებმა გადაწყვიტეს, იქ ავსულიყავით და სამახსოვრო ფოტოები გადაგვეღო. მართლაც, მთა დავლაშქრეთ, ვიგუნდავეთ და კოცონიც დავანთეთ. მეგობრებს შორის შეყვარებული წყვილიც იყო, გოგონამ ჩადრიც კი მოიხადა. დამამახსოვრდა ირანული ნუგბარი, რომელსაც „გაზ“ ჰქვია. ეს გახლავთ ნუგას მსგავსი ტკბილეული, თხილითა და ქიშმიშით. უგემრიელესია.



ფოტოებს მალულად ვიღებდი

**— თეირანში როგორ რეაგირებდნენ ფოტოაპარატზე?**

— რადგან მარტო ვიყავი, მალულად ვიღებდი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ვინმესთვის რომ მეთქვა, თქვენი გადაღება მინდა-მეთქი, უარს მეტყოდა. ერთადერთი პრობლემა საზღვარზე შემექმნა, როდესაც ირანიდან ვბრუნდებოდი. მესაზღვრეებმა გადაღებული ფოტოების ნახვა მოინდომეს და ძალიან გაცხარდნენ, როდესაც გოგონა იხილეს, თუმცა პრობლემა მალევე მოგვარდა.

**— შემდეგ მოგზაურობას სად გეგმავ?**

— ძალიან მინდა, ინდოეთში წავიდე.

**— წარმატებას გისურვებ.**

■



# 25 წლის შემდეგ შეფასებული ჩერნობილის შემზარავი ტრაგედია



**თამარ ბალაშვილი, სუზი ტოროსიანი და ელენე კერესელიძე ჩერნობილში რადიოაქტიური დაბინძურების ზონაში 5 თვის მანძილზე იძულებით ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ... დღეს კი, 25 წლის შემდეგ, ძალიან უჭირთ წარსულის იმ საშინელი დღეების უემოციოდ გახსენება... 1986 წლის 26 აპრილს, უკრაინაში ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის მეოთხე ბლოკი აფეთქდა. ბირთვული აფეთქების შედეგად რეაქტორი მთლიანად დაინგრა, რამაც მისი მიმდებარე ვრცელი ტერიტორიის რადიოაქტიური დაბინძურება გამოიწვია... ამასთან, მრავალი დღის მანძილზე მიმდინარეობდა მაღალი რადიოაქტიურობის მქონე ელემენტების წვის პროდუქტების ბზარებიდან ამოფრქვევა. ამ პროცესის შეჩერება მხოლოდ 1986 წლის მაისის ბოლოს მოხერხდა საბჭოთა კავშირის მთელი რესურსებისა და ათასობით ლიკვიდატორის მეშვეობით... ჩერნობილის ავარიის მიზეზების გამოძიება დიდი ხნით გაჭიანურდა, რადგანაც მომხდარის შეფასება დროთა განმავლობაში იცვლებოდა. გარდა ამისა, ინფორმაცია გასაიდუმლოებული იყო. ამიტომ არის, რომ მასზე, დღემდე, სრული და დაზუსტებული ინფორმაცია არ არსებობს.**

*ნინო ჯავახიშვილი*

**თამარ ბალაშვილი:**

— აზერბაიჯანმა და სომხეთმა ქალების ჩერნობილში გაგზავნაზე უარი განაცხადა. საქართველოდან ქალბატონები, მათ შორის — გასათხოვრებიც იძულებით წაიყვანეს...

— **რა ნიშნით არჩევდნენ იქ წასაყვან ხალხს?**

— უნდა ყოფილიყავი „უპატრონო“ და თან — ჭკვიანი, ნიჭიერი ადამიანი. აუცილებლად უნდა გცოდნოდა რუსული ენა და გქონოდა სამედიცინო განათლება. პედიატრიის ინსტიტუტში ექთანად ვმუშაობდი. ჩემი საბუთები ღამით წაუღიათ. სამხედრო ვალდებული ვიყავი და დილით სახლში უწყება მომივიდა. დედაჩემთან ერთად მეც ვტიროდი, თუმცა არც კი ვიცოდი, რა მელოდა. დედა მამშვიდებდა: — ნუ გეშინია, ყველაფერს გავყიდი და არ გაგიშვებო, მაგრამ სამხედრო კომისარიატებმა მაშინ იმდენი ფული აკეთეს, რომ ბოლოს და ბოლოს, ვიღაცისთვის ხელი ხომ უნდა დაედოთ? გვითხრეს, — ვითომ კიევიდან 60 კმ-ით დაშორებულ რაიონში უნდა გვეცხოვრა და გვემუშავა, — ჩერნობილის ხალხს მოემსახურებით და პრაქტიკას მიიღებთო, მაგრამ მოგვატყუეს...

**სუზი ტოროსიანი:**

— ბავშვთა მეხუთე საავადმყოფოში ინტენსიური თერაპიის პალატაში ვმუშაობდი. კომისარიატიდან ხშირად მაკითხავდნენ სახლშიც და საავადმყოფოშიც. მამა ახალი ნაოპერაციები იყო და ვთხოვდი, ჩემ მეტი მომვლელი არ ჰყავს, მამას ვჭირდები-მეთქი, მაგრამ მაინც წამიყვანეს. 1987 წლის აპრილში ვაზიანიდან გავედით. სულ 37-ნი ვიყავით. 10 დღე ვიმგზავრეთ, ვიდრე სოფელ აპაჩიჩში (12 კმ-ით იყო დაშორებული რადიოაქტიური ზონიდან) ჩავიდოდით...



ელენე კერესელიძე და თამარ ბალაშვილი

**თამარ ბალაშვილი:**

— მთელი დღე ვტიროდით და ჩვენს წაყვანას ვაპროტესტებდით, მაგრამ მეორე დღეს სატვირთო მანქანებზე შეგვყარეს და გზას გაგვიყენეს. თვითონ ჰოსპიტლის ხელმძღვანელი პოლკოვნიკი ყურბანოვიც კი გაოცდა: მათ მშობლებს პირობა მივეცი, რომ ზონაში არ შევიყვანდიო (მანაც არ იცოდა, რას გვიპირებდნენ). პასუხად კი იცით, რა მივიღეთ? — მოვაჭრით ხელებს, ფეხებს, სისხლისგან დაიცლებიან და ავტომატების ჯერის ქვეშ მაინც შეასრულებენ, რაც ევალებათო. ჩვენამდე იქ ამერიკელი ჟურნალისტები იყვნენ ფილმის გადასაღებად და გვკითხეს: 19-20 წლის გოგოებმა ასეთი რა დააშავეთ, ზონაში რომ შეჰყავხართო?.. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მაღალი ხელფასის სანაცვლოდ, საკუთარი ნება-სურვილითაც მიდიოდა იქ. ჩვენ ხელფასი 108 მანეთი გვქონდა და ისიც ჩვენს უკითხავად ჩერნობილის აღორძინების ფონდში ირიცხებოდა. კომუნისტები კი ამბობდნენ, ვითომ მოხალისეები ვიყავით.

— **როდესაც ჩახვედით, იქ რა მდგომარეობა დაგხვდათ? რა გევალებოდათ?**

**ელენე კერესელიძე:**

— სამედიცინო განათლება არ მქონდა და ჩერნობილში ადმინისტრაციულ ჯგუფში ვიყავი, საიდუმლო მასალები მებარა. ზონაში 5 თვით ვიყავით ჩაკეტილები — იქ ვმუშაობდით და იქვე ვცხოვრობდით (რადიოაქტიურ ზონაში ჰოსპიტლის გახსნა უდიდესი შეცდომა იყო). იქ, სადაც ჰაერი არ უნდა გესუნთქა, წყალი არ უნდა დაგელია და მზეზე არ უნდა მოხვედრილიყავი, ავადმყოფის მკურნალობა შეიძლებოდა?! ამიტომაც ჰოსპიტალი 5 წლის ნაცვლად 5 თვეში დახურეს. რადიაციული დასხივება იმდენად დიდი იყო, რომ სპეციალური დოზიმეტრიც ვერ ზომავდა, ისარი იკარგებოდა. ჩვენ კი აირწინაღებისა და ფორმების გარეშე გვამუშავეს. როგორც საცდელ ვირთხებს, ისე გვეპყრობოდნენ...

**სუზი ტოროსიანი:**

— არც შუქი გვქონდა, არც წყალი, ცხოვრების ელემენტარული პირობები არ იყო. კაცები კარვებში ცხოვრობდნენ, ჩვენ — საბავშვო ბაღის შენობაში ვიყავით. სკოლის შენობაში კი ქირურგიული განყოფილება იყო გახსნილი. საცხოვრებელი სახლები აფიცრული იყო. რამდენიმე მოხუცის გარდა იქ ვერავის ნახავდით. ოჯახის წევრებთან სატელეფონო საუბარი არ გვეკრძალებოდა, მაგრამ როგორც კი ჩვენს მდგომარეობაზე



დაგვცდებოდა რამე, კავშირი წყდებოდა...

**თამარ ბალაშვილი:**

— მიტოვებულ სახლებში ყველაფერი ხელუხლებლად იყო დატოვებული. სათამაშოები აქა-იქ ეყარა, მერხებზე წიგნები და რვეულები ეწყო. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს იქაურობა ჯადოქარს მოეჯადოებინა. საშინელება იყო... ღამე შიშით გარეთ ვერ გავდიოდი. ბალახებში უამრავი ზღარბი, ვირთხა და მცროცავი იყო, მეშინოდა. 19 წლის გოგოსთვის იქ ყოფნა დიდი სტრესი იყო. ამიტომაც იყო, რომ სულ პროტესტის გრძნობა მქონდა, ზოგი კი შეეგუა თავის ბედს... ჩასვლის მეორე დღესვე შევედი ყურბანოვთან და ვუთხარი: ან თქვენ მოგკლავთ, ან თავს მოვიკლავ, თუ აქედან არ გამიშვებთ-მეთქი. განყოფილების გამგეს დაუძახა — ეს გიჟი აქედან მომაშორეთო. გამაკავეს და ისეთი ნემსი გამიკეთეს, 3 დღე გათიშული ვიყავი.

— **გამოპარვა როგორ მოახერხეთ?**

— 20 წლის რომ გავხდი, ხელმძღვანელობამ 3 დღით ორ მეგობართან ერთად კიევში გამიშვა. ღამით სასტუმროს ფანჯრიდან გადავხტი და გავიპარე. ჯიბეში 5 კაპიკი მქონდა. სასტუმროს შესასვლელთან ერთი ახალგაზრდა კაცი შევნიშნე, ტაქსის აჩერებდა და ვთხოვე, მეც წავეყვანე. მინდოდა, ჯერ იმ ადგილს მოვშორებოდი. ჩემი ამბით დაინტერესდა, ვუთხარი, რაც ხდებოდა და სრულიად უცხო ადამიანმა თვითმფრინავის ბილეთი ამიღო... სპეციალური ფორმა მეცვა და თვითმფრინავში ჩემ გვერდით არავინ დაჯდა — ჩერნობილელიაო. როდესაც თბილისში ჩამოვფრინდი, კივილი დავიწყე — მაინც მივაღწიე ჩემსას და გამოვიპარე-მეთქი. დამაკავეს, მაგრამ ეტყობა, გიჟი ვეგონე და გამომიშვეს... სახლში რომ მივედით, მთელი კომისარიატი იქ დამხვდა. სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით, დაგაბრუნებთ და სამმაგი ვადით გამსახურებთ, თუ შენი ნებით არ დაბრუნდებიო, — განმიცხადეს. რაღა უნდა მექნა?! უკან დამაბრუნეს, თუმცა იმდენს მაინც მივაღწიე, რომ ზონაში სამხედრო პროკურორი გამოვაძახებინე. მან გვითხრა, რომ იმ დღესვე შეგვეძლო ზონის დატოვება და წასვლა. იმ დროს კი მოვიდა ჯუმბერ პატიაშვილის წერილი, რომელშიც ეწერა: გოგოებო, სამშობლოს ნუ შეარცხვენთ, ღვაწლს არ დაგივიწყებთ და ხელისგულზე გატარებთო... მაგრამ სამშობლო „დედინაცვლად" გვექცა!..

— **რატომ?**

— როდესაც მიხვდნენ, რომ შეცდომა დაუშვეს და ახალგაზრდობა დაღუპეს, დახურეს ჰოსპიტალი და გამოგვიშვეს, მაგრამ რაღა დროს?! საქართველოში რომ ჩამოვედი, ერთი თვე მეძინა, გონზე ვერ მოვდიოდი. ექიმები დიაგნოზს ვერ მიდგენდნენ. ბოლოს, ცენტრალური კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების მაშინდელმა გამგემ — ლონდერ ცაავამ გერმანიაში ერთ-ერთ ჯგუფს სამკურნალოდ გამაყოლა. იქ გავიგე, რაც მჭირდა. შაქრიანი დიაბეტის დიაგნოზი დამისვეს, მთელ ორგანიზმში სიმსივნური უჯრედები ჭარბობდა, რადიაციული მტვერი დალექილი იყო ფილტვებსა და სისხლში. ეს ყველაფერი კი გამოიწვევდა ნივთიერებათა ცვლის მოშლას, თმისა და კბილების ცვენას... სუზის გარდა შვილი არც ერთს არ გაგვიჩნდა და მისი შვილიც ინვალიდობის პენსიას იღებს... ელენესაც, უშვილობის მიზეზით, ორჯერ დაენგრა ოჯახი. გაფრთხილებული ვიყავით, რომ მინიმუმ 3 წლის განმავლობაში, შვილი არ უნდა გაგვეჩინა. მას მერე რამდენჯერაც დავფეხმძიმდი, იმდენივე იძულებითი აბორტი გავიკეთე. ჩემი ექიმი ნაყოფს თმის ღერიდან ფეხის ფრჩხილამდე ამოწმებდა და მეუბნებოდა, რომ ის არასრულყოფილი იყო — რომელიღაც ორგანო არ ჰქონდა... მეკითხებოდნენ, ამდენ აბორტს რატომ იკეთებო? ყველას ხომ ვერ ავუხსნიდი, რა მჭირდა?! ბოლოს, ბედს შევეგუე და ახლა მარტო ვარ... თუმცა დღესაც ვფიქრობ და ვეკითხები საკუთარ თავს — რატომ? რატომ მოგვისაჯეს ასეთი ცხოვრება? რატომ წაგვართვეს დედობისა და სიცოცხლის უფლება? რატომ არ გვაძლევენ ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან წამლებს მაინც? რატომ მოგვიხსნეს ყველანაირი დახმარება და რატომ დაგვტოვეს ბედის ანაბარად? როგორც ვხვდები, მთავრობას არ აინტერესებს ჩვენი ბედი და იმედი აქვთ, რომ მალე ყველანი დავიხოცებით!..

*P.S. ჩერნობილის ტრაგედიიდან 25 წლის შემდეგ, სამწუხაროდ, კვლავ არსებობს საშიშროება, რომ იაპონიაში, ატომურ ელექტროსადგურ „ფუკუსიმაზე" მომხდარი აფეთქებები რადიოაქტიური ნივთიერებების გაჟონვას იწვევს...*

■

**საბჭოთა კავშირის მასშტაბით, დაახლოებით 600000 ადამიანი გაწირეს, როდესაც „მკვდარ ზონაში" გაგზავნეს ტრაგედიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ჩასატარებლად. მათი უმეტესობა, დასხივების შედეგად, წლების შემდეგ გარდაიცვალა, 165000 კი — დასახიჩრდა და დაინვალიდდა!**

ეთო ყორღანაშვილი

# ქართველი „რიჩი ბლექმორი" რუსთავის ფარგლებსაც გასცდა

**ქართველ გიტარისტ ავთო ნაცარაშვილს მშობლიურ ქალაქ რუსთავში რიჩი ბლექმორს (Deep Purple-ის ყოფილი გიტარისტი) ეძახიან. შარშანდელ კონკურსში „ნიჭიერი" მონაწილეობის შემდეგ, მუსიკოსი რუსთავის ფარგლებს გარეთაც გაიცნეს. ერთ დროს გიტარის მოპარვისთვის დაპატიმრებულ ავთოს პროფესიონალური მუსიკალური აპარატურა ახლაც არა აქვს...**

— რუსთავში არსებობდა მუსიკალური ჯგუფი, რომელიც ძირითადად, ბავშვობის მეგობრებით გვქონდა დაკომპლექტებული, მაგრამ კარგი მუსიკალური აპარატურის შეძენის საშუალება არ გვქონდა. კომუნისტების პერიოდში, აპარატურა თითქმის ყველა „ცეხში" იყო და რაღაცას „ვფხაკურობდით", ახლა კი მუშაობა რთულია. მინიაპარატურა მაქვს, მაგრამ ის საკონცერტოდ არ გამოდგება...

**— გვიამბეთ, მუსიკით როდის დაინტერესდით?**

— მეხუთე-მეექვსე კლასში ვიყავი, როცა მამამ რუსთავის მერვე სკოლაში, აკორდეონის წრეზე შემიყვანა, სადაც გივი მასწავლებელმა ეტიუდები, „სულიკო", „ჟუჟუნა წვიმა" მასწავლა. კარგი მოსწავლე ვიყავი, მაგრამ რატომღაც, მალე აკორდეონის „ამბავი" ძველმოდური გახდა, რადგანაც „ბითლზები", „ფარფლები", „ლედ ზეპელინი" „შემოვიდა". თან, აკორდეონის მუსიკა გულზე აღარ მხვდებოდა. იმ დროს „ქურდული გაგება" იყო და ბიჭები დამცინოდნენ, — გიჟი ხომ არ ხარ, რა „პაპკებით" დადიხარო?! მეც „ბლატაობის" პერიოდი მქონდა და მრცხვენოდა. ბოლოს, აკორდეონში 4 გამოცდა ჩავაბარე და მასწავლებელს ჩემი „პაპკა" ავუფრიალე — აღარ მოვალ, თავი დამანებეთ-მეთქი! ის ქალბატონი თუ ამ ინტერვიუს წაიკითხავს, ვთხოვ, მაშინდელი საქციელის გამო მომიტევოს... შემდეგ ახლობლებმა მითხრეს, — ჩვენი მუსიკალური ჯგუფი ჩამოვაყალიბოთო. დაკვრა არც ერთმა არ ვიცოდით. ერთი ჟანგიანი გიტარა ვიშოვე. მასზე დაკვრა თითქმის ყველამ სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, ბოლოს მითხრეს, — მიდი, იქნებ შენ გამოგივიდეს რამეო. აკორდეონის სკოლა გავლილი მქონდა. ამიტომ გიტარაზე დაკვრა მოვახერხე. გადაირივნენ! მუსიკალური სმენა არც ერთ მათგანს არ აღმოაჩნდა. ამიტომ მიმატოვეს, მე კი რაკი გიტარის „გემო" გავიგე, მივხვდი, რომ ამ საქმეს ვისწავლიდი. 20 წლის ასაკში, უკვე პროფესიონალი ვიყავი, თუმცა ამას მაშინ ვერ ვაცნობიერებდი.



რაკი გიტარის „გემო" გავიგე, მივხვდი, რომ ამ საქმეს ვისწავლიდი

**— კარგი გიტარა თუ გქონდათ?**

— არა — ნათხოვარი, პატარა და არაპროფესიონალური გიტარა. იმ დროს ბრიანსკიდან მუსიკალური ჯგუფი ჩამოვიდა („ვითომ მუსიკოსები" იყვნენ). კონცერტი კულტურის სახლში გამართეს. მათი გიტარა მომეწონა. ჯგუფის წევრებს მის ფასზე მოველაპარაკე. 4.000 მანეთი დამიფასეს, მაგრამ 3.500-ზე შევთანხმდით. მაშინ ეს დიდი თანხა არ იყო. მამას ბანკში ფული ჰქონდა შეტანილი (მანქანის ყიდვას აპირებდა). ვიფიქრე, დამეხმარებოდა, მაგრამ მანაც და ახლობლებმაც უარი მითხრეს. რაღაც უნდა მეღონა. გონებაში ცუდმა აზრმა გამიელვა, რომელიც განვახორციელე კიდეც — გიტარის გამყიდველებს „კუკლა" გავუკეთე: ფულის 4 შეკვრა მივუტანე. პირველ შეკვრაში მართლაც ნამდვილი ფული იყო, დანარჩენებში — ზემოდან და ქვემოდან 10-მანეთიანები, შუაში კი — ჩვეულებრივი ქაღალდის ფურცლები. საბოლოო ჯამში, მათ ზუსტად იმდენი გადავუხადე, რამდენადაც ექსპერტმა ის შეაფასა — 420 მანეთი. გიტარა უკვე ჩემად მივიჩნიე და ახლობლები რესტორანში დავპატიჟე... დაკვრა მინდოდა. რესტორანში 2 კაცი იჯდა, რომლებიც თითქოს შამპანურს სვამდნენ. მათზე ეჭვი ავიღე. ბიჭებს ვუთხარი, — ტუალეტში გავალ-მეთქი. გასვლისას სამართალდამცავებმა დამაკავეს. მაშინ გიტარაზე რომ დამეკრა, ჩემი დამჭერი კაციშვილი არ იქნებოდა. სამწუხაროდ, ვერ მოვასწარი... 2 წელი ციხეში გავატარე. ისეთი გამწარებული ვიყავი, რომ სულ ვტიროდი... 4 თვე ორთაჭალის ციხეში დავყავი, მერე ქუთაისში გადამიყვანეს. იქ რუსი ბიჭები დამხვდნენ. მათ სასჯელის ვადა უკვე ეწურებოდათ. ერთი გიტარა ჰქონდათ და დამიტოვეს. დაკვრა ვეღარ შევძელი — ყველაფერი თავიდან უნდა დამეწყო... ციხიდან 1985 წელს გავთავისუფლდი. 1986 წელს, ფილარმონიაში თვითშემოქმედთა ფესტივალში ვმონაწილეობდი. ვაჟა აზარაშვილმა კარგად შემაფასა: დღეს ავთო ნაცარაშვილის მსგავს ადამიანებს ყურადღება თუ არ მივაქციეთ, ხვალ აღარ გვეყოლებიანო. ფესტივალის შემდეგ, ჩემს ქალაქში დავბრუნდი და ჯგუფი ჩამოვაყალიბე, რუსთავის „საზაფხულო კლუბში" ვუკრავდით, მაგრამ შედეგი არც ამან გამოიღო... შემდეგ მუსიკალურად გავაფორმე ალეკო ცაბაძის, ზაზა ჯორბენაძის ფილმები. როლიც მომცეს... ამასობაში, მამაჩემი ავად გახდა და გარდაიცვალა... იმ პერიოდში, საქართველოში სიტუაცია აირია. რუსთავში ჩემი ჯგუფი კი მყავდა, მაგრამ იმ დროს კონცერტები არ ტარდებოდა.

**— პროექტში „ნიჭიერი" როგორ მოხვდით?**

— მეგობრების წყალობით. ამ პროექტში გამოსვლის შემდეგ ხალხმა გამიცნო და დამაფასა.

**— ბლექმორს თქვენს მასწავლებლად მიიჩნევთ?**

— ჰო, მისი შესრულებულიდან „ვკაპიროვკებდი". როცა პროფესიული დონე ავიმაღლე, ეს უკვე აღარ მაკმაყოფილებდა და რაღაცეებს თავად ვიგონებდი — „საგიჟეთი" იყო... ისევ ისე რომ დავუკრა, ამას დიდი შრომა სჭირდება.

**— ამჟამად, მოსწავლეები გყავთ?**

— კი, პერიოდულად ვასწავლი. გაზაფხულზე სოფელში მივემგზავრები — სულით გლეხი ვარ, სოფელს ვერ ვტოვებ, შრომა მიყვარს. სოფელში მე და დედა ერთად მივდივართ და მოვდივართ — ერთგვარი არდადეგები გვაქვს ხოლმე. იქ დავწყნარდები, სულიერ სიმშვიდეს მოვიპოვებ, ახალი იდეები მომივა, ახალ მუსიკას დავწერ... სანამ პირში სული მიდგას, გიტარას ხელს არ გავუშვებ!.. ■

# 5 წლის შაკო წიკლაურის მკვლელი დედა ციხეში შეიშალა

## მისაქციელის ტრაგედიის ახალი დეტალები

**რამდენიმე თვის წინ მცხეთის რაიონის სოფელ მისაქციელში მომხდარმა ტრაგედიამ საზოგადოება შეძრა. 3 შვილის დედამ — მაია გელდიაშვილმა უფროსი ვაჟი — 5 წლის შალვა (შაკო) წიკლაური მოკლა. ეს ქალბატონი შემზარავ დანაშაულს აღიარებს. ითქვა, რომ პატარას საკუთარმა დედამ შეშის ნაჭრით გაუპო თავი. დატრიალებული უბედურების შემდეგ, შაკოს უმძიმეს ბავშვობაზე მთელი სოფელი ალაპარაკდა. ყველა ხმამაღლა საუბრობდა, რომ ბავშვს ოჯახში სადისტურად ექცეოდნენ, რომ არაერთხელ უნახავთ დედის ხელით ნაცემი, სახეჩალურჯებული... იმის მომსწრენი იყვნენ, თუ გამხდარ, კაფანდარა ბიჭს წყლით სავსე ორი ხუთლიტრიანი ბიდონი წყაროდან გაჭირვებით როგორ მიჰქონდა ხოლმე სახლამდე; უთენია როგორ მიერეკებოდა ძროხას...**

*თეა ხურცილავა*

*სამწუხაროდ, მაშინ არავის უფიქრია, ბავშვი მოძალადე დედისგან დაეცვა. მხოლოდ მისი მკვლელობის შემდეგ შეწუხდნენ, შაკოზე ძალადობის ის ფაქტები სამართალდამცავ და ბავშვთა უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს რომ არ აცნობეს. მეზობლები ჰკიცხავდნენ მაია გელდიაშვილს და ამბობდნენ, მას ოჯახის საქმე და შვილების მოვლა არ ადარდებდაო. ერთ-ერთი მათგანი იმასაც ამტკიცებდა — შევესწარი, როგორ დაუნდობლად სცემა ქალმა მშიერ ბავშვს, რომელმაც პური მოიტეხაო... მისაქციელში მიიჩნევდნენ, რომ მაია შეურაცხადი არ იყო, რადგან სხვა შვილებს კარგად ექცეოდა და არც მეზობლებთან ჰქონია კონფლიქტი.*

*ტრაგედიის შემდეგ, გაზეთმა „კვირის პალიტრამ“ მოკლული ბიჭის ბიოლოგიური მამის ვინაობის დადგენა შეძლო. გაირკვა, რომ მაია გელდიაშვილს შაკო პირველი ქმრისგან ჰყავდა. მისი ყოფილი მეუღლე, თელავის რაიონის სოფელ ართანაში მცხოვრები გიორგი ბუხაჩაურია. მამას ბავშვის დაბადების მოწმობაც აქვს. ბუხაჩაურის თქმით, შაკო წლისა და 8 თვის იყო, როცა მაია სახლიდან წავიდა.* „ბავშვის გაჩენამდე ნორმალურად იქცეოდა, მერე შემიძულა. პატარას რომ არ უვლიდა, ვსაყვედურობდი, ის კი ბრაზობდა, ჩემს შვილს როგორც მინდა, ისე მოვუვლიო... მერე სახლიდან გაიქცა... ის სხვა შვილებს არ დახოცავს. მე ვძულდი, ჩემი შვილიც სძულდა და ამიტომ მოკლა“, — *თქვა მან.*

*მაია გელდიაშვილი მეორედ მალე გათხოვდა. ზურაბ წიკლაური გურჯაანის რაიონის სოფელ ჯუგაანში გაიცნო. ცხვარში ნამყოფი წიკლაური სახლში მაიასთან და 2 წლის შაკოსთან ერთად დაბრუნდა. სიდუხჭირეში ცხოვრობდნენ. სოფელში ყველას ეგონა, რომ შაკო მათი საერთო შვილი იყო. ზურაბ წიკლაურთან მაიას ქალ-ვაჟი ჰყავს. დაპატიმრებულ გელდიაშვილს 11 თვის შვილის მიტოვება მოუხდა. 3 წლის მანანა კი ყრუ-მუნჯია. წლინახევრის ასაკში ავად გამხდარა, ექიმებს მისთვის არასწორი მკურნალობა დაუნიშნავთ, რის შემდეგაც ბავშვი დაყრუვდა...*

*მცხეთის რაიონულმა სასამართლომ მაია გელდიაშვილი სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით გაასამართლა — სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით, რაც 5 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.*



*გამოძიების დასრულებამდე განსასჯელს ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა ჩაუტარდა. მისი დასკვნით, მაია გელდიაშვილი ფსიქიკურად შეურაცხადია და სასამართლოსთვის სწორი ჩვენების მიცემა არ შეუძლია. მართალია, ასეთი დასკვნა არსებობს და ფაქტია, მის აზრს სასამართლო ვერ გაიზიარებდა, მაგრამ სხდომებს გელდიაშვილი ესწრებოდა და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მოსამართლე მას მოწმეებისთვის კითხვის დასმის საშუალებასაც აძლევდა.*

*სასამართლოზე ექსპერტ-ფსიქიატრი ქეთევან შევარდნაძე დაიკითხა, რომელმაც გელდიაშვილის შეურაცხადობის დასკვნა გამოიტანა. ექსპერტის განმარტებით, განსასჯელს პარანოიდული ფსიქოზი აღენიშნება და სასამართლოსთვის სწორი ჩვენების მიცემა არ შეუძლია. მან პროცესზე აღნიშნა, რომ გელდიაშვილს მკურნალობა ესაჭიროება და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, გამოჯანმრთელებამდე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უნდა მოთავსდეს და არა — ციხეში.*

*პროკურორი შეეცადა, ექსპერტთან გაერკვია, იყო თუ არა გელდიაშვილი შეურაცხადი დანაშაულის ჩადენის დროს.* „მან შეზღუდული შეურაცხადობის მდგომარეობაში ჩაიდინა მკვლელობა. თავის საქციელს ბოლომდე ვერ აცნობიერებდა, მაგრამ როგორც წესი, ასეთ ადამიანს ჩვენების მიცემა შეუძლია და კანონითაც ისჯება. მაია გელდიაშვილს ციხეში ყოფნის დროს ახალი დაავადება — პარანოიდული ფსიქოზი დაემატა და ამ ეტაპზე ის შეურაცხადია. პარანოიდული ფსიქოზი შექცევადია ანუ აუცილებლად გაივლის, გამოჯანმრთელდება, მაგრამ მანამდე საავადმყოფოში უნდა იყოს“, — *განმარტა ექსპერტმა. მისი მტკიცებით, დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მაია გელდიაშვილი მასთან კონტაქტში თავისუფლად შედიოდა, დასმულ კითხვებს ადეკვატურად პასუხობდა. მომხდარს განიცდიდა, ნანობდა. ბოლოს მისი მდგომარეობა გართულდა.*

*ექსპერტთან განსასჯელს ასეთი კითხვა ჰქონდა: — „მაინტერესებს, მომავალში შეიძლება, დედობის უფლება მქონდეს?“ — „ეს ჩემს კომპეტენციას სცილდება“, — უპასუხა ექსპერტმა.*

*ადვოკატმა ალუდა ბუჩუკურმა განსასჯელის შეკითხვა განავრცო.*

*თქვა, რომ ის მომხდარს განიცდის და სხვა შვილების ბედზე წუხს. ადვოკატმა სცადა, გაერკვია, რამდენად რეალურია გელდიაშვილის საბოლოოდ განკურნება და შეძლებს თუ არა იგი მომავალში ოჯახთან და შვილებთან ურთიერთობას.*

„...ერთს ვიტყვი — ამჟამინდელი ავადმყოფობისგან ის აუცილებლად განიკურნება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის სრულიად ჯანმრთელი ფსიქიკის იქნება. მას აქვს მეორე დაავადება — შერეული პერსონალური აშლილობა, ოღონდ ეს დაავადება არ უშლის ხელს, რომ ჰყავდეს მეუღლე და ჰქონდეს ურთიერთობა შვილებთან. ის დაავადება, რაც დანაშაულის ჩადენის დროს ჰქონდა, არ ნიშნავს შეურაცხადობას; შეზღუდულად შეურაცხადი იყო და ასეთი ადამიანები პატიმრობაში მიდიან“, — *განმარტა ექსპერტმა.*

*სასამართლოზე დაიკითხა ექსპერტი-ფსიქოლოგი* ***მარინა მათიაშვილიც****, რომელსაც გამოკვლევების დროს განსასჯელთან სისტემატური ურთიერთობა ჰქონდა. მისი მტკიცებით, გელდიაშვილს „პედაგოგიური“ ჩამორჩენა აქვს, მაგრამ ის ამ მდგომარეობას იმ გარემოთი ხსნის, რომელშიც მაია გაიზარდა:*

„მისი ფსიქიკური ფუნქციები სრულყოფილი არ არის, ჩამორჩენილია, მაგრამ ვფიქრობ, ეს იმ სოციალური გარემოს შედეგია, სადაც მას გაზრდა და ცხოვრება მოუხდა. საკმაოდ წინააღმდეგობრივი ხასიათის მქონე პიროვნებაა... თავიდან, პირველი 10 დღე, როცა მას ვესაუბრებოდით, რეალურად აღიქვამდა ყველაფერს, შეეძლო სიტუაციის აღქმა და გააზრება. დეტალურად მიამბო მძიმე ბავშვობაზე; იმაზე, თუ რამ მიიყვანა ასეთ მძიმე შედეგამდე. რთული ბავშვობა ჰქონდა, იმდენად რთული, რომ სკოლაშიც არ უვლია... მისი პირველი ქორწინებაც უიღბლო აღმოჩნდა. მეორედ კი უსიყვარულოდ გათხოვდა. მეორე ქორწინება უფრო, გამოსავლის პოვნა, თავშესაფრის ძებნა იყო. არც ამჯერად გაუმართლა. ეკონომიკურ სიდუხჭირეს დაერთო მძიმე მდგომარეობა, ცოლქმრის ხასიათის შეუთავსებლობა. თვითონაც რთული ბუნების ადამიანია და მეუღლეც ასეთი შეხვდა. ხშირად ჰქონდათ კონფლიქტი. ამბობდა, რომ ქმარი სცემდა, უხეშად ექცეოდა მასაც და ბავშვსაც... ჩადენილს ნანობდა. ამბობდა, ახლაც იმიტომ მინდა ცხოვრება, რომ იმ ორ ბავშვს მივხედოო. სხვა საქმეა, შეუძლია თუ არა მას ამის გაკეთება... ბოლოს მისი მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. აფორიაქებული იყო, მის გამომეტყველებაში შიში ჭარბობდა. უჩვეულო განცდები ჰქონდა. ამბობდა, რომ ხმები ჩაესმის, ეძახიან, — შენ მკვლელი ხარ, მკვლელი ხარო! რომ პოლიცია მოვა და დაიჭერს. თვალს უნდობლად აპარებდა სხვებისკენ. მოუსვენრობა ეწყებოდა ანუ ის სიმპტომები ჰქონდა, რაც სულით ავადმყოფს“, — *ასეთი ჩვენება მისცა ფსიქოლოგმა სასამართლოს.*

*პროკურორმა ლოგიკური კითხვა დასვა, — თავიდან წერდით, რომ მას შეეძლო, ადეკვატური პასუხები გაეცა და შეურაცხადი იყო; ხომ არ არის შესაძლებელი, რომ განსასჯელი თამაშობდეს?*

*ფსიქოლოგმა განმარტა, რომ ქალის ქცევა სულით ავადმყოფის „კლინიკას“ ძალიან ჰგავს; ფსიქიატრები ამას „რეაქტიულ მდგომარეობას“ ეძახიან. ის იმედოვნებს, რომ მკურნალობის შემდეგ გელდიაშვილი შვილებთან ნორმალურ ურთიერთობას შეძლებს.*

„მაია მოტივირებული იყო და სურდა, შვილებზე ეზრუნა. ამბობდა, — ის, რაც შაკოს დავაკელი, მინდა, სხვა შვილებს მივცეო. არ მინდა, მის დამცველად გამოვჩნდე, მაგრამ იმ დასკვნამდე მივედი, რომ ეს არის უბედური ადამიანი, რომელიც ცხოვრებამ აქამდე მიიყვანა და გამოჯანმრთელების შემდეგ, ცხოვრების შანსი უნდა მიეცეს“, — *დასძინა ფსიქოლოგმა.*

*სასამართლოზე განსასჯელის მეუღლე — ზურაბ წიკლაურიც დაიკითხა. როგორც ყველა მოწმემ, მანაც ფიცი დადო, რომ მხოლოდ სიმართლეს იტყოდა. მართალია, მეზობლები ბავშვის ცემაზე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, მაგრამ ეს ფაქტი მან არ დაადასტურა. 5 წლის მოკლული შაკო პირველად ზურაბმა ნახა.*

***ზურაბ წიკლაურის*** *ჩვენებიდან:*

„2006 წელს დავქორწინდით... 3 შვილი მყავდა. მე და მაია ვკამათობდით, მაგრამ ისე არ გვიჩხუბია, რომ ერთმანეთს დავშორებოდით. შვილებს კარგად ექცეოდა, მთელი დღეები სამუშაოდ სახლიდან გასული ვიყავი და გვიან ვბრუნდებოდი. შვილებს არასოდეს არჩევდა. რაც შეეძლო, შინ ყველაფერს აკეთებდა, მეც ზედმეტად არაფერი დამიძალებია... 1-ელ თებერვალს სახლიდან დილის 9 საათზე გავედი. სახლში სიმშვიდე იყო. მეუღლე და 3 შვილი დავტოვე. ჩემს ძმას შეშის მოტანაში უნდა დავხმარებოდი. საათ-ნახევრის გასული ვიყავი, მეზობლის ტელეფონიდან მაიამ რომ დამირეკა, — სასწრაფოდ სახლში მოდიო. — რა გინდა, ხომ იცი, საქმეზე ვარ წასული და ვერ მოვალ-მეთქი. დაჟინებით ითხოვდა, — გინდა თუ არა, სახლში მოდიო. მიზეზი არ უთქვამს. ვეკამათე, მაგრამ ბოლოს დავთანხმდი და შინ დავბრუნდი. სახლში რომ შევედი, შაკო იატაკზე იწვა, მაია იქვე, ბავშვის გვერდზე ჩაცუცქული იყო, ტიროდა და მითხრა, — შაკოს დავარტყი და მოვკალიო. მისი სიტყვებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, იქვე ჩავიმუხლე და შევეცადე, ბავშვი გონზე მომეყვანა. რამდენჯერმე ხელოვნური სუნთქვა ჩავუტარე. ბევრი ვიწვალე, ბოლოს მივხვდი, რომ ცოცხალი აღარ იყო. ამის შემდეგ გარეთ გავვარდი და მეზობლებს დავუძახე. მერე არაფერი მახსოვს. მეზობლებმა „სასწრაფო“ გამოიძახეს... ბავშვს ცხვირზე ჰქონდა დაზიანება, მეტი არაფერი შემინიშნავს. გაოგნებული ვიყავი... შაკოს სხეულზე დაზიანებები ადრეც შემინიშნავს, ხან შუბლი ჰქონდა გახეთქილი, ხან — სახეზე სილურჯე. მეუბნებოდა, — კიბიდან ჩამოვვარდიო. ერთხელაც არ უთქვამს, რომ მას დედამ დაარტყა. მაიას ჩემი თანდასწრებით შვილები არ უცემია. ერთადერთი შემთხვევა მახსენდება, შუათანა გოგოს ყური აუწია და სცემა... ოჯახში ჩვენ შორის მხოლოდ კამათი იყო. არასდროს მიცემია არც ცოლი და არც შალვა. მაია კარგი მეუღლე და დედა იყო, დღესაც არ ვიცი, ეს როგორ გააკეთა... შალვა ძალიან კარგი, ჭკვიანი ბავშვი იყო, ცელქი არ ყოფილა, მეოჯახე, მესაქონლე იყო“.

*პროკურორს ბავშვის ასეთი დახასიათება არ გამოჰპარვია. მოწმეს, ზურაბ წიკლაურს მოსთხოვა, განემარტა, რას გულისხმობდა, როცა 5 წლის ბავშვზე ამბობდა, რომ ის მესაქონლე იყო.*

„— იმას ვგულისხმობ, რომ შალვა მშრომელი პატარა იყო.

— 5 წლის ბავშვი — მშრომელი? რას აკეთებინებდით მას? საქონელს უვლიდა? — *ჩაეკითხა ისევ პროკურორი.*

— რასაც დედამისი ავალებდა, ყველაფერს აკეთებდა, მაგაში მესაქონლეობაც შედის. დილით ძროხას გადაენიდა.

— შესაძლებელია თუ არა, თქვენს მეუღლეს ბავშვისთვის თავში შეშა ჩაერტყა და ისე მოეკლა? — *ისევ იკითხა პროკურორმა.*

— შეშა რომ ჩაერტყა, ბავშვს თავი გახლეჩილი ექნებოდა. აზრზე არა ვარ, რეალურად რა მოხდა. ვერ დავიჯერებ, რომ მაიამ შვილს შეშა ჩაარტყა... ადრე უცნაური ქცევები მისთვის არ შემინიშნავს. ჯანმრთელობის პრობლემა არ ჰქონდა. ერთხელ მითხრა, ჰაერის უკმარისობა მაქვსო და წამლებს სვამდა, — ეს იყო და ეს... კონკრეტულ სასჯელს არ ვითხოვ. კანონმა დასაჯოს ისე, როგორც საჭიროა. სასამართლოს ვანდობ ყველაფერს“.

*განსასჯელს ემჩნეოდა, რომ ქმრის მონათხრობს არ ეთანხმებოდა და შეწინააღმდეგება სურდა. მათ ურთიერ-*

*თობაზე საუბარი დააპირა, მაგრამ მოსამართლემ შეაწყვეტინა და დაჰპირდა, რომ განმარტების საშუალებას მისცემდა.*

*ზურაბ წიკლაურს განსასჯელის ადვოკატმა ჰკითხა, გამოჯანმრთელების შემთხვევაში მისცემდა თუ არა მაიას სახლში დაბრუნების, მასთან და შვილებთან ცხოვრების უფლებას? პაუზის შემდეგ წიკლაურმა თქვა, — უფლებას მივცემ, შვილებთან ერთად ცხოვრება გააგრძელოსო.*

*მართალია, საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ დედამ შეშის ნაჭრის თავში ჩარტყმით მოკლა შვილი, მაგრამ ეს საქმის მასალებიდან არ ჩანს. ამის დადგენა გამოძიებამ ვერ შეძლო. სასამართლოზე გამომძიებელი მაია ელიაური დაიკითხა, რომელიც შემთხვევის ადგილზე პირველი მივიდა.*

**გამომძიებლის** *ჩვენებიდან:*

„შემთხვევის ადგილი მამის, ზურაბ წიკლაურის თანდასწრებით დავათვალიერეთ. შესასვლელ ოთახში 5 წლის ბავშვი ესვენა. სახეზე დაზიანებები აღენიშნებოდა, სისხლიანი იყო. კბილები ჩამტვრეული ჰქონდა. გვერდით ოთახში ხალიჩა სისხლით იყო მოსვრილი. იქვე ეგდო სისხლიანი კოვზი, სავარაუდოდ, ამით ცდილობდა ბავშვისთვის კრიჭა გაეხსნა. მაია გელდიაშვილი საწოლზე თავჩაღუნული იჯდა და ტიროდა... განმარტა, რომ დილით მეუღლე სამუშაოზე გააცილა... სახლის დალაგებაში პატარა შალვას დახმარება სთხოვა. ეზოში ღამის ქოთანი გაატანინა. ბავშვს უკან შემობრუნება ცოტათი შეაგვიანდა. გაიხედა და შალვა ეზოში დაინახა. ბავშვს დაუძახა, მაგრამ ის ნელა წამოვიდა, ფეხებს მოათრევდა და „იკეცებოდაო“. ჩავთვალე, რომ ასე ნელა ჩემს გასაბრაზებლად მოდიოდა და როცა მოვიდა, რამდენჯერმე დავარტყიო, რის შედეგადაც ბავშვი ძირს დავარდა და გონება დაკარგა. ამის შემდეგ ხელში აიყვანა და საძინელებში შეიყვანა, რათა გონზე მოეყვანა, მაგრამ საწოლზე კი არ დააწვინა, პირდაპირ იატაკზე დააგდო. შემდეგ კოვზი აიღო და ბავშვის გონზე მოყვანა სცადა. სახეშიც გამეტებით ურტყამდა, გულ-მკერდზე აწვებოდა, მაგრამ ვერაფერს გახდა... შემთხვევის ადგილზე გავიყვანეთ და ექსპერიმენტი ჩავატარეთ. მან დეტალურად აღწერა, სად, რა ადგილას და როგორ დაარტყა ბავშვს. ექსპერტიზის დასკვნით, ბავშვის სიკვდილის მიზეზი თავში მიყენებული დაზიანებები იყო, კერძოდ, სისხლჩაქცევები... მან თქვა, რომ მესამე ბავშვის შემდეგ ნერვული აშლილობა დაეწყო. ამიტომ დავნიშნეთ ფსიქიატრიული ექსპერტიზა. ის განიცდიდა მომხდარს და ადეკვატურად იქცეოდა“.

*ადვოკატი ალუდა ბუჩუკური გელდიაშვილის საქმეში მას შემდეგ ჩაება, რაც განსასჯელი შეურაცხადად გამოაცხადეს. მანამდე ადვოკატი არ ჰყოლია, რადგან წაყენებული ბრალი სავალდებულო დაცვას არ ითვალისწინებს.*

**ალუდა ბუჩუკური:**

— გელდიაშვილს არ სურდა, ასეთი შედეგი მოჰყოლოდა მის ნამოქმედარს, მაგრამ შეზღუდული შეურაცხადობის მდგომარეობაში შედეგი ვერ გაითვალისწინა. მაგრამ ეს მას პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს. ამ ეტაპისთვის შეურაცხადია და შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენის შემთხვევაში, სასჯელს სამკურნალო დაწესებულებაში მოიხდის, გამოჯანმრთელების შემდეგ გააგრძელებს ჩვეულებრივად ციხეში სასჯელის მოხდას.

— **როგორც წესი, შეურაცხადი ადამიანები სასამართლოს არ ესწრებიან. მაია გელდიაშვილი რატომ დადიოდა პროცესზე?**

— ის ესწრებოდა სხდომებს, მაგრამ სასამართლო განხილვაში აქტიურად არ მონაწილეობდა.

— **რამდენად იხსნება თქვენთან საუბრისას?**

— განიცდის მომხდარს. მიზეზად მატერიალურ სიდუხჭირეს ასახელებს და ამბობს, რომ მისი ფსიქიკური შერყევა ამან განაპირობა. მართალია, მეუღლემ არ დაადასტურა, მაგრამ ის ამბობს, რომ ქმართან ხშირი კონფლიქტი ჰქონდა... რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მეუღლე თანახმაა, გამოჯანმრთელების შემთხვევაში მაია დაუბრუნდეს ოჯახს.

— **რატომ დასვით ეს შეკითხვა? რეალობად მიგაჩნიათ შვილებთან მისი ურთიერთობის გაგრძელება?**

— მაია განიცდის მომხდარს და წუხს, რომ შვილებთან არ უწევს ყოფნა.

— **საქმეში მკვლელობის საგანი არ ფიგურირებს, მაგრამ ყველა ამბობდა, რომ ბავშვი შეშის ნაჭრის ჩარტყმით მოკლა.**

— გამოძიებით ეს ვერ დადასტურდა. შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროსაც მსგავსი საგანი ამოღებული არ ყოფილა. მხოლოდ კოვზი იპოვეს, რითაც ცდილობდა, კრიჭა გაეხსნა. მაიამ მხოლოდ ხელით სცემა მას. შემდეგ სავარაუდოდ, მას ბავშვი ხელიდან გაუვარდა. კბილი ჰქონდა ჩამტვრეული. ექსპერტიზის დასკვნით, ბავშვს ტუჩიც ჰქონდა გახეთქილი. სავარაუდოდ, ტუჩი კოვზის გამოყენების დროს დაუზიანდა. ბავშვი მას ყოფილი ქმრისგან ჰყავდა. აღნიშნავს, რომ წიკლაურთან ხშირი კონფლიქტი ჰქონდა. იყო შემთხვევა, როცა ქმარმა ისე სცემა, თვალებიდან ნაპერწკლები სცვიოდა და ამ ფაქტის შემდეგ თავის ტკივილები დაეწყო. მათი მეზობლები სასამართლოზე არ დაკითხულან. სავარაუდოდ, მაია გელდიაშვილს დროებით, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანენ.

*ადვოკატის ვარაუდი გამართლდა: სასამართლომ მაია გელდიაშვილი შეურაცხადად ცნო და ჩადენილი მკვლელობისთვის, 4 წლით თავისუფლების აღკვეთა — ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებითი მკურნალობა მიუსაჯა.* ■



# „შვილების, შვილიშვილებისა და მეზობლების სიხარულს შევხარი...“

**ბაბალე წიკლაური საუკუნის ტოლი ქალბატონი გახლავთ. როდესაც შინ ვეწვიე, ღუმელთან მოკალათებული დამხვდა, საკუთარი ცხოვრების ყოველი ეპიზოდი ნათლად ახსოვს... ბაბალე ბებო ქალიშვილთან, სოფელ მანავში ცხოვრობს. ჩემი მეგზურები, რომლებიც მისი სახლის პოვნაში დამეხმარნენ, მასთან მისულები გაეხუმრნენ, — ბებო, თქვენთვის სიძე გვყავს შერჩეული და თქვენს დასანიშნად მოვედითო. მან გულიანად ჩაიხითხითა, — დაგაგვიანდათ, შვილო, ცოტა ადრე უნდა მოსულიყავითო, — უპასუხა.**

*ელენე ბასილიძე*

— არ ვიცი, რომელ წელს დავიბადე, მაგრამ ვიცი, რომ უკვე 100 წელი შემისრულდა (*ბაბალე წიკლაურის პირადობის მოწმობაში აღნიშნულია, რომ 1911 წლის 1-ელ იანვარსაა დაბადებული. — ავტ.*)

**— მანავში დაიბადეთ?**

— არა, ჩემი მშობლები სოფელ ზარიკორტმანში ცხოვრობდნენ. დღეს იქ აღარავინ ცხოვრობს. მაღალმთიანი

## არ ვიცი, რომელ წელს დავიბადე, მაგრამ ვიცი, რომ უკვე 100 წელი შემისრულდა

სოფელი გახლდათ, საქონლისთვის კარგი საძოვრები იყო და აბა, იქ ვინ დარჩებოდა?! სულ 3-4 კომლი ცხოვრობდა და დროთა განმავლობაში ისინიც ბარში გადმოსახლდნენ. ზარიკორტმანიდან თბილისის მახლობლად, მუხათწყაროში დავსახლდით. მახსოვს, კარგი სოფელი იყო, მაგრამ იქაც რამდენიმე კომლი ცხოვრობდა. დაახლოებით 2 წლის ვიქნებოდი, დედა რომ გარდამეცვალა. ობლად გავიზარდე (მამაჩემიც 100 წელს გადაცილებული, რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა — ქარმა დაახრჩო).

**— მამამ გაგზარდათ?**

— არა, ძმამ. დედა რომ გარდაიცვალა, უკვე დასანიშნი იყო. შვილებს შორის ყველაზე პატარა — ბოლონწკა ვიყავი (*ილიმის*). მამაჩემს სასმელი უყვარდა, ხშირად სვამდა და ჩემს გასაზრდელად სად ეცალა?! ჩემმა ძმამ ცოლი რომ მოიყვანა, 10-11 წლის ვიქნებოდი. კარგი მეუღლე შეხვდა და ის ქალიც მივლიდა. ისე ვიცხოვრე, ბებო, ახალგაზრდა როდის ვიყავი, ვერც კი გავიგე...

**— რატომ, ბებო?**

— ობლად ვიყავი გაზრდილი, ბევრი საზრუნავი და სადარდებელი მქონდა... მართალია, მყავდა მოსიყვარულე დედმამიშვილები, მაგრამ დედას ხომ ვერავინ შეცვლის?!

**— სკოლაში თუ დადიოდით?**

— გათხოვების შემდეგ, ორიოდე კვირა ღამის სკოლაში ვიარე და მერე ქმარმა მითხრა, — ბავშვებს მიხედეო (*იცინის*). წერა-კითხვა დამოუკიდებლად ვისწავლე და როცა შვილები სკოლაში მივიყვანე — მათთან ერთად მეც ვსწავლობდი.

**— რა ასაკში გათხოვდით?**

— 14 წლისა ვიყავ, შვილო... ჩემს მეუღლეს არც კი ვიცნობდი, ჩვენს ოჯახში მოვიდა და ისე, რომ არც ვენახე, მამაჩემს ჩემი ხელი სთხოვა. ძალიანაც არ მინდოდა გათხოვება, მაგრამ ვინ მეკითხებოდა? ჩემს

## ისეთი კარგი ქმარი მყავნდა, მასზე უკეთესზე ვისზე უნდა გავთხოვილიყავ?

მეუღლეს შიო ერქვა. მუხათწყაროში ვცხოვრობდით, მერე თარაქში გადავედით. არც ჩემი მეუღლის ოჯახი იყო შეძლებული. რაც მე უბედურება გამომივლია, მიკვირს, როგორ ვარ დღემდე ცოცხალი?! მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, ჩემი მეუღლე წავიდა და აღარც დაბრუნებულა, 3 შვილი მარტომ გავზარდე.

**— არ მუშაობდით?**

— როგორ არა, შვილო?! მანავის მეურნეობაში ვმუშაობდი (*სოფელი თარაქი მანავთან ახლოს არის. — ავტ.*), კალოზე თავთავს ვლეწავდით, ხვავს ვილებდით, ვანიავებდით... თუ კარგი ნიავი იქნებოდა, ხორბალი იოლად სუფთავდებოდა, თუ არა და, სპეციალური საცერი — ცხავი გვქონდა და ვაცხავებდით. ხორბალი იცრებოდა, ცხავში კიჩალა და ჩეჩქი რჩებოდა...



მთელი ცხოვრება ჯაფა-წვალებაში ვიყავ

**— ბაბალე ბებო, მეორედ გათხოვება არ გიფიქრიათ?**

— არა, შვილო! შვილებს სხვა კაცის ხელში არ ჩავყრიდი, ჩემს ობლებს სხვა კაცს არ დავაყენებდი თავზე. ისეთი კარგი ქმარი მყავნდა, მასზე უკეთესზე ვისზე უნდა გავთხოვილიყავ? მერჩივნა, შვილები მარტოს, ვაი-ვაგლახით გამეზარდა.

**— პირველ იანვარს ყოფილხართ დაბადებული; დაბადების დღეს თუ აღნიშნავდით ხოლმე?**

— არასოდეს აღმინიშნია. მთელი ცხოვრება ჯაფა-წვალებაში ვიყავ, ერთადერთი, რაც მინდოდა, ჩემი შვილების გაზრდა იყო. ვცდილობდი, მათთვის არაფერი მომეკლო. „კოლექტივში“ (*იგულისხმება კოლმეურნეობა. — ავტ.*) მუშაობისას, ხშირად შიმშილით გული წამსვლია, მაგრამ შვილები დაპურებული მყავნდა. 3 შვილთან ერთად, მოხუც მამამთილსაც ვპატრონობდი. ჩემი გასაკეთებელი კი გავაკეთე, მაგრამ აღარ ვკვდები, ბებო!

**— რას ამბობთ, კიდევ დიდხანს უნდა იცხოვროთ, ბაბალე ბებო!**

— უიმე! გენაცვალე, ეგ რა მითხარი, შვილო?! ჩემი ცხოვრება რაღაა?! საქმის ქალი ვიყავ და ვეღარაფერს ვაკეთებ! ჩემი ყველაზე დიდი სიხარული შვილიშვილები იყო, მაგრამ 2 შვილიშვილი გარდამეცვალა... ეს ცხოვრება უკვე თქვენია, მე ჩემი გავლიე. ახლა თქვენ უნდა გაუძღვეთ თქვენს სამშობლოსა! დღეს ჩემი შვილების, შვილიშვილებისა და

მეზობლების სიხარულს შევხარი... ღმერთმა კარგად გამყოფოთ, სიკეთე და სიხარული არ მოგიშალოთ უფალმა! ღმერთმა და ყველა სალოცავმა დაგლოცოთ!

**ლიზა გოგოლაური**, *შვილი:*

— მახსოვს, ჯერ კიდევ მუხათწყაროში ვცხოვრობდით, როცა მამაჩემის ოჯახის წევრები ჩამოვიდნენ და მამას უთხრეს, — აქ რას აკეთებთ, თარაქში წამოდით და იქ იცხოვრეთო. როცა იქ გადავედით საცხოვრებლად, ომი დაიწყო და დედა 3 შვილთან ერთად, მარტო, სხვის სახლში დარჩა. პატრონებმა სახლის დაცლა მალევე მოსთხოვეს. აიკიდა დედამ ლოგინი და მეზობლებს ეხვეწებოდა, — იქნებ ბავშვები მაინც შემიფაროთო?! ბიძაჩემის ცოლმა საქათმეში ცხოვრება შემოგვთავაზა. სხვა რა გზა ჰქონდა დედას, ღამით გარეთ ხომ ვერ დავრჩებოდით?! საწოლიც კი არ გვქონდა, ამიტომ, დედამ ფიცრებისგან 2 ტახტი შეკრა, რაზეც მე, ჩემს უმცროს ძმასთან და დედასთან ერთად ვიწექი; უფროსი ძმა კი — პაპასთან ერთად ფიცრის „საწოლზე“ იწვა...

— **იქ დიდხანს ცხოვრობდით?**

— საკმაოდ. მერე პაპამ მუშებს თხების სანაცვლოდ სთხოვა, მიწური გამოეთხარათ, ზემოდან ფიჩხი და მიწა დააყარეს და იმ მიწურში შევსახლდით. დედაჩემი საათობით იდგა და მიწურის ზემოთ მიწას ტკეპნიდა, წვიმა რომ არ ჩამოგვსვლოდა. დროთა განმავლობაში, ჩემმა ძმამ სოფლის ძველი საწყობი გადახურა, საცხოვრებლად მოაწყო და იქ შევსახლდით. „კოლექტივში“ მუშაობისას, დედას ნახევარ კილოგრამ პურს აძლევდნენ, რასაც ჩვენ გვაჭმევდა. თვითონ ხშირად შიმშილისგან გულიც წასვლია. ჩვენ კი გვატყუებდა, ქალები თონეში პურს აცხობდნენ და იქ მივირთვი, არ მშიაო... ბოლო დროს ძალა აღარ ერჩის, თორემ დამჯდარს ვერ ნახავდით. სანამ საცხოვრებლად ჩემთან გადმოვიყვანდით, მოუხნავ მიწაში კარტოფილი დაუთესავს და სამჯერ გაუთოხნია! ახლა ნერვიულობს, რატომ ველარ ვაკეთებ საქმესო?! მუხლები სტკივა და ფეხზე დიდხანს დგომა უჭირს, მაგრამ ექიმთან არასოდეს ყოფილა. ამას წინათ, პრეზიდენტმა ფაშიზმზე გამარჯვების 65 წლისთავის აღსანიშნავად, მას როგორც ომში დაღუპულის მეუღლეს, „ოქროს მედალი“ გამოუზავნა. 100 წლის იუბილეზე კი საგარეჯოს გამგეობის წარმომადგენლებმა ტკბილეულითა და 700 ლარით დაჯილდოეს... ■

# „მამაჩემმა ქართველისთვის ტყვიის სროლა არ იკადრა“

## აფხაზეთიდან გადახვეწილი აფხაზის თვალით დანახული „ნაცრისფერი სოხუმი“

**„ოცნებად მქონდა ჩემი მშობლიური ქალაქის ნახვა და შარშან ზაფხულში, რუსი მეგობრის დახმარებით, სურვილი ავისრულე, მაგრამ ნეტავ, არ ჩავსულიყავი, — ჩემს მეხსიერებაში ჩარჩენილი აფხაზეთის „ლურჯი სამოთხის“ ნაცვლად, ერთი დიდი, სოფლად ქცეული, მშიერი და საცოდავი ადამიანებით დასახლებული ქალაქი დამხვდა... დაახლოებით ისე დამემართა, საყვარელი ადამიანი რომ მოგიკვდება და მისი ცხედრის ნახვა რომ არ გინდა, რადგან ისეთი დაგამახსოვრდეს, როგორიც სიცოცხლეში იყო“, — ამბობს 29 წლის იური რამბა. რაც უნდა გასაკვირი იყოს, 90-იანი წლების ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს, სოხუმის დატოვებამ მის ოჯახსაც მოუწია, რადგან მამამისმა, ქართველებთან ერთად გაზრდილმა რაუფ რამბამ მოძმისთვის ტყვიის სროლა არ იკადრა და ბრძოლაში ჩაბმას, იქაურობის დატოვება არჩია...**

*ლალი პაპასკირი*



მამა თბილისს თბილი ხალხის ქალაქს ეძახდა...

— მაშინ 10 წლის ვიყავი. ამ ასაკის ბავშვი ომისთვის პატარაა, მაგრამ მაშინდელი მოვლენების დანახვა კი შემეძლო. რა თქმა უნდა, ჩემებურად, ბავშვურად აღვიქვამდი ყველაფერს. დღემდე ყურებში მიდგას, სამსახურიდან დაბრუნებული მამის ხმა, — კიდევ კარგი, შვილო, ჯერ პატარა ხარ, იარაღის აღებას არავინ მოგთხოვსო... მამას ხშირად უთქვამს, ჩემი ქალაქი გამორჩეული იმიტომაა, რომ სხვადასხვა ეროვნების ადამიანი ცხოვრობს. მარტო აფხაზები და ქართველები რომ იყვნენ, ცხოვრება უინტერესო იქნებოდაო...

— **დედა ქართველი გყავთ?**

— არა, დედაც აფხაზია, გვარად — ლაკობა... ჩემი მშობლები სოხუმელები იყვნენ. ერთმანეთი თბილისში გაუცნიათ. იქ სწავლობდნენ... მამა თბილისს თბილი ხალხის ქალაქს ეძახდა... რუსულ სკოლაში ვსწავლობდი, მაგრამ იმდენად ქართულ გარემოში ვიზრდებოდი, არასდროს მქონია აგრესია და არც მათგან მიგრძნია მსგავსი რამ. მაგრამ რაც ჩემს მეხსიერებას შემორჩა, ქართული ენის მიმართ აფხაზების არც ისე კარგი დამოკიდებულება იყო. მაღაზიის გამყიდველისთვის ქართულ ენაზე რომ გვკითხათ, — პური გაქვთო? — რუსულად გიპასუხებდათ... ჩემი მეზობელი ქართველი ბავშვები ეზოშიც და სახლშიც რუსულად ლაპარაკობდნენ, მაგრამ ვინაიდან აფხაზების, სომხებისა და ბერძნების სასაუბრო ენაც რუსული იყო, ამაში მაშინ გასაკვირს ვერაფერს ვხედავდი... მდიდარი საოჯახო ბიბლიოთეკა გვქონდა, რუსულთან და ინგლისურთან ერთად, მამა ქართულ წიგნებსაც ეზიდებოდა შინ...

— **როგორი განწყობილება იყო ომის დაწყების წინ ზოგადად, სოხუმში?**

— ადამიანები ეჭვიანები გახდნენ, ერთმანეთს აღარ ენდობოდნენ. აფხაზების ერთი ნაწილი, ქართველების მიმართ კეთილ ან თუნდაც ნეიტრალურად განწყობილებს აშკარა აგრესიით გვიყურებდა... ერთხელ ტროლეიბუსიდან ჩანთებით დატვირთული მოხუცი ქალი ჩამოვიდა (დეიდა ლია ჩემი მეზობელი იყო. მოხუც დედასთან ერთად ცხოვრობდა. ეზოში ლეღვის ხე ედგა, რაც მთელი ქუჩის მოზარდების „სამიზნე“ იყო. რძიან ნაყოფსაც კი ვიპარავდით... სულ




ერთ კვირაში გაგრაში პირველი ტყვია გავარდა. ამის შემდეგ სოხუმიდან აფხაზები წავიდნენ

იმაზე ნერვიულობდა, ლეღვს რბილი ტოტები აქვს, არ ჩამოტყდეს და რამე არ მოიტეხოთო. ერთხელ, შუაღამეს მართლაც ჩამომიტყდა ტოტი და მისი სახლის სახურავზე მოვადინე ზღართანი. კოჭის ძვალი მოვიტეხე)... ერთი სიტყვით, ამ ქალის მისაშველებლად, ჩემ გარდა არავინ წამომდგარა. გაოცებული დავრჩი. მას შემდეგ თანატოლებმა ამითვალწუნეს... ერთ-ერთი აფხაზის ოჯახში ყური მოვკარი, იარაღის შეგროვებაზე თათბირობდნენ და სახლში მისულმა მამას ვკითხე, — ომი უნდა დაიწყოს-მეთქი?.. ერთ კვირაში გაგრაში პირველი ტყვია გავარდა. ამის შემდეგ სოხუმიდან აფხაზები წავიდნენ.

— **იქაურობა თქვენც დატოვეთ?**

— არა. ჩვენ და კიდევ რამდენიმე აფხაზი ოჯახი ჩვეულებრივად ვაგრძელებდით ცხოვრებას. მამაჩემი არც იქამდე ესწრებოდა სარდაფში გამართულ ფარულ შეხვედრებს ანუ როგორც მაშინ ამბობდნენ, — ის ეროვნულად არააქტიური აფხაზი იყო. მალე სოხუმში ვითარება დაიძაბა. „მხედრიონელები“ ბევრს სცოდავდნენ. მათთან ადგილობრივი მილიციაც ვერაფერს გახდა. მამაჩემმა გადაწყვიტა, ცოტა ხნით უკრაინელ მეგობართან წავსულიყავით... ძალიან გახსნილი და გულღია ადამიანი იყო და არც დაუმალავს, რატომ მიდიოდა ქალაქიდან.

— **წასვლის მიზეზად რა დაასახელა?**

— ქართველს ტყვიას არ ვესვრიო... სამწუხაროდ, მაშინ პატარა ვიყავი და არ მახსოვს, თავის ნეიტრალურ პოზიციას როგორ განმარტავდა, მაგრამ როცა დედაჩემის ნათესავები „მშიშარა სიძეს“ შემოსწყრნენ, მამაჩემმა მათ მშვიდად უპასუხა, — რუსებს კარგად ვიცნობ და მალე მიხვდება ჩვენი ხალხი, ვის ხაფანგშიც გაებაო... სანამ სახლიდან გავიდოდით, ტელეფონის ზარი გაისმა. ვიღაცამ მამა იკითხა, წასასვლელად ემზადება და ახლავე დავუძახებ-მეთქი, მაგრამ სანამ ის მოვიდა, უცნობმა ტელეფონი გათიშა... როგორც ჩანს, შეგვამოწმეს, სახლში ვიყავით თუ არა. გაგრამდე ტაქსით წავედით. გზადაგზა დატვირთული მანქანები და ფეხით მოსიარულე ადამიანები გვხვდებოდნენ... რამდენიმე დამწვარი სახლიც ვნახე. შორიდან სროლის ხმა ისმოდა... შემოვლითი გზებით უნდა მივსულიყავით ფსოუმდე, მაგრამ როგორც კი სოფლის გზისკენ გადავუხვიეთ, გაგვაჩერეს. შიშისგან ერთიანად ვკანკალებდი. შეიარაღებულმა და წვერიანმა მამაკაცებმა მამა მანქანიდან გადაიყვანეს და გვარი ჰკითხეს, მერე ერთმა მეორეს რაღაც აფხაზურად გადაულაპარაკა, ის დაეთანხმა, — ის არისო... მანქანის სარკიდან დავინახე, როგორ დაეცა მამა, როცა ვიღაც ახმახმა ავტომატის კონდახი ჩაარტყა. დედამ იკივლა და მანქანიდან ჩასვლა დააპირა, მაგრამ იქ მყოფთაგან ერთ-ერთმა, მას კარის გაღების საშუალება არ მისცა და სთხოვა, — წადით, ეს ყველაფერი თქვენმა შვილმა არ უნდა ნახოსო... მერე ჩვენკენ წამოვიდნენ და ტაქსის მძღოლს წასვლა უბრძანეს, სხვები მამას ურტყამდნენ... მერე ვიღაცამ მძღოლის შესაშინებლად ჰაერში გაისროლა.

— **მასაც ემუქრებოდნენ?**

— დიახ, გააფრთხილეს, მანქანა არ გააჩეროთ, თორემ მოგკლავთო... ჯერ მოსკოვში ჩავედით, იქიდან — კიევში, მამას მეგობართან კარგა ხანს ვცხოვრობდით. მამაჩემის მეგობარს ჩემი თანატოლი შვილები ჰყავდა და სკოლაში იმ ბავშვებთან ერთად ვსწავლობდი. თანდათან შევეგუე იქაურობას, მაგრამ ყოველდღე ვეკითხებოდი დედას, — მამა მოკლეს თუ ტყვედ აიყვანეს-მეთქი?!. ის ჩუმად იყო. წლების შემდეგ, როცა სიტუაცია ცოტათი ჩაწყნარდა, ნათესავები დაგვიკავშირდნენ, — სად ხართო?..


ერთ-ერთი აფხაზის ოჯახში ყური მოვკარი, იარაღის შეგროვებაზე თათბირობდნენ

— **დედის მხრიდან?**

— ორივე მხრიდან, მაგრამ დედა მათთან ურთიერთობას თავს არიდებდა.

— **მათ თქვენი ოჯახის ტრაგედიის შესახებ არ იცოდნენ?**

— კი. როგორც შემდეგ მითხრეს, ყველამ იცოდა... არც მე და არც დედაჩემმა არ ვიცოდით, მამას ცხედარს რა ბედი ეწია. საერთოდ, საფლავი ჰქონდა თუ — არა. ეს წლების განმავლობაში ჩვენთვის ტაბუდადებული თემა იყო. შემდეგ კი, როცა უკრაინის სამხედრო აკადემია დავამთავრე, გადავწყვიტე, აფხაზეთში წავსულიყავი.

— **ქა თქვენთვის იოლი არ იქნებოდა.**

— დიახ და ამიტომაც, დახმარება ერთ ჩემს რუს მეგობარს ვთხოვე... ადლერამდე მატარებლით ჩავედით. ადლერიდან ფსოუს სასაზღვრო პუნქტამდე სამარშრუტო ტაქსით ვიმგზავრეთ. როგორც კი გაგრას მივადექით, მივხვდი, რომ აფხაზეთი, როგორც საკურორტო და ტურისტული ზონა აღარ არსებობდა. არ არსებობდა ინფრასტრუქტურა... ღამე იყო და გაგრის ქუჩებს, სახლებიდან გამომავალი, მბჟუტავი ნათურის შუქი ანათებდა... გაგრიდან სოხუმამდე ჯაყჯაყით ვიარეთ. მართალია, ვიცოდი, რომ აფხაზეთში ომი იყო და ეს საშინელება საკუთარ ტყავზე ვიწვნიე, მაგრამ მაინც ვერ წარმოვიდგენდი, ასე თუ შეიცვლებოდა. რამდენჯერმე გზიდან მიბრუნებაც დავაპირე, მაგრამ ცნობისმოყვარეობა მკლავდა... გაგრიდან სოხუმამდე გზა რაღაც უკეთესის ნახვის მოლოდინში გავიარეთ. უკვე კარგად გათენებული იყო, სოხუმში რომ შევჩერდით და ერთ-ერთი კაფეში ვისაუზმეთ. მართალია, სულ რაღაც 10 წელი ვიცხოვრე იმ სამოთხეში, მაგრამ თითოეული ქუჩა ზეპირად მახსოვდა... შევცქეროდი იქაურობას და გული ყელში მებჯინებოდა. მზის ამოსვლასთან ერთად, სოხუმის ზღვის სანაპირო, პოეტებისა და მომღერლების მუზა, ნახირით გაივსო. თოლიების ჭყლოპინს ქათმების კრიახი შეერია... ჩემი მეგობარი თვალს არ მაცილებდა, ეშინოდა, ნერვებმა არ უმტყუნოსო... სანამ კაფეს დავტოვებდით, დიასახლისმა წვრილად გამოგვკითხა, ვინ ვიყავით და იქ რამდენი ხნით დავრჩებოდით. მეც და ჩემი მეგობარიც

ქერები ვართ, ორივეს რუსული აქცენტი გვაქვს. ამიტომ ეგონა, ჩვენი სახით გულუხვ ტურისტებს გამოჰკრა ხელი. მერე სასხვათაშორისოდ თქვა, — რუსეთის ხელისუფლების მადლობლები ვართ აფხაზები, გაალამაზეს აქაურობაო... კიდევ დიდხანს ისაუბრა მათ „ამაგზე", თან, თვალებში გვიყურებდა, ალბათ, ფიქრობდა, დარჩენას გადავწყვეტდი თუ წასვლას. წამოსვლისას ველარ მოვითმინე და ვუთხარი, როცა რუსები აქ მცხოვრებ, უკანასკნელ აფხაზს მონად აქცევენ, მადლობის თქმა არ დაგავიწყდეთ-მეთქი... სხვაგვარად არ შემეძლო... იქიდან ჩემს ქუჩაზე წავედით. ადგილობრივები უცხოებს ინტერესით გვაკვირდებოდნენ. ტურისტები ვეგონეთ...

**— როგორი დაგხვდათ თქვენი ქუჩა?**

— გამგზავრებამდე, დედაჩემმა მთხოვა, სოხუმისთვის და ჩვენი ქუჩისთვის, ბევრი ფოტო გადამეღო, მაგრამ ემოციებისგან იმდენად დაცლილი ვიყავი, ფოტოაპარატი არც კი გამხსენებია. არ მინდოდა, დედას ენახა, როგორი გასაცოდავებული იყო მისი საყვარელი ქალაქი... ჩემს ბავშვობაში, სახლის წინ დიდი პალმა გვედგა, რომელიც ფესვებიანად იყო ამოთხრილი. სახლს მეორე სართულზე, მხოლოდ შუშებჩამსხვრეული, ღია ფანჯრები შემორჩენოდა. დაბლა კარ-ფანჯარა მთელი იყო, მაგრამ მთლიანობაში იქაურობა ძაძებით შემოსილ მგლოვიარე დედას ჰგავდა... მე და ჩემი მეგობარი — სერგო ბავშვობის მეზობლის, სომეხი არტემის სახლში დავბინავდით... მართლა არ ვიცი, როგორ მოახერხა, მაგრამ სომხის სახლში ყველაფერი ზუსტად ისე იყო, როგორც ომამდე მახსოვს. ტელევიზორიც კი იგივე ჰქონდა — „ჰორიზონტი"... საღამომდე მთელი ქუჩის ამბავი გავიგეთ. ბოლოს სერგომ მასპინძელს, ჩვენი, ნახევრად დამწვარი სახლის პატრონის ბედზე ჰკითხა, — „ევო უბილი... ნავერნო, სვოი, აბხაზცი უბილი," — თქვა არტემამ. სერგო ჩაეძია, მერე აფხაზების სასაფლაოზე დაასაფლავესო? — არა, ამბობენ, ვიღაც ქართველმა თავისი სახლის სარდაფში დამარხა, მაგრამ სინამდვილეში არავინ იცის, სად არის მისი ცხედარიო, — თქვა სომეხმა და საუბრის თემა შეცვალა... იმ ჯოჯოხეთში რა გამაჩერებდა? იმ დღესვე წამოვედით იქიდან. ამ ყველაფერმა ერთ დასკვნამდე მიმიყვანა, — აფხაზებმა ის მივიღეთ, რაც გვეკუთვნოდა!

**— იური, თქვენს სამსახურზეც მოგვიყევით...**

— სამწუხაროდ, ყველაფრის თქმა არ შემიძლია და ალბათ არც არის საინტერესო. თუმცა, მიმაჩნია, რომ საკმაოდ საინტერესო სამსახური მაქვს. უკრაინის თავდაცვის სამინისტროს საჰაერო ძალებში ვმსახურობ. Aero L-39 Albatros (ერთ-ერთი ყველაზე დიდი სასწავლო თვითმფრინავია) მფრინავი ვარ. საკმაოდ რისკიანი სამსახური მაქვს. ამ ტიპის თვითმფრინავს, როგორც სასწავლო, ისე სამხედრო ოპერაციების შესრულებაც შეუძლია. საათში 750 კილომეტრს ავითარებს... იმდენად მომწონს ჰაერში ყოფნა, მიწაზე დაშვება არ მინდა. იმედია, ოდესმე აფხაზეთსაც გადავუფრენ... ■






# აკრძალული სიყვარული

## ანუ ნათესავებს შორის გაჩაღებული სასიყვარულო ურთიერთობა

**აკრძალულ სიყვარულთან დაკავშირებით ბევრი მგზავნელი გამომეხმაურა; მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ასეთ გრძნობას გამართლებას უძებნიდნენ, მაგრამ უმეტესობამ, ნათესავებს შორის გაჩაღებული სასიყვარულო ურთიერთობა მარაზმად და ავადმყოფურ გრძნობად მოიხსენია. „არ შეიძლება, ადამიანმა საკუთარ თავს ყველაფრის უფლება მისცეს. უფალმა გონება იმისთვის მოგვცა, რომ კარგისა და ცუდის გარჩევა შეგვეძლოს, მაგრამ ბოლო დროს ყველაფრის „დაკიდება“ თითქოს, მოდურ ტენდენციად იქცა და სწორედ ამ მოდამ მიგვიყვანა დაღუპვის პირას“, — მომწერა ქალბატონმა კლარამ, რომელიც მართალია, თინეიჯერი არ გახლავთ, მაგრამ როგორც გამომიტყდა, „თინეიჯერული პონტების“ ერთგული მკითხველი ბრძანდება.**



*ლიკა ქაჯაია*

**კლარა,** *47 წლის:*

— თქვენს რუბრიკას იცით, რატომ ვადევნებ თვალს? თინეიჯერი შვილები მყავს და მაინტერესებს, როგორ აზროვნებენ მათი თანატოლები. სხვათა შორის, „თინეიჯერული პონტები“ ბევრ რამეში დამეხმარა; ვისწავლე, თუ როგორ უნდა მოვიქცე შვილებთან ურთიერთობისას და თქვენი წყალობით, ახლა შვილები თინეიჯერულად მოაზროვნე ბებერსაც კი მეძახიან; ისიც აღმოვაჩინე, რომ ჩემი გოგონა მგზავნელი ყოფილა — მართალია, ყოველკვირა არა, მაგრამ მესიჯებს არცთუ იშვიათად გიგზავნით ხოლმე. ის ნიკს ხშირად იცვლის, თუმცა ყოველთვის ვხვდები, მისი მესიჯი რომელია. მოკლედ, „გზის“ წყალობით შვილი უკეთ გავიცანი, მის შესახებ ბევრი რამ გავიგე, ეს ძალიან მახარებს.

**— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ შვილებთან მეგობრობთ, მაგრამ როგორც ჩანს, ისინი ყველა საიდუმლოს არ გიმხელენ.**

— მხოლოდ იმას მიყვებიან, რასაც საჭიროდ მიიჩნევენ, მაგრამ რაღაცებს თავისთვისაც იტოვებენ ხოლმე. თუმცა, როგორც გამოცდილ ქალს და ბებერ თინეიჯერს, ვერ მომატყუებენ, მათი ყველა სუსტი წერტილი ვიცი.

**— იმისთვის დამიკავშირდით, რომ თემასთან დაკავშირებით რაღაც საინტერესო ამბავს მომიყვეთ, არა?**

— კი, მაგრამ მოსაყოლი რომც არ მქონოდა, ამ თემასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების დასაფიქსირებლად მაინც შეგეხმიანებოდით. ბავშვებს ჰგონიათ, რომ ყველაფრის „დაკიდება“ კარგია, რომ გულგრილობით პრობლემების მოგვარებაც შეიძლება, მაგრამ ასე არაა. არ შეიძლება ადამიანს დედის, მამის, დედმამიშვილის, ნათესავების და თუნდაც მეზობლის აზრი არ გაინტერესებდეს. საკუთარი გრძნობების მართვა ყველას უნდა შეგვეძლოს; როცა მივხვდებით, რომ რაღაცის გაკეთება არ შეიძლება, რომ ამის გამო შესაძლოა, საქვეყნო განსჯის საგნად ვიქცეთ, როგორც არ უნდა გვინდოდეს, აკრძალული ხილის დაგემოვნებისგან თავი უნდა შევიკავოთ... ახლა გამოგიტყდებით და, ჩემ შესახებ გიამბობთ: როცა ე.წ. თინეიჯერულ ასაკში ვიყავი და თავში მიქროდა, ბიჭებს ვეძმაკაცებოდი, გოგონებს კი ცუდ მეგობრებად მივიჩნევდი და ამიტომაც იყო, რომ მხოლოდ ერთი დაქალი მყავდა. ჩემი ძმაკაცები ჩემივე მეზობლები და კლასელები იყვნენ, მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი გახლდათ, მართალია შორეული, მაგრამ მაინც ნათესავი (ბებიაჩემი და მისი დიდი ბაბუა ბიძაშვილიშვილები ყოფილან). ჰოდა, წლების მატებასთან ერთად მივხვდი, რომ სწორედ ის ჩამვარდნოდა გულში. როცა სკოლა დავამთავრე და სასწავლებლად თბილისში ჩამოვედი, ვიგრძენი, რომ ყველა მეგობარი მენატრებოდა, მაგრამ ალეკოს მიმართ რაღაც განსაკუთრებულ მონატრებას ვგრძნობდი, ღამით მესიზმრებოდა ხოლმე... თურმე, მასაც ვუყვარდი, მაგრამ ამის გამხელას ვერ ბედავდა. ჰოდა, როცა დედაქალაქში წამოვედი, ალეკომაც საოცარი მონატრება იგრძნო, რაღაც მოიმიზეზა და თბილისში ჩამოვიდა. აქ კი გამომიტყდა, — ძალიან მიყვარხარო. ჩვენ დაახლოებით 3 წელი ვხვდებოდით ერთმანეთს, მაგრამ ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. მართალია, ერთმანეთს საკუთარ გრძნობაში გამოვუტყდით და პაემანსაც ხშირად მინიშნავდა, მაგრამ ისიც წინასწარ გვქონდა გაცნობიერებული, რომ ჩვენ შორის არაფერი მოხდებოდა ანუ ორივენი ბედს შეგუებული გახლდით.

**— ანუ ერთმანეთს ხვდებოდით, მაგრამ სიყვარულისთვის ბრძოლა უაზრობად მიგაჩნდათ? შეყვარებული ადამიანისგან ეს ცოტა არ იყოს, გაუგებარი და მეტიც, დაუჯერებელი საქციელია...**

— ჰო, ასე იყო. ჩვენ მართალია, ერთმანეთი ბრმად, ჩვენდა უნებურად შეგვიყვარდა, მაგრამ თავში ტვინი ნამდვილად გვქონდა და გრძნობების კონტროლიც შეგვეძლო. ვიცოდით, რომ ჩვენი სიყვარული აკრძალული ხილი იყო. მან მითხრა: ვიდრე არ გამოჩნდება ისეთი ღირსეული ადამიანი, ვინც შენი ქმრობის ღირსი იქნება, ცოლის მოყვანაზე არ ვიფიქრებ, სხვას არც შევხედავ და გვერდიდან არ მოგშორდებიო, მაგრამ როგორც კი შენს თავს კარგ ადამიანს ჩავაბარებ, მაშინვე გავქრებიო. შეიძლება, მართლაც დაუჯერებელია, მაგრამ ჩემს თაყვანისმცემლებს აკონტროლებდა, ყველას აკვირდებოდა; ბოლოს, არჩევანი ჩემს მომავალ მეუღლეზე შეაჩერა და მას მეც უყოყმანოდ გავყევი.

**— შეყვარებულმა საქმრო რა ნიშნით შეგირჩიათ?**

— ასე მითხრა: ლადო პატიოსანი, განათლებული, ხალასი იუმორის მქონე კაცია და მასთან ბედნიერი იქნებიო.

**— და თქვენც დაუჯერეთ და უსიყვარულოდ გათხოვდით?**

— კი, უსიყვარულოდ გავთხოვდი, მაგრამ ალეკო მართალი აღმოჩნდა — ლადომ თავი შემაყვარა და ახლა თავს ბედნიერ ადამიანად მივიჩნევ.

**— მან თუ შექმნა ოჯახი?**

— კი, მშვენიერი ცოლი და 3 ვაჟი ჰყავს, ისიც ძალიან ბედნიერია.

**— როცა საცოლეს ეძებდა, არჩევანის გაკეთებაში დაეხმარეთ?**

— კი. ის გოგონა, ვინც მან შეირთო, ჩემი ერთადერთი დაქალი გახლდათ. ალეკო უკეთეს არჩევანს ვერ გააკეთებდა!

**— ამ ყველაფერს რომ მიყვებით, არ გეშინიათ, მეუღლემ და შვილებმა თქვენი საიდუმლო რომ გაიგონ? როგორც აღნიშნეთ, შვილები „გზას“ ხშირად კითხულობენ...**

— მათ ჩემ შესახებ ყველაფერი იციან. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ვიდრე ლადოს გავყვებოდი, მას ყველაფერი ვუამბე.

**— ახლა არ მითხრათ, რომ თქვენი ოჯახი ალეკოს ოჯახთან მეგობრობს.**

— რა თქმა უნდა, ვმეგობრობთ და დარწმუნებული ვარ, ჩვენი მეუღლეები არ ეჭვიანობენ. მათ იციან, რომ ჩვენ ეს დიდი გრძნობა მოვთოკეთ, თავს ზედმეტის უფლება არ მივეცით და ამ სიბერეში ისეთი რა უნდა მოხდეს, ჭკუიდან რომ გადავიდეთ (*იცინის*)?!. თუ აკრძალული სიყვარულის მსხვერპლნი ჩვენ მოგვბაძავთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბევრს მოიგებთ!

**— საინტერესოა, შეყვარებულ წყვილს რა უფრო გაშინებდათ — სისხლის აღრევა, საზოგადოების აზრი თუ უფლის რისხვა?**

— ყველაზე მეტად ის არ გვინდოდა, რომ ჩვენი შთამომავლები მახინჯები ყოფილიყვნენ; მშობლებს და ნათესავებსაც ვერ ვუღალატებდით, ყველაფერ წმინდას ფეხით ვერ გავთელავდით. ვფიქრობ, ყველა ჭეშმარიტმა ქართველმა წინასწარ უნდა იფიქროს იმაზე, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მის ამა თუ იმ ქმედებას. ვიმეორებ, არ შეიძლება, ადამიანმა საკუთარ თავს ყველაფრის უფლება მისცეს. უფალმა გონება იმისთვის მოგვცა, რომ კარგისა და ცუდის გარჩევა შევძლოთ, მაგრამ ამ ბოლო დროს თითქოს, ყველაფრის „დაკიდება“ მოდურ ტენდენციად იქცა და სწორედ ამ მოდამ მიგვიყვანა დაღუპვის პირას.

**ეკატერინე,** *16 წლის:*

— არ მესმის, ნათესავს სხვა თვალით როგორ უნდა შეხედო? ეს მარაზმია, მაგრამ ისიც მართალია, რომ ამქვეყნად მარაზმატიკებიც ბლომად არიან... ჩემს კლასელს უყვარს ნათესავი და ამბობს, — შორეული ნათესავია, მისი ბებია და ბებიაჩემი დეიდაშვილები იყვნენ, ჰოდა, რა მოხდა, თუ ერთად ვიქნებითო?! მის საქმეში ჩარევის უფლება რომ მქონდეს, თმით ვითრევდი, მაგრამ მე ვინ ვარ, კლასელი რომ განვიკითხო?..

**ნიკა,** *17 წლის:*

— ჩემს მამიდაშვილს უყვარს ნათესავი, მაგრამ მისთვის ამის თქმას ვერ ბედავს, გოგოს ამას არც აგრძნობინებს. მართალია, კაცური კაცივით იქცევა, მაგრამ ეს ძვირი უჯდება — ძალიან იტანჯება... საერთოდ, ასეთი სიყვარულისგან ყველამ უნდა შეიკავოს თავი, მაგრამ ამ სერიალებმა ხალხი სულ გამოაშტერა და ახლა შორეულ ნათესავს კი არა, დეიდაშვილ-მამიდაშვილობასაც არად დაგიდევენ.

**— როგორც ვიცი, შენი თანატოლები სერიალებს იშვიათად უყურებენ...**

— ასე ხმამაღლა ამბობენ იმიტომ, რომ სერიალის ყურება ცუდ ტონად მიიჩნევა, მაგრამ სინამდვილეში, მოზარდების (ისევე, როგორც დიასახლისების) უმეტესობა სერიალების მოყვარულია, განსაკუთრებით — რაიონებში უყვართ „საპნის ოპერები“ და შესაბამისად, ნათესავებს შორის სისხლის აღრევაც იქ უფრო ხდება, რაც ძალზე სამწუხაროა.

**ნინა,** *19 წლის:*

— არ მესმის, ნათესავი როგორ უნდა შეგიყვარდეს? ვინც ასეთი გრძნობის მსხვერპლად გრძნობს თავს, მას შეიძლება, კიდევ გაუგო, მაგრამ ის, ვინც ამბობს, რომ ასეთი რამ დასაშვებია (ყოველ შემთხვევაში, ქართველებს შორის), ავადმყოფია!.. ჩემი მეზობელი ბიძაშვილს გაჰყვა ცოლად და ის ოჯახიდან მოიკვეთეს. წყვილი საცხოვრებლად ქალაქში გადავიდა. ამ საქციელის გამო მალევე დაისაჯნენ — ინვალიდი შვილი შეეძინათ. ბავშვმა რა დააშავა, მაგრამ ისინი კი იყვნენ დასჯის ღირსი.

**— თუ შეძლებ, რომ საყვარელი ადამიანის გამო ოჯახის წევრებს დაუპირისპირდე?**

— სიყვარულმა შეიძლება, ბევრ რამეზე გათქმევინოს უარი; შეიძლება, საყვარელი ადამიანის გამო ოჯახის წევრებსაც დაუპირისპირდე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ საკუთარ თავს ყველაფრის და ყველას შეყვარების უფლება უნდა მივცეთ...

**— ამბობენ, — სიყვარული დაუკითხავად მოდისო...**

— ამ აზრს არ ვეთანხმები!.. იმასაც ამბობენ, — სიყვარული ბრმააო, მაგრამ ხშირად, საწინააღმდეგო სქესის ადამიანს სწორედ გარეგნობის მიხედვით ვაფასებთ და საკუთარ თავს დაბრმავების უფლებას არ ვაძლევთ. პირადად მე, ასე ვიქცევი და გარეგნობას ჩემი მეგობრებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

**— მგონი, ამ ფრაზის, — სიყვარული ბრმაა — მნიშვნელობა არასწორად გაიგე...**

— ამას იმიტომ მეუბნები, რომ აქცენტი გარეგნობაზე გავაკეთე, არა? მერწმუნე, ამ ფრაზის ქვეტექსტების გაშიფვრაც შემიძლია და იმასაც ვხვდები, ამ სიტყვების ავტორი რასაც გულისხმობდა. ჰოდა, მეც იმას ვამბობ, რომ უღირსი ადამიანის შეყვარება არავის სურს; როგორც წესი, ყველა თავის შესაფერისს ეძებს, მაგრამ ისიც უნდა გავითავისოთ, რომ ამ ღირსეულისა და შესაფერისის ძებნა ნათესავებში, ახლობლებში არ უნდა დავიწყოთ...

**ჭიტა,** *18 წლის:*

— ვფიქრობ, ნათესავებს შორის მხოლოდ ნათესაური სიყვარული უნდა არსებობდეს. ვიცნობ ადამიანს, რომელიც ძალიან დაიტანჯა იმის გამო, რომ სწორედ ნათესავს გააყოლეს ცოლად. მალი აზერბაიჯანელია. მოგეხსენებათ, მათთვის ნათესავებთან შეუღლება ჩვეულებრივი ამბავია; მეტიც, ისინი ამბობენ, — ჩვენი კარგი გოგო სხვამ რატომ უნდა წაიყვანოსო და ქალიშვილებს ლამის, აკვანშივე უწყობენ ნიშნობას. ჰოდა, მალიც მშობლების მსხვერპლი აღმოჩნდა. ის 17 წლის ასაკში, ნათესავზე გაათხოვეს. მართალია, მალის და მის ქმარს ჯანმრთელი შვილი შეეძინათ, მაგრამ უსიყვარულოდ, მშობლების ძალდატანებით შექმნილი ოჯახი მალევე დაინგრა. მალი ახლა 19 წლისაა, უკვე განათხოვარი ქალის სახელი აქვს და ამიტომაცაა, რომ ბიჭები ისე უყურებენ, როგორც ლოგინში ჩასათრევ საკბილოს, მასზე სერიოზულად არავინ ფიქრობს, რაც ჩემს დაქალს გულს სტკენს და ამ ყველაფერში მხოლოდ მშობლებს ადანაშაულებს. ამბობს, — აზერბაიჯანელებმა ნათესაობა რომ არ ვიცით, ეს ცუდია, საშინელებაა; საქართველოში იმიტომ გადმოვბარგდი, რომ აქ მსგავსი რაღაცები დანაშაულად მიიჩნევა; მე ქართული ტრადიციები, წეს-ჩვეულებები მომწონს და ძალიან მიკვირს, როცა ზოგიერთი ხისთავიანი ამ ტრადიციებს ფეხით თელავსო. მოკლედ, აზერბაიჯანელი გოგონა მიხვდა, რომ ნათესავებს შორის სიყვარული აკრძალული უნდა იყოს, ქართველები კი პირიქით, ამ წესის მომხრედ ვიქეცით. საინტერესოა, რამ გვიბიძგა ამისკენ? ალბათ, სერიალების ყურებამ!..

*P.S. ამჯერად გთავაზობთ თემას: კაცებზე მონადირე გოგონები. თემასთან დაკავშირებული სხვისი ან საკუთარი თავგადასავალი შეგიძლიათ მომწეროთ ნომერზე: 8(58) 25.60.81 ან მეილზე: lika.qajaia@gmail.com.*

■



# სამყარო

## იგავი ხორბლისა და ღვარძლისა

**ხორბლისა და ღვარძლის იგავი მოთხრობილია მათეს სახარების მეცამეტე თავში: ცათა სასუფეველი წააგავს კაცს, რომელმაც კარგი თესლი დათესა თავის ყანაში. როდესაც ხალხს ეძინა, მოვიდა მისი მტერი, ხორბალში ღვარძლი ჩათესა და წავიდა. ხორბალი ამოვიდა, ნაყოფიც გამოიღო და ღვარძლმაც მაშინ იჩინა თავი. სახლის პატრონთან მონები მივიდნენ და შესთავაზეს — წავალთ, ყანას ღვარძლისგან გავასუფთავებთო. მან კი უთხრა: ღვარძლთან ერთად ხორბალიც რომ არ ამოგლიჯოთ, უმჯობესია, მკის დრომდე ერთად იზარდონ; მკის დროს კი მომკალებს ვეტყვი: „უწინ ღვარძლი მოაგროვეთ და დაწვით; ხორბალი კი ჩემს ბეღელში შეაგროვეთო... იგავს განგვიმარტავს მამა დიმიტრი ჯანგულაშვილი:**

*შორენა მერკვილაძე*

— „სახარებიდან“ ჩანს, რომ იგავს თავად მაცხოვარი განმარტავს მოწაფეების თხოვნით. ყანაში წუთისოფელი იგულისხმება, კეთილი თესლის მთესველი — ძე ღვთისა, ვინც დედამიწაზე სიკეთეს თესავს; ღვარძლის დამთესავი, მტერი კეთილი მთესველისა — დაცემული ანგელოზია, რომელიც ცდილობს, კეთილი თესლისა და კეთილი ნაყოფის გაფუჭებას. იგავის თანახმად, მტერი იმ დროს თესავს ღვარძლს, როდესაც ხალხს სძინავს. როგორ გავიგოთ ეს იგავური თქმა? ადამიანი ყოველდღიურად უნდა ადევნებდეს თვალყურს თავის სულიერ მდგომარეობას, რათა რაიმე სიბინძურე არ შეეპაროს მის სულს... ბოროტი სული მაშინ ახერხებს ადამიანში ღვარძლის, უკეთურების ჩათესვას, როდესაც სულიერ მუშაკობას მოადუნებს, სულიერად არ მღვიძარებს — ამიტომ განუწყვეტლივ იმის მცდელობაში უნდა ვიყოთ, რომ ბოროტი არ მოგვეპაროს და ჩვენს კეთილ აზრებში ღვარძლი — უკეთური აზრები არ გაურიოს. ეს კი მარხვით, ლოცვით, სისტემატური აღსარებით მიიღწევა. ადამიანი უნდა ეცადოს, ახლოს იყოს მოძღვართან, რადგან თუკი რაიმე ღვარძლის მსგავსი გაჩნდება მის სულში, დროულად უმკურნალოს. ღვარძლი — სარეველაა, რომელიც ჩვენს კეთილ აზრებს აშთობს, მაგრამ როგორც ვთქვით, არსებობს მისი მოსაშორებელი სამკურნალო საშუალებები, მათ შორის უმთავრესი — აღსარება და გულწრფელი სინანულია, რომელიც ყველანაირ ღვარძლს წვავს, გამოაცალკევებს და ამის შემდეგ ჩვენს ხელთ რჩება მხოლოდ იფქლი — კეთილი აზრები და ნაყოფი.

ვერავინ იტყვის, რომ ბოროტს მასში ღვარძლი არ ჩაუთესია, მთავარი — ჩვენი გულიდან და გონებიდან უკეთურებათა ამოძირკვის მცდელობაა, რათა კეთილ ნაყოფად გარდავიქმნათ. ამის შესაძლებლობა ადამიანებს სიცოცხლის ბოლომდე გვეძლევა, უფრო მეტიც — უფალი ბოლომდე შეგვეწევა, ყველანაირად გვიწყობს ხელს, რომ



ამგვარ მდგომარეობას მივაღწიოთ. ყოფილა შემთხვევები, როდესაც უმაღლესი სულიერების მქონე ადამიანებიც იყვნენ ქცეულნი ღვარძლად, შემდეგ კი კეთილ თესლად — ღვთის შვილად გარდაქმნილან. თუნდაც მათე და პავლე მოციქულების მაგალითები გავიხსენოთ: მათე — მეზვერე იყო, პავლე მოციქული — სავლედ წოდებული, უფლისკენ მოქცევამდე — ქრისტიანთა სასტიკი მდევნელი. უფალს ისინი ამგვარ მდგომარეობაში მყოფნი რომ გაეყვანა ამა სოფლიდან, მარადიულ ცეცხლში დაიწვებოდნენ, მაგრამ უფალმა საშუალება მისცა, გაეგრძელებინათ ცხოვრება, მისი შეწევნით, გულიდან ამოეძირკვათ ღვარძლი და იფქლად, საუკეთესო ნაყოფად დარჩენილიყვნენ.

**მხოლოდ ღმერთი არსებობს თავისთვის, ხოლო ჩვენ ყველანი ვარსებობთ ღმერთისთვის. ღმერთისათვის სათნოყოფა — აი, შენი ნეტარება; მასთან ერთობაში ყოფნა — აი, შენი დანიშნულება, შენი ყოველგვარი საქმიანობის წესი.**

***წმ. ეფრემ ასური***

იგავის თანახმად, ღვარძლი მაშინ იჩენს თავს, როდესაც უკვე ხორბალი ამოდის. რას ნიშნავს ეს? შესაძლოა, ადამიანს მიღებული ჰქონდეს ბოროტის აზრი, მაგრამ ღვარძლი მასში ფარულად ბუდობდეს, გარეგნულად ვერც კი შევნიშნოთ. უფალმა კი ყოველივე უწყის. ჩვენ თვითონაც კი არ ვიცით, რა ხდება ჩვენს სულში ღრმად, ისე, როგორც უფალმა უწყის: გულისა და გონების მეცნიერი — უფალია.

მონებში იგულისხმებიან ანგელოზები. ისინი სახლის პატრონს ყანის ღვარძლისგან გასუფთავებას სთავაზობენ. ანგელოზები ყოველთვის უფლის ნებას აღასრულებენ, განუწყვეტლივ ცდილობენ, ადამიანებს დაეხმარონ კეთილი ზრახვებისა და აზრების მიწოდებით, რათა უფლის საყდრამდე მიიყვანონ. სახლის პატრონი მონებს მიუგებს: უმჯობესია, ხორბალმაც და ღვარძლმაც მკის დრომდე ერთად იზარდოს, რათა ღვარძლთან ერთად, კეთილი ნაყოფი — ხორბალიც არ დააზიანოსო. მკის დროში იგულისხმება მეორედ მოსვლის ჟამი, როდესაც მოხდება საბოლოო განსჯა ცოცხალთა და გარდაცვლილთა. სამყარო საბოლოოდ, სამოთხედ და ჯოჯოხეთად განიყოფა. მართალ ადამიანებს უფალი „თავის ბეღელში“ — სასუფეველში, ახალ — ზეციურ იერუსალიმში მიუჩენს ადგილს; ღვარძლად დარჩენილები — ცოდვებსა და უკეთურ საქმეებში გარდაცვლილნი ჯოჯოხეთის ცეცხლში აღმოჩნდებიან. ამ ორ ნაწილს შორის უზარმაზარი უფსკრული გაჩნდება. როგორც წმინდა მამები გვასწავლიან, კეთილ ნაყოფად ქცეულნი — ზეციური, ახალი იერუსალიმის მკვიდრნი გაბრწყინდებიან, ვითარცა მზე; მაგრამ მზეზე მეტად გაბრწყინებულნი და განათებულნი იქნებიან ის ადამიანები, რომლებიც საბოლოო განსჯის შემდეგ, სამარადისო ნეტარებას დაიმსახურებენ. ტირილი და კბილთა ღრჭენა კი ვიცით, რაც არის.

მიწიერად, ხან ბედნიერად გვიხდება ცხოვრება, ხან — განსაცდელითა და ტკივილით. ასე თუ ისე, ვიცით, ჭირი რა არის და ლხინი რა არის; მაგრამ იქ, იმ ქვეყნად უდიდესი სხვაობა იქნება მართალთა და ცოდვილთა მდგომარეობას შორის. მართლებს სიხარული ექნებათ ულევი, უფალთან მყოფობის გამო, ამასთან, იმის გამოც, რომ ჯოჯოხეთურ საშინელებაში არ ჩაცვივდნენ, რადგან ეცოდინებათ, რა ხდება ქვემოთ; ცოდვილთა კი უსაზღვრო მწუხარება ექნებათ, ის ექნებათ სანანებლად, თუ რამხელა ბედნიერებას მოაკლდნენ იმის გამო, რომ არ დაიჯერეს ძე კაცის სიტყვა, რომელიც მოვიდა, კეთილი თესლი მოაბნია, ჩათესა ჩვენს სულებში, მათ კი ეს კეთილი თესლი არ გააძლიერეს, არ აღმოაცენეს თავიანთ სულში...

მეორედ მოსვლის ჟამს, უკვე არც ცოცხალთათვის და არც გარდაცვლილთათვის აღარაფერი შეიცვლება; ამ დრომდე უფალი შესაძლებლობას გვაძლევს და ყველანაირად გვეწევა იმისათვის, რათა თუნდაც ღვარძლად ქცეულნი კეთილ ნაყოფად გარდავიქმნათ. გარდაცვლილ და ჯოჯოხეთურ მდგომარეობაში მყოფთა ხვედრის შეცვლაცაა შესაძლებელი, ახლობლებისა და ეკლესიის ერთობლივი ლოცვით, მათ სახელზე მოწყალების გაცემით, — თუკი, რა თქმა უნდა, ადამიანი მძიმე, მომაკვდინებელი ცოდვით არ არის გარდაცვლილი და ჯოჯოხეთში უნუგეშო მდგომარეობაში არ იმყოფება. მეორედ მოსვლამდე არსებობს ორგვარი ჯოჯოხეთური მდგომარეობა: ერთნი უიმედოდ არიან ჯოჯოხეთში წარწყმედილნი, მეორენი კი გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებიან — არ იციან, რა ელით მეორედ მოსვლის ჟამს — წარწყმდებიან თუ ცხონდებიან. ასეთი ადამიანები არამომაკვდინებელი ცოდვებით არიან გარდაცვლილნი. სწორედ მათთვის შეიძლება ლოცვა, მათ სახელზე მოწყალების გაცემა, რათა ღვთის მრავალი მოწყალება აღვძრათ მათ საცხოვნებლად. უფალი ჩვენს ლოცვასა და კეთილ საქმეებს მათი ცხონების მიზეზად დაიდებს, მაცხოვნებელი კი თავად მრავალმოწყალე ღმერთია...

როგორც ვთქვით, იგავში ყანა წუთისოფელზე მიანიშნებს. რა არის ადამიანის დანიშნულება წუთისოფელში ყოფნის ჟამს? რატომ მოდის ადამიანი წუთისოფელში? როგორც მამები ბრძანებენ, წუთისოფელი გამოსაცდელი ვადაა ადამიანისთვის: რა სულიერ სიმაღლეს მიაღწევს ადამიანი, როგორ ჩამოყალიბდება — ამაზეა დამოკიდებული, დავიმკვიდრებთ თუ არა ადგილს „უფლის ბეღელში“. წუთისოფელი ბოროტთან ბრძოლის ველია. ბოროტი ყველანაირი გზითა და საშუალებით ცდილობს ადამიანის დამარცხებას. დაცემული ანგელოზი იმდენად კადნიერი, ამპარტავანი და თავდაჯერებულია, რომ ჰგონია, თუკი თავისი ღვარძლით ღვთის საყვარელ იფქლს — ღვთის შვილებს წარწყმედს, ხორბალს გაანადგურებს, ამით უფალს დაუშავებს რაიმეს. ცხადია, ბოროტი უფალს ვერაფერს ავნებს, მაგრამ ჩვენ კი მოგვაყენებს ზიანსა და ვნებას, თუკი ყურადღებით არ ვიქნებით და არ შევებრძოლებით დაცემული სულისგან შემოთავაზებულ საცდურებს. უფალი გვეუბნება, — მოვა დრო და გამოგარჩევთ; ნუ იქნები მწუხარე, ოღონდ ებრძოლე ყოველგვარ უკეთურებას, ნუ მოუშვებ ბოროტს ისე ახლოს შენთან, რომ დაგაშთოს, ჩაგკლას და ზემოდან გადაგფაროს. უფალი ყოველ წამს მზად არის ჩვენს დასახმარებლად, მთავარია, ჩვენ, ჩვენი თავისუფალი ნებით გვსურდეს უფლის შეწევნა. ერთი რამ უნდა გავაცნობიეროთ და შევიგნოთ: ამქვეყნად მცირე ხნით განცხრომითა და კარგად ცხოვრებისთვის არ უნდა გავწიროთ ის მარადიული სასუფეველი, რომელიც მოგველის წუთისოფლიდან გასვლის შემდეგ, მართალი, ღვთისთვის სათნო ცხოვრების სანაცვლოდ.

ყველა ადამიანს, რომელიც კეთილ ნაყოფს გამოიღებს, ღირსეულ თავთავად აღმოცენდება, უფალი ჰპირდება, რომ მიიყვანს „თავსა თანა“ — სასუფეველში; ვიყოთ სულიერად მღვიძარენი, რათა არ შევერიოთ ღვარძლში და უფლის გზიდან არ გადავუხვიოთ. მართებულ სასუფევლისკენ მავალ გზაზე სვლაში კი ეკლესიასთან სიახლოვეა აუცილებელი.

■

**ბოროტი უფალს ვერაფერს ავნებს, მაგრამ ჩვენ კი მოგვაყენებს ზიანსა და ვნებას, თუკი ყურადღებით არ ვიქნებით და არ შევებრძოლებით დაცემული სულისგან შემოთავაზებულ საცდურებს. უფალი გვეუბნება, – მოვა დრო და გამოგარჩევთ...**

ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

შემდგენელი თემურ ივანიძე

1. სტამბოლი 11-მილიონიანი ქალაქია.

2. გლობოფობია საჰაერო ბურთების შიშია.

3. „სრედი აკალცოვანიხ მალა აკრილიონიხ“, — ამბობენ რუსები.

4. ლექსების პირველი კრებული ნიკო გომელაურმა 2001 წელს გამოსცა.

5. ჩერნობილში დღეისათვის შვიდასამდე ადამიანი დაბრუნდა საცხოვრებლად.

6. ქორწინების დროს ალექსანდრ გრიბოედოვი 34 წლის იყო, ნინო ჭავჭავაძე — 16-ის.

7. „ატ სტარტა დო პრიზემლენია ნე ბილა ნიკაკოვა სამნენია“, — ამბობდა იური გაგარინი.

8. ავსტრალიაში პოპულარულია წყალქვეშა ჰოკეი, რომელსაც მცირე ზომის ჯოხებითა და ტყვიის შაიბით თამაშობენ.

9. რუსეთში, ხმის ოპერატორებს ტაციაობა აქვთ ძველებურ ვენურ სკამებზე — ისინი ძალზე სპეციფიკურად ჭრიალებს.

10. დანიურ ენაზე სიტყვების — „გმადლობთ ყველაფრისათვის“ (Tak for alt) აზრობრივად ანალოგიურია გამოთქმა „მშვიდობით განისვენეს“ და ამის გამო სამადლობელ სიტყვაში ან წერილებში მის გამოყენებას ერიდებიან.

11. ლადო ასათიანი უკვე ავად იყო, როცა თავისი მომავალი მეუღლე, ანა ვაჩნაძე გაიცნო. მიუხედავად პოეტის შერყეული ჯანმრთელობისა, ანა მაინც გაჰყვა მას ცოლად.

12. „წინათ წიგნებს მწერლები წერდნენ და მკითხველები კითხულობდნენ; დღეს წიგნებს მკითხველები წერენ და მათ აღარავინ კითხულობს“, — წუხდა ოსკარ უაილდი.

13. პაოლო იაშვილი შესანიშნავად ხატავდა. სამწუხაროდ, მისი ნახატებიდან მხოლოდ რამდენიმეა შემორჩენილი.

14. დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში კომუნისტებმა წამოაყენეს ლოზუნგი: „ჟიტ სტალა ლუჩშე ი ვესელეი“. გამოკრულ პლაკატებზე ვიღაცებმა წააწერეს: „დლია სტალინა...“

15. ბერლინის დაცემისას ქართველმა ჯარისკაცებმა გადაარჩინეს გერმანელი ქალი, რომელსაც ერთი კედელი მთლიანად ნატო ვაჩნაძის ფოტოებით ჰქონდა სავსე.

16. სტალინის დედის, ეკატერინე (კეკე) გელაძის პანთეონში დასაფლავება ლავრენტი ბერიას პირადი ინიციატივა იყო. როცა სტალინს ეს ამბავი აცნობეს, მან მხრები აიჩეჩა: არ ვიცოდი, დედაჩემი თუ მწერალი იყოო. დიდი ზელადი დაკრძალვას არ დასწრებია. მხოლოდ ერთ გვირგვინს ჰქონდა წარწერა: „საყვარელ დედას შვილისგან, იოსებ ჯუღაშვილისგან“. ქალი,

# „იაგუარის“ სიახლე

ნიუ-იორკის მოტორშოუზე, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ დასრულდა,



კომპანია „იაგუარს“ რესტაილირებული სედანი — XF და მისი ახალი, დიზელისძრავიანი მოდიფიკაცია ჰქონდა წარმოდგენილი. „მძიმე საწვავზე“ მომუშავე 4-ცილინდრიანი მოტორი კონცერნმა „ფორდმა“ შეიმუშავა და უკვე გამოიყენება არა მხოლოდ ამერიკული მწარმოებლის მანქანებზე („მონდეო“), არამედ კროსოვერზე Land Rover Freelander. მიუხედავად ამისა, სედან XF-ისთვის „იაგუარმა“ ძრავაში ზოგიერთი ცვლილება შეიტანა, მათ შორის — ახალი ინჟექტორები. გარდა ამისა, ძრავას „სტარტ-სტოპის“ სისტემით მუშაობა შეუძლია, რაც მას, კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, საწვავის 5-7%-ით დაზოგვის შესაძლებლობას მისცემს. Jaguar XF-ისთვის განკუთვნილი ახალი აგრეგატის მოცულობა 2,2 ლ-ია, ხოლო სიმძლავრე — 190 ცხძ ძრავა ZF-ის სიჩქარის გადაცემათა 8-საფეხურიანი ავტომატური კოლოფით იმუშავებს. ასეთი აგრეგატით



სედანს 100 კმ/სთ სიჩქარის განვითარება 8,5 წამში შეუძლია. „იაგუარის“ წარმომადგენელთა თქმით, შერეულ ციკლში მუშაობისას მანქანის მიერ მოხმარებული საწვავის რაოდენობა დაახლოებით 5,4 ლ-ია, ხოლო CO2-ის გამონაბოლქვი — 149 გრამი კმ-ზე. რესტაილირებულ „იაგუარს“ ძარას წინა ნაწილის განსხვავებული გაფორმება ექნება — ახალი შუქფარებით, რადიატორის მოდერნიზებული ცხაურითა და წინა პანელის შეცვლილი პლასტიკით. ცვლილება შეეხება ძარას უკანა ნაწილსა და მანქანის ინტერიერსაც. ავტომობილის ოფიციალური ფოტოები და მის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია პირველად წლეულს, აპრილის შუა რიცხვებში გამოქვეყნდა. ბოლოს დავძენთ, რომ ამჟამინდელი Jaguar XF 3-ლიტრიანი, 6-ცილინდრიანი „დიზელითაა“ ხელმისაწვდომი, რომელიც სიმძლავრით, ორი ვარიანტისაა: 240 და 275 ცხძ. ■

# Ford Fiesta-ST ბაზარზე გაისად გამოჩნდება

ჰეჩბეკის — Ford Fiesta-ST განახლებული მოდიფიკაცია ბაზარზე გაისად გამოჩნდება. ადრე გავრცელებული ცნობით, ავტომობილი EcoBoost-ის 180 ცხძ-იანი, 1,6-ლიტრიანი ბენზინის ძრავათი და სიჩქარის გადაცემათა მექანიკური კოლოფით იმუშავებს. ასევე მას მძლავრი სამუხრუჭე მექანიზმები აქვს. სავარაუდოდ 100 კმ/სთ სიჩქარეს იგი 6 წამში განავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე დაახლოებით 225 კმ/სთ იქნება. Ford Fiesta ST-ის სატესტო პროტოტიპის ადრე გავრცელებული, არაოფიციალური ფოტოების მიხედვით, ავტომობილს ექნება აგრესიული ძარა, წინა ბამპერზე დიდი ჰაერშემაკავებლებით, ახალი უკანა სპოილერითა და განსხვავებული უკანა ბამპერით. სალონში Recaro-ს სპორტული ფეხსადგამებია გათვალისწინებული. ყველაზე მძლავრ „ფიესტაზე“ დიდ ბრიტანეთში მინიმალური ფასი 16,5 ათასი გირვანქა სტერლინგი იქნება. ■



# ორი კონცეპტ-ავტო „სუძუკისგან“

ნიუ-იორკის ავტოსალონზე იაპონურმა კომპანია „სუძუკიმ“ წარმოადგინა ორი კონცეპტუალური ავტომობილი, რომლებიც სედან Kizashi-ს ბაზაზეა აგებული. პირველი გახლავთ ჰიბრიდული მოდიფიკაცია — Eco-Charge, ხოლო მეორე — Apex-ის განახლებული ვერსია. კონცეპტუალური ჰიბრიდი აღჭურვილია 144 ცხძ-იანი, ორლიტრიანი ბენზინის „ოთხიანით“, 15-კილოვატიანი ელექტროძრავათი და ლითიუმ-იონური აკუმულატორების 115-ვოლტიანი კომპლექტით. მანქანას ენერგიის რეგენერაციისა და „სტარტ-სტოპის“ სისტემებიც აქვს. კომპანიას მანქანის ყველა მახასიათებლის შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არ გამოუქვეყნებია, მხოლოდ ისაა დაზუსტებული, რომ ქალაქგარეთ მოძრაობის ციკლში ჰიბრიდი Kizashi სტანდარტულ ავტოსთან შედარებით, დაახლოებით 25%-ით ნაკლებ საწვავს მოიხმარს. ვერსია Apex-ს 2,4-ლიტრიანი, 4-ცილინდრიანი ბენზინის ძრავა და მაღალწარმოებადი ინტერკულერი აქვს. „სუძუკის“ მონაცემებით, ასეთი დამატებებით მოტორის სიმძლავრე 185-დან 275-300 ცხძ-მდე გაიზარდა. გარდა ამისა, წინაამძრავიანი მოდიფიკაციის ახალი გამომშვები სისტემა, სპორტული სავარძლები და „იოკოჰამა ეს დრაივის“ მიერ დამზადებული 245/35 ზომის საბურავებიანი 19-დუიმიანი მსუბუქი შენადნობის საბორბლე დისკები აქვს. იაპონური მარკის წარმომადგენელთა თქმით, ორივე მანქანა მხოლოდ შოუსთვისაა განკუთვნილი და მათი სერიულ წარმობაში ჩაშვება ჯერჯერობით არ იგეგმება. ■










ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

შემდგენელი თემურ ივანიძე

რომელიც თითქმის მთელი ცხოვრება კერვით ირჩენდა თავს, ვაჟა-ფშაველას გვერდით დაკრძალეს.

17. ერთი ახალგაზრდა ცენტურიონი კეისარმა სამხედრო ბანაკიდან ლოთობისთვის დაითხოვა. როგორ უნდა დავბრუნდე სახლში, რით უნდა ვიმართლო თავი საკუთარ მამასთანო?! — წუხდა ცენტურიონი. — უთხარი, რომ უკმაყოფილო იყავი ჩემითო, — მხრები აიჩეჩა კეისარმა.

18. რუზველტი II მსოფლიო ომს ევროპული იმპერიალიზმის დაპირისპირებად მიიჩნევდა და სწამდა, ამ დაპირისპირებას რუსეთი მოუღებდა ბოლოს. „ევროპელები უნდა შეეგუონ რუსების ჰეგემონობას და იმედი იქონიონ, რომ 10-20 წელიწადში ევროპასთან დაახლოებული რუსეთი აღარ იქნება ისეთი ველური, როგორიც აქამდე იყო“, — ამბობდა შეერთებული შტატების პრეზიდენტი.

19. პომპეუსის მხარეზე გადასულმა ციცერონმა მალე ინანა საკუთარი არჩევანი. მისმა ერთგულმა მოკავშირე კატონმაც კი გააფრთხილა: „უგუნურება ჩაიდინე, ციცერონ, როცა კეისარი მტრად გადაიკიდე და ამის გამო ყველა იმ საფრთხის გაზიარება მოგიწევს, რაც პომპეუსის მომხრეებს მოგველის“. მოგვიანებით, ერთ რომაელს, რომელიც წუხდა, პომპეუსთან გამოქცევისას სიჩქარეში საკუთარი ცხენი მივატოვეო, ციცერონმა დასცინა: „შენ საკუთარ ცხენზე უფრო უკეთ გიზრუნია, ვიდრე საკუთარ თავზე!“

20. ერთხელ დიოგენეს ჰკითხეს, — რატომ არ გსურს, მიჰბაძო ფილოსოფოს კალისთენეს, რომელიც საამურ ცხოვრებას ეწევა ალექსანდრე მაკედონელის სამეფო კარზეო? დიოგენემ ამოიოხრა: რა უბედურია ის ადამიანი, რომელიც საუზმობს, სადილობს, ვახშმობს, წვება და დგება მაშინ, როცა ეს ალექსანდრეს მოეხასიათებაო.

21. „საიდუმლო სერობა“ ლეონარდო და ვინჩის, ჰერცოგმა ლოდოვიკო სფორცამ შეუკვეთა და მხატვრისგან ყოველდღიურ ანგარიშსაც მოითხოვდა. ერთხელ ჰერცოგმა და ვინჩის საყვედურიც კი უთხრა, — რაშია საქმე, სამუშაოზე რატომ ვერ გხედავენო? მხატვარმა ამოიხრა: ქალაქში დავდიოდი და ისეთ ადამიანს ვეძებდი, რომლისგანაც იუდას სახის დახატვას შევძლებდი და თუკი ჩემი ძიება წარმატებით არ დაგვირგვინდება, იძულებული გავხდები, ნატურად თქვენი თანაშემწე აბატი გამოვიყენო, რომელიც ჩემი დასმენის გარდა, არაფერს აკეთებსო.

# „ბავშვობაში წიგნებთან ერთად ვიძინებდი“

**მას ყველაზე მეტად სათავგადასავლო ჟანრის ლიტერატურა იზიდავს. ცხოვრებისეულ ამბებს ყოველთვის დიდი სიამოვნებით ეცნობა. ფანტასტიკა ის სფეროა, რომლითაც ყველაზე ნაკლებად ინტერესდება. ბავშვობაში წიგნებთან ერთად იძინებდა, ბევრჯერ სანთლის შუქზეც წაუკითხავს. გიჟდება პოეზიაზე; გალაკტიონის, მუხრან მაჭავარიანის, ტერენტი გრანელის, ლადო ასათიანის, მურმან ლებანიძის შემოქმედებაზე შეუძლია, დაუსრულებლად ილაპარაკოს. ზეპირად უამრავი ლექსი იცის. მისი ოცნებაა, პოეზიის საღამო მოაწყოს და სჯერა, რომ ამ ოცნების ასრულებას მალე შეძლებს. „ერუდიტის“ სტუმარია მსახიობი მაკა შალიკაშვილი.**

თამუნა კვინიკაძე

## პრეამბულის მაგიერ

— **მაკა, ლექსები ასე ძალიან ვინ შეგაყვარა?**

— არა მხოლოდ ლექსები, ძალიან მიყვარს წერილების კითხვაც. პოეზია ბავშვობიდანვე მიზიდავდა. ინსტიტუტში სწავლის დროს, ჩემმა პედაგოგმა — ქალბატონმა მარინა სალარაძემ ეს სიყვარული კიდევ უფრო გამიმძაფრა. მთელი ჯგუფი ბატონ გურამ სალარაძესთან სახლში ხშირად მივდიოდით, ვისხედით და პოეზიაზე ვსაუბრობდით. ერთი უცნაური ჩვევა მაქვს: როცა კარგ ნაწარმოებს ვკითხულობ და ყველაზე საინტერესო ეპიზოდს მივადგები, სურვილი მიჩნდება, რამდენიმე წინადადება მაინც ხმამაღლა წავიკითხო. ეს თვისება ბავშვობიდან გამომყვა. ხმამაღლა ყველაზე ხშირად, ოთარ ჭილაძის ლექსებს ვკითხულობ.

— **წიგნი არასდროს მოგიპარავს?**

— არა. მამაჩემს ძალიან უყვარდა წიგნები, სახლში კარგი ბიბლიოთეკა გვქონდა; თუ რამე მაქვს წაკითხული, ეს მამაჩემის დამსახურებაა: იკითხე, მეტი იკითხეო, — ამ სიტყვებს ხშირად მიმეორებდა. ვუჯერებდი, მაგრამ დღეს ვფიქრობ, რომ მეტის წაკითხვა უნდა მომესწრო, ამის გამო არაერთხელ შემომიკრავს თავში ხელი.

— **წიგნის კითხვის დროს გიტირია?**

— არაერთხელ. მახსოვს, „ანა კარენინას“ სულ ცრემლიანი თვალებით ვკითხულობდი.

— **კარგი მეხსიერება გაქვს?**

— ძალიან ცუდი, მაგრამ როლის დამახსოვრება არ მიჭირს, სცენაზე გონება არ მეთიშება.

— **„ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ანტიქრისტე მოვნათლე“, — წერდა 1725 წელს თავის დღიურში ერთ-ერთი ვენეციელი მღვდელი, რომელსაც ცოტა ხნით ადრე მოენათლა 2 კვირის ჩვილი სახელად ჯაკომო. ამ ადამიანმა 73 წელი იცოცხლა და ამ ხნის მანძილზე სარეცელი 122 ქალთან გაიყო...**

— (*მაწყვეტინებს*) ვხვდები, ვისაც გულისხმობ, მაგრამ მაინც ბოლომდე მოგისმენ.

— **მათ შორის იყვნენ მაღალი წრის მანდილოსნები, წარჩინებული მსახიობები, მოცეკვავეები. ის მოძალადე არ ყოფილა, მისი „მსხვერპლის“ უმეტესობას ის უყვარდა. სახელისა და სიმდიდრის ძიებისას თითქმის მთელი ევროპა მოიარა. იყო ჯარისკაცი, მუსიკოსი, ბიბლიოთეკარი. არაერთხელ იჯდა ციხეშიც. მიპასუხე ვისზეა ლაპარაკი?**

— კაზანოვაზე, ხომ არ ვცდები?

— **არა. რამდენი ორშაბათი შეიძლება იყოს ერთ თვეში?**

— 4.

— **მხოლოდ 4?**

— არა, ზოგჯერ შეიძლება, 3-იც იყოს.

— **ახლა კი დაიბენი.**

— დავიბენი? თებერვალში ასე არ იქნება? აბა, რამდენი? მითხარი, რა, ნუ მაწვალებ.

## „ამ ოცნებას მალე ავისრულებ“



— **თვეში შეიძლება, 4 ან 5 ორშაბათი იყოს. წელიწადის რამდენი თვეა ისეთი, რომელშიც 30 რიცხვია?**

— უმეტესობაში ასეა.

— **უფრო კონკრეტულად ვერ მეტყვი?**

— (*ფიქრობს*) 30 რიცხვი ყველა თვეშია, თებერვლის გარდა. კიდევ არ მითხრა, დაიბენიო.

— **არა, ამჯერად სწორად მიპასუხე. მსოფლიოს 7 საოცრებიდან ერთ-ერთი — ბაბილონის დაკიდებული ბაღები მეფე ნაბუქოდონოსორ II-მ ააგო...**

— (*მაწყვეტინებს*) როგორც ვიცი, მეუღლეს სიყვარულის ნიშნად აუგო.

— **ამასთან დაკავშირებით არაერთი ვერსია არსებობს. იმ ბაღიდან დღეს აღარაფერია დარჩენილი. მიპასუხე ახლა, რომელ ქვეყანას ეკუთვნის ის ტერიტორია, სადაც ბაბილონის ბაღები იყო?**

— სამწუხაროდ, ზუსტი პასუხი არ მაქვს.

— **ერაყს.**

— რა საინტერესო რამეებს მეუბნები! ჩემთან ხშირად მოდი ხოლმე, ძალიან გთხოვ.

— **მოსვლას ვერ დაგპირდები, მაგრამ ეს რუბრიკა თუ მოგეწონა, შეგიძლია, „ერუდიტი“ ჩვენი ჟურნალის ყველა ნომერში წაიკითხო. ახლა კი მიპასუხე, რომელი სახელმწიფოს გერბზეა გამოსახული თამბაქო?**

— ზუსტად არ ვიცი და სავარაუდო პასუხი გითხრა?

— **მითხარი.**

— ბრაზილია მგონია.

— **გამოიცანი. ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე მოცულობის რომელი ერთეულია მიღებული?**

— ვერ გიპასუხებ.

— **ბარელი.**

— უი! ეს ვიცოდი. არა უშავს, შემდეგ კითხვაზე გადავიდეთ.

**— კაპადოკია მისი უძველესი სახელია, სწორედ აქედან წამოვიდა წმინდა ნინო საქართველოში ქრისტიანობის გასავრცელებლად. სად მდებარეობს ეს ისტორიული ადგილი?**

— თურქეთში.

**— დაასახელე ტბა, რომლის ერთი ნაწილი საქართველოში მდებარეობს, მეორე — მის ფარგლებს გარეთ.**

— ასეთი ტბა თუ არსებობს, არც ვიცი.

**— ჯანდარის ტბა. სადაური სიტყვაა „ზახრუმა"?**

— მგონი, სპარსულია.

**— და რას ნიშნავს?**

— ამ სიტყვას არ ვამბობ ხოლმე, რაღაცას ცუდს ნიშნავს — „ცეცხლი და ნავთი შენო" თუ რაღაც ამდაგვარს (*იცინის*).

**— „არგადარჩენას". ტოკიოს ზოოპარკი, წელიწადში ერთხელ, 2 თვით იკეტება; რატომ?**

— ალბათ ცხოველები ვოლიერებიდან გამოჰყავთ, არა?

**— ვოლიერებიდან რატომ უნდა გამოიყვანონ?**

— აბა, გამრავლების პერიოდი აქვთ?

**— არა, ამ დროის განმავლობაში ცხოველებს დამთვალიერებლებისგან ასვენებენ.**

— რამდენი საინტერესო რამ გავიგე!

**— მითხარი, პოეზია ძალიან მიყვარსო, დავიწყებ ლექსს და შენ გააგრძელე: „იმ ვარდისფერ ატმებს მოვიგონებ კვლავ...**

— (*მაწყვეტინებს*) „...იმგვარადვე მდევ... იმგვარადვე მკლავ.../ ო, როგორ მომწყურდი! მწუხარეა დღე./ იმგვარივე ცა, იმგვარივე ხე.../ იგივ ქარი დაჰქრის, იღუნება ბზა./ იმგვარივე მზე, იმგვარივე გზა,/ ძლიერ... ძლიერ... ძლიერ... ვეტყვი ზენა ქარს/ იმგვარივე ხმით, იმგვარსავე ზარს". ეს გალაკტიონის ლექსია და როგორ არ მეცოდინებოდა?!

**— შენს ცხოვრებაში თუ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ხელისგულზე გატარებენ?**

— ხელისგულზე ვინ მატარებს?.. (*პაუზის შემდეგ*) არა, ზოგჯერ მატარებენ, მაგრამ მერე მაგდებენ.

**— ახლა „გადმოვარდნილი" ხარ თუ ისევ ხელისგულზე იმყოფები?**

— ხელისგულზე ვარ, მაგრამ შუაში — არა...

**— ერთმა ბრძენმა თქვა: „ფრთხილად იყავი, როცა ხელისგულზე გატარებენ, რათა თითებს შორის..."**

— „...არ ჩავარდე".

**— „...თითებს შორის უფსკრულია".**

— ძალიან მაგრად უთქვამს.

**— რომელ მხატვარს ეკუთვნის ყველაზე მეტი ავტოპორტრეტი?**

— გოგენს ხომ არა?

**— ცდები, სწორი პასუხია — რუბენსს.**

— ვერ გიპასუხე, არადა, ეს მხატვარი როგორ მიყვარს!

**— „ძლიერებს უფრო მეტად უჭირთ ამქვეყნად, ამიტომაც მუდამ დაღრენილნი დადიან ლომები, ვეფხვები და ავაზები, ხოლო თრითინები, თაგვები და ციყვები მუდამ მხიარულად დაცუნცულებენ". რომელი ქართველი კლასიკოსია ამ სიტყვების ავტორი?**

— კონსტანტინე გამსახურდია. მისი ნაწარმოებები სიგიჟემდე მიყვარს.

**— სად მდებარეობს ყველაზე პატარა ძვლები: „ჩაქუჩი", „გრდემლი" და „უზანგი"?**

— არ ვიცი.

**— ყურში.**

— მართლა? პირველად გავიგე.

**— დაასახელე ფრანგი მწერალი, რომელიც ხელმოკლე ლიტერატორებს ქირაობდა, გარკვეულ სიუჟეტს უყვებოდა და საკუთარი რომანის რამდენიმე თავს აწერინებდა.**

— ვერ დავასახელებ.

**— ალექსანდრე დიუმა-უფროსი. ვინ დაუბეჭდა სტალინს სიყმაწვილეში დაწერილი ლექსი — „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი"?**

— ილია ჭავჭავაძემ.

**— ამ ცნობილმა მსახიობმა აღიარა, რომ ახალგაზრდობაში ძალზე გაუნათლებელი იყო. ოდისევსის შესახებ პირველად მაშინ გაიგო, როცა მისი როლის შესრულება შესთავაზეს; ხოლო როცა ფილმ „სპარტაკში" მთავარ როლზე დაამტკიცეს, ეგონა, საფეხბურთო გუნდის ნახევარმცველი უნდა განესახიერებინა. დაასახელე, რომელ მსახიობზეა ლაპარაკი?**

— კერკ დუგლასზე იქნება, მაგრამ ასეთი თუ იყო, არ ვიცოდი.

**— მსოფლიო არქიტექტურის ეს შედევრი ქალაქ აგრაში მდებარეობს. იგი მონღოლთა ხელმწიფემ, შაჰ-ჯაჰანმა ააშენა, როგორც საყვარელი მეუღლის — მუმთაზ-მაჰალის აკლდამა. მშენებლობა 1630-1652 წლებში მიმდინარეობდა. მოგვიანებით იქვე დაიმარხა თვით შაჰ-ჯაჰანიც. დაასახელე ეს შენობა.**

— ტაჯ-მაჰალი.

**— ალექსანდრე დიუმა, ალექსანდრე პუშკინი, ლესია უკრაინკა, ჯორჯ ბაირონი — ჩამოთვლილი მწერლებიდან რომელი არ იყო საქართველოში ნამყოფი?**

— ვიცი, რომ დიუმა და პუშკინი ნამდვილად იყვნენ. (*ფიქრობს*) ლესია უკრაინკაზე ვფიქრობ.

**— ცდები, იგი სურამში გარდაიცვალა. ჩვენს ქვეყანაში კი ჯორჯ ბაირონი არ ყოფილა. საქართველოს რომელ კუთხეშია ბარაკონის ეკლესია?**

— ჩემდა სამარცხვინოდ, არ ვიცი.

**— რაჭაში. „საწერეთლოში ბევრი გამოჩენილი აზნაურიშვილი იყო, მაგრამ ბაქარა ბაქრაძეს კი ვერავინ შეედრებოდა. სწორედ ბაქარა ბაქრაძის შვილი იყო გლახუნა ბაქრაძე, რომელსაც თათრებმა მეტსახელი შეარქვეს", — წერდა აკაკი წერეთელი. რა მეტსახელით იყო ცნობილი გლახუნა ბაქრაძე?**

— ბაში-აჩუკი.

**— ჭადრაკის თამაში იცი?**

— არა.

**— რამდენი უჯრაა საჭადრაკო დაფაზე?**

— ვერ გიპასუხებ.

**— 64. გელათისა და იყალთოს გარდა, კიდევ სად არსებობდა აკადემია შუა საუკუნეების საქართველოში?**

— ვერ ვიხსენებ.

**— ამ მცენარის სამშობლო — ჩინეთია, საქართველოში 1993 წელს შემოიტანეს, მისი პლანტაციები პირველად ოზურგეთში გააშენეს. დაასახელე ეს მცენარე.**

— ჩაი.

**— ეს ლეგენდარული დიზაინერი 1971 წელს 87 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას XX საუკუნის სტილი №1 შეარქვეს. მისი გარდაცვალების შემდეგ, დიზაინერის გარდერობში მხოლოდ 3 ხელი გამოსასვლელი სამოსი აღმოაჩინეს. ის ამბობდა, — არაფერი ისე არ აბერებს ქალს, როგორც მდიდრული ტანსაცმელი. დაასახელე ეს დიზაინერი.**

— კოკო შანელი.

**— დაბოლოს, დაასრულე გოეთეს ცნობილი გამონათქვამი: „არაფერში ისე არ მჟღავნდება ადამიანის ხასიათი, როგორც იმაში, თუ რა მიაჩნია მას..."**

— „...ცხოვრებაში მნიშვნელოვნად".

**— „...თუ რა მიაჩნია მას სასაცილოდ".**

■

# ოჯახური მყუდროება რომ შეინარჩუნოთ...

**უკონფლიქტო ოჯახი — თუკი ასეთი საერთოდ არსებობს — იშვიათ, ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს. თუმცა, ფსიქოლოგების აზრით, მცირე კონფლიქტი, რიგ შემთხვევაში, ოჯახური პრობლემების მოგვარების ერთ-ერთი საშუალებაც კია, ოღონდ კამათი ამა თუ იმ საკითხზე კონსტრუქციული უნდა იყოს.**

**და მაინც, ჩხუბისა და სკანდალის თავიდან აცილება შესაძლებელია, თუ ჩვენს რჩევებს გაითვალისწინებთ:**



∗ შეეცადეთ უარყოფითი ენერგია ოჯახური საქმიანობით გაანეიტრალოთ — მაგალითად ხალიჩა გაბერტყეთ ან თეთრეული დარეცხეთ. ამგვარად, ორ კურდღელს ერთდროულად დაიჭერთ: ემოციებიც ჩაგიცხრებათ და დიდი ხნის წინ გადადებული საქმის დასრულებასაც მოაბამთ თავს.

∗ შეიარეთ მაღაზიებში ან უბრალოდ, ქუჩაში გაისეირნეთ. მთავარია, შინიდან გახვიდეთ. სუფთა ჰაერი განწყობილებას აუცილებლად გაგიუმჯობესებთ.

∗ როცა სევდა გულს გიმძიმებთ, გემრიელად ივახშმეთ, კარგად გამოიძინეთ და ყველაფერი გაგივლით. ოღონდ, ამ მეთოდმა ზომაზე მეტად არ გაგიტაცოთ, თორემ ახალი — წონასთან დაკავშირებული — პრობლემის წინაშე აღმოჩნდებით.

∗ ცხარე კამათი თავიდან რომ აიცილოთ, საკითხს იუმორით მიუდექით; ზოგი რამ კი — ერთ ყურში შეუშვით და მეორიდან გამოუშვით.

## კამათის დროს არ შეიძლება:

**თავის ყოველთვის უცოდველად მიჩნევა**

კონფლიქტური სიტუაციის დროს თვითკრიტიკა მოკამათეების საუკეთესო მრჩეველია.

**ჭურჭლის მტვრევა**

ეს უკვე ისტერიკაა. შეინარჩუნეთ ღირსების გრძნობა.

**ისეთი საკითხების წინა პლანზე წამოწევა, რომელიც მოცემულ თემას არ ეხება**

კამათის დროს, მხოლოდ კონკრეტული მიზეზების შესახებ ილაპარაკეთ.

**მეუღლის გაკრიტიკება და მისი ინტერესების აბუჩად აგდება**

ამით არაფერი გამოსწორდება — პირიქით, სიტუაციას კიდევ უფრო დაამძიმებთ.

**ნაცნობ-მეგობრების ოჯახების მაგალითად მოყვანა**

მსგავსი სიტუაციები სხვადასხვა ოჯახში, შესაბამისად, სხვადასხვაგვარი საბაბით წარმოიშვება.

## როგორ უნდა მოიქცეთ:

• ყველაფერი ობიექტურად — რაც მთავარია, სხვების თანდასწრების გარეშე — განიხილეთ. გახსოვდეთ, ოჯახური კონფლიქტი მხოლოდ თქვენ ორს გეხებათ.

• შეეცადეთ, ცხელ გულზე არაფერი თქვათ. მოითმინეთ, სანამ ჭექა-ქუხილის პირველი შემოტევა გადაივლის და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეთ საუბარი.

• წამოჭრილი დავის მიზეზი გარკვევით ჩამოაყალიბეთ. შეიძლება მიზეზი იმდენად უმნიშვნელო აღმოჩნდეს, რომ თავადვე გაგეცინოთ.

• ეცადეთ, იპოვოთ კომპრომისი. თუ ერთმანეთი გიყვართ და აფასებთ, არ გაგიჭირდებათ ისეთი გამოსავლის მოძებნა, რომელიც ორივესთვის მისაღებია. ■

# რას ამოიკითხავთ ტუჩებზე...

**თურმე ტუჩებს — მაშინაც კი, როდესაც ჩუმად ხართ — ბევრის თქმა შეუძლია თქვენი ხასიათის შესახებ. და მაინც, რაზე მეტყველებს ტუჩები?**



◆ მსხვილი ტუჩები — სექსუალურობისა და მგრძნობიარობის მაჩვენებელია.

◆ თხელი ტუჩები — საკუთარ თავში ჩაკეტილ, ნაკლებად კონტაქტურ ადამიანს აქვს. ის მტკივნეულად აღიქვამს გარშემო მყოფთა წარმატებებს. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, მეგობრები მისთვის ძალზე ძვირფასია და ყოველთვის მზად არის მათ დასახმარებლად.

◆ ოდნავ წინ წამოწეული ზედა ტუჩი — მიზანდასახულ, თავდაჯერებულ, თავმოყვარე და ამბიციურ ადამიანზე მიგვანიშნებს. მან კარგად იცის საკუთარი თავის ფასი. ხშირად უგულებელყოფს სხვის აზრს.

◆ ოდნავ დიდი ქვედა ტუჩი — უმეტესწილად, ეგოისტ, გაუწონასწორებელ და მერყევი ხასიათის ადამიანს აქვს. მასთან ურთიერთობა რთულია, ყოველთვის ცდილობს სხვებზე დომინირებას. ქორწინებაში უმეტესწილად ბედნიერი არ არის, რადგან მომთხოვნი ხასიათის გამო წონასწორობიდან გამოჰყავს როგორც საკუთარი თავი, ასევე მეორე ნახევარი.

◆ მკვეთრად მოხაზული კონტურის ტუჩების პატრონი არაამბიციურ ადამიანთა რიგს მიეკუთვნება. მას მცირედიც აკმაყოფილებს; არ აგებს ოცნების კოშკებს და კონსერვატიულობით გამოირჩევა. აკლია თავდაჯერებულობა და ხშირად ვარდება დეპრესიაში. ■



# თაფლის ნიღბები

## — სახის კანის მოსავლელად

### მშრალი და მოშვებული კანისთვის

აიღეთ თანაბარი რაოდენობით მრავალძარღვას, პიტნის, ჭინჭრისა და სალბის ფოთლები. დააქუცმაცეთ და მათ ნარევს 2 ს/კ მდუღარე წყალი ან ყურძნის წვენი დაასხით, შემდეგ კი 50 გ თაფლი შეურიეთ. მიღებული მასა 15 წუთით სახეზე დაიდეთ. ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

### მადეზინფექცირებელი ნიღაბი

წყლის აბაზანაზე 100 გ თაფლი ოდნავ შეათბეთ, დაუმატეთ 25 გ სპირტი და 25 გ წყალი. კარგად აურიეთ და სახეზე დაიდეთ. გაიჩერეთ 20-25 წუთი და გრილი წყლით ჩამოიბანეთ.

### მშრალი კანისთვის

1 კვერცხის გულის, 1/2 ჩ/კ თაფლის, 3-4 წვეთი მცენარეული ზეთის, 1 წვეთი ლიმონის წვენისა და 1 ჩ/კ შვრიის ფქვილის ნარევი მიქსერით ათქვიფეთ. ეს ნიღაბი არა მარტო წმენდს, არამედ კვებავს და ატენიანებს კიდეც კანს.

### „გამაახალგაზრდავებელი"

2 ს/კ პურის ფქვილი, 1 კვერცხის გული და 1 ჩ/კ თაფლი ერთმანეთს შეურიეთ. ნიღაბი რეკომენდებულია მშრალი და ნორმალური კანისთვის. არაჩვეულებრივია ნაადრევი ნაოჭების პროფილაქტიკისთვისაც. ■

# რეცეპტები ყელის მოსავლელად



• ორმაგი ღაბაბის გაჩენის პროფილაქტიკისთვის ან მის დასაპატარავებლად, ასევე — ნაკეცების მოსაშორებლად გაიკეთეთ შემდეგი სახის ყოველდღიური პროცედურა: 3-5 წუთის განმავლობაში მსუბუქად ირტყით ნიკაპსა და ყელზე მარილიან წყალში დასველებული პირსახოცი (1 ჩ/კ მარილი ერთ ჭიქა წყალზე).

• თუ ყელზე კანი მოშვებულია, გაიკეთეთ შემდეგი ნიღაბი: დასრისეთ ძალიან მწიფე ბანანი და წაისვით 10-15 წუთით. ჩამოიბანეთ თბილი წყლით. ■

# გვირილის რეცეპტები

**ნიღაბი (მხოლოდ ქერა) თმისთვის:**

აადუღეთ 2 ჩ/კ გვირილა 200 მლ წყალში, დაუმატეთ 1 ჩ/კ თაფლი, ოდნავ შეაგრილეთ და შეიზილეთ თმაში. თავზე შემოიხვიეთ ცელოფანის პარკი და შემდეგ პირსახოცი. დაიტოვეთ 1 საათი, შემდეგ ჩამოიბანეთ.

**წონის დასაკლებად:**

დღეში 2-ჯერ, დილა-საღამოს დალიეთ თითო ჭიქა გვირილის ნაყენი (1 ჩ/კ 1 ჩ/ჭ წყალზე). გვირილა ძალიან კარგი საშუალებაა ორგანიზმიდან წიდების გამოსადევნად; არეგულირებს ნაწლავების მუშაობას.



**სახის კანისთვის:**

დილა-საღამოს სახე და ყელი ჩამოიბანეთ გვირილის ნაყენით. ეს ბევრად უფრო ეფექტიანია, ვიდრე — სახის გამწმენდი რძე ან გელი. გვირილის მოხმარების შედეგად კანი უფრო რბილი და ელასტიკური ხდება, სახე ბუნებრივ ფერს მიიღებს და გამონაყარიც გაქრება.

**თვალების სიწითლის დროს:**

აადუღეთ გვირილა (1 ჩ/კ 1 ჩ/ჭ წყალზე), დაასველეთ მასში საფენი (ბამბა ან მარლა) და დაიფინეთ თვალებზე 10-15 წუთით. სიწითლეც გაქრება და თვალების დაძაბულობაც მოგეხსნებათ. ■

# ხორცი ტომატის გარნირით



**მასალად საჭიროა:**

1 კგ ხბოს ხორცი;
2 ს/კ ტომატის პასტა;
4 თავი ხახვი;
2 ს/კ ფქვილი;
ზეთი — რამდენიც დასჭირდება;
მარილი — გემოვნების მიხედვით.

**მომზადების წესი:**

ბრტყლად გაჭრილი ხბოს ხორცი მოათავსეთ ზეთიან ღრმა ტაფაში ისე, რომ სანახევროდ ფარავდეს და შეწვით. გააკეთეთ ტომატის სოუსი: ცალკე მოშუშეთ ხახვი ტომატის პასტაში და დაუმატეთ მოშუშული ფქვილი, წვრილად დაჭრილი ოხრახუში და მარილი. დაჭრილი ხორცი სასურველი ფორმის ნაჭრებად, დააწყვეთ თეფშზე და გარნირად მოასხით მომზადებული ტომატის სოუსი. ■

*რუბრიკა მოამზადა ეკა ბუნთაიშვილმა*

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

# ხმაური ყურებში

**„გზის“ წინა ნომერში გესაუბრეთ იმ შემაწუხებელ მოვლენაზე, რომელსაც ყურებში ხმაურის შეგრძნება ჰქვია. განვიხილეთ, თუ რა შეიძლება იწვევდეს მას და როგორ ვებრძოლოთ. დაპირებისამებრ, პრობლემაზე საუბარს განვაგრძობთ და მკურნალობის ძირითად ხერხებს გაგაცნობთ.**



## მკურნალობა

ყურებში ხმაურის დროს მკურნალობის შედეგი დამოკიდებულია ამ მოვლენის გამომწვევ დაავადებებზე. სამწუხაროდ, მათი დიდი ნაწილი (არტერიული ჰიპერტენზია, ათეროსკლეროზი, ოსტეოქონდროზი და ა.შ.) ქრონიკულია. შესაბამისად, ხმაური ყურებში მუდმივია, პერიოდულად მისი ინტენსივობა მცირდება და ძლიერდება.

ეფექტიანი მკურნალობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს პაციენტის განწყობილებას. სამწუხაროდ, დაავადებულთა დიდი ნაწილისთვის ყურებში ხმაური მძიმე ფსიქოლოგიურ პრობლემად იქცევა, რაც მნიშვნელოვნად ცვლის მათ ყოველდღიურ ცხოვრებას. ამიტომ მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური დახმარება, ირგვლივ მყოფთა თანადგომა, რის შედეგადაც პაციენტის ყურადღება შეიძლება სხვა საზრუნავზე გადაერთოს და ხმაურის არასასიამოვნო შეგრძნებაც დაუქვეითდეს. ერთი სიტყვით, პაციენტმა ექიმისა და ფსიქოლოგის დახმარებით უნდა ისწავლოს, როგორ შეამციროს ყურებში ხმაურის შეგრძნება და ნაკლებად შემაწუხებლად აქციოს იგი.

## ყურებში ხმაური და ძილი

სამწუხაროდ, ყურებში ხმაური განსაკუთრებით შესამჩნევი და შემაწუხებელი ხდება ძილის წინ, რაც უძილობას იწვევს. შედეგად, ადამიანი გაღიზიანებული იღვიძებს და ამას ყურებში ხმაურის გაძლიერებაც მოჰყვება. ასე იკვრება მანკიერი წრე. ამ არასასიამოვნო მდგომარეობისგან თავის დასაღწევად შემუშავებულია პრაქტიკული რჩევები, რათა პაციენტმა შეძლოს ყურებში ხმაურის შემთხვევაში უკეთ დაძინება:

* ყოველდღე საწოლიდან ადექით ერთსა და იმავე დროს — ეს ძილის გაუმჯობესების მიზნით, უმნიშვნელოვანესია;
* რელაქსაცია, რეგულარული ვარჯიში აუცილებლად გაგიუმჯობესებთ ძილს; გაითვალისწინეთ, რომ უშუალოდ ძილის წინ ვარჯიში სასურველი არ არის;
* თავი აარიდეთ დღის განმავლობაში ძილს, რათა ღამით დაძინება არ გაგიჭირდეთ;
* დასაძინებლად მაშინ გაემართეთ, როცა ამის სურვილი გაქვთ და არა მაშინ, როცა დრო დგება, მაგრამ თავს ფხიზლად გრძნობთ; ამავე დროს, კარგია, თუ ძილი ნორმალური ხანგრძლივობის (8 საათი) იქნება;
* თუ დაწოლიდან 20-30 წუთში არ დაგეძინათ, ადექით, სხვა ოთახში გადით და რაიმე წყნარი, დამამშვიდებელი სამუშაო შეასრულეთ — მაგალითად, წაიკითხეთ სასიამოვნო შინაარსის წიგნი; საძინებელ ოთახს მაშინ დაუბრუნდით, როცა ძილი მოგერევათ;
* ეცადეთ, დღის მეორე ნახევარში არ მიიღოთ ყავა ან ჩაი;
* საძინებელი ოთახის ტემპერატურა უნდა იყოს ნორმალური, არც ძალიან დაბალი და არც ზედმეტად მაღალი;
* ძილის წინ, დაწოლილმა არ უყუროთ ტელევიზორს და არ წაიკითხოთ, ეს არასასიამოვნო შეგრძნებას — ყურებში ხმაურს — გააძლიერებს;
* ეცადეთ, იძინოთ მაღალ სასთუმალზე — ეს შეამცირებს თავის სისხლძარღვთა სისხლსავსეობას და ხმაურიც ნაკლებად შესამჩნევი გახდება;
* რიტმული ხმაური (სარეცხი მანქანის, რაიმე ხელსაწყოს, რადიოს, ზღვის ტალღების ან ჩიტების ჭიკჭიკის) ამ დროსაც გვეხმარება: ყურებში ხმაური ნაკლებად შესამჩნევი ხდება. ■

# შაქრიანი დიაბეტი და მცენარეები



**შაქრიანი დიაბეტი ნივთიერებათა ცვლის მოშლით მიმდინარე დაავადებაა. ამ დროს ყველაზე მეტად, ნახშირწყლოვანი და წყლის ცვლა ირღვევა. დიაბეტის დროს პირველ რიგში აუცილებელია ენდოკრინოლოგის მიერ დანიშნული მკურნალობის ჩატარება (ინსულინოთერაპიასა და სხვა საშუალებებთან), მაგრამ ამის პარალელურად, საკმაოდ მნიშვნელოვანია ფიტოთერაპია. ასეთი კომბინირებული მკურნალობა შესაბამის დიეტასთან ერთად, პაციენტის გულ-სისხლძარღვთა სისტემას, თვალის ბადურას, ღვიძლსა და თირკმლებს იცავს გართულებებისგან.**

ცნობილია სისხლში შაქრის დონის დამაქვეითებელი 150 მცენარე. ისინი შეიცავს გლუკოკინინებს — ინსულინის მსგავსი მოქმედების ნივთიერებებს. ზოგიერთ მათგანს აქვს ანთების საწინააღმდეგო, ნაღველმდენი და მატუტიანებელი მოქმედებაც. გარდა ამისა, დიაბეტის ფიტოთერაპიისას გამოყენებული მცენარეები ხელს უწყობს პანკრეასის (კუჭუკანა ჯირკვლის) დაზიანებული უჯრედების აღდგენას (რეგენერაციას), ზრდის ორგანიზმის სენსიტივობას და დაზიანებისგან იცავს ცალკეულ ორგანოთა ქსოვილებს.

გთავაზობთ შაქრიანი დიაბეტის დროს ხალხურ სამკურნალო რეცეპტებს თამარ მამაცაშვილის წიგნიდან „კარა-



ბადინი“. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ წიგნში თითოეულ რეცეპტს ახლავს ექიმის კომენტარი („კარაბადინის“ შეძენა შეგიძლიათ წიგნის მაღაზიებში).

ალსანიშნავია, რომ დაავადებასთან ჭიდილის საკუთარ გამოცდილებას მკითხველებიც გვიზიარებენ, ამიტომ გთავაზობთ ზოგიერთს, ექიმის კომენტარითურთ.

*„უკვე 20 წელია, მაქვს შაქრიანი დიაბეტი. ბოლო დროს საგრძნობლად გამიუარესდა მხედველობა, რაც ძალიან მაღელვებს, რადგან მკურნალობის შესაძლებლობა არ მაქვს. ნაცნობმა მირჩია, ყოველდღიურად მეჭამა მოცვის ნაყოფი და მესვა მისი ნახარში, რომელიც ასე მზადდება: 4 ს/კ ნაყოფს უნდა დაასხათ 2,5 ჩ/ჭ წყალი და ადუღოთ 10 წთ; მიიღოთ 1/2 ჭიქა 3-ჯერ დღეში. ჩემდა გასაკვირად, ერთი თვის თავზე საგრძნობი ეფექტი მივიღე: მხედველობა გამიუმჯობესდა, ამასთანავე, ვიგრძენი უკეთესობა კუჭისა და ნაწლავების მუშაობაში (პერიოდულად მტკიოდა კუჭი და ხშირად მქონდა ფაღარათი); გამიუმჯობესდა ვენების მდგომარეობა, აღარც ფეხები მიბუჟდება — ერთი სიტყვით, მთელ ორგანიზმზე დადებითად იმოქმედა.*

*პატივისცემით, დიანა ჯ.“*

**ექიმის კომენტარი:** მოცვი მრავალგვარი სამკურნალო ეფექტით გამოირჩევა. მის ექსტრაქტს აქვს ანგიოპროტექტორული თვისებები: ხელს უწყობს კოლაგენის სინთეზს, ზრდის სისხლძარღვთა კედლების რეზისტენტობას, აუმჯობესებს უჯრედთა მემბრანის გამავლობას, ხელს უშლის თრომბების წარმოქმნას. აქვს ანტიოქსიდანტური თვისებები. აუმჯობესებს სისხლის მაკრო და მიკროცირკულაციას თითქმის ყველა ორგანოსა და სისტემაში, განსაკუთრებით კი — თვალის ბადურა გარსის სისხლმომარაგებას. მოცვის ექსტრაქტი აძლიერებს მხედველობის პიგმენტის რეგენერაციას ბადურის ფოტორეცეპტორებში, რაც აუმჯობესებს თვალის ადაპტაციას სიბნელეში, კონტრასტულ მხედველობას და მხედველობის სიმახვილესაც. მოცვის ნაყოფში შემავალი ფლავონოიდები ანთების საწინააღმდეგოა — ისინი იცავს კუჭის ლორწოვანას მარილმჟავას მოქმედებისგან მომატებული სიმჟავის შემთხვევაში. მოცვი ეფექტიანია დიარეის (კუჭის აშლის) დროსაც. ამიტომ, მოცვის ნაყოფი გამოიყენება ფიტოთერაპიაში, მიოპიის, ბადურა გარსის ანთებითი და დეგენერაციული დაავადების დროს (მათ შორის, დიაბეტური რეტინოპათიისას), კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების დროს.

*„ჩემს დას ორი წლის წინ დაუსვეს შაქრიანი დიაბეტის დიაგნოზი. დაუნიშნეს მკურნალობა, მაგრამ არ უშველა. ერთმა ნაცნობმა ურჩია, ლობიოს მარცვლების ნაყენით ემკურნალა. რეცეპტი ძალიან მარტივია და ხელმისაწვდომი: 16-18 მარცვალი ლობიო გარეცხეთ, ჩაყარეთ მომინანქრებულ ქვაბში, დაასხით 200 გ მდუღარე წყალი, დაახურეთ ხუფი და დადგით 10 საათის განმავლობაში. მიღებული ნაყენი უნდა სვათ მთელი დღე. უმჯობესია, ლობიო ღამე დადგათ და დილისთვის მზად იქნება. ნაყენი უნდა სვათ ყოველდღიურად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ჩემი და ერთი წელი სვამდა ამ ნაყენს; ამის შემდეგ შაქარი სისხლში მთლიანად მოუწესრიგდა. ეს რეცეპტი ძალიან ეფექტიანია იმ პაციენტებისთვის, ვისაც არ სჭირდება ინსულინის ინიექციები.*

*თქვენი მკითხველი, ნორა ა.“*

**ექიმის კომენტარი:** ლობიოს მარცვლები შეიცავს ცილებს, ნახშირწყლებს, ცხიმებს, უჯრედისს, ასკორბინის მჟავას (C ვიტამინს), ჯგუფის ვიტამინებს, კალიუმს, ფოსფორს. სპილენძისა და თუთიის შემცველობით კი ლობიო ყველა ბოსტნეულს სჯობს. ის შეიცავს აგრეთვე ბევრ შეუცვლელ ამინომჟავას.

მინერალებისა და ვიტამინების შემცველობის გამო ლობიო დიეტური კვებისთვის გამოიყენება ათეროსკლეროზისა და გულის რიტმის დარღვევების დროს.

ტრადიციულ მედიცინაში ლობიოს მარცვლებისა და მწვანე პარკის ნახარში გამოიყენება რევმატიზმის, თირკმლების, ჰიპერტონიული დაავადებებისა და მარილოვანი ცვლის დარღვევისას. შესაძლოა, შაქრიანი დიაბეტის დროს მისი ეფექტიც ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებას უკავშირდებოდეს. მაგრამ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ დაუშვებელია დიაბეტის დროს თვითნებურად წამლებზე უარის თქმა და დიეტის დაუცველობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, თანაც შაქრის დონის გაუკონტროლებლად. მართლაც არსებობს მცენარეული პრეპარატები, რომელთაც ჰიპოგლიკემიური (შაქრის დამწევი) ეფექტი აქვს, მაგრამ მათი გამოყენება მიზანშეწონილია მხოლოდ დიაბეტის მსუბუქი ფორმის დროს, დიეტოთერაპიასთან ერთად, და აუცილებლად — შაქრის რეგულარული კონტროლის ფონზე. ■

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.



# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

# წვეთი პოეზია



## ილია

არაგვის ნაპირს, წიწამურთან აღმა
მივდევდი,
სადაც არაგვი არაგვიანი ასე გიჟია,
და საქართველოს მატიანე სავსე
დიდებით
გულის სიღმეში გადამიშლია.
იქ, წიწამურთან, მე არაგვის
ტალღებმა მითხრეს:
გქონდა სიცოცხლე და ღიმილი
ქვეყნის საყოფი,
შენ საქართველოს კურთხეული
ვაზივით გთხრიდნენ,
რომ არ ენახათ შენი ნაყოფი.
ამ კაკლის ჩრდილში მზეს ასწრებდი ცისკარზე ღიმილს,
ქვეყნის ვარამით გული რარიგ დაგმძიმებია.
ამას ჩიოდი: „ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი“,
შენ კი არასდროს არ გძინებია.
არაგვის პირას საწვიმარი ღრუბელი იწვა,
ქართლს რომ სცოდნოდა – ხალხი მკერდით დაგიფარავდა.
მიწა ატირდა, დალოცვილი ქართული მიწა,
და ლოდი არაგვს ცრემლებს ჰპარავდა.
ვინ გაგიმეტა, თვალზე ბინდი ვინ
გადაგიკრა,
მაგ გულისცემა რა მარჯვენას
ჩაუკეტია,
შენ ჩაგასვენეს სამარეში, ილია,
მაგრამ
შენი დიდება სამარეში არ ჩაეტია.
შემობრუნდება ცხოვრება წაღმა?
გესმის საფლავში –
შვილთა ღაღადი! ჟამთა ღაღადი!
ქვათა ღაღადი!
სანამ არაგვი წიწამურზე არ
ავა აღმა,
შენს ნათელს შუბლზე არ ჩაქრება
შუქი მარადი.

*ნოდარ დუმბაძე*



## ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

### კ

დასაწყისი იხ. „გზა“,
№2-52, 2010 — №1-17, 2011

**კუკნის** (საუბ.) — პატარ-პატარა ლუკმებით ჭამს.

**კუკრუჭანა** — იგივეა, რაც გორგომიჭელა (ჩურჩხელა ერთგვარი).

**კუკუ** — პანღური (კუკუ ამოჰკრეს).

**კუკუზნაკი** — კუდუსუნის ბოლო.

**კუკუნახი** (კუთხ.) — ბნელი, შავი.

**კუკური** — 1. იგივეა, რაც კოკორი; 2. მსხვილი წვეთი (ოფლისა).

**კუკუშელა** — საყველედ შედედებული რძე.

**კუკუხო** — თეძოს ძვლები.

**კულა** — ვიწროყელიანი, მუცლიანი სასმისი ღვინისა (სმის დროს ღვინო რაკრაკით გადმოდის).

**კულავ** — 1. (ძვ.) იგივეა, რაც კვლავ; 2. (კუთხ.) უწინ, წინათ.

**კულავს** (კუთხ.) — იგივეა, რაც ნაბავს.

**კულიჩი** რუს.-ბერძნ. — მრგვალი და მაღალი ტკბილი ნამცხვარი.

**კულმუხო** — მაღალი მრავალწლოვანი სამკურნალო ბალახი.

**კულუხი** (ისტ.) — ღვინის საბატონო გადასახადი.

**კუმეტი** — ძალიან ბნელი (ღამე); შავი — კუნაპეტი.

**კუმისი** თურქ. — ცხენის (აგრეთვე აქლემის) რძისაგან დამზადებული სასმელი.

**კუმკუმა** (ძვ.) — ლითონის (ხშირად ვერცხლის) ვიწროყელიანი ჭურჭელი წყლისათვის.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# მორიგანი
## აჩრდილთა დედოფალი

დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52, 2010 - №1-17, 2011

მარი ჯაფარიძე

ლევანთან სანდრო და დონა დამხვდნენ. კარი ჩემი გასაღებით გავაღე და დონას სამზარეულოს შესასვლელთან შევეჯახე. არ მესიამოვნა მისი დანახვა — მივხვდი, სანდროც აქ იქნებოდა და თანაც, ლევანთან მნიშვნელოვან თემაზე მინდოდა ლაპარაკი, მათი თანდასწრებით კი ვერ მოვახერხებდი.

— ვა, მარგო? — აშკარად გაუკვირდა და თან ვიგრძენი, რომ გაუხარდა ჩემი დანახვა. — ახლა ვეკითხებოდი ლევანს შენს ასავალ-დასავალს. როგორ ხარ?

— კარგად, — ნაძალადევად გავუღიმე, — თავად როგორ ხარ?

— კარგად. ყავა უნდა მოვადუღო. გაგითვალისწინო? რომელ ყავას დალევ?

— არა, გმადლობ, რადგან ლევანს სტუმრები ჰყავს, წავალ. შენ კი ნუ იტყვი, რომ მოსული ვიყავი, კარგი?

— რა იყო, ჩვენი დანახვა გეწყინა? — დონამ ტუჩები გაბუსხა.

— მარგო, როდის მოხვედი? — კარში ლევანი გამოჩნდა. ისე შემხვდა, თითქოს ჩვენ შორის არაფერი მომხდარიყოს.

— ახლა, — მივხვდი, აქედან თავს ველარ დავაღწევდი.

ლევანმა მხარზე ხელი მომხვია, თავისკენ მიმიზიდა და თავზე მაკოცა.

წასვლა გადავიფიქრე — მაინც არ გამიშვებდა და ოთახში შევყევი. სანდრო დივანზე იჯდა, ფეხი ფეხზე გადაედო და ლუდს პირდაპირ ბოთლიდან წრუპავდა. ჩემს დანახვაზე წამოწითლდა და მტრულად შემომხედა. ვერ მივხვდი მისი ასეთი მზერისა და განრისხების მიზეზს. ვიფიქრე, იდილია რომ დავურღვიე, იმის გამო გაბრაზდა-მეთქი.

მის გვერდით დავჯექი და გავჩუმდი.

— ლუდს დალევ? — უფრო ზრდილობის გამო შემომთავაზა.

უარი ვუთხარი.

როგორც ჩანს, მას და ლევანს საქმიანი საუბარი ჰქონდათ და გააგრძელეს. მე კი ტელევიზორის ეკრანს ვუყურებდი და ისეთი გამომეტყველება მქონდა, თითქოს ძალიან მაინტერესებდა, რასაც ვხედავდი. სინამდვილეში კი ყურები დაცქვეტილი მქონდა, რომ ერთი სიტყვა არ გამომპარვოდა მათი საუბრიდან.

— მარგო, რამ მოგაფიქრა ასე გვიან ჩემთან მოსვლა? მოგენატრე? — ლევანმა თვალი ჩამიკრა.

— სალაპარაკო მქონდა, — ისეთი ტონით ჩავიბურტყუნე, რომ მიხვდა, ამ თემაზე ლაპარაკი აღარ უნდა გაეგრძელებინა.

იქ ჯდომას სამზარეულოში, დონასთან ყოფნა მერჩივნა და მივაკითხე.

ჩაიდანი ჩაერთო, თვითონ კი ფანჯარასთან იდგა და გარეთ იყურებოდა. ხმაურზე მოიხედა. ისევ გამიღიმა და იმდენი სითბო გამოამჟღავნა, რომ პირველად ვიგრძენი სინდისის ქენჯნა ჩემი დღევანდელი საქციელის გამო — ჩემი ერთი მამაკაცი მისი მამა იყო, მეორე — ქმარი. ის კი ასე თბილად მიღიმოდა... სიმართლე რომ სცოდნოდა, ალბათ ახლა თვალებს ამომკორტნიდა. რაღაცნაირი, „სუფთა“, ალალი და მიამიტი იყო დონა. მამამისივით „გაცვეთილი“ არ გახლდათ. ამას პირველი შეხვედრისთანავე მიხვდებოდი. სანდროს სწორედ ასეთი ცოლი სჭირდებოდა — თავის ჭკუაზე ათამაშებდა და თვითონ კი როგორც უნდოდა, ისე იცხოვრებდა.

ცოტა ხანს მეც სამზარეულოში დავყავი, ყავის მომზადებაში მონაწილეობა მივიღე და ორივე ერთად დავბრუნდით მამაკაცებთან. ხელში ლანგარი მეჭირა, რომელზეც ყავის ფინჯნები ელაგა; დონამ ისინი მაგიდაზე ჩამოდგა და ქმრის გვერდით დაჯდა.

— მე წავალ, — ხმადაბლა ვთქვი. თითქოს არც მინდოდა, ვინმეს გაეგონა და გასასვლელისკენ გავემართე.

ლევანმა მომაბრუნა.

— ჩვენც მალე წავალთ, — სანდროს ხმას ირონია შეჰპაროდა, — ხომ, საყვარელო? — ჰკითხა ცოლს და ხელი მოხვია.

— ჰო, ყავას დავლევთ და წავალთ.

— სტუმრები წავლენ, ჩვენ კი სალაპარაკო გვაქვს, — ლევანმა მკლავში ხელი მომკიდა და ლამის ძალით ჩამსვა სავარძელში.

წინააღმდეგობა აღარ გავუწიე, რადგან მინდოდა, რაც შეიძლება მალე დამესვა წერტილი ჩვენი ურთიერთობისთვის. ეს ან იმ დღეს უნდა გამეკეთებინა — ცხელ გულზე, ან დიდი ხნით გადაიდებოდა.

— სტუმრებს როდის აქეთ ვერ იტან? — სანდრომ ისევ ღვარძლი გაურია ხმაში.

— რა უფლება მაქვს, ლევანის სტუმრების მიმართ პრეტენზია მქონდეს? უბრალოდ, არ მინდოდა, იდილია დამერღვია, — თავის მართლებასავით გამომივიდა ნათქვამი.

— დაწყნარდი, ჩვენ გვინდა, რომ აქ იყო, — სანდრო ყავის ფინჯანს დასწვდა და ხმაურით მოხვრიპა სითხე.

გამომწვევად იქცეოდა და გადავწყვიტე, ემოციას არ ავყოლოდი — მშვიდად დაველოდებოდი მისი და დონას წასვლას.

ნახევარ საათში მე და ლევანი მარტო დავრჩით. სტუმრები გააცილა და ოთახში დაბრუნდა თუ არა, მაშინვე დაინტერესდა, რა იყო ჩემი მისვლის მიზეზი.

— რამ შეგაწუხა, აღარ იტყვი?

— ჩვენზე სალაპარაკოდ მოვედი, — თვალს ვერ ვუსწორებდი, — გუშინდელი ამბის მერე ჩვენ ერთად ველარ ვიქნებით! — მტკიცედ ვთქვი, რითაც იმას გავუსვი ხაზი, რომ ამ გადაწყვეტილებას ვერავინ შემაცვლევინებდა.

— ეს შენ გადაწყვიტე ასე?

— რა თქმა უნდა! აბა, ვინ გადაწყვეტდა?

— მე არ უნდა ვმონაწილეობდე ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენების განვითარებაში?

— თუ შენთვის მნიშვნელოვანი ვარ, ისე არ მომექცეოდი, როგორც გუშინ...

— მარგო, კარგად მომისმინე: ვერსად წახვალ. მოსვლა შენი ნება იყო, მაგრამ წასვლაზე ჩემი ნებართვა გჭირდება. შენ აქ დარჩები და რამდენჯერაც შენს მშვენიერ ბაგეთაგან წამოგცდება, — შენი საქმე არააო, ყოველთვის გუშინდელი ამბავი განმეორდება — ანუ ჭკუაზე მოსაყვან ღონისძიებას მივმართავ, მაგრამ ეს ყოველთვის ხელის გარტყმა როდი იქნება! ზოგჯერ შესაძლოა, გაიროზგო კიდეც.

— ლევან, ტყუილად ლაპარაკობ, ყველაფერი დამთავრდა! — ფეხზე წამოვხ-

ტი და სიბრაზისგან სახეზე წამოვჭარხ-ლდი.

— შენისთანა ლამაზი ქალისთვის გაბრაზება საშიშია, მომხიბვლელობას გიკარგავს, — მისმა მშვიდმა ხმამ წონასწორობიდან გამომიყვანა, თუმცა, გარეგნულად სიმშვიდე მაინც შევინარჩუნე.

— ლევან, დამიჯერე, ჯობია, „დავიშალოთ“, ჩვენ ერთმანეთს ვერ გავუგებთ, რადგან სხვადასხვაგვარი შეხედულება გვაქვს ცხოვრებაზე და თითქმის ყველა საკითხზე.

— ცოლად გამომყევი, მარგო, — თვალი თვალში გამიყარა.

მოულოდნელობისგან შევხტი.

— შენ გგონია, ეგ რამეს შეცვლის? არ მინდა შენი ცოლობა! არავითარ შემთხვევაში! — ხმას კატეგორიული ტონი მივეცი, მაგრამ ცოტა მაინც მოვლბი.

— ქორწილი 1 თვის შემდეგ დავნიშნოთ, — ისე გააგრძელა ლაპარაკი, თითქოს ჩემი პროტესტი არც გაუგონია.

შინიდან რომ მოვდიოდი, გადაწყვეტილი მქონდა, ლევანისთვის ჩემი და სანდროს ურთიერთობის შესახებ მეთქვა და რაც მარტო დავრჩით, იმის მერე ენაზე მადგა — მინდოდა, სიმართლე პირში მიმეხალა, მაგრამ მივხვდი, რომ ამას ვერ გავაკეთებდი, გამბედაობა არ მყოფნიდა, რადგან მისი საშინელი რეაქცია წინასწარ ვიცოდი.

ლევანი მომეხვია და გულზე მიმიკრა. ლოყა თავზე დამადო და პატარა ბავშვივით გამანანავა.

— დარჩი დღეს ჩემთან, ხვალ ერთად მოვიფიქროთ, როგორ მოვიქცეთ.

— კარგი, ოღონდ ერთი პირობით: არავითარი სექსი!

— კარგი, როგორც შენ იტყვი, ისე იყოს, ოღონდ დარჩი...

მალე ჩამეძინა. ლევანს ჩემს მკლავზე ედო თავი. ღამე ჩურჩულმა გამაღვიძა. თმაზე ხელს მისვამდა და თავისთვის ჩურჩულებდა: „ჩემი ლამაზი, პატარა, ჩურჩუტი გოგო... მიყვარხარ, მარგო...“ ამას დაუსრულებლად იმეორებდა. არ ვაგრძნობინე, რომ მესმოდა, მაგრამ დავრწმუნდი, რომ ლევანისგან თავის დაღწევა ძალიან გამიჭირდებოდა და ფაქტობრივად, ვერც შევძლებდი.

დილით, როგორც ყოველთვის, როცა მასთან ვრჩებოდი, სამსახურში ცალ-ცალკე წავედით. თითქმის არ გვილაპარაკია, სულ რამდენიმე წინადადება გავცვალეთ.

როგორც ჩანს, ის ჩემგან ელოდა საუბრის წამოწყების ინიციატივას, მე კი მინდოდა, მას დაეწყო ლაპარაკი.

თათბირის შემდეგ ლიზისთან, სკოლაში წასვლა გადავწყვიტე. გოგონა გაკვეთილიდან გამოვიყვანე.

— აბა, რა მოიფიქრე? — დერეფნის კუთხეში, ფანჯარასთან მივიმწყვდიე.

— თქვენ რა მოიფიქრეთ? როგორც მახსოვს, პასუხი უნდა მოგეტანათ ჩემთვის, თანახმაა თუ არა ეგ თქვენი პატიმარი, ჩემ მიერ დასახელებული თანხა გადაიხადოს.

— თანახმაა.

— მაშინ მოსაფიქრებელი არაფერია; მითხარით, რა უნდა გავაკეთო და თქვენს განკარგულებაში მიგულეთ.

— გაკვეთილების მერე ჯონი მოგაკითხავს, მას გაჰყევი და რასაც გეტყვის, დაუჯერე, მეტი არაფერი.

— ჯონი ვინღაა? — დამავიწყდა, რომ ლიზი ჯონის არ იცნობდა და მხოლოდ ლაშასთან ჰქონდა კავშირი.

— ჩემი კაცია — ლურჯი „მერსედესით“ მოვა, 777 ნომრით. სკოლასთან დაგელოდება.

— მარგო, იცი, ჯობია, სკოლაში არ მომაკითხოს; სადმე სხვაგან შევხვდები, რადგან აქ კარგი რეპუტაცია, პატიოსანი გოგოს სახელი მაქვს და არ მინდა, ვინმემ რაიმე იფიქროს, „მერსედესიანი“ კაცი რომ მომაკითხავს, — ლიზის სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა. არადა, მეგონა, ხუმრობდა.

— კარგი, მაშინ იმ მანქანაში მასთან ერთად მეც ვიქნები. იმედია, ქალს რომ დაინახავენ, სახელი აღარ გაგიტყდება.

ლიზი ჯონის ოფისში მივიყვანეთ და საკუთარი ხელით დავაწერინეთ ახსნა-განმარტება, სადაც დაწვრილებით ჰყვებოდა, რა სიხშირით მიდიოდა მასთან „ვიპი“ და როგორ აიძულებდა, სექსუალური კავშირის დამყარებას.

— გამოდის, ყოველ ხუთშაბათს დადის კლუბში? კი, მაგრამ როგორ არ ეშინია?

— კი, წელიწად-ნახევარია, არ გაუცდენია, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე კვირას. უკანა შესასვლელიდან მანქანა პირდაპირ შენობაში შემოჰყავს. მხოლოდ შიდა კიბეზე ამოსვლა უწევს, რომელიც პირდაპირ ოთახში ამოდის. ასე რომ, გამორიცხულია, ვინმემ დაინახოს.

— გასაგებია, შენ შენი საქმე „ხუთიანზე“ გააკეთე. ახლა ჩვენი გასაკეთებელი დარჩა. ეს — დაპირებული თანხა, — მიშას ცოლის მიერ გადმოცემული 50 ათასი დოლარი გავუწოდე, — და იმედს ვიტოვებ, რომ თუ კიდევ დაგვჭირდება შენი დახმარება ამ საქმეში, უარს არ გვეტყვი და ამას წინათ მოცემულ პირობასაც აუცილებლად შეასრულებ.

— ბოზობაზე ხელს ავიღებ-მეთქი, რომ შეგპირდით? — საკუთარი თავის მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვის წარმოთქმა არც გასჭირვებია.

— ჰო, სწავლას მიხედავ და სხვანაირ ცხოვრებას დაიწყებო, რომ შემპირდი.

— მაგაზე არ იდარდოთ, ახლა რომც მეხვეწოთ, აღარც კლუბი მჭირდება, აღარც ბოზობა და აღარც თქვენი ვიპ-კლიენტი. ეს ფული კი, თხოვნა მექნება, ხვალ ჩემს ანგარიშზე ჩარიცხოთ, — ჩანთიდან სავიზიტო ბარათი ამოიღო და მაგიდაზე დამიდო, — ყველაფერი აქ წერია.

ადგა და წავიდა.

მე, ჯონი და ლაშა ერთმანეთს გაოცებული ვუყურებდით.

— მდაა, ეს გოგო ბევრს მიაღწევს ცხოვრებაში. ჭკვიანია, გამოცდილებაც აქვს დაგროვილი და მეტი რა უნდა? რა სფეროშიც უნდა მოხვდეს, დარწმუნებული ვარ, დიდ წარმატებას მიაღწევს.

— იურისტობა უნდა, — გამეცინა და ლიზის ნაწერს დავხედე.

— ჯონი, ახლა შენზეა დამოკიდებული საქმის ბოლომდე წარმატებით მიყვანა. ლიზის ახსნა-განმარტება და ლაშას გადაღებული სურათები „ვიპს“ უნდა მიუტანო და ჩვენი პირობები წაუყენო. მე დიდი სიამოვნებით გავაკეთებდი ამ საქმეს, მაგრამ მასთან ჩემი გამოჩენა არ შეიძლება. შენ კი ოფიციალურად მიშას ადვოკატი ხარ და კლიენტის გასათავისუფლებლად შეგიძლია, უკიდურეს ზომებსაც მიმართო. ასე არაა?

— ასეა, მაგრამ თუ „გამტრუპა“ იქვე, მიშა მიშველის მერე?

— კაბინეტში თუ მიხვალ და პაემანს სადმე, სხვაგან არ დაუნიშნავ, დარწმუნებული იყავი, რომ იქიდან უვნებლად გამოხვალ, მაგრამ მერე უკვე სიფრთხილე გმართებს.

— მარგო, ხიფათში გამხვევ, ვატყობ.

— კარგი, რა, ჯონი, არა გრცხვენია? ხიფათს უშინდები ვაჟკაცი? ერთი, პირველად ჭირს, ერთხელ თუ გაბედავ და დინების საწინააღმდეგოდ გაცურავ, მერე იოლია — თვითონვე დაიწყებ ინტრიგების ხლართვას და ხიფათის ძებნას. ახლა მიხვდები, როგორი სიამოვნებაა და რამდენი ადრენალინია ასეთ ცხოვრებაში.

შევნიშნე, რომ ჯონი თანდათან წელში გასწორდა და სახეზე აღბეჭდილი შიში სადღაც გაუქრა.

— ნამდვილი ფსიქოლოგი ხარ, — ლაშამ აღფრთოვანება ვერ დაფარა, — მიხარია, რომ თქვენთან დავიჭირე საქმე.

— ამბები გამაგებინე, ცნობისმოყვარეობა მკლავს, თუმცა წინასწარ ვიცი, რომ გავიმარჯვებთ.

ჯონი მეორე საღამოს შინ მეწვია და დაწვრილებით მომიყვა, რა მოხდა „ვიპის“ კაბინეტში.

— ჯერ ჩემი მიღება არ უნდოდა, — რა ადვოკატი, რის ადვოკატი, მე არ დამიბარებია და ამიტომ არ მივიღებო, — მდივანს დააბარა. ავდექი და კონვერტში ერთი ფოტო ჩავდე, რომელიც ყველაზე შთამბეჭდავი იყო და მდივნის ხელით შევუგზავნე. კარგა ხნის შემდეგ მიხმო. როგორც კი შევხედე, მივხვდი, რომ ცუდად იყო მისი საქმე — გული

ხელით ეჭირა და სადაცაა, წაიქცეოდა ნერვიულობისგან. რას ითხოვ ამის სანაცვლოდო? — პირდაპირ საქმეზე გადავიდა. ასეთი ბევრი მაქვს-მეთქი, ვუთხარი და კონვერტი წინ დავუდე, ლიზის ახსნა-განმარტებასთან ერთად. თვალი გადაავლო და შემომხედა. მე მიშას ადვოკატი ვარ-მეთქი, ვუთხარი თუ არა, მაშინვე მიხვდა, რა მინდოდა. — ყოჩაღ, ამჯერად მიშამ მაჯობა; გადაეცი, რომ ყველაფერი ისე იქნება, როგორც მას სურსო, თქვა. — მას სურს, რომ ციხიდან რაც შეიძლება მალე გაათავისუფლონ-მეთქი. თავი დამიქნია. სურათები ისევ წამოვიღე და შევპირდი, რომ როგორც კი მიშას გამოუშვებდნენ, მაშინვე მის თვალწინ გავანადგურებდი.

— ყოჩაღ! ისე, არ მეგონა, ასე იოლად და უბრძოლველად თუ დაგვნებდებოდა, — დანანებით ვთქვი.

— კარგი, რა, მარგო, ჭკვიანი კაცია, მიხვდა, რომ სხვა გზა არ ჰქონდა და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა.

— მაგრამ ცოტა მაშფოთებს მისი მხრიდან ფარ-ხმლის ასე მალე დაყრა. თუ გონს მოსვლის შემდეგ გადაწყვეტილებას არ შეცვლის და შენს განადგურებას არ შეეცდება, მაშინ ნამდვილად მოსალოცად გვაქვს საქმე.

— ვერ შეძლებს ამას, მე წინასწარ მივიღე ზომები — ვერაფერსაც ვერ დამიშავებს, — გამარჯვებულის იერი ჰქონდა ჯონის.

— რა გააკეთე?

— ამ ყველაფრის ასლები ნოტარიუსთან დავტოვე და ჩემი სიკვდილის შემთხვევაში მათი გამოქვეყნების ნებართვა ოფიციალურად დავწერე. ამის შესახებ „ვიპსაც“ ვუთხარი.

— ახლა კი მართლა გამაოცე! სიმართლე რომ გითხრა, ამას შენგან არ ველოდი. ოღონდ არ გეწყინოს, — მივხვდი, ცუდად გამომივიდა ნათქვამი.

— არა, რა უნდა მეწყინოს, როცა თავდაცვის ინსტინქტი ამოქმედდება, მაშინ ადამიანს ჭკვიანური აზრები მოსდის, — გაიცინა ჯონიმ, — სიცოცხლე ტკბილია, მარგო, და არავითარი თანხა მის კომპენსაციას არ ახდენს.

2 კვირაში მიშა გამოუშვეს, მის წინააღმდეგ სამხილის არარსებობის მოტივით.

იმავე საღამოს დამირეკა მიშას ცოლმა და ჩემთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა, მაგრამ უარი ვუთხარი — ჯონისთან იქონიეთ საქმე, მადლობაც მას დააბარეთ და აუცილებლად გადმომცემს-მეთქი. მოვერიდე მიშასთან ურთიერთობას. არ იყო გამორიცხული, რომ მისთვის თვალყური ედევნებინათ იმის დასადგენად, ვინ მფარველობდა. მე კი არავითარი სურვილი არ მქონდა, შარში გავხვეულიყავი.

ვინაიდან მიშას საქმე წარმატებით დასრულდა, ჯონის მადა გაეხსნა, — თუ ვინმეა კიდევ ასეთი, მიდი, გამოვათრიოთ ციხიდანო, მეხვეწებოდა.

საქმიდან სოლიდური თანხა ავიღეთ, რაც პატიოსნად გავინაწილეთ. გულითა და სულით მინდოდა, ამ ფულით ავტომობილი მეყიდა, მაგრამ ცოტა ხნით თავის შეკავება ვარჩიე. არ მინდოდა, კითხვები გაჩენილიყო — საიდან, როგორ, რა საშუალებით და ა.შ.

მე და ლევანი შევრიგდით. სანდროსთან კი კამათი მომივიდა:

— მარგო, შენი ნახვა მინდა, — ღამით ლევანთან სტუმრობის 1 კვირისთავზე დამირეკა.

— სალაპარაკო არაფერი გვაქვს! — მოჭრით ვუთხარი.

— ასე ფიქრობ? სალაპარაკო სწორედაც რომ გვაქვს.

— სანდრო, შენთან არაფერზე არ მსურს ლაპარაკი, თუ რასაკვირველია, საქმე არ მოითხოვს ამას, — ყურმილი დავკიდე.

მართალია, რამდენიმე დღით ადრე ლევანს ცოლად გაყოლაზე უარი ვუთხარი, მაგრამ მაინც შევურიგდი და გადაწყვეტილი მქონდა, სანდრო თავიდან მომეშორებინა და ის დღეც დამევიწყებინა, რომელმაც ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

სანდრომ ვერ მოისვენა და სატელეფონო საუბრის შემდეგ დილას, ლალის სახლთან დამხვდა. ის იყო, ტაქსის ხელი ავუწიე, რომ მანქანა ფეხებთან დამიმუხრუჭა.

— დაჯექი, სამსახურამდე მე მიგიყვან, — ჩამოწეული მინის სიღრმიდან მიმიპატიჟა და მეც მიწვევა მივიღე, — ბუნებრივია, ძალიან მაინტერესებდა, რას მეტყოდა.

— ძლივს ერთი ღამით დარჩი სახლში... ალბათ, ლევანს შეურიგდი და ახლა ამის აღსანიშნავად, ვნებიან ღამეებს ჩუქნი.

— მე და ლევანი დაქორწინებას ვაპირებთ, — მშვიდად ვთქვი; თან სანდროს რეაქცია მაინტერესებდა.

— შენ რა, გაგიჟდი?!. ამას არ დავუშვებ, მარგო!

— რატომ? ჩემნაირი სიდედრი არ გინდა თუ ფიქრობ, რომ მემკვიდრეს გავუჩენ და ქონება დონას აღარ დარჩება?

— ქონების დედაც! მარგო, შენ ლევანის ცოლი არ გახდები!

— მზე მაღლა იქნება, ისე გავხდები...

— ლევანს საერთოდ უნდა დაშორდე!

— რატომ? — ამას ნამდვილად აღარ მოველოდი.

— იმიტომ, რომ მიყვარხარ და საშინლად ვეჭვიანობ... იმ ღამით იქ მოსული რომ დაგინახე, ლამის თვალთ დამიბნელდა. შინ რომ წავედი, სულ იმაზე ვფიქრობდი, როგორ დაგიკოცნიდა ლევანი იმ ტუჩებს, რომელსაც რამდენიმე საათის წინ მე ვკოცნიდი... ამან ჭკუიდან გადამიყვანა...

— სანდრიკ, გინდა, სიმამრს ქალი „დააწეროო“? — ხმამაღლა გავიცინე. — იცი, რას გიზამს ლევანი, ეს რომ გაიგოს? არც მე დამადგება კარგი დღე და არც — შენ.

— ვიცი, მაგრამ არ მაინტერესებს! გესმის, მარგო? შენ გარდა არავინ მაინტერესებს! აქამდე არ ვიყავი ასე გაგიჟებული, მაგრამ იმის მერე, რაც ჩვენ შორის მოხდა, გონებიდან ვერ გიცილებ, გამუდმებით შენზე ვფიქრობ, შენთან მინდა, მარგო! — ჩემს სახელს წარამარა იმეორებდა და მიმქრალი ხმით მელაპარაკებოდა, სათქმელს ნაწყვეტ-ნაწყვეტ მეუბნებოდა, დროდადრო კი გამშრალ ტუჩებს ენით ისველებდა. ვხედავდი, როგორ ყლაპავდა ნერწყვს და ამ დროს ხორხი როგორ აუდ-ჩაუდიოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ პირი უშრებოდა; გამოდის — ნერვიულობდა. ამას ვერ ითამაშებდა... გარკვეულწილად, მესიამოვნა კიდეც მისი ასეთ მდგომარეობაში ხილვა.

ხელი მუხლზე დამადო და ნელ-ნელა ზევით ააცურა, მაგრამ ხელი ვკარი და მოვიშორე.

— სანდრო, ეს ჩვენ შორის აღარ მოხდება! ისიც უნდა დაივიწყო, რაც იყო. ძალიან დიდი შეცდომა დავუშვით ორივემ და თუ ღმერთმა ის ერთი გვაპატია, იმ იმედით, რომ კიდევ მოგვეტევება, მორიგი შეცდომა არ უნდა დავუშვათ.

— მარგო, მზად ვარ, ყველა და ყველაფერი მივატოვო, დავთმო, ოღონდ შენ გვერდით ვიყო...

— არა, არაფერი გამოვა...

— ვიცი, რომ გიყვარვარ...

— არ უარვყოფ, მაგრამ ეგ იმას არ ნიშნავს, რომ შენი სიყვარულის გამო ცხოვრება დავინგრიო. თუ შენც ასე გიყვარდი, მაშინ დონაზე კი არა, ჩემზე დაქორწინდებოდი.

— მაშინ არ ვიცოდი, თუ ასე მიყვარდი. მეგონა, ჟინი მამოძრავებდა და ვფიქრობდი, რომ თუ შენთან სექსი მექნებოდა, ჩემთვის ჩვეულებრივ გოგოდ გადაიქცეოდი, მაგრამ ასე არ მოხდა... ახლა მივხვდი, რომ მიყვარხარ და უშენოდ ცხოვრება არ მინდა.

— ფუჭია მაგაზე ლაპარაკი... ლევანს ცოლობაზე უარს არ ვეტყვი და მით უმეტეს — არ დავშორდები...

— მოგიწევს, მარგო, — რაღაცნაირად ჩაიცინა, — ნუ მაიძულებ, ძალით გაგაკეთებინო ის, რაც არ გინდა...

— რას გულისხმობ?

— აი, ამას, — „ბარდაჩოკიდან“ შავი ცელოფანის პარკი ამოიღო და ღიმილით გახსნა.

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***




რუსუდან ბერიძე

დასაწყისი იხ. „გზა" №51, 2010 – 1-17, 2011

ორდენიძე ლევანს ისე დააკვირდა, თითქოს პირველად ხედავსო.

— რას მიყურებ? — წარბიც არ შეუხრია ახვლედიანს. — „ანტიკვარი" ვის არ ამოადგმევინებდა ენას... ახლა სად არის?

— საიმედო ადგილზეა.

— კარგად გაუფრთხილდი, არსად დაგვეკარგოს, — ჩაიქირქილა ახვლედიანმა, — ნუთუ ვერ ხვდები, რომ ოფიციალური გიჟის ჩვენებას სასამართლო ყურად არ იღებს?

— მაგაზე ნუ იდარდებ. ის მითხარი, კოლექციონერების გვამებს სად აქრობდით?

— არ ვიცი და არც მაინტერესებს. ამას „ანტიკვარი" და მისი დამქაშები აგვარებდნენ. მგონი, სადღაც ქალაქგარეთ გაჰქონდათ. ჰკითხე მოსეშვილს და გეტყვის.

— ვერ მეტყვის, რადგან უკვე მკვდარია.

— მართლა? ამას მიმალავდი? ახია მასზე, სიშლეგემ დაღუპა.

— შენ კიდევ — სიხარბემ. ამდენი ხნის მეგობრები იყავით შენ და მარი და მაინც არ დაინდე. მარტო გაძარცვა კი არა, მოკვლაც დაუპირე. რა იყო, ვერაფრით გაძეხი?

— მორჩი მორალის კითხვას. მარის მოკვლას არ ვაპირებდი. მისი სურათების ნაწილის „დათრევა" მინდოდა. აბა, მარტოხელა ქვრივს ამდენი ქონება რაში სჭირდებოდა?! მეათედიც რომ დარჩენოდა, სიცოცხლის ბოლომდე მაინც უზრუნველად იცხოვრებდა.

— „ჟუჩოკებიც" შენ დააყენე მის ბინაში?

— ამის გაკეთება სულაც არ გამჭირვებია, რადგან მარის ხშირი სტუმარი ვიყავი. მაგრამ შენ კი ვერაფერი მოგიხერხე და თეატრში წასვლაც ამიტომ მოვიგონე.

— მარის მანქანის აფეთქება და სნაიპერის ნასროლი ტყვიაც შენი ნახელავია?

— ისე, მაგარი იღბლიანი ხარ, ორჯერვე ბეწვზე გადარჩი. მაგრამ აი, იორდანიშვილის მკვლელობა კი მაგრად აგკიდე და არა მგონია, გამოძვრე. ამიტომ სანამ გარეთ ხარ, გირჩევ, თავისუფლებით დატკბე...

— მარისთვის სროლა აუცილებელი იყო?

— სხვა რა გზა მქონდა? ჩემი შემოგზავნილი კაცი მძიმედ იყო დაჭრილი და მისი თავიდან მოშორება გახდა საჭირო. შენი ძვირფასი მარი კი სწორედ იმ დროს წამომადგა თავზე. დარჩენილიყო თეატრში და არაფერი მოუვიდოდა.

ამ სიტყვების გამგონე გამომძიებელმა ხელები მომუშტა.

— ტყუილად ცოფდები. ყველაფერი მართლა ასე იყო.

— ლალიმ თუ იცის, სინამდვილეში ვინ ხარ?

— ლალიმ? — დამცინავად გაეღიმა ლევანს. — აბა, იმ ქათამმა რა უნდა იცოდეს? მაგრამ კარგი სამსახური კი გამიწია. მარი ხომ მისგან გავიცანი და ამ გზით იმ სახლშიც შევაღწიე, სადაც ცნობილი კოლექციონერები ხშირად იკრიბებოდნენ. ასეთი ადგილი კი, მოგეხსენება, ინფორმაციის როგორი უშრეტი წყაროცაა. იცი, როგორ მიხარია, ბოლოს და ბოლოს, ამ მართლა ქათამ ლალის თავიდან რომ მოვიშორებ?

— ანუ გამოდის, რომ ოფიციალური ჩვენების მიცემას აპირებ, ხომ?

— იდიოტი ხომ არ გგონივარ, რა ჩვენებაზე მელაპარაკები?

— აბა, რისი იმედი გაქვს?

— ხუმრობ? — ჩაეცინა ლევანს. — ჩემ წინააღმდეგ ხომ არავითარი სამხილი არ არსებობს? მთავარი მოწმეებიც მკვდრები არიან.

— ყველა?

— ყველა.

— მარი?

— შენ ის უბედური ცოცხალი გგონია? — დამცინავად გადახედა ახვლედიანმა უძრავად მყოფ მარის. — სასწაულიც რომ მოხდეს და მდგომარეობიდან გამოვიდეს, საკითხავია, როდის მისცემს ჩვენებას. ანდა, რა უნდა თქვას? მას მძარცველის მოგერიების მიზნით ვესროლე.

— სამალავში ნაპოვნ სურათებზე შენი თითის ანაბეჭდებზე რაღას იტყვი?

— კარგი, რა! ჩემი სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, განა ერთ და ორ ძვირფას ტილოს თუ სხვა კულტურულ ფასეულობას გაუვლია ჩემს ხელში?

— შენ წინააღმდეგ მაინც იმდენი სამხილი დაგროვდა, პროკურორი არც კი დაფიქრდება, დაპატიმრების სანქციას ისე გასცემს.

ამ სიტყვების გამგონე ახვლედიანს უკვე ხარხარი აუტყდა:

— დავიჯერო, მართლა ისეთი გულუბრყვილო ხარ, რომ ამ სისულელის გჯერა? პროკურორი ჩემი დაპატიმრების სანქციას არასდროს გასცემს.

— ისიც მოისყიდე?

— არა. ეს არ იყო საჭირო. უბრალოდ, მის ცოლს ვაახლე რამდენიმე ძვირად ღირებული ტილო. სხვათა შორის, ეს ქალბატონი ფერწერის დიდი მოყვარულია და მას არც სხვა მაღალჩინოსნების ცოლები ჩამორჩებიან. ზოგიერთი მათგანი კი საკუთარ სახლში პატარა ხელოვნების მუზეუმის გახსნაზეც არ იტყოდა უარს.

— უშიშროებაშიც იგივე ხდება?

— მთლად ასე არაა საქმე, მაგრამ იქაც კარგად ერკვევიან ხელოვნებაში. ამიტომ ვილაც-ვილაცებს იქაც გავუწიე გარკვეული სამსახური. და თუ დამიჭირენ, იცი, კვალი სადამდე ავა? ამიტომ სცენარის ასეთი განვითარებით არავინაა დაინტერესებული. მოკლედ, მაგრად არ გაგიმართლა, რა...

ამ სიტყვების შემდეგ ლევანმა ექიმის ხალათი გაიხადა, მოჭმუჭნა და იატაკზე მოისროლა:

— იმედია, ერთმანეთს აღარასოდეს შევხვდებით.

— ვითომ?

— დამიჯერე, ასე იქნება. ხელს ვერავინ მახლებს. აი, შენ კი კარგა ხნით ჩაგაყუდებენ, — კარი გაიჯახუნა ახვლედიანმა.

მისი გასვლის შემდეგ პალატაში ანდრო ლეკიშვილმა შემოიხედა.

— ყველაფერი ჩაწერე? — ხმადაბლა ჰკითხა მას გამომძიებელმა.

— ყველაფერი, ბოლო კადრამდე, — გაეღიმა ანდროს და ორდენიძეს კასეტა გაუწოდა...

პოლკოვნიკი — კახაბერ ურთმელიძე კაბინეტში ნერვიულად გადი-გამოდიოდა. ცოტა ხნის წინ მას თავად პროკურორმა დაურეკა და არაორაზროვნად მიანიშნა, რომ კოლექციონერების საქმე სასწრაფოდ უნდა დაეხურა, რადგან გავლენიან ადამიანებს მისი გახმაურება არ სურდათ. თითქმის უკვე დასრულებული

საქმის დახურვა პოლკოვნიკს, ცხადია, არ ახარებდა, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ პროკურორისთვის არათუ უარის თქმა, შეკამათებაც კი ძვირი დაუჯდებოდა. ამიტომაც საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე დიდხანს აღარ უფიქრია. „ახლა მთავარი ორდენიძის გაჩუმებაა, — ფიქრობდა იგი, — და თუ იმდენად სულელია, რომ არ გაჩუმდება, მაშინ...“ ურთმელიძეს ფიქრი კარზე კაკუნმა შეაწყვეტინა.

— შემოდი, — კაბინეტში სიარული შეწყვიტა და მაგიდასთან მედიდურად გამოიჭიმა პოლკოვნიკი.

კარი გაიღო და ზღურბლზე ოთარ ორდენიძე გამოჩნდა.

„ძაღლი ახსენე და ჯოხი ხელში დაიჭირეო,“ — მოიღუშა ურთმელიძე, მაგრამ ხმამაღლა არაფერი უთქვამს.

— შეიძლება?

— ხომ გითხარი, შემოდი-მეთქი! — ხმას აუწია პოლკოვნიკმა.

გამომძიებელი კაბინეტში შევიდა და კარი მიხურა.

— რამ შეგაწუხა?

— კოლექციონერების საქმის ბედი მაინტერესებს.

შუბლშეკრული ურთმელიძე კარგა ხანს ისე დუმდა, თითქოს ორდენიძის სიტყვები არ გაეგონოს, მაგრამ ბოლოს დუმილი დაარღვია და პირდაპირი პასუხისთვის თავი რომ აერიდებინა, შორიდან მოუარა:

— თუ არ ვცდები, თავად შენი საქმეც ისევ ძიების პროცესშია, ხომ?

— დიახ, ასეა, — მშვიდად უპასუხა ორდენიძემ, — მაგრამ ეს კოლექციონერების საქმის ირგვლივ კითხვის დასმის უფლებას ხომ არ მართმევს? თანაც, ამჯერად უკვე იმდენად სარწმუნო მასალებიც წარმოგიდგინეთ, რომ...

— კოლექციონერების საქმე დაიხურა, — ცივად გააწყვეტინა გამომძიებელს პოლკოვნიკმა.

— როგორ? — გაოგნდა ორდენიძე.

— როგორ და საკმარისი სამხილების არქონის გამო.

— კი, მაგრამ კასეტა? ანდა, ის...

— რას გეტყვი, იცი?.. — აზრის დასრულება არც ამჯერად აცალა პოლკოვნიკმა ხელქვეითს.

— მაინც, რას? — გაღიზიანება ველარ დამალა ორდენიძემ.

— იმას, რომ... მოკლედ, გირჩევ, ამ საქმეს შეეშვა და საკუთარს მიხედო. ხომ იცი, რომ შენი საქმე დროებითაა შეჩერებული და მისი განახლება პრობლემას არ წარმოადგენს. ასე რომ, ჭკუას მოუხმე და კოლექციონერები დაივიწყე.

— როგორ თუ დავივიწყო? — ზედმეტი დაძაბულობისგან ხმა აუკანკალდა გამომძიებელს. — საქმე ხომ გახსნილია? თქვენ კი ახლა აპირებთ...

— შენი საქმე არაა, როდის რას დავაპირებ! — მაგიდას გამეტებით დაჰკრა მუშტი პოლკოვნიკმა. — გითხარი, საქმე დახურულია-მეთქი და მორჩა! ახლა აქედან მიბრძანდი, მუშაობაში ხელი მეშლება.

ორდენიძემ ერთი ღრმად ამოიოხრა და კაბინეტიდან გავიდა.

— ჰა, როგორაა საქმე? — მაშინვე მისკენ გამოქანდა დერეფანში მომლოდინე ლეკიშვილი.

— უკეთესს ვერ ინატრებ, — ბოლმიანად ჩაილაპარაკა გამომძიებელმა და დერეფანს სწრაფი ნაბიჯით გაუყვა.

— მაინც, მაინც? — აედევნა ანდრო.

— საქმე დახურეს.

— რაო? — გაოცებისგან პირი დააღო ლეკიშვილმა.

ამასობაში ორდენიძემ საკუთარი კაბინეტის კარი ხმაურით შეაღო და ხელში შერჩენილი საქაღალდე მაგიდაზე ბრაზიანად მოისროლა:

— მართალი ყოფილა ის ახვარი ახვლედიანი, რომ მეუბნებოდა, მაინც არაფერი გამოგივაო.

— მდაა, — კეფა მოიფხანა ლეკიშვილმა, — ამას უკვე აღარ ველოდი. იქნებ ტყუილად გავხდი გამომძიებელი, ჰა?

— ნუ სულელობ, — შეუბღვირა მას ორდენიძემ, — პირველივე მარცხმა როგორ უნდა დაგაყრევინოს ფარ-ხმალი?

— ჰო, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ!.. და ისიც კარგად დაიმახსოვრე, რომ ადამიანებს მარცხი კი არა, გულგრილობა ღუპავს, გესმის?! გულგრილობა!

— მესმის, შეფ, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება: მკვლელი ისევ თავისუფლად ივლის ამ ქალაქში და ვინ იცის, კიდევ რამდენ ადამიანს გააუბედურებს.

— ახვლედიანი დაისჯება, დამიჯერე!.. ადრე თუ გვიან, სამართალი პურს შეჭამს...

მარის სანახავად მისულ ორდენიძეს პალატაში მთავარი ექიმის თავკაცობით შეკრებილი კონსილიუმი დახვდა. მთავარი ექიმი დანარჩენებს მოკლე მითითებებს აძლევდა. როცა შემოვლა დასრულდა და პალატიდან ყველა გაიკრიბა, გამომძიებელი წამით ჩაფიქრდა და შემდეგ დერეფანში სწრაფი ნაბიჯით მიმავალ მთავარ ექიმს დაეწია:

— შეიძლება, ავადმყოფი მარი მდივნის მდგომარეობის შესახებ პირადად გკითხოთ?

— მისი ახლობელი ხართ? — დაინტერესდა მამაკაცი.

— დიახ, — ქმარი.

მთავარი ექიმი მაშინვე მოიღუშა.

— ასე ცუდადაა საქმე? — ხმა შეეცვალა ორდენიძეს.

— საკმაოდ. მიკვირს, ასეთი მძიმე ჭრილობის შემდეგ როგორ გადარჩა. ალბათ ძლიერი ორგანიზმი აქვს, მაგრამ საჭირო პრეპარატები რომ გვქონდეს, სწრაფად შევძლებდით მის დახმარებას.

— რა არის საჭირო, ყველაფერს მოვიტან. ოღონდ კი რამე ეშველოს და უკან არაფერზე დავიხევ.

— მესმის, მაგრამ ძვირად ღირებულ პრეპარატებზეა ლაპარაკი.

— მაინც რამდენი დამიჯდება?

— ალბათ, ასე, 10-15 ათასი.

— ლარი?

— არა, დოლარი.

— დოლარი? — შეცბა ორდენიძე. — ამდენი ნამდვილად არ მაქვს.

— მესმის თქვენი...

— აუცილებლად ვიშოვი.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, — თანაგრძნობით შეხედა მთავარმა ექიმმა გამომძიებელს, — მაგრამ ისიც გაითვალისწინეთ, რომ ამ შემთხვევაში, ყოველ დღეს და საათსაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს...

საავადმყოფოდან გამოსულ ორდენიძეს თავში ერთი აზრი უტრიალებდა.



„არა, — გაუთავებლად იმეორებდა ის თავისთვის, — მარი არ უნდა მოკვდეს...“ უეცრად გამომძიებელი წელში გასწორდა, ჯიბიდან მობილური ტელეფონი ამოიღო და ნომერი აკრიბა.

— გისმენთ, — გაისმა ყურმილში მამაკაცის ხმა.

— ავთო თვალჭრელიძეს ველაპარაკები?

— დიახ, ბატონო ოთარ. მიხარია თქვენი ხმის გაგონება.

— მგონი, იორამ იორდანიშვილის მკვლელის სახელის გაგება გინდოდათ, ხომ?..

— აბა, ერთი ვნახოთ, როგორაა საქმე? — ყურადღებით დააკვირდა ექიმი უკვე პირშეკრულ ჭრილობას და სახეზე კმაყოფილება გამოეხატა: — გაგიმართლა, ყმაწვილო, იმდენად კარგადაა ყველაფერი, რომ დღესვე შემიძლია, შენი გაწერა.

— დიდი მადლობა, — მაისური სწრაფად ჩამოიწია გახარებულმა გოგლამ.

— მაგრამ კვირაში ერთხელ საპროცედუროში მაინც უნდა შემოიარო.

— აუცილებლად, ექიმო...

საავადმყოფოს შენობიდან გამოსვლის შემდეგ, გოგლამ ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, მაგრამ უმალ თავბრუ დაეხვა და იქვე მდგარ ხის გრძელ სკამზე ჩამოჯდა.

— გოგლა! — უცბად ხმადაბლა დაუძახა მას ვილაცამ.

გოგლამ გვერდზე მიიხედა და თვალებს არ დაუჯერა: მის წინ მოღიმარი კოტე ახალკაცი იდგა.

— მიხარია, რომ მოგისწარი, — მაშინვე გოგლასთან გაჩნდა იგი, — ეს — შენ, — უთხრა და ხილით სავსე ცელოფანის პარკი სკამზე ლამის საზეიმოდ დადო.

— აქ საიდან? — ჰკითხა ლაღიძემ. — ვინ გითხრა ჩემი ამბავი?

— ლელამ.

— თვითონ სადაა?

— წარმოდგენა არა მაქვს. დიდი ხანია, რაც არ გამოჩენილა?

— არა, ისე გკითხე, — ყოფილი კომპანიონისთვის გულის გადაშლა აღარ ისურვა გოგლამ.

არადა, უკვე მესამე დღე იყო, რაც ლელა აღარ შეხმიანებია და მისი მობილური ტელეფონიც დუმდა.

— სად გაქრი, რომ ტელეფონზეც აღარ მპასუხობდი? — ახლა კოტეს უყურადღებობით დაინტერესდა ლაღიძე.

— გეტყვი, — გოგლას მოსაკითხიდან ამოღებული ბანანი ხელის კანკალით გაფცქვნა ახალკაცმა და წამში გადაყლაპა.

— შენი შემხედვარე, კაცი იფიქრებს, დღეს არაფერი უჭამიაო.

— მარტო დღეს? — მეორე ბანანიც პირველის გზას გაუყენა კოტემ. — მეორე დღეა, პირში არაფერი ჩამსვლია.

— ალბათ, ისე „შეჯექი“ თამაშზე, რომ საჭმელადაც ველარ იცლი, ხომ?

ახალკაცი, როგორც იქნა, პარკს შეეშვა და გოგლას დამნაშავესავით შეხედა:

— რა არის, იცი?!.

— ჯერ არა, მაგრამ გისმენ.

— ოღონდ, გთხოვ, არ ინერვიულო.

— რა მოხდა? ლელას ხომ არაფერი დაემართა? მითხარი, ახლავე ყველაფერი მითხარი! — კოტეს მხარში ჩააფრინდა და გამეტებით დაუწყო შენჯღრევა გოგლამ.

ახალკაცი გოგლას ასეთ რეაქციას არ ელოდა და ლუკმა კინაღამ გადასცდა.

— დამშვიდდი, — სული ძლივს მოითქვა, — ლელას არაფერი უჭირს. სხვა რამის თქმას ვაპირებდი.

— სხვა ყველაფერი ჭირსაც წაუღია, — როგორც იქნა, ხელი გაუშვა მას გოგლამ. — გისმენ, რა გინდა?

— ჩვენი ბოლო შეხვედრა ხომ გახსოვს? — შორიდან მოუარა ახალკაცმა.

— მახსოვს.

— ფული რომ მასესხე.

— მერე?

— წავაგე.

— ბირჟაზე?

— ჰო. ყველაფერი ერთ დღეში დავკარგე: ფულიც, ბინაც, მანქანაც... — ხელები უმწეოდ გაშალა ახალკაცმა.

— ხომ იცოდი, რომ იმ ფულის გარდა არაფერი მებადა?

— ვიცოდი... ვიცი... — თავი მხრებში ჩარგო კოტემ. — მაგრამ ყველაფერს უკლებლივ დაგიბრუნებ.

— დამიბრუნებ?

— რა თქმა უნდა, ოღონდ, ცოტა უნდა მაცალო.

— მხოლოდ ამის სათქმელად მოხვედი თუ კიდევ რაღაც გინდა ჩემგან?

— ერთი სათხოვარიც მაქვს.

— ჯერ ის მითხარი, ლელამ თუ იცის ფულის წაგების ამბავი?

— კი. ყველაფერი ვუამბე.

გოგლამ მძიმედ ამოიოხრა. „ალბათ, ამიტომაც აღარ მომაკითხა, — გაიფიქრა მან, — აბა, უფულო და უქონელი კაცი რომელ ქალს სჭირდება?“

— მგონი, არ მისმენ, ხომ? — მხარზე ფრთხილად შეეხო მას კოტე.

— რა იყო?

— იმას გეუბნებოდი, რომ შენთან, ფირმაში დაბრუნება მინდა-მეთქი.

— ჩემთან? — როგორც იქნა, გოგლა მძიმე ფიქრისგან გამოერკვა.

— პირობას გაძლევ, რომ ყველაფერს პატიოსნად გამოვიმუშავებ და დაგიბრუნებ. ოღონდ, შენი კომპიუტერი და თავზე ჭერიც დამჭირდება. ჰა, რას იტყვი?

— რაც გინდა, ის გააკეთე, — ხელი უხალისოდ ჩაიქნია გოგლამ.

ლევან ახვლედიანი ჩქარობდა, რადგან ქვეყნიდან უკვალოდ გასაქრობად პროკურორმა 10 დღე მისცა. „თუმცა ცოტა მეტი მონდომების შემთხვევაში, კოლექციონერების საქმის ბოლომდე ჩაფარცხვაც შეეძლო, — ბრაზობდა გულში ახვლედიანი, — განა მისი ცოლი ერთი და ორი ძვირფასი საჩუქრით მყავდა განებივრებული? მაგრამ ასეთები სიკეთეს მალე ივიწყებენ: ბევრი სამხილი დატოვე და უკვე პრესაშიც რაღაცამ გაჟონაო. ეგეთებს გაუჟონავს? მაგრამ ჯანდაბას პროკურორის თავი. ის უფრო საწყენია, რომ ნამუშევრების სამალავს მიაგნეს და პირში ჩალაგამოვლებული დამტოვეს, მაგრამ არა უშავს, მიწაში ჩაფლულ განძს ხომ მაინც ვერავინ შემეცილება?“

ახვლედიანი დარწმუნებული იყო, რომ იმ ადგილზე იდგა, სადაც მრავალი წლის წინ საგვარეულო განძი ჩაფლეს. „აბა, ტყუილად ხომ არ ვიბრძოლე იაშვილის ნამუშევრების ხელში ჩასაგდებად?!“ — ფიქრობდა. ლევანმა ერთ გამოცდილ გეოდეზისტსაც დიდი ფული გადაუხადა და ტილოზე ყველა მანძილი ზუსტად განასაზღვრინა. „ამ განძით ყველა დანახარჯსა და დანაკარგს ამოვიღებ“, — წინასწარ ზეიმობდა და დაღამებას ელოდა, რომ მიწის თხრა დაეწყო. საქმეს შებინდებისთანავე შეუდგა. კარგად გალესილი ნიჩბის წყალობით, მიწის თხრა არ გასჭირვებია. „ასე თუ გაგრძელდა, გათენებამდე განძის ამოღებასა და აქედან გატანასაც კი თავისუფლად მოვასწრებ, — კმაყოფილებას ველარ ფარავდა ახვლედიანი, — მერე კი ამ დაწყევლილი ქვეყნიდან წავალ. ამხელა ქონების პატრონს ყველგან გულში ჩამიკრავენ. სადმე, ზღვის ნაპირზე, მდიდრულ ვილას ვიყიდი; ზედ იახტასაც დავუმატებ და მერე ნახე კარგი ცხოვრება და ნორჩი საყვარლების ცვენა“.

ლამაზ ფიქრებში გართულმა ახვლედიანმა გვიან შენიშნა, რომ მიწაში უკვე საკმაოდ დიდ სიღრმეზე იყო ჩასული, განძი კი არა და არ ჩანდა. „დავიჯერო, ასე ღრმადაა ჩაფლული? — შეფიქრიანდა. — ან იქნებ სულაც შევცდი და... არა, შეცდომა გამორიცხულია. ანდა, გეოდეზისტს იმხელა ფული ტყუილად ჩავუთვალე?! უბრალოდ, როგორც ჩანს, გრუნტი დაჯდა და ცოტა კიდევ უნდა ამოვთხარო.“ ამის შემდეგ ლევანმა ისევ ნიჩაბი მოიმარჯვა და თხრა განაგრძო. უეცრად ზემოდან რაღაც ხმაური შემოესმა. ახვლედიანი წამით გაჩერდა და მიაყურადა. ხმაური აღარ გამეორებულა. „ალბათ, მიწის თაგვებმა გაიშლიგინეს. აბა, ადამიანს აქ ამ დროს რა უნდა?!“ — თავი დაიმშვიდა და საქმე განაგრძო, მაგრამ ცოტა ხანში ხმაური მკაფიოდ გაისმა. ახვლედიანმა მაღლა აიხედა და თვალი ფარნის შუქმა მოსჭრა.

— რომელი ხარ? — შიშით გაბზარული ხმით იკითხა.

— ვერ მიცანი?

— ვერა.

— ავთო თვალჭრელიძე ვარ.

— ვინ? — მაინც ვერაფერს მიხვდა ახვლედიანი.

— შენი სულთამხუთავი.

შუაღამის სიჩუმეში მამაკაცის ხმა მრისხანედ ჟღერდა და ახვლედიანს მო-

ეჩვენა, რომ ხმა ციდან ჩამოდიოდა.

— აქ საიდან და როგორ გაჩნდი? — ძლივს ამოილუღლუღა.

— თბილისიდან მოგდევ, მაგრამ ხელი არ შეგიშალე. მაინტერესებდა, ბინას სად დაიდებდი...

— რაა?

— ისე, ღრმა საფლავი კი გაგითხრია, ხომ იცი, მაგრამ...

— რა საფლავი? — გააწყვეტინა მამაკაცს დაფეთებულმა ლევანმა.

— ...მაგრამ მაინც მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა, — სათქმელი მშვიდად დაასრულა ავთო თვალჭრელიძემ.

ეს იყო ბოლო სიტყვები, რომლებიც ლევან ახვლედიანმა გაიგონა...

შინ დაბრუნებული გოგლა ნელ-ნელა ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდა და მალე მან და კოტემ რამდენიმე სარფიანი გარიგების დადებაც მოახერხეს. ლალიძეს ნულზე დასული საქმის ადგილიდან დაძვრა უხაროდა, მაგრამ საკმარისი იყო, ლელა გახსენებოდა, რომ სევდა და უიმედობა იპყრობდა. „ასე როგორ გამიმეტა?! — ვერაფრით ინელებდა იგი. — ნუთუ იმის ღირსიც არ ვიყავი, რომ ჩემგან წასვლის მიზეზი პირადად აეხსნა?“ იმ დღესაც ის იყო, მარტო დარჩენილს ისევ ლელაზე ფიქრი მოეძალა, რომ ეზოდან მოტოციკლის ხმა შემოესმა. გოგლამ მაშინვე ყურები ცქვიტა, მაგრამ ხმა აღარ გამეორებულა. „მგონი, უკვე ჰალუცინაციებიც დამეწყო“, — დაასკვნა და ისევ კომპიუტერს მიუჯდა. მაგრამ ახლა ვილაცამ კარზე დარეკა. „კოტე იქნება, — კარის გასაღებად უხალისოდ წამოდგა გოგლა, — მაგრამ ცოტა ადრე კი მოუვიდა დაბრუნება. ალბათ, კლიენტს ვერ მოურიგდა“. ლალიძემ კარი გააღო და თვალებს არ დაუჯერა, როცა ზღურბლზე მდგარი ლელა დაინახა. გოგონა თავიდან ფეხებამდე ტალახში იყო ამოგანგლული, მაგრამ თვალები მაინც მხიარულად უციმოდა.

— დაბრუნდი? — ძლივს ამოთქვა გოგლამ.

პასუხად ლელამ მოტოციკლისტის ჩაფხუტი პირდაპირ იატაკზე მოისროლა და გოგლას კისერზე ჩამოეკიდა.

— სად გაქრი?.. რატომ არაფერი ამიხსენი?.. — კითხვას კითხვაზე აყრიდა ლალიძე. — უშენოდ კინაღამ გავგიჟდი...

ერთმანეთს გამეტებით ჩაკონებული ქალ-ვაჟი ვილაცის მორიდებულმა ჩახველებამ გამოარკვია. ლელამ უკან მიიხედა და მოღიმარი კოტე დაინახა. გოგონა მაშინვე განზე გახტა.

— გამარჯობა, ლელა, — მიესალმა მას ახალკაცი.

— გაგიმარჯოს.

— კარგია, რომ მშვიდობით დაგვიბრუნდი.

— კი, კარგია, — დაეთანხმა მას ლელაც.

— მოკლედ, ერთმანეთი მოისიყვარულეთ, მე საქმეს უნდა მივხედო, — ქალ-ვაჟს გვერდი უხერხულად აუარა კოტემ და თავის ოთახში გაუჩინარდა.

— აბა, ახლა ყველაფერი დაწვრილებით მომიყევი, — სამზარეულოსკენ გააქანა ლელა გოგლამ, — რამე საჭმელს მოგიმზადებ. ალბათ, გშია. ან იქნებ...

— გოგლა! — გააწყვეტინა ვაჟს ლელამ.

— რა იყო?

— გიყვარვარ?

— მეე? — გაოცდა ლალიძე. — ამას კითხვა უნდა? ხომ გითხარი, უშენოდ კინაღამ გავგიჟდი-მეთქი. იცი, როგორ მენატრებოდი?

— მეც... — ცრემლი მოერია ლელას. — მეც იმ დღეებს ვიხსენებდი, როცა აქ, ამ ჭერქვეშ, ბედნიერად და უზრუნველად ვცხოვრობდით...

— ლელა, — უცბად დამნაშავესავით ჩაქინდრა თავი გოგლამ, — რაღაც უნდა გითხრა.

— რა იყო?

— მართალი იყავი, როცა მეუბნებოდი, კოტეს ფული არ ანდოო. იცი, რომ ყველაფერი წააგო?

— ყველაფერი?

— ყველაფერი. ასე რომ, ახლა, ერთმანეთის სიყვარულის გარდა, აღარაფერი გვაბადია.

— ცდები, — ეშმაკურად გაეღიმა ლელას, — იცი, როგორი მდიდრები ვართ?!

— ნეტავ, მართლა ასე იყოს, — ამოიოხრა გოგლამ, — მაგრამ სამწუხაროდ, ყველაფერი თავიდან გვაქვს დასაწყები.

— ხომ გითხარი, ცდები-მეთქი, — ოთხად მოკეცილი ფურცელი გაუწოდა გოგლას ლელამ.

— ეს რა არის?

— ერეკლე იაშვილის მიერ მეუღლისადმი მიწერილი წერილი, რომელიც დაკარგული გვეგონა.

გოგლამ ფურცელი გაშალა და სტრიქონებს სწრაფად გადაურბინა.

— ეს... — სად ნახე?

— იმ საშინელ სახლში, კინაღამ რომ მოგკლეს. საწერი მაგიდის უჯრაში წავაწყდი.

— ამ წერილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იაშვილის ნამუშევარზე გამოსახულ პატარა კუბოში მიცვალებული კი არ ესვენა...



— საგვარეულო განძი იდო, — აზრის დასრულება დაასწრო ლალიძეს გოგონამ, — და იაშვილის ქალიშვილი მარიამი ამ ამბავს მთელი ცხოვრება საიდუმლოდ ინახავდა; მაგრამ როგორც ჩანს, ბანდიტებმა წამებით ათქმევინეს ყველაფერი.

— აი, თურმე, იაშვილის ტილოს ასე გაშმაგებით რატომ ეძებდნენ. მის გარეშე ხომ განძის ადგილსამყოფელს ვერ მიაგნებდნენ?

— მართალი ხარ. ჩემი ძმაც სწორედ ამ ნამუშევრის გამო მოკლეს, — მოიღუშა ლელა.

— ახლა ალბათ, ტილოცა და განძიც მათ ხელთაა.

— ნურას უკაცრავად.

— როგორ? შენ ხომ ნამუშევარი ბანდიტებს მაინც მიეცი?

— კი, მაგრამ მანამდე ისეთი რეტუში გავუკეთე, რომ განძის ადგილსამყოფელს ბანდიტები კი არა, მგონი, თავად იაშვილიც კი ვეღარ მიაგნებდა.

— ანუ? — ბოლომდე ვერ გარკვეულიყო გოგლა.

— ანუ განძის ადგილსამყოფლის გარდა, ნამუშევარზე ყველაფერი უცვლელად დავტოვე. ასე რომ, ბანდიტები ალბათ მანამ გააგრძელებენ უშედეგოდ თხრას, სანამ დედამიწის მეორე მხარეს არ გავლენ.

— თუ არავინ შეუშალა ხელი, — მრავალმნიშვნელოვნად გაეღიმა ლალიძეს.

— ბანდიტებისა არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის ნამდვილად არავის შეუშლია ხელი, — თვალები ეშმაკურად მოწკურა გოგონამ.

— როგორ? — გაოგნდა გოგლა. — შენ უკვე...

— დიახ, დიახ, — თვალი ჩაუკრა ვაჟს ლელამ და სპორტული შარვლის ჯიბიდან ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ძველებური ოქროს ბეჭედი ამოაძვრინა...

**(დასასრული)**

დასაწყისი იხ „გზა“ №2-17

# ნაადრევი ენძელები



**სვეტა კვარაცხელია**

*ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით*

gza.fantazia@gmail.com

ნუკი ხმაურმა გამოაღვიძა. თვალები გაახილა და მიიხედ-მოიხედა... ერთხანს გაოგნებული იყურებოდა აქეთ-იქით, ვერ გამოერკვა, სად იმყოფებოდა. უეცრად სააბაზანოს კარი გაიღო და გია გამოვიდა. გოგონას მამაკაცის დანახვაზე სუნთქვა გაუჩერდა. კიდევ კარგი, ის ჩაცმული (თუმცა ნახევრად) იყო, თორემ ალბათ გულიც წაუვიდოდა. მისდა უნებურად, სახეზე საბანი აიფარა.

— გაიღვიძე? — ისეთი ტონით ჰკითხა, თითქოს მათ შორის ღამით არაფერი მომხდარიყოს.

— ჰო, — ყრუდ უპასუხა გოგონამ, წამოიწია და თვალებით ტანსაცმელს დაუწყო ძებნა.

ვაი, სირცხვილო! მისი ტანსაცმელი იატაკზე უწესრიგოდ ეყარა! სასწრაფოდ წამოხტა და გამალებით შეუდგა ჩაცმას.

გიამ ტელევიზორი ჩართო. ნუკიმ თავი მოიწესრიგა და ოთახში გავიდა. გია მშვიდად (უფრო გულგრილად) იჯდა სავარძელში და ეკრანს მისჩერებოდა.

— ყავას დალევ? — გაუბედავად ჰკითხა გოგონამ.

— კი, დავლევ. სამზარეულოშია ყველაფერი.

ნუკი სამზარეულოში გავიდა და ყავის მოდუღებას შეუდგა, თან წუხანდელი ღამის აღდგენას ცდილობდა გონებაში... რაღაც ახსოვდა, რაღაც — არა... მთავარი ის იყო, რომ ვერაფრით მიხვდა, ამ ერთმა ღამემ სიამოვნება მიანიჭა თუ უსიამოვნება... ყველაფერი ნაჩქარევად მოხდა... მიუჩვეველი იყო მამაკაცთან ყოფნას, მით უმეტეს — ერთ საწოლში (თანაც შიშველი), მით უმეტეს — მოფერებას (თანაც ამდენი წელი)...

ამ დროს გია შემოვიდა.

— რატომ ხარ ასე ჩუმად? — ჰკითხა და თმაში შეუცურა თითები.

გოგონას ყრუანტელმა დაუარა.

— რა ვიცი... რა უნდა ვთქვა?

— არ გინდა, შთაბეჭდილებები გამიზიარო? — იდუმალი ხმით ჩაეკითხა.

ნუკიმ მხრები აიჩეჩა.

— ეგ არის შენი პასუხი? — გიამ თავისკენ შემოაბრუნა და თვალებში ჩახედა.

გოგონამ მზერა აარიდა.

— თვალებში შემომხედე! — ნიკაპი დაუჭირა მამაკაცმა.

— ყველაფერი კარგი იყო, — ჩურჩულით ამოთქვა ნუკიმ.

— ჰო-ო? მართალი მითხარი.

— ჰო. უბრალოდ, ცოტა დავიძაბე და... მიჭირს იმის აღქმა, რაც წუხელ იყო... დიდი ხანია, ასე არ ყოფილა.

— უარესს ველოდი, რომ იცოდე.

— უარესს?

— მეგონა, ქალიშვილი იყავი.

— ეგ შენთვის არასდროს მითქვამს, — თვალი თვალში გაუყარა ნუკიმ.

— მაგრამ არც ის გითქვამს, არ ვარო, — გაიღიმა გიამ.

— და შენთვის ეს პრობლემაა? — ცივად შეეკითხა.

— არა, რა თქმა უნდა. ისე ვთქვი, უბრალოდ...

— შაქარი რამდენი ჩაგიყარო?

— 2 კოვზი.

ნუკიმ ზურგი შეაქცია მამაკაცს და საქმე გააგრძელა. გია ოთახში გავიდა და კვლავ სავარძელში ჩაჯდა. ამ სიტყვებმა ააფორიაქა გოგონა. რაღაც არ მოეწონა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია.

ყავა ისე დალიეს, არც ერთს ხმა არ ამოუღია. შემდეგ ნუკიმ მაგიდა აალაგა და ჭურჭელი დარეცხა. გია ტელეფონს ჩაჰკირკიტებდა, როგორც ჩანდა, მესიჯებს კითხულობდა.

— მე წავალ, — ჩამქრალი ხმით თქვა გოგონამ.

— გაგაცილებ...

— არ მინდა! არ გამაცილო! — ისე იუარა, მამაკაცმა გაკვირვებით შეხედა.

— მოხდა რამე?

— არა, არაფერი. წავალ.

— დაგირეკავ, ნუუკ. არ ინერვიულო. გგონია, ვერ ვხვდები, რაც გაწუხებს? არაფერზე იფიქრო. შენს მიტოვებას არ ვაპირებ. გესმის? ამ დღეებში შეგეხმიანები, — მხარზე ხელი გადახვია მამაკაცმა, კარამდე მიაცილა, ერთი გემრიელად აკოცა და იქამდე გაჰყურებდა გოგონას, სანამ ლიფტში შევიდოდა...

მთელი კვირის განმავლობაში გიას ერთხელაც არ მოუკითხავს ნუკი. არც ზარი, არც მესიჯი გამოუგზავნია... არაფერი, არაფერი... ვერაფერს აკეთებდა, თავზარდაცემული (და ნირწამხდარი) დადიოდა წინ და უკან... აღარაფერი ახარებდა. თათულის არ გამოჰპარვია მისი ხასიათის ცვალებადობა. უნდოდა, ეკითხა, რა გემართებაო, მაგრამ თავს იკავებდა, თვითონაც ხომ არაფერს უყვებოდა თავისი პირადის (მით უმეტეს, ზურას) შესახებ. ამიტომ ამჯობინა, არაფერი ეკითხა. თუ ასე გაგრძელდებოდა, იქამდე მივიდოდა საქმე, რომ მუშაობის გაგრძელებას ვერც ერთი ვეღარ შეძლებდა და სამკერვალოსაც დახურვა დაემუქრებოდა. რაღაც უნდა ეღონათ — ან ერთს, ან მეორეს — სიტუაცია როგორმე რომ გამოესწორებინათ. ამის უნარი კი ჯერჯერობით არც ერთს არ ჰქონდა.

ზუსტად ერთი კვირისთავზე, გვიან ღამით, ნუკის მობილურზე სასურველი მელოდიის ხმა გაისმა. გოგონას სუნთქვა შეუგუბდა, ხელის კანკალით აიღო ტუმბოზე დადებული ტელეფონი და სევდიანი ხმით უპასუხა სასურველ მამაკაცს. გია შეხვედრას სთხოვდა, — მინდა, ოცნებები ბოლომდე აგისრულოო. იმდენად მაცდუნებელი იყო მამაკაცის წინადადება, ნუკი ხმას ვერ იღებდა, სიბნელეში წამწამებს ახამხამებდა (როგორც სჩვეოდა დაბნეულობისას). ახლავე გამოგივლი და ჩემთან წამოდიო, სთხოვდა. როგორ ეტყოდა ასეთ რამეზე უარს? მაშინვე წამოხტა და ჩაცმას შეუდგა...

მერე გიას მთელი გზა ჩაბღუჯული ჰქონდა მისი ხელი. შიგადაშიგ ტუჩებთან მიჰქონდა გოგონას ხელის

ზურგი და ნაზად კოცნიდა. ნუკის ციებიანივით გააჟრჟოლებდა ხოლმე — ხან წამოხურდებოდა, ხანაც კანკალი აიტანდა.

— ძლივს გავძელი ერთი კვირა, ძლივს, ძლივს, — ვნებამორეული აჩურჩულდა მამაკაცი, როგორც კი ოთახში შევიდნენ და მოეხვია...

შუქის ანთებაც კი არ უცდია, ისე წაეტანა გოგონას. ჩქარობდა... ჩქარობდა მამაკაცი, მისი თითები მოუთმენლად ხდიდნენ ნუკის ტანსაცმელს, თითქოს ერთი სული ჰქონდა, რაც შეიძლება, ჩქარა ეხილა ქალის შიშველი სხეული და შეხებოდა (და შერწყმოდა) მას... თან წარამარა იკრავდა გულში ძლიერად; ამაზე ძლიერად ალბათ შეუძლებელიც იყო...

ნუკის გული ბუდიდან ამოხტომას ლამობდა, უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ ენა არ ემორჩილებოდა... უნდოდა, კოცნაზე კოცნით ეპასუხა, მაგრამ ვერ ახერხებდა... მამაკაცის თავბრუდამხვევ სურნელს ისრუტავდა მხოლოდ, ჩუმად, მალულად და თანდათან ისე ბრუვდებოდა, თითქოს ძლიერმოქმედი ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ ყოფილიყო...

პირველ შეხვედრაზე ვერ აღიქვა, რა ხდებოდა მის თავს. ახლა კი... თითქოს გაორმაგებული ვნებიანობით გრძნობდა, საყვარელი მამაკაცი რომ ეფერებოდა. სუნთქვაგახშირებული მთელი სხეულით (არსებით) მიიწევდა მისკენ. ჰო, ეს ნამდვილად ის იყო, რაც მას სურდა. ყველა ის ქალური საწყისი, რაც მასში იყო, ამ მამაკაცის სიღრმისეულ ენერგიას უერთდებოდა...

— ეს ის არის, რისთვისაც ვართ შექმნილი, — უჩურჩულა გიამ, — ეს ის არის, რაც უნდა იყოს ჩვენ შორის. შენზეა დამოკიდებული, რას მოგვიტანს ეს ურთიერთობა. არჩევანი შენ უნდა გააკეთო.

ნუკი დაიძაბა. რატომ ეუბნება ამას? ნუთუ ვერ ხედავს, რა ემართება მისი შეხებისას? ნუთუ ვერ გრძნობს? მეტი რაღა უნდა გააკეთოს? სხვას რას მოითხოვს მისგან? განსაკუთრებულად უნდა მოიქცეს? დაბნეულმა არ იცოდა, რა მოემოქმედა. ხმას არ იღებდა, ღონემიხდილი სახეს და ყელს უშვერდა აღგზნებულ მამაკაცს და აცახცახებული ემორჩილებოდა მისი მომთხოვნი მკლავების ყველა სურვილს...

საოცარი ღამე იყო... ნუკი მეორე დღეს გაბრუებული დადიოდა. როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს, სრულყოფილ ქალად იგრძნო თავი. ისეთი ლამაზი ღამე იყო, ისეთი, ისეთი... გაუჭირდება ამის სიტყვებით გადმოცემა. განსაკუთრებით ის დიალოგი, შუაღამისას რომ გაიმართა მათ შორის.

— რაზე ფიქრობ, ნუუკ? — ჰკითხა გიამ და მკლავი ძლიერად მოხვია შიშველ მხარზე.

— რა ვიცი... ჩემს ხვალინდელ დღეზე.

— და რას ხედავ შენს ხვალინდელ დღეში?

— უშენობას, — სევდიანად უპასუხა გოგონამ.

— რატომ ფიქრობ ასე? საიდან დაასკვენი, რომ ხვალ ერთად არ ვიქნებით?

— გული მიგრძნობს. მგონია, რომ ხვალ სხვასთან გაიქცევი.

— რა სულელი მყავხარ, — გაიცინა მამაკაცმა, — რატომ უნდა წავიდე სხვასთან, როცა შენთან ყველაფერი მაქვს? იცი, არსებობს ასეთი ინგლისური ტერმინი — სხეულის ენა.

— ვიცი, მეც მისწავლია ეგ ფსიქოლოგიაში.

— ჰოდა, აბა, რა გინდა? ჩემმა სხეულმა ისე შეიგრძნო შენი სხეული, როგორც არასდროს არავისი. ასეთი რამ იშვიათად მემართება. იცოდე, არ ვაპირებ შენთან ურთიერთობის გაწყვეტას. არასდროს არავისთან ისე არ დავმშვიდებულვარ, როგორც შენთან ვმშვიდდები; ყველანაირად მავსებ. ამიტომ ეგ შტერული ვარაუდები ამოიგდე თავიდან.

აი, ასეთი რამეები უთხრა წუხელ გიამ. და მის არც ერთ სიტყვაში, არც ხმაში, არც ინტონაციაში სიყალბე არ შეინიშნებოდა. როგორ არ უნდა დაუჯეროს? მაგრამ რატომ ეშინია ასე? რატომ არ ენდობა მის სიტყვებს? ამაზე პასუხის გაცემა უჭირს. არ იცის, რატომ... რატომღაც... თუმცა, ახლა კარგ ხასიათზეა. ამიტომაც ფრთაშესხმული დადის და გულიანად მუშაობს. თათულიც კი გააოცა, ისე მსუბუქად დაქრის აქეთ-იქით.

— ნუკი! — სწორედ ამ დროს გაისმა მისი ხმა.

— რაო, თათული? — ისე თბილად გამოეპასუხა, თითქოს გუშინდელი და იმის წინანდელი ულიმღამო დღეები არც ყოფილა.

— რომ წავიდე, მარტო გაართმევ თავს აქაურობას? — რაღაცნაირი დახშული ხმით ჰკითხა თათულიმ.

— წადი, თუ გინდა, რა პრობლემაა, დარდი არ გქონდეს, ყველაფერს მოვასწრებ, — თბილი ღიმილით დააიმედა ქალი.

— დღეს კი არა, საერთოდ რომ წავიდე... სულ, — იმავე ტონით გააგრძელა თათულიმ.

ნუკიმ წარბები აზიდა გაკვირვების ნიშნად. გამომცდელი მზერა შეავლო ქალს.

— ვერ გავიგე!

— გულს ვერ ვუდებ ამ კერვას. მყავს ერთი ახლობელი, რომელიც კარგად კერავს და იმას მოვიყვან ჩემ მაგივრად, — გააგრძელა თათულიმ.

— შენ სად მიდიხარ? — ნუკი ყურებს არ უჯერებდა.



— ჯერჯერობით არსად... მერე ვნახოთ. იცი, ეს ჩემი საქმე არ არის... ეს სხვა სამყაროა, რომელიც უცხოა ჩემთვის. აქამდე იმიტომ არ წავედი, რომ მინდოდა, შენ დაგხმარებოდი, ხელი წამეკრა... ახლა უკვე აღარ გჭირდები, თავადაც მშვენივრად უძღვები საქმეს. უკვე შეეჩვიე ყველაფერს და აღარ გაგიჭირდება.

— კი მაგრამ... — ნუკი დაიბნა, არ იცოდა, საიდან მოევლო სათქმელისთვის.

— ვიცი, რაც გაწუხებს და მაგაზე არ იფიქრო. იცხოვრე აქ, სანამ გაგიხარდება. მაინც არაფერში მჭირდება ეს ფართობი. არც ქირა მინდა და არც — არაფერი.

— არა, ასე არ გამოვა, თათი, — კატეგორიულად იუარა გოგონამ, — რას ნიშნავს, არ გჭირდება? ეგრე არ არის. აქამდე პარტნიორები ვიყავით

და შემოსულ მოგებას შუაზე ვიყოფდით. ახლა უცებ ყველაფერზე უარს ამბობ. ეგ როგორ? არ გინდა, მითხრა, რა ხდება? იქნებ შემიძლია რამით დაგეხმარო?

— არაფერიც არ ხდება. განა აუცილებელია, რამე ხდებოდეს? სხვა გეგმები მაქვს, არ ვარ მიჩვეული ასეთ სამუშაოს. სიმართლე გითხრა, სხვანაირი სამსახური მინდა დავიწყო — აი, ისეთი, სადაც არსებობს დირექტორი, მოადგილე, კადრები, მდივანი, თანამშრომლები და რა ვიცი... შემპირდა ერთი მეზობელი, მერიაში მოგაწყობო. ეგ მირჩევნია. არსად მეჩქარება, გესმის?! აიწყვე შენი საქმე. მოაგროვე ფული, გააფართოვე ეს ბიზნესი და მერე ვნახოთ. რამდენიმე თვე არაფერს მოგთხოვ. დანარჩენზე შემდეგ ვილაპარაკოთ. მეტი არაფერი მითხრა, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს, გასაგებია? — უთხრა თათულიმ და აღარც ალაპარაკა მეტი.

ნუკის ცნობისმოყვარეობა კლავდა, ვერაფრით მიმხვდარიყო, რა მოხდა ამისთანა, რამ შეცვალა ეს სიცოცხლით სავსე ქალი ბოლო დღეების განმავლობაში. რა მოხდა ისეთი იმ საღამოს, როცა ის და ზურა დაბადების დღეზე წავიდნენ? ზურას თითქოს არაფერი დასტყობია (ან არ უნდოდა, დასტყობოდა). იქნებ ის სულაც არ იყო თათულის დასევდიანების მიზეზი? იქნებ გულწრფელია და რასაც ამბობს, სრული სიმართლეა? ყველა ერთნაირი ხომ არ არის? მართლაც, რა სასიამოვნოა, მთელი დღე დაჯდეს ნუკისთან ერთად და ვიღაცებისთვის ტანსაცმელი კეროს?! რატომ უნდა დაითხაროს თვალები?! მით უმეტეს, არ უჭირს მატერიალურად. აქამდე თუ ეხმარებოდა, ალბათ ზურას ხათრით; ალბათ მას ვერ უთხრა დახმარებაზე უარი.

— როგორც გინდა, თათული. შენი საქმისა შენ იცი. მადლობის მეტი რა მეთქმის. ვალში ვარ შენთან. ბევრი რამ გააკეთე ჩემთვის და ამას არასდროს დაგივიწყებ. მიყვარხარ და მინდა, ბედნიერი იყო.

— იცი, მას შემდეგ, რაც ქმარი გარდამეცვალა, გამუდმებით ვცდილობ, დავუმტკიცო ჩემს თავს, რომ ბედნიერებას არ ვიმსახურებ. აქედან გამომდინარე, სიამოვნების მიღების უფლება არა მაქვს, — მოულოდნელად დაიწყო მან, — ყველა მამაკაცი უარვყავი, ვინც კი ჩემთან დაახლოება გადაწყვიტა. ახლა ცოტა შემეცვალა შეხედულება ჩემს ცხოვრებაზე. რატომაც არა?! ჯერ არც ისეთი ბებერი ვარ, ქალად არ ვვარგოდე, — სიმწრით გაიღიმა, — ჯერ კიდევ მაქვს მცირე იმედი იმისა, რომ ვიღაცა შემამჩნევს, ვიღაცას დავჭირდები. იქნებ ღირდეს ცხოვრების თავიდან დაწყება!

— მაგას კითხვა რად უნდა ან დაფიქრება? — გაუხარდა ნუკის, თათული რომ ალაპარაკდა, — საკუთარი თავის მიმართ უმოწყალო არასდროს უნდა იყოს ადამიანი, მით უმეტეს, შენისთანა ლამაზი ქალი. ვინ იცის, რამდენი ნატრობს შენ გვერდით ყოფნას.

ქალს სიცილი აუტყდა.

— კარგი რა, ნუკი, შენ რაღა დაგემართა? ნატრობს, არა!.. ისეთი ქალები დადიან, მე ვის რაში ვჭირდები?! თუმცა ალხანას თავისი ჩალხანა არ დაელევაო, ნათქვამია. მეც ვეცდები. ვნახოთ, რა გამოვა...

კიდევ დიდხანს ილაპარაკეს, თუმცა თათულის თავის წარსულზე სიტყვა არ დასცდენია. არც ზურასთან ურთიერთობას შეხებია. ერთხელ ახსენა მხოლოდ, — იმდენად კარგი ადამიანია და იმდენი გაუკეთებია ჩემთვის, მინდა, კარგი ქალი შეხვდეს და ბედნიერი იყოსო...

ეს ნუკისაც უნდოდა, თუმცა იმ სხვა ქალში ვერავის მოიაზრებდა... თვით თათულისაც კი... ნუთუ ასეთი ეგოისტია?..

ზურა საშინელ ხასიათზე იყო. მამამისის ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა. აუცილებელი გახდა მისი წაყვანა გერმანიაში სამკურნალოდ. უკვე ყველაფერი მოაგვარა. კვირის ბოლოს უნდა გაემგზავროს მამა-შვილი. აქ კი... როგორღაც ისე უნდა მოახერხოს, რომ ნუკი თავის ბინაში დატოვოს. უკვე მოიფიქრა, რაც უნდა უთხრას. მას ვიღაც გადამთიელს (სხვანაირად ვერ მოიხსენიებს) ვერ ჩაუგდებს ხახაში. თან, დედამისსაც ხომ უნდა მიხედვა?

რა ცუდ დროს მოხდა ეს ყველაფერი. როგორ არ უნდოდა ახლა ნუკის მარტო დატოვება. ჯერ კიდევ არ კარგავდა იმედს, რომ გოგონას იმ ახალგამომცხვარ თაყვანისმცემელთან არაფერი გამოუვიდოდა და მას დაუბრუნდებოდა. ჰმ... დაუბრუნდებოდა. განა ოდესმე იყო კი მასთან? ოდესმე რამეს განიცდიდა მის მიმართ? თუნდაც მცირე მოწონებას მაინც? თან იყო ამაში დარწმუნებული, თან — არა. ხანდახან ისეთი რამეები (სასიამოვნო) ახსენდებოდა, რაც იმედს უნერგავდა, ხანაც უიმედოდ გადააქნევდა თავს. მირანდა მას არასდროს ეკუთვნოდა. შეიძლება, ეჩვენებოდა რაღაც-რაღაცები, მაგრამ ეს ვარაუდი (ან თავის მოტყუება) იყო, რათა როგორმე გაემართლებინა თავისი სიყვარული მის მიმართ.

ცოტათი მისი ბრალიცაა, ასე რომ შეტრიალდა სიტუაცია. თავიდან გოგონა ისე აღიქვა, როგორც ბავშვი, დაუცველი, საწყალი, დაჩაგრული, ამავდროულად — საყვარელი და სიცოცხლით სავსე... რომელსაც წარმოდგენა არ ჰქონდა იმაზე, თუ რამდენად კარგი იყო; რომ საოცრად მიმზიდველი არსება გახლდათ — სექსუალური, ვნებიანი, ალერსს მოწყურებული, რომელსაც საიმედო, ძლიერი ხელი და ზურგი სჭირდებოდა იმისთვის, რომ ცხოვრება აეწყო...

ვერა, ვერ გაქაჩა ზურამ. გამბედაობა (გამოცდილებაც) არ ეყო. არ იყო შეჩვეული სერიოზულ ურთიერთობებს ქალებთან. ამიტომაც დაიბნა, ამიტომაც ვერ გაბედა. და აი, ახლა იმკის შედეგს... მწარეს (თან მტკივნეულს).

ამ ფიქრებში იყო ზურა, რომ მოულოდნელად ნუკი ესტუმრა, თითქოს გულმა უგრძნო, რომ მისი ნახვა უნდოდა.

— კარგ დროს მოხვედი, — ნაღვლიანი ღიმილი გამოესახა ტუჩებზე, — ახლა მე თვითონ ვაპირებდი შენთან გამოსვლას.

— ხომ მშვიდობაა? — შეშფოთება დაეტყო გოგონას.

— მთლად მშვიდობას ვერ ვიტყოდი ჯერ. მამა მიმყავს გერმანიაში. ძალიან ცუდადაა. შენი დახმარება დამჭირდება.

— ჩემი? მეც უნდა წამოვიდე? — თვალები გაუფართოვდა ნუკის.

ისეთი გულუბრყვილო გამომეტყველება აღებეჭდა სახეზე, ზურამ სიცილი ვერ შეიკავა.

— არა, შენ არ უნდა წამოხვიდე. აქ მჭირდები.

— აა! კი, ბატონო, თუკი შემიძლია... რა უნდა გავაკეთო?

— პირველ რიგში ის, რომ აქ უნდა იცხოვრო. დედას მიმიხედო, ნერვიულობს და არ მინდა, მარტო დარჩეს, გესმის?

— ეგ არ არის პრობლემა. ვიქნებით ერთად, სანამ ჩამოხვალ, — მორჩილად დაუქნია თავი.

— და კიდევ... ჩემი მდივანი დაგირეკავს ხოლმე და სამსახურიდან ცნობებს მოგაწვდის, რა — როგორ... დაწვრილებით უნდა ჩაიწერო ყველაფერი და როცა დაგირეკავ, თავიდან ბოლომდე წამიკითხო. თუ რამე შენიშვნა მექნება, მერე შენ იმას გადასცემ და ასე...

— მაგრამ... შენ რომ დაგირეკოს, არ შეიძლება?

ზურას გაეღიმა. ელოდა მისგან ამ

შეკითხვას, ამიტომაც პასუხიც წინასწარ ჰქონდა მომზადებული.

— არ მინდა, გაიგონ, საქართველოდან რომ მივდივარ. ხომ გესმის... როცა სხვაგან დამიგულებენ, შეიძლება, თავი აიშვან და არც სამსახურში იარონ. იციან, რომ მამაჩემს უნდა მივხედო და დაახლოებით 10 დღე მის გვერდით უნდა ვიყო საავადმყოფოში. ხანდახან შემოგივლით-მეთქი, მივანიშნე თან. რაც კი რამ მნიშვნელოვანი იქნება, სახლში დარეკეთ და ჩემს ნათესავს ჩააწერინეთ-მეთქი. ასე რომ, გაფრთხილებული მყავს ირმა, ჩემი მდივანი. რაც შეეხება სამკერვალოს, თათულის დაველაპარაკები და დროებით სხვას დაიხმარს ვინმეს.

— თათული? იცი, რა... თათული წავიდა, აღარ მუშაობს დღეიდან.

— რას ნიშნავს წავიდა? — შუბლი შეიჭმუხნა ზურამ. აშკარად შეეტყო, რომ არ ესიამოვნა ახალი ამბავი.

— მგონი, მერიაში იწყებს მუშაობას. თვითონაც მითხრა, სხვას მოვიყვან ჩემს ადგილზეო. თუმცა, ეგ არ არის პრობლემა. სულ არ ვიმუშავებ 10 დღე, მერე რა?! ან აქ მოვიტან ერთ მანქანას და აქ ვიმუშავებ.

— არც ეგ არის ცუდი აზრი. თათულის ამბავი კი გამიკვირდა... ჩემთვის არაფერი უთქვამს.

— ჰო, ჩემთვისაც მოულოდნელი იყო. ბოლო ხანებში სულ დაღონებულია. როგორც ჩანს, რაღაც პრობლემა აქვს. არაფერს მეუბნება, მაგრამ ვგრძნობ.

— კარგი, ვნახავ ხვალ და გავიგებ, რა ხდება... დარჩები ამაღამ?

— არა, აჯობებს წავიდე.

— მაშინ გაგაცილებ.

— როდის მიემგზავრებით?

— კვირის ბოლოს. გნახავ მანამდე.

— ჰო, რა თქმა უნდა, — უხერხულად გაიღიმა ნუკიმ და თვალი აარიდა მის გამჭოლ მზერას.

კვირა ისე გავიდა, ნუკის არც ზურა შეხმიანებია და არც — გია. გია ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერ გაიგო. და საერთოდაც, აოცებდა მისი უცნაურობები. მაშინ გამოჩნდებოდა, როცა თვითონ მოესურვებოდა. ერთი წამითაც არ უფიქრდებოდა იმას, რას განიცდიდა ამ დროს გოგონა, როგორ ნერვიულობდა, როგორ ელოდებოდა მისგან თუნდაც ერთ მესიჯს (სხვას თუ არაფერს). ნუკიმ პირობა მისცა თავის თავს, არამც და არამც არ შეხმიანებოდა, სანამ თვითონ არ გამოჩნდებოდა. დაიღალა უკვე. ის შეიძლება მიჩვეულია ქალებისგან ისტერიკებს, ტირილს, თხოვნას, იქნებ თავი აქვს გაბეზრებული მათი ზარებისა თუ მესიჯებისგან. ნუკი მათ არასდროს დაემსგავსება. არავის შესახვეწი არაფერი სჭირს. 17 წლის გოგო ხომ არ არის, ჭირვეულობა დაიწყოს. კეთილი ინებოს და თავად მოიკითხოს, შეიწუხოს თავი, თუ არა და, ჯანდაბამდე გზა ჰქონია. ნუკი წამითაც არ შეეხვეწება, თავს არ დაიმცირებს მის წინაშე. თუკი მასთან ურთიერთობით შეცდომა (ოღონდ ეგ არა!) დაუშვა, ამასაც გადახარშავს. ვერაფერს იზამ... ქალია და, როგორც ყველა ქალი, შეცდომისგან არც ის არის დაზღვეული... ამას კი ფიქრობდა, მაგრამ გული ტკივილით ჰქონდა სავსე. აღიზიანებდა მამაკაცის საქციელი. ვერც თავი გაუგო მის პიროვნებას და ვერც — ბოლო. გულუბრყვილოდ წამოეგო მის ანკესზე. ახია მასზე! დაეჯერებინა ნელისთვის და ამ დღეში არ ჩავარდებოდა.



არა, ახლა რომც გამოჩნდეს, ასე უსაყვედუროდ არ დატოვებს ამ ამბავს. ყველაფერს პირში მიახლის და კატეგორიულად მოსთხოვს, რაღაც სახელი დაარქვას მათ ურთიერთობას. ასე გაგრძელება არ შეიძლება. ან ერთხელ და სამუდამოდ უთხრას, რას წარმოადგენს ნუკი მისთვის, ან საერთოდ გაქრეს მისი ცხოვრებიდან.

ოჰ, ოჰ, ოჰ! რომ უთხრას, საყვარლად მინდიხარო? მაშინ სად მიდის? დათანხმდება ამაზე? კი, როგორ არა! ამაზე ოცნებობდა მთელი ცხოვრება! არამც და არამც! ამას არ დაუშვებს! ურჩევნია, ყველაფერი სანანებელი გაუხდეს და მთელი ცხოვრება ვერ აპატიოს თავს მასთან გატარებული 2 ღამე, ვიდრე წლების განმავლობაში (თუნდაც თვეების) მისი საყვარელი იყოს. ნუკის ქმარი უნდა ჰყავდეს, ოჯახი შექმნას, შვილები გააჩინოს... მისი სურვილი ჩვეულებრივი (ქალური) სურვილია, ცოტათი ძნელი განსახორციელებელი, მაგრამ აუცილებელი და საჭირო. საყვარელი რომ ნდომებოდა, როგორმე აქამდეც მოახერხებდა. აჰა! ახლა როგორ აჭიკჭიკდა. რატომ ადრე არ იფიქრა ამაზე? მაშინ რატომ არ მოიშველია ეს „ფილოსოფიური“ აზრები, ლოგინში რომ უწვებოდა? იმიტომ, რომ... ალბათ იმიტომ, რომ მის გრძნობებში ეჭვი წამითაც არ შეჰპარვია. ახლა თავის მართლებას აზრი არა აქვს. ან იქნებ არც არაფერი სჭირს თავის სამართლებელი? ხომ შეიძლება, ტყუილად გოდებდეს? იქნებ რაღაც საქმეები აქვს მისი ოცნების მამაკაცს და მალე გამოჩნდება? განა პირველად გადაიკარგა? ადრეც ხომ ყოფილა მსგავსი შემთხვევა... ერთხელ... ორჯერ... მაგრამ ბოლოს მაინც მოვიდა. ჰოდა, მოვა კიდევ... დარწმუნებულია, რომ მოვა, ტყუილად იღლის გონებას ფიქრით.

ზურას გამგზავრების დროც მოვიდა. ნუკიმ თავისი ბარგი ჩაალაგა და ესტუმრა. მამაკაცი უკვე ელოდებოდა.

— აი, ამ ფულს გიტოვებ, — ზურამ მუჭში რამდენიმე ასლარიანი ჩაუდო, — არაფერი მოიკლო, იცოდე. დედა ხვალ გამოვა. ამაღამ უნდა გაგვაცილოს, თავი გაიგიჟა.

— რად მინდა ფული, მაქვს. ეს შენ წაიღე, დაგჭირდება.

— გამომართვი, რომ გაძლევ! — ძალით ჩაუდო მუჭში მამაკაცმა კუპიურები. — აბა, შენ იცი, საღამოობით, როცა ირმა დაგირეკავს, შინ იყავი ხოლმე, კარგი? ჩემი გულისთვის როგორმე გაიჭირვე ათიოდე დღე.

— აუცილებლად. აბა, რას ვიზამ, დარდი არ გქონდეს, ზურა, — დამაჯერებლად უპასუხა გოგონამ.

და სწორედ იმ დროს, მამაკაცმა ხელი მოხვია და ყელზე დაეკონა... ნუკიმ იცოდა, ზურა რომ აკოცებდა, ამიტომ თვითონაც მთელი სხეულით მიეკრა. ერთხანს ასე ჩახვეულები იდგნენ და ერთმანეთის გულისცემა ესმოდათ...

— დაგვირეკე, როგორც კი ჩახვალთ, — ჩურჩულით წარმოთქვა.

— ჰო, — თქვა მამაკაცმა, ხოლო მზერით უფრო მეტი უთხრა: „მიყვარხარ... ვიცი, შენ ეს არაფერში გჭირდება, მაგრამ თუკი სიყვარული რამეში გშველის, იცოდე, რომ მთელი ჩემი სიყვარული შენთანაა“...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# გზავნილები

# შემთხვევითი ქორწინება

მარი ჯაფარიძე

**გამარჯობა, ძვირფასო მკითხველებო, მაისის დადგომას გილოცავთ! ჩემს ბავშვობაში მაისში 2 „პარადი“ იყო ხოლმე — პირველ მაისს — მშრომელთა სოლიდარობის დღეს, 9 მაისს — ფაშიზმზე გამარჯვების დღეს აღვნიშნავდით ხოლმე და ტრანსპარანტებით, ლოზუნგებითა და ფერადი ბუშტებით „შეიარაღებული“ ჩავივლიდით ხოლმე ქალაქის ცენტრალურ მოედანზე განლაგებულ ტრიბუნებთან, საიდანაც მთავრობისა და „ცეკას“ წარმომადგენლები ხელს გვიქნევდნენ ხოლმე. ამ ყველაფერში ყველაზე გასახარი ის იყო, რომ „პარადამდე“ 2 კვირით ადრე ყველა სკოლა რეპეტიციას იწყებდა (მაშინ „მარშიროვკები“ ერქვა), რის გამოც გაკვეთილები ცდებოდა. კიდევ ის, რომ დემონსტრაციის დღეს ქალაქი „ციგნებით“ (მაშინ ასე ვეძახდით ბოშებს) ივსებოდა და გაკიოდნენ — „ჟვააააჩკა“, „ჟვააააჩკა“, „კეეევა“... „პეედრო“, „დონააალდო“, სიგარეტიიი, „პეეედრო“, „პეეედროოოოო“ („დონალდო“ და „პედრო“ „ჟუვაჩკების“ ნაირსახეობები გახლდათ)... მოკლედ, წარსულის გახსენებამ ნოსტალგია მომგვარა და ბავშვობა გამახსენა (თითქოს „პედროსა“ და „დონალდოს“ გემოც კი ვიგრძენი). ჯობია, საქმეზე გადავიდე... ამ კვირაში მოსული გზავნილებით ძალზე კმაყოფილი ვარ. მართლაც საინტერესო ამბები გამოგიგზავნიათ და სიამოვნებით წავიკითხე. ახლა თქვენც გთავაზობთ. მიეფიცხეთ გაზაფხულის მზეს და ისიამოვნეთ.**

## ხუმრობა

„ისეთი შემთხვევითი და რბილად რომ ვთქვა, არასერიოზული ქორწინების მომსწრე, როგორისაც მე გავხდი, არა მგონია, ვინმე იყოს. 2 წლის წინ მეგობრის დაბადების დღეზე წავედით კაფეში. იქ დაგვხვდნენ ამ ჩემი მეგობრის დაქალები და კიდევ მათი სამეგობრო — საკმაოდ მრავალრიცხოვანი „არმია“. ამ „არმიაში“ იყვნენ ორნი — მაკო და გიო (სახელები შევცვალე). მე, როგორც ახალმისული და ახალგაცნობილი, ძირითადად, ჩუმად ვიჯექი და ვაკვირდებოდი იქ მყოფ ადამიანებს. მაკო თავიდანვე თვალში მომხვდა — საკმაოდ თავისუფლად იქცეოდა (მე ვიტყოდი, ზედმეტადაც კი). გიო კი, როგორც აღმოჩნდა, მისი ბავშვობის მეგობარი ყოფილა, თუმცა ბოლო პერიოდში გიოს მაკოსადმი გადამეტებულ ყურადღებას ყველა ამჩნევდა. რა თქმა უნდა, იქ მყოფი საზოგადოება სასმელს მიეძალა. სიცილისა და ხმამაღალი მუსიკის ფონზე უცებ გაისმა გიოს ძახილი:

— მაკო, მაგარი იდეა მომივიდა: არ გინდა, ვიგიჟოთ და ახლავე, ამ ჯინსებში ჯვარი დავიწეროთ?

აქვე აღვნიშნავ, რომ მაკოს წვეთი არ ჰქონდა დალეული (თორემ სიმთვრალეს დავაბრალებდით) და უდარდელი პასუხიც გაისმა:

— დავიწეროთ, რა!

ამის თქმა და მაკოს და გიოს კაფედან გაქრობა ერთი იყო. ატყდა გადარეკვა-გადმორეკვები, „ესენი უეჭველი გვეკაიფებიან“-ის ძახილი. მხოლოდ მე ვიჯექი გაოგნებული და არ მჯეროდა, რომ ადამიანების ისეთი კატეგორიაც არსებობს უკვე, რომლისთვისაც საერთოდ არაფერი ღირებული აღარ არის ამ სამყაროში! როგორც შემდეგ გაირკვა, მაკო და გიო ეკლესიური ცხოვრებით დიდად არც გამოირჩეოდნენ, მაგრამ ნუთუ ნებისმიერ ადამიანს არ უნდა ჰქონდეს მოკრძალება ჯვრისწერის საიდუმლოების მიმართ?

ასე იყო თუ ისე, ამ ჩვენმა მაკომ და გიომ ჯვარი მართლა დაიწერეს და რამდენიმე საათის შემდეგ დაბრუნდნენ კაფეში. მხიარულად გამოგვიცხადეს, ღადაობით დავიწერეთ ჯვარიო და შემდეგ ხარხარით ჰყვებოდნენ, თუ როგორ „დააგოიმეს“ მოძღვარი, როდესაც აუხსნეს, რომ გამოპარულები იყვნენ და სამუდამო ერთგულების ფიცი უნდოდათ დაედოთ, სანამ ისევ დააშორებდნენ. ჩემზე იმდენად იმოქმედა ამ ამაზრზენმა საქციელმა, რომ მაშინვე დავტოვე იქაურობა.

რა თქმა უნდა, მათ არასოდეს უცხოვრიათ როგორც მეუღლეებს. იმავე დღეს ჩვეულებრივად, წავიდ-წამოვიდნენ სახლებში და იმის შემდეგაც ძველებურად მეგობრობდნენ და სიცილ-ხარხარით იხსენებდნენ თავიანთ „ცოლქმრობას“.

ამის შემდეგ 2 წელი გავიდა. მაკო და გიო აღარ არიან იმდენად ახლო მეგობრები. მაკოს სხვა მოსწონს, გიოს — სულ სხვა და თავიანთ ცხოვრების გზაზე თავისუფლად გასვლა უნდათ, თუმცა ერთი „პატარა“ პრობლემა არ აძლევთ სრული თავისუფლების შეგრძნების საშუალებას: მათ ხომ („სულ რაღაც“) ჯვარი აქვთ ასაყრელი, რომ ცხოვრება დაუკავშირონ თავიანთ რჩეულებს. არადა, როგორც მაკო ამბობს, ძალიან ეზარებათ ამის გაკეთება და თვიდან თვემდე ისე გადის დრო, ერთმანეთს ველარც ნახულობენ, უდროობის გამო. ბამბუჩა“.

## ერთის ნაცვლად — მეორე

„გზის“ ერთგული მკითხველი ვარ და ახლა გადავწყვიტე, „გზავნილებში“ მომეწერა. თავს აღარ მოგაბეზრებთ და ამბავს მოგიყვებით: ანი 28 წლის იყო, როცა სალომემ — მისმა დაქალმა უთხრა, გამოფხიზლდი, თორემ უქმროდ დარჩები, ჩემს ნათესავს, უცოლო გიოს გაგაცნობ, კარგი ბიჭია და იქნებ მოგეწონოსო. ასეც მოხდა. სალომემ ისინი ერთმანეთს შეახვედრა. ანის რა თქმა უნდა, სალომე ახლდა, გიოს — ლევანი, თავისი ძმაკაცი. ანის პუტკუნა გიორგიზე მეტად, მაღალი, გამხდარი ლევანი მოეწონა, მაგრამ სალოს თავს აჩვენებდა, თითქოს გიორგი მოსწონდა. ასე გრძელდებოდა 5 თვე. როცა სალომეს ეგონა, რომ გიორგის და ანას ერთმანეთი ძალიან უყვარდათ, ანა ლევანს გაჰყვა ცოლად. სალომე და გიო, რა თქმა უნდა, გაკვირვებულები დარჩნენ. ამის მერე 2 წელი გავი-

და და ანი და ლევანი 2 შვილთან, მარიამთან და ელენესთან ერთად თავს ბედნიერად გრძნობენ. გიორგი კი ახლახან დაქორწინდა ანისა და სალომეს საერთო დაქალზე, თაკოზე. ისინი თავს მშვენივრად გრძნობენ. ორივე ოჯახი სალომეს მაჭანკლობით შეიქმნა, თვითონ მარტოა, ვერ თხოვდება. სალომე ძალიან ლამაზია და ალბათ ბედი მალე გაეხსნება. 29 წლისაა და 18 წლის გოგოს ჰგავს. ასე ჩაუყარა ორი ოჯახის შექმნას საფუძველი სალომემ. ანას და ლევანის ამბავი მართლა შემთხვევითობა იყო. ყველას ბედნიერებასა და ჯანმრთელობას გისურვებთ. მარი კზმ“.

## ქორწილიდან — ქორწილში

„რა კარგი რამეა ეს შემთხვევითობა. მაშინ „გაგიკეთებს სიურპრიზს“, როცა არ ელოდები... ხალხით სავსე „მარშრუტკაში“ ერთი ლამაზი, თხელი აღნაგობის, სიფრიფანა გოგონა იჯდა თავისთვის წყნარად. უეცრად, ერთ სიმპათიურ ბიჭს მოჰკრა თვალი. როგორც კი გოგონას გვერდით ადგილი გათავისუფლდა, გვერდით მიუსკუპდა. გოგო მიიწია, ბიჭმაც მიიჩოჩა მისკენ. მერე, სულ შემთხვევით შეახო ბიჭმა ფეხზე ხელი, გოგომაც ხელის კანკალით დაადო ხელი ხელზე და გადააწევინა ხელი თავისი ფეხიდან. ბიჭმა დაუფარავად შეათვალიერა, იმანაც მორცხვად ააციმციმა თვალები. ერთმანეთს მრავლისმეტყველად გაუღიმეს, ნომრებიც გაცვალეს, მერე კი თავ-თავიანთ გზაზე წავიდნენ. იმ საღამოსვე გააქტიურდა ალეკო. კომპლიმენტებს არ იშურებდა. 2-თვიანი მიმოწერა ჰქონდათ. მათ შორის მალე სიყვარულმაც იჩინა თავი... ალეკო ყოველდღე სიყვარულს ეფიცებოდა. მომავლისთვის სერიოზული გეგმები ჰქონდათ. ალეკოს ძალიან უნდოდა, თამუნა ცოლად შეერთო, მაგრამ ის ყოყმანობდა. თავისუფლებას იყო მიჩვეული და გაუჭირდა, ასე უცებ შებმულიყო ოჯახის უღელში, მიუხედავად იმისა, რომ ალეკო მასაც ძალიან შეუყვარდა. თამუნა მეგობარმა ქორწილში მიიწვია. რა თქმა უნდა, უარი არ უთქვამს. სიძე-პატარძალი ჯვარს იწერდა. თამუნა განსაკუთრებულად ლამაზად გამოიყურებოდა. ჯვრის წერის ცერემონიას ჩაფიქრებული უყურებდა, როცა ზურგიდან ნაცნობი ხმა მოესმა... აღმოჩნდა, რომ ალეკო სიძის მეგობარი იყო და ქორწილში ისიც გახლდათ მიწვეული. ალეკო მეცხრე ცაზე იყო სიხარულით. უხაროდა, რომ შეყვარებულს შეხვდა და თანაც — ასე ლამაზად გამოიყურებოდა. სტუმრებს შორის ბევრი საერთო მეგობარი აღმოაჩინეს. ალეკომ მეგობრებს წარუდგინა თამუნა. ცოტა ხანში კი ქორწილიდან გაიპარნენ. ბედნიერები იყვნენ, რომ ბედმა ერთმანეთს სრულიად მოულოდნელად შეახვედრა და ეიფორიაში მყოფებმა, იმავე დღეს გადაწყვიტეს გაპარვა. ალეკომ მის წინ, მუხლზე დაიჩოქა და ცოლობა სთხოვა. შენ ჩემი ხვალინდელი დღისა და ყოველი შემდეგი დღის იმედი ხარ, ჩემი გულის ფეთქვა და ოცნებაო, — უთხრა ალეკომ და პატარა ბავშვივით ხელში აიტაცა. ჯვარიც მალე დაიწერეს იმავე ეკლესიაში, სადაც ცხოვრებამ ერთმანეთს სხვის ქორწილში შემთხვევით შეახვედრა. დღეს კი ერთად ბედნიერად, ლამაზად და რაც მთავარია, უსაზღვრო სიყვარულით ცხოვრობენ. თქვენი ლუნა“.

## უპატარძლო ქორწილი

„გამარჯობა, მარი. პირველად გწერ, მაგრამ ისე მომეწონა „გზავნილების“ თემა, რომ ხელისგულები და მობილური „ამექავა“... ჰოდა, ახლა გწერ და იმედი მაქვს, რომ დამიბეჭდავ. დედაჩემზე უნდა მოგიყვეთ: თურმე სკოლა რომ დაუმთავრებია, თბილისში წამოსულა საცხოვრებლად, რადგან სტუდენტი გახდა. აქ დეიდასთან ცხოვრობდა და თურმე ისეთი მორცხვი ყოფილა, რომ უნივერსიტეტში ფეხით დადიოდა, ტრანსპორტში ხალხის რცხვენოდა. სიმართლე რომ გითხრათ, ვერ გავიგე, ეს რას ნიშნავს, მაგრამ თვითონ ამბობს ასე და დავუჯეროთ. ჰოდა, ეს მორცხვი გოგო ლამაზი ყოფილა და თაყვანისმცემელიც ბლომად ჰყოლია, მაგრამ სირცხვილით აბა, ვის დაელაპარაკებოდა? ჰოდა, დეიდას კარის მეზობლად ერთი მისი კბილა ბიჭი ცხოვრობდა თურმე. დედას მოსწონდა, მაგრამ ამას როგორ გაამხელდა? ის ბიჭი კი სხვაზე იყო შეყვარებული და დედაჩემს ზედაც არ უყურებდა. არა, კი უყურებდა და ცოტ-ცოტა მეგობრობდნენ კიდეც (დედაჩემის მორცხვობის „ფარგლებში“), მაგრამ როგორც გოგოს და პოტენციურ საცოლეს, არ განიხილავდა. ერთ მშვენიერ დღეს, კარის მეზობლებმა დედაჩემის დეიდის ოჯახი (დედაჩემიანად) თავისი შვილის ქორწილში დაპატიჟა. რამდენიმე დღის განმავლობაში ეხმარებოდნენ მეზობელს პურმარილის მომზადებაში. ახალგამომცხვარი სადედამთილო წუწუნებდა, სარძლო არ მომწონს, ჩემი ბიჭი სჯობია, მაგრამ ამ ჯიუტს ვერაფერი შევასმინე და მისი ცოლად მოყვანა ვერ გადავათქმევინე; ერთი შენისთანა გოგო „დამხატავდა“ და ბედი რომ მქონოდა, ჩემი შვილი შენზე დაქორწინდებოდაო, — ეუბნებოდა ფხალის ფოთლის რჩევაში გართულ, ისედაც დადარდიანებულ და თავდახრილ დედას (ნუ, მაშინ დედაჩემი ჯერ არ იყო, როგორც ხვდებით). ქორწილის დღეც დადგა. დედას ამ დღისთვის საგანგებოდ, კაბა შეუკერავს. სიძე, თავისი მაყრიონით პატარძლის ოჯახში წავიდა, საიდანაც ეკლესიაში, ჯვრის დასაწერად უნდა წასულიყვნენ. ქეიფამდე (ანუ სუფრასთან დაჯდომამდე) დიდი დრო იყო. დედა ჯერ კიდევ შინ იყო და სარკის წინ ტრიალებდა. არა უშავს, მეც გამომიჩნდება ბედი, ამ ვაჟბატონზე გული სულაც არ მწყდებაო, — თავს იმშვიდებდა. ის იყო, დედა და დეიდამისი შინიდან გასვლას აპირებდნენ, რომ კარის მეზობელი (სადედამთილო) შემოვარდა და დედაჩემს ლამის მუხლებში ჩაუვარდა — ოღონდ ახლა მიშველე, სირცხვილს გადამარჩინე და პატივისცემას არ დაგიკარგავო. — რა მოხდაო? გაოცებულები ეკითხებოდნენ. აღმოჩნდა, რომ პატარძალი ქორწილის დილას შინიდან გაპარულა და ცოლად სხვას გაჰყოლია. ჰოდა, დარჩა ეს ჩვენი სიძე უპატარძლოდ. ამხელა ხარჯი ჰქონდათ „ნაქნავი“, ამდენი სტუმარი — მოწვეული და თავს ხომ არ შეირცხვენდნენ? ჰოდა, დედაჩემს სთხოვეს პატარძლობა. კარგა ხანს კი უყოყმანია დედას, მაგრამ როდესაც თვითონ სიძე მისულა სათხოვნელად, უარი ველარ უთქვამს და დათანხმებულა. ჰოდა, ასე გათხოვდა დედა მეზობელ ბიჭზე, სრულიად შემთხვევით და 1 წლის მერე მეც დავიბადე. ღმერთმა ყველას (მეც) მისცეს ისეთი ბედნიერი ოჯახი, როგორიც ჩემს მშობლებს აქვთ. ახლა დედა რომ ეტყვის ხოლმე, — როგორ ვერ მამჩნევდი, ცოლი რომ არ გაგქცეოდა, ჩემი არსებობაც კი არ გახსოვდაო, — მამა ბოდიშს უხდის: ახალგაზრდა ვიყავი და სისულელით მომდიოდაო. ქარქუსა“.

## „ჯოკერის“ მეფე

„ბაღდადში, გაიოზ მხეიძეს ყველა იცნობს — დიდი ფულისა და ცხოვრების ბატონ-პატრონია. გაიოზს ბერბიჭად დარჩენილი, განებივრებული ბიჭი ჰყავდა. ლევანი სულ გარე-გარე დადიოდა და ცხოვრება გართობაში გაჰყავდა. ერთ დღეს, მეგობრებთან ერთად „ჯოკერს“ თამაშობდა. წააგო. წაგებულს პურმარილი უნდა ეკისრა. ლევანს ბევრი აღარ უფიქრია, ტელეფონი აიღო, მამამისს დაურეკა და აღფრთოვანებულმა აცნობა — ცოლი მოვიყვანე და მოემზადეთო! გაიოზი სიხარულით ცას ეწია, იქნებ ახლა მაინც დაადგეს საშველი და დასერიოზულდესო. უცებ მიდგა-მოდგა და ერთ საათში ქორწილის სუფრა გაშალა. ბევრი ფიქრის შემდეგ, ლევანმა და მისმა მეგობრებმა ერთი იმავეუბნელი გოგო, რომელსაც ლევანის მიმართ აშკარა სიმპათია ჰქონდა და არც ლევანი იყო გულგრილი, „პატარძლობაზე“ დაითანხმეს. ვიქეიფოთ და მერე უკან დაგაბრუნებთო, დაჰპირდნენ მაკოს. მართლაც გაიმართა ლევანის სახლში დიდი ქეიფი. სიძე-პატარძალს ლოცავდნენ... დაოჯახებას ულოცავდნენ, ისინიც სამადლობელს იხდიდნენ. იყო ერთი ამბავი და ჟრიამული. ამ დროს, ვიღაცამ ნატოს მშობლებს შეატყობინა, თქვენი გოგო აქვე, მეზობლად გათხოვდაო. რამდენიმე ხანში ნატოს ოჯახის წევრები დაადგნენ თავზე მოქეიფეებს. გაიოზმა „მძახლები“ გულით მიიღო. ნატო დამალვას აპირებდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ქეიფის მიწურულს ბევრი იყვირეს და ივიშვიშეს ნატომ და ლევანმა, — სიცრუეა ეს ყველაფერი, ვიხუმრეთო, მაგრამ ყური აღარავინ უგდო. „ახალდაქორწინებულებსაც“ აღარ გამოუდვიათ თავი. მძახლებმა „განსხვავებულით“ დალოცეს სიძე-პატარძალი. ასე შერჩათ ლევანსა და ნატოს ხუმრობის წყალობით ერთმანეთი. დღეს ორი შვილი ჰყავთ და ბედნიერები არიან. გაიოზმაც ამოისუნთქა. ლევანს კი მეგობრები „ჯოკერის“ მეფეს ეძახიან — „ჯოკერის“ წყალობით გყავს ცოლ-შვილიო. ლუნა“.

## მომტაცებელი — დედამთილი

„პირველად გწერთ, მაგრამ „გზის“ ერთგული მკითხველი ვარ. იმედია, ჩემს წერილს დაბეჭდავთ. ამბავი, რომელსაც მოგიყვებით, ჩემს ახლობელს შეემთხვა: ერთ მშვენიერ დღეს, ჩვეულებისამებრ სამსახურში მიმავალს, გვერდით ხანში შესული ქალი ამოუდგა და გამოელაპარაკა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ამ ქალმა გოგო მოტყუებით ჩაისვა ტაქსიში და წაიყვანა ანუ მოიტაცა თავისი შვილისთვის, რომელიც ყანაში მუშაობით იყო გართული, წუთისოფლის ამაოებაზე ფიქრობდა და სულაც არ იცოდა, რომ „ცოლი მოიყვანა“. მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როდესაც ბიჭებმა დაუძახეს — როსტომ, რა დროს თოხია, დედაშენმა ანგელოზივით ცოლი მოგიყვანაო. გაოგნებული წავიდა და ქალი რომ ნახა, თვალთ დაუბნელდა... რა ჰქონდა საწინააღმდეგო? ულამაზესი გოგო იყო... მონატაცები ქალი კი უკან ხომ ვერ დაბრუნდებოდა?! ჰოდა დღემდე არ უნანიათ თავიანთი საქციელი. უკვე მოხუცები არიან, მთელი ცხოვრება ტკბილად გაატარეს და დღემდე ასე არიან. თურმე, ასეც ხდება. თამ19“.

## „მოხერხებული“ ცხოვრება

„მძიმე ხასიათი მაქვს (ყოველ შემთხვევაში, ყველა ასე მეუბნება) და გარდატეხის ასაკში საერთოდ არანორმალურივით ვიქცეოდი. ძალიან რთული იყო გზა „საკუთარი თავისკენ“ — დეპრესია, ნიჰილიზმი, სიძულვილი და ათასი უბედურება... ერთ საღამოს, ჩვეულებრივად, ყველასა და ყველაფერზე დაბოღმილი ვფიქრობდი, რა დამეშავებინა მომდევნო დღეს. მესიჯი მომივიდა, ვიღაც გაცნობას მთხოვდა (მაშინ სხვა, უფრო მდაბიო ჟურნალის „მიმდევარი“ ვიყავი და ეს ადამიანიც იქიდან იყო). ნანუკასთან ჩემთვის დამახასიათებელი ცინიზმით დავიწყე ურთიერთობა. მისი არაფერი მომწონდა (წერის მანერაც კი) და გამუდმებით ვაკრიტიკებდი. ფოტოების გაცვლაზეც მიდგა საქმე და ენა ჩამივარდა... ასეთი სექსუალური გარეგნობის მქონე გოგონები თუ არსებობდნენ, ვერც წარმომედგინა. დაუყოვნებლივ ვესტუმრე ტელეფონის „ინბოქსს“ და ხელახლა გადავიკითხე ყველაფერი. აღმოვაჩინე, რომ ნანუკა სულაც არ ჰგავდა სხვებს; არ მიეკუთვნებოდა საძულველ, „ნაცრისფერ მასას“ და რაღაცნაირად, ძალიან მგავდა... ამის შემდეგ დაიწყო შეხვედრები, საჩუქრები, მეგობრობა და ნელ-ნელა სიყვარულიც შემოგვეპარა (მიკვირს, ასე ბანალურად როგორ მოხდა ყველაფერი). არასოდეს არავისთვის მითქვამს იმდენი თბილი სიტყვა, არასოდეს ვყოფილვარ ისეთი კეთილი... მოკლედ, გავებით. სხვადასხვა სოციალურ ქსელზე ნანუკას ფოტოებზე დატოვებული კომენტარები ჩემში ყოველთვის წყრომას იწვევდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ კომენტარების ავტორები ძირითადად გოგონები იყვნენ: „ცხელი გოგო ხარ“; „ბიჭი რომ ვიყო, ჩემი გახდებოდი“; „სექსუალური ტუჩები გაქვს“ და ა.შ. რამდენიმე თვის წინ კი, ერთ-ერთი შეხვედრისას, ნანუკას ციფრული აპარატით ფოტოები გადავიღეთ. იმავე საღამოს რესტორნიდან დამირეკეს და ფოტოაპარატი დაგრჩათო, მითხრეს (ადრე მანდ ვმუშაობდი და ამიტომ მითხრეს, თორემ სულ ცალ ფეხზე არ ეკიდათ, რამე დაგვრჩა თუ არა?!). რა თქმა უნდა, მივედი და „ციფრული“ წამოვიღე. ალბათ გასაკვირი არც არის, რომ ფოტოების თვალიერება დავიწყე. გავოგნდი! ნანუკას და მისი დაქალების მეტად ინტიმური ფოტოების კოლექცია ვიხილე. ნუ, პორნოგრაფია ან 18+ არ იყო, მაგრამ ყველაფერს ნათელი მოეფინა. აღმოჩნდა, რომ მყავდა შეყვარებული, რომელსაც უამრავი გოგო ეარშიყებოდა... შოკირებული ვიყავი. ცხოვრებას ყოველთვის „ჰყოფნის მოხერხება“, ბოროტი სიურპრიზები მოგვიწყოს. ზემოთ ხსენებული მოვლენა კი ნამდვილად ტოტალური უსამართლობა იყო ჩემდამი. რა ვქნა, არასოდეს მიმართლებდა გოგონებში... ამ ამბავს გაგრძელებაც მოეპოვება, თუმცა, შესაბამის თემას დაველოდები და შემდეგ მოგითხრობთ. ნიკოლო“.

## თემაზე და თემის გარეშე მოსული, მოკლე მესიჯები

„მდაა, რა საინტერესო თემაა... რატომღაც ერთი ამბავი გამახსენდა, რომელიც ჩემს კლასს შეემთხვა ამ ზაფხულს. ჩემი ცხოვრება არა, მაგრამ ჩემი თანაკლასელის ცხოვრება კი შეცვალა ჭორმა. აგვისტოს ცხელი დღე იყო, აი, ისეთი, ჩრდილში ჯდომა და ინტერნეტში ძრომიალი რომ გინდა მარტო. გავიღვიძე თუ არა, მაშინვე „ფეისბუქს“ მივაშურე ახალი ამბების გასაგებად. შევედი თუ არა საიტზე, მეტად საინტერესო წარწერები ვნახე. ჩემი კლასელი ბიჭები თანაკლასელის ამბავს მაუწყებდნენ: იცი, მარი გაგვითხოვდაო. შოკი იმდენად დიდი იყო, რომ დღესაც არ მახსოვს, როგორ გამოვედი მდგომარეობიდან. ჭორი გავრცელდა და მართლა ვერავინ იჯერებდა, რომ 15 წლის გოგონა გათხოვდა (დანიშნეს). ბუნებრივია, რომ პატარა საგარეჯოში ასეთი ამბები არ იმალება და საერთოდაც, აქ ყველამ ყველაფერი იცის ერთმანეთზე. ამ ამბავმა მარის „ლოვეს“ ყურამდეც მიაღწია; ლევანს ჩემმა კლასელმა ბიჭებმა მოახსენეს ეს ამბავი. სულ მთლად გადარეულა, არც კი უცდია გაერკვია, მართალი იყო თუ არა ეს ჭორი. მეორე დღესვე დაუბირჟავა კართან, მარის დაურეკა, შენს უბანში ვარ და შემხვდიო. მარიც გამოვიდა გარეთ და... ბიჭმა არც აცია, არც აცხელა და პირდაპირ თავის მანქანაში უკრა თავი. კახური სუფრაც გაიშალა. ამ ამბის გახსენებაზე სიმწრის ცრემლები მდის, თუმცა, რას ვიზამთ? რაც მოხდა — მოხდა, ახლა ჩვენ საატესტატო გამოცდებისთვის ვემზადებით, ის კი კარგი მეუღლის ამპლუას ირგებს და 2 თვეში პატარასაც ელოდება. P.S. მერე უკვირთ, უფროსები რომ ამბობენ, ეს რა თაობა მოდისო. მუდამ თქვენი დაუღლელი, ყბედი ტალკერ“.

„გამარჯობა, მე თათია ვარ. ერთმა ჭორმა მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა. როდესაც შეყვარებული მყავდა, ბოროტმა ადამიანებმა დაარწმუნეს, რომ ქალწული არ ვიყავი. ეს ყველამ გაიგო და ყველამ მიმატოვა. ახლა მარტო ვარ, ყურადღებას არავინ მაქცევს, ყველას გთხოვთ, ჭორს ნუ დაიჯერებთ, კარგად გააანალიზეთ“.

„მინდა ის ამბავი გიამბობთ, რომელმაც საყვარელი ადამიანი დამაკარგვინა. შეყვარებული მყავდა და ერთმა ჩემმა არც ისე ახლო მეგობარმა მითხრა, ერთმა ბიჭმა სიყვარული ამიხსნა, მას კი შეყვარებული ჰყავსო. იმ ბიჭს უთქვამს, მალე დავშორდები და შენთან ვიქნებიო. გავიდა დრო და საერთო დაქალს, ნიას უთხრა, ნიკაა ის ტიპიო. მან კი მე მითხრა. გული ისე მეტკინა, სიცოცხლის ხალისი დავკარგე. ნიკას დავურეკე და გშორდები-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ მიზეზი არ მითქვამს. აღარც მის ზარებს ვპასუხობდი და არც ქუჩაში ველაპარაკებოდი. გავიდა 4 თვე და მერე გავიგე, თურმე ამ გოგოს მოგონილი ყოფილა ყველაფერი, რადგან ნიკა ჰყვარებია. ეს ტანჯვა 4 თვე ვატარე, ნიკაც დავტანჯე და დავკარგე სამუდამოდ. ნიკამ გაიგო და ვერ მაპატია“.

„მაარ, გავაფრენ ახლა, ჩემი 17 წლის, უჭკვიანესი, უნიჭიერესი დაიკო ამწუთას კლასელის დაბადების დღიდან ისეთი მთვრალი მოიყვანეს, ხუთმა გოგომ ძლივს გადმოიყვანა მანქანიდან. მე გაოცებული ვუყურებ. ასეთში კი არა, მსგავს სიტუაციაშიც კი არასოდეს მინახავს. მე ანგარიშზე არ მაქვს და მისივე ტელეფონით გწერ. აბა, რა ვქნა? CRAZY GIRL“.

■

**ყურადღება!** თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.

*მომდევნო ნომრის თემა იქნება — „უხერხული სიტუაცია“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com*

# „შორით კვდომა, შორით დაგვა"

## ანუ რა შეუძლია სიშორეს

**„გზის" №16-ში დაიბეჭდა 14 წლის მარიამის მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ შეყვარებულს, რომელიც წელიწად-ნახევრის წინ გაიცნო, დაშორდა მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ ერთმანეთს ვერ ნახულობდნენ. გოგონა ამ ამბავს განიცდის და ამბობს, რომ მიუხედავად მისი „პაკლოების" მცდელობისა, „ლოვეს" ვერ ივიწყებს და სხვა ბიჭებისადმი არავითარი გრძნობა არა აქვს...**

*ლიკა ქაჯაია*

**აჩრდილი:**

„რა სასაცილო ვინმე ხარ... თუ მხოლოდ იმიტომ დაშორდით, რომ ერთმანეთს ვერ ნახულობდით, ე.ი. თქვენ შორის სიყვარული არ ყოფილა. რუსთაველს უთქვამს: შორით კვდომა, შორით დაგვაო. იქნებ, ჩემს სიტყვებზე ვინმეს გაეცინოს, — რაღა დროს ეგენიაო, მაგრამ ვფიქრობ, ეს სიტყვები დღესაც აქტუალურია".

**ნიკოლო:**

„აბა, რა გითხრა? ისღა დამრჩენია, მოგილოცო — 12 წლის ასაკიდან შეყვარებული და „პაკლოები" გყოლია. არ ვიცოდი, რომ სწავლას და შეყვარებულთან ყოველდღე „ზასაობას" ერთმანეთს ვერ შეუთავსებდი? რას იზამ, სხვა უნდა ეძებო, შენ ხომ მაინც, სიყვარული რაღაც კულუცური თამაში გგონია".

**ლუნა:**

„ჯერ პატარა ხარ და გირჩევ, ფრთხილად იყო, თორემ შეიძლება, შენი უსუსურობით ვინმემ ბოროტად ისარგებლოს. ისე, რა დროს „პაკლოებზე" ფიქრია? ამას სჯობს, ბევრი ისწავლო. ჩემო კარგო, ყველაფერს თავისი დრო აქვს. იცოდე, რაც უფრო დიდხანს ელოდები სიყვარულს, ის მით უფრო სასიამოვნო და ტკბილია. P.S. სიშორე საშინელებაა და მას ნამდვილად შეუძლია, საყვარელი ადამიანი დაგაკარგვინოს. აბა, შენ იცი, და დაიმახსოვრე, ნამდვილი გრძნობა 14 წლის ასაკში არ მოდის, უბრალო გატაცების გამო კი ტანჯვა არ ღირს. გკოცნი".

**კუსა:**

„ვინმეს უგულო არ ვეგონოთ, მაგრამ აბა, 14 წლის ბავშვმა სიყვარულის რა იცის? ამ ასაკში სიყვარული ლეგალური სექსი და კოცნა ჰგონიათ... „პაკლოებზე" და მსგავს რაღაცეებზე ფიქრი შენთვის ნაადრევია. P.S. სულ ნუ გატუტუცდებით, რა".

**ქვრივი:**

„თუ მასთან ყოფნას მისი დავიწყება გირჩევნია, მაშინ შენს „პაკლოებს" მიეცი უფლება, საჩუქრებით, ყურადღებით გაგანებივრონ და მერწმუნე, მასზე საფიქრად ნაკლები დრო გექნება".

**სვანის ასული:**

„ნამდვილად ვერ გეტყვი, ეს შენი უკანასკნელი სიყვარული იყო-მეთქი (ასაკიდან გამომდინარე), მაგრამ 4 თვეში ეს დარდი ცოტათი მაინც უნდა შემსუბუქებულიყო, გული სხვა რამეზე უნდა გადაგეყოლებინა. სიშორე მართლაც იწვევს გაუცხოებას, მაგრამ არა ნამდვილი გრძნობის შემთხვევაში. მომდევნო თავგადასავლის ძებნას და ახალ თაყვანისმცემლებთან ურთიერთობას რატომ ჩქარობ? ჯერ 14 წლის ხარ, ისწავლე, ბევრი იკითხე, მეგობრებთან ერთად გაერთე, ნამდვილი გრძნობა კი რაღაც პერიოდის შემდეგ, თავისთავად მოვა".

WANDERER:

„აბა, ჩვენ როგორ დაგეხმაროთ? შენი „ექსლოვე" თავად უნდა დაივიწყო. P.S. მასზე არ იფიქრო და ამას შეძლებ!..".

**უცნობი:**

„ლოვეების" დევნას სჯობია, სწავლას მიხედო. P.S. მერე გვიკვირს ხოლმე, რომ ამბობენ, — როგორი თაობა მოდისო..."

**გრუზინკა:**

„14 წლის ლაწირაკს გინდა, ამ ასაკში „ლოვე" გყავდეს და მასთან სერიოზული ურთიერთობა გქონდეს? ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე კარგი პერიოდი ბავშვობაა და შეირგე, რა. P.S. ბოდიში მკითხველებთან, მაგრამ ძალიან გავბრაზდი".

**ვასკა:**

„ოჰ, როგორ გაკლიათ ამ თინეიჯერებს, რა. არ მჯერა, რომ შეყვარებულ წყვილს ერთმანეთის სანახავად დრო არ რჩება, მით უმეტეს, ამ ასაკში. ნუთუ, სწავლა-განათლების მიღებით იმდენად ხარ დაინტერესებული, რომ დრო პაემანზე წასასვლელადაც არ გაქვს? იქნებ, ის ბიჭია სწავლას ზედმეტად მოწყურებული? ჩემო კარგო, ეგ საკენკი სხვებს დაუყარე. ეტყობა, მეოცნებე ხარ და გეგონა, რომ ვიღაც შენზე აფანატებდა, მაგრამ როცა გამოფხიზლდი და მიხვდი, რომ ეს რეალობა არ იყო, ზღაპარი შეთხზე..."

**ნიაკო:**

„14 წლის რომ ვიყავი, სიყვარული რა იყო, ისიც კი არ ვიცოდი. ის ბიჭი მართლა რომ გყვარებოდა, ახლა „პაკლოებზე" არ დაიწყებდი ლაპარაკს. თქვენ ალბათ, ერთმანეთი უბრალოდ, მოგწონდათ, მაგრამ ვინაიდან შეხვედრას ხშირად ვერ ახერხებდით, „შორით დაგვისგან" სიამოვნება ვერ მიიღეთ და ერთმანეთს დაშორდით კიდეც. მერწმუნე, ნამდვილ სიყვარულს სიშორე ვერაფერს დააკლებს, პირიქით — ის გრძნობას უფრო შმაგს ხდის". ■

## „დაკერილი" ბიჭი ჩემთვის უინტერესო ხდება"

**უცნობი,** *21 წლის:*

„გამარჯობა. არ ვიცი, ჩემი პრობლემის მოყოლა საიდან დავიწყო. ძალიან მაწუხებს ის, რაც ჩემს თავს ხდება, მაგრამ ამ ყველაფრის წინაშე უძლური ვარ. საქმე ის არის, რომ როცა ბიჭი მომეწონება, ვაქტიურობ მანამ, ვიდრე არ გავიცნობ, მერე ვცდილობ, თავი შევაყვარო, მაგრამ ჩემად დავიგულებ თუ არა, ასე ვთქვათ, „დაკერილი" ბიჭი ჩემთვის უინტერესო ხდება. მაღიზიანებს მისი ზარები და მესიჯები, „პაკლონიკის" მიმართ საოცრად აგრესიული ვხდები. მოკლედ, ასეთი საქციელით უკვე ბევრს ვატკინე გული... გთხოვთ, მირჩიეთ, როგორ ვაიძულო საკუთარი თავი, რომ მსგავსი რაღაცები აღარ გავაკეთო?" ■

## „მამაკაცი ლექტორი სტუდენტებს გარეგნობის მიხედვით აფასებს"

**777:**

„გამარჯობა. თქვენთან მესიჯი ადრეც მომიწერია, მაგრამ ახლა მინდა, ჩემი სხვა პრობლემის შესახებაც მოგწეროთ. ლამაზი არ ვარ, თუმცა ამას ნაკლებად განვიცდი. ღმერთის მადლობელი ვარ იმისთვისაც, რომ ისეთი შემქმნა, როგორიც გახლავართ, მაგრამ ცუდი ისაა, რომ ამის გამო ბევრ პრობლემას ვაწყდები. სამწუხაროდ, ბევრი მამაკაცი ლექტორი სტუდენტ გოგონებს გარეგნობის მიხედვით აფასებს და მერწმუნეთ, საოცრად არასასიამოვნოა, როცა ვიღაც გაგრძნობინებს, რომ რაღაც ნაკლი გაქვს და ამის გამო სხვებზე ნაკლები ქულა გეკუთვნის, უმაღლესი შეფასების ღირსი არა ხარ... მოკლედ, არ ვიცი, როგორ მოვიქცე და იქნებ, თქვენ მაინც დამეხმაროთ. რჩევებისთვის წინასწარ გიხდით მადლობას!" ■

*P.S. მეშ ახე, თუ უცნობისა და 777-ის წერილების წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.* ■

# „ასეთი სიყვარული დანაშაულია...“

## „არ გაქვს უფლება, ქმარს თავზე ლაფი დაასხა“

**„გზის“ №16-ში დაიბეჭდა საკალელი გოგოს მესიჯი. იგი გვწერდა: „3 წელია, გათხოვილი ვარ და ორი პატარა ანგელოზიც მყავს. სამწუხაროდ, 2 წლის წინ მივხვდი, რომ ქმარი არ მიყვარს, თუმცა მე ის ქალი არა ვარ, რომელსაც შეუძლია, შვილებს მამა დააკარგვინოს. ჰოდა, მისგან არ მივდივარ, დღემდე ერთად ვცხოვრობთ. ახლახან თავს ერთი უბედურება დამატყდა — აღმოვაჩინე, რომ მეუღლის ბიძაშვილი მიყვარს. მისი ნახვა, მასთან ხუმრობა და რძალმულური ურთიერთობა ყოველთვის მიხაროდა, მაგრამ ახლახან, როცა ის დიდი პრობლემის წინაშე დადგა, როცა ძალიან გაუჭირდა, მივხვდი, რომ მის მიმართ სულ სხვა რამეს ვგრძნობ. დიახ, მე ის მთელი არსებით მიყვარს, მაგრამ ამას თქვენ გარდა, ვერავის გავუმხელ და ვიტანჯები. ცნობისათვის, ოჯახი მასაც აქვს...“**

**გრუზინკა:**

„ეს ხალხი გადამრევს, რა. იცი, შენ ერთი რამე უნდა გაითავისო: სხვის ქმარს, თანაც — ნათესავს, სხვა თვალით არ უნდა შეხედო! სჯობს, შეეცადო და ის კაცი იშვიათად ნახო“.

**დიკი ანგელი:**

„საკალელი გოგო კი არა, შენ ნაღდად, გაფრენილი გოგო ხარ. ჲუ, აზრზე მოდი და ოჯახს მიხედე, შვილებს გაუფრთხილდი“.

**ათენი:**

„ამბობენ: სიყვარული ბრმა არისო, მაგრამ ისიც ნათქვამია, — სიყვარულსა მალვა უნდაო. ჩემო კარგო, თუ შენი პატარა ანგელოზები გიყვარს, ეს შენი გრძნობა კარგად დამალე; თუ სიყვარული მართლა შეგიძლია, პატარებს გაუფრთხილდი, გულში მაგრად ჩაიკარი და მათ მომავალზე იფიქრე, ეს გაგაძლიერებს. მერწმუნე, შვილები ტკივილს დაგაძლევინებენ. P.S. ნუთუ, უფლის რა გეშინია? ეკლესიაში შედი და ილოცე“.

**ქეთი:**

„ძალიან მეცოდები. ვიცი, რომ სიყვარულის მალვა ძნელია, მაგრამ შენ სხვა გზა არ გაქვს — აკრძალული გრძნობის გამჟღავნებას, ტკივილის გარდა, არაფრის მოტანა არ შეუძლია და გირჩევ, ის ბიჭი დაივიწყო, ქმრის შეყვარება თავიდან უნდა სცადო. წარმატებები!“

**მარი:**

„რაო? ვინ შეგიყვარდა? შენ ხომ არ „ჭედავ“, ქმრის ნათესავს სხვა თვალით როგორ შეხედე? დავიჯერო, არც ქმრის გეშინია და არც ღმერთის? შენ გასაკიცხი კი არა, საცემი ხარ. რომ გიცნობდე, მოვითხოვდი, ვირზე უკუღმა შეესვით და პირველი, ვინც ლაფს მაგ სულელურ სიფათში გესროდა, მე ვიქნებოდი... ახლა შეიძლება, ვილაცამ ჩემზე თქვას, უგულოაო, მაგრამ ეს სულაც არ მაინტერესებს. თუ ამ საკალელი კი არა და, საძაგელი გოგოს საქციელი თქვენთვის მისაღებია, ჩემთვის პირიქით — დასაგმობია!“

**თეონა:**

„ქმრის ბიძაშვილი რომ შეგიყვარდა,



ეს მართლაც ძალიან ცუდია, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ამაში დამნაშავე არ ხარ, ბოლოს და ბოლოს, სიყვარული ხომ დაუკითხავად მოდის ხოლმე. დაფიქრდი: შვილები უფრო გიყვარს თუ ის კაცი? თან, მას საკუთარი ოჯახი აქვს და სჯობს, დაივიწყო. მეეჭვება, რომ შენს გრძნობას მომავალი ჰქონდეს“.

**უჩუჩური:**

„ნუთუ, ოჯახი სიყვარულით შექმენი? იქნებ, სიყვარული შეჩვევა გგონია? ჩემო კარგო, ყველაფერი კარგად გააანალიზე. იცოდე, ამ გრძნობას მომავალი მაინც არა აქვს და შვილებს ცხოვრებას ტყუილუბრალოდ ნუ დაუმახინჯებ. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა სიყვარული დანაშაულია! P.S. მთელი გულით, გაძლებას გისურვებ!“

WANDERER:

„შეეცადე, მეუღლის ბიძაშვილი დაივიწყო. კარგს შვრები, სახლიდან რომ არ მიდიხარ, რადგან ეს არა მარტო შენთვის, არამედ ყველასთვის ცუდი იქნებოდა. მოვლენების განვითარებას დაელოდე და იქნებ, ქმრისადმი სიყვარული განგიახლდეს. შენს ადგილას, ბევრი ასეთ სწორ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა. P.S. ის ბიჭი დაივიწყე. წარმატებები!“

MAPI#:

„შენ საერთოდ, იცი, რა არის სიყვარული? ერთწლიანი შეყვარება არ გამიგია, რა. ეტყობა, ბავშვის ჭკუა გაქვს. გასაკიცხი კი არა, თმით უნდა გათრიონ. დაინახა უფრო კარგი ტიპი და შეუყვარდა გოგოს. არ გრცხვენია?.. P.S. ამ დღეებში მაინც ნუ გვწერთ ასეთ რამეებს, აღდგომაა და ქრისტიანები ხომ ხართ?“

**სვანის ასული:**

„ეიფორიამ გათხოვებიდან ერთ წელიწადში გაგიარა? ნეტავ, ამის მიზეზი რა იყო ან საერთოდ, თავის დროზე რატომ გაჰყევი ცოლად? ალბათ, პასუხისმგებლობის გრძნობა გაქვს, რადგანაც ქმარი არ მიატოვე და შვილებზე ფიქრობ. ჰოდა, ჯობს, ასევე გააგრძელო, მიუხედავად იმისა, რომ ამ როლის თამაში გაგიჭირდება. კაცმა არ იცის, ნებისყოფა როდის გიმტყუნებს და ამიტომაც გირჩევ, იმ კაცთან ურთიერთობას მაქსიმალურად მოერიდო. პირობა დავდე: სიყვარულის გამო არასდროს არავის განვიკითხავ-მეთქი, მაგრამ სამწუხაროდ, ვერც შენი გრძნობების გაშიშვლებას და ვერც ორი ოჯახის დანგრევას ვერ გირჩევ, რადგანაც ჩვენ „სერიალში“ არ ვცხოვრობთ. იქნებ, იმ ადამიანთან ურთიერთობა უბრალოდ, გსიამოვნებს და თან, თანაუგრძნობ, რადგანაც პრობლემები შეექმნა?! ამაზე დაფიქრდი და შეეცადე, მეუღლეში დადებითი თვისებები ეძებო“.

**ქვრივი:**

„ეს ქალები სექსის მერე აღმოაჩენენ ხოლმე, რომ თურმე, ქმარი აღარ უყვართ... ნურც თითით საჩვენებელი გახდები და ნურც სხვის უბედურებაზე ააგებ საკუთარ ბედნიერებას. ოჯახს მიხედე!“

**ლუნა:**

„მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ის, რაც ჩვენ მოგვწერე, არც კი უნდა გაიფიქრო. შენ არ გაქვს უფლება, ქმარს თავზე ლაფი დაასხა, მეტიც — ეგ საკუთარ თავსაც კი არ უნდა აკადრო. ქმრის ნათესავებზე ფიქრს შეეშვი და ოჯახს მიხედე! შეიძლება მოგწონდეს (ნუ, თუ სხვა გზა არაა), მაგრამ ზღვარს არ უნდა გადახვიდე“.

**ნიკოლო:**

„პრობლემა ის კი არაა, რომ მეუღლის ნათესავი შეგიყვარდა, არამედ ის, რომ სიყალბეში ცხოვრობ. რა გგონია, შვილებს ასეთ სიტუაციაში თუ გაზრდი, ისინი დაცულები იქნებიან? მწარედ ცდები. იცოდე, თუ ასე გააგრძელებ, ქმარსაც დაღუპავ, შვილებსაც და მეუღლის ბიძაშვილსაც“. ■



# მობილი-ზაცია

***იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.***

## ქალები



1. ვეხმიანები „გზა“ №16, მე-14 მესიჯის ავტორს. გთხოვთ, მომცეთ მისი ნომერი ან მას მიეცით ჩემი ნომერი. მადლობა.

2. ვისაც მართლა უნდა, ჰყავდეს მოსიყვარულე ცოლი, არ უნდა გართობა, შემეხმიაოს... გელი, თუ არა და, ნუ შეწუხდები. ვარ 75 კგ. 180 სმ. სოფო.

3. გავიცნობ დამოუკიდებელ, ღირსეულ მამაკაცს, ოჯახის შექმნის პერსპექტივით. ვარ 42 წლის, სიმპათიური, დადებითი, ბავშვით, ბინით. ლელა.

**ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!**

| | | |
|---|---|---|
| ა — a | მ — m | ღ — gh |
| ბ — b | ნ — n | ყ — y |
| გ — g | ო — o | შ — sh |
| დ — d | პ — p | ჩ — ch |
| ე — e | ჟ — zh | ც — c |
| ვ — v | რ — r | ძ — dz |
| ზ — z | ს — s | წ — w |
| თ — t | ტ — t | ჭ — wh |
| ი — i | უ — u | ხ — x |
| კ — k | ფ — f | ჯ — j |
| ლ — l | ქ — q | ჰ — h |



## მამაკაცები

4. ვარ 22 წლის, ქუთაისელი, მაღალი, სიმპათიური ბიჭი. გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის ქალს.

5. გავიცნობდი მანდილოსანს, 30-დან 40 წლამდე.

6. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ გოგოს, სერიოზული ურთიერთობისთვის. გიო24.



## სხვადასხვა

• პატარავ, როგორ ხარ, დედას სიხარულო? ჩემს თავხოტორა და მწვანეთვალება ბიჭს ცოტა მოვეფერე, იმ დღეს. გენაცვალე... სულ გინდა, რომ რაღაც მოგწეროთ, მაგრამ ახალიც არაფერი ხდება, დე... ყოველდღე ერთი და იგივეა... სამსახური, სახლი, დარდი და ფიქრი შენზე, ბადრიზე, ბესოზე... ეს სულელი პატარა გვაძლებინებს ცოტას... ამას წინათ დამიძახა, ჩემმა მამიკომ ასე იცისო და ფრჩხილების კვნეტა დაიწყო :) ეგეც კი ახსოვს და ზუსტად ისე აკეთებს, შენ რომ იცი... ბებიაშენმა უთხრა, ჭამე, თორემ პიპიას აღარ გიყიდიო, აი, დარდი, თუ არ მიყიდიო, ისე გულიანად ამბობს, გაგეცინება... საჭმელს რომ დაუდებ თეფშზე, ბარაქა, გოგიიიიიიი! იძახის... დიდი მაიმუნია... დე, შენ იცი, თავს მიხედე, მიყვარხარ და გკოცნი გულში. გიორგობის დღესასწაულს გილოცავ, გფარავდეს მისი კალთა. ვაჟკაცების მფარველია და ჩემს ვაჟკაცებსაც დაიფარავს ცუდისგან... ყველას. ხომ იცი, რამდენი მყავხართ... ხუთნი... გკოცნი, დედა.

• სიხარულო, როგორ ხარ? ძალიან გვენატრები. საბა სულ გკითხულობს და მაგრად ენატრები. ძალიან მოუსვენარია და ისეთ რაღაცებს აკეთებს, გვაგიჟებს ხოლმე. პატარა ხულიგანია. ჩვენზე ნუ იდარდებ. ძალიან მაკლიხარ და ველოდები იმ დღეს, როცა ისევ ერთად ვიქნებით. სიხარულო, რომ გნახე, დავმშვიდდი ცოტა. როგორი საყვარელი ხარ... მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლევ. წერილი გამოვგზავნე და შენგანაც ველოდები. მიხედე თავს. გკოცნი ბევრს. ნინო.

• გამარჯობა, პირველად გწერთ. არ მეგონა, თუ ასე ძალიან გამიჭირდებოდა, მაგრამ რჩევა მჭირდება თქვენგან. მყავს შეყვარებული, უკვე 7 წელია, ერთად ვართ, ერთად გავიზარდეთ. საქმროა უკვე, ვაპირებთ დაოჯახებას, სულ რაღაც 2 კვირის წინ გავიცანი ერთი ბიჭი, რომელსაც ჰყავს მეუღლე. ჩვენი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. არ მინდა, ვინმეს ცხოვრებაში ხელი შევუშალო. უბრალოდ, ვერ ვძლებთ, ერთმანეთს რომ არ დავეკონტაქტოთ. ამ ადამიანში ისეთი თვისებებს ვხედავ, როგორიც მე მაქვს. არ ვიცი, რა ვქნა, ჩემს თავს ვერ ვცნობ. გთხოვთ, მირჩიეთ რამე... მ. 19 წლის.

• ყველაფერი წარმავალია — სიყვარული, ხელოვნება, დედამიწა, თქვენ, მე... სიკვდილი იმდენად გარდაუვალია, რომ ყველას მოულოდნელად ატყდება თავს. როგორ უნდა მიხვდე, რომ მაინცდამაინც დღევანდელი დღეა შენი ცხოვრების უკანასკნელი დღე? არადა, სულ გგონია, რომ დრო კიდევ გაქვს! მერე, უცებ, ერთ მშვენიერ დღეს — ბრახ! სიკვდილი ერთადერთი პაემანია, რომელიც წინასწარ ვერ ჩაეწერება თქვენს ორგანიზაციაში. ბეგბედერი გენიოსია, გენიალურად დაწერა... პირველად გწერთ... ნიმა.

• კაკადუ, ქრისტე აღდგა. მაგრად

მიყვარხარ და მენატრები. ერთი სული მაქვს, როდის გნახავ. მაგარი შვილები გეზრდება და მალე იამაყებ, ნახავ, რა კარგები არიან. კახა.

•მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ და ყოველ დილით ვხვდები ნიკალას. ასეთი ნახატები რომ შექმნილიყო, ფიროსმანს ზუსტად ისე უნდა ეცხოვრა, როგორც იცხოვრა. კუნკულა.

• იკა, შენ შემოგევლოს ნანა ბებო. აბა, შენ იცი, როგორ ვაჟკაცურად გადაიტან ამ განსაცდელს. გული არ გაიტეხო, ყველაფერი კარგად იქნება. ნოდარიკო სულ გახსენებს. მალე ყველაფერი კარგად დამთავრდება, მთავარია, გული არ გაიტეხო. შენ ხომ იცი, რა ძლიერი დედა გყავს. პირობა ხომ მოგცა დაიმ, პირობას ასრულებს, მაგრამ დროა საჭირო.

•ბუცა, არ მინდა შენთან მეგობრობა. თუ გინდა, გაკოცებ. კუნკულა.

• თიკო, როგორ ხარ? მიხარია შენი დის, ნინოს ამბავი. კარგი ბიჭია ხომ, ქმარი? მიყვარხარ და მენატრები. მარი კზმ.

•უაზრო მესიჯების წერას თავი დაანებეთ! თქვენ არ გეუბნებით, მგზავნელებო. იცის, ვისაც ვეუბნები. ნუ იქნები შურიანი. წარმატებას ამ საქმეში არ გისურვებ. მარი კზმ.

• ირაკლი, შენ არაფერზე ინერვიულო. მამაომ როგორც გითხრა, ისე არის ყველაფერი. ყველა ფეხზე დგას, დახასიათებებს გიწერენ, ყველა კარგს ამბობს შენზე.

• დე, 15 აპრილს 50 ლარი ჩაგირიცხე მერაბის „კარტაზე". თუ ნახე, მინდოდა, დაბადების დღეზე რაღაცები გეყიდა. ახლა ჩვენთან თაზო მეფარიშვილია. დადის და სულ გკითხულობს.

• დიკი ანგელ, რატომ გძულდი, ეგ ვერ გავიგე, რა გაწყენინე? მე „გზაში" აღარ მოგწერთ, მაგრამ მუდამ თქვენთან ვიქნები. მგზავნელებო, ყველა უზომოდ მიყვარხართ. ედელვაისი.

•მამაჩია, გჯეროდეს, ჩემს სიყვარულს ვერ დავთმობ. როგორ მინდა, ჩემი გესმოდეს. იქნებ გითხრა კიდეც. მიყვარს ძალიან...

• როგორ ხართ, მგზავნელებო და მარი? მოვიკითხავ კლეოპატრას, აურას, ლუნას, რუისპირს, ატარექსიას და ყველას... ატარექსია, შენი ნომერი ვერაფრით გავიგე. :( მიყვარხართ. WANDERER.

• „გზავნილებს" ვკითხულობდი და ერთ-ერთი მტკივნეული გზავნილი — „ანიც" წავიკითხე. შემეცოდა, რაღაც არანორმალურად... მას ხომ უყვარდა... მტკივნეულია დაკარგვა. WANDERER.

• თვალებიდან ისვრი ისარს, მე კი ფარად დაგხვდები, მე მივაღწევ მაინც მიზანს, ჩემთან ვერას გახდები. ალი.

•მაი, მომენატრა შენთან ერთად მთვარის შუქზე ღამის გათევა. მინდა, გულში ჩაგიკრა და ისევ გაგიმეორო, რომ ძალიან მიყვარხარ, ჩემო ერთადერთო ფიქრო.

•ქუჩის კუთხეში დგას მოხუცი, იებით ხელში, ჩამოყრილ მხრებზე ტვირთი ადევს და ჩუმად ხვნეშის, მზე გადიწვერა, კანტიკუნტად მიმოდის ხალხი, იყიდეთ იებიო, ცრემლი ერევა. მოხუცის ხმაში ვერ იმორჩილებს გადაღლილ მუხლებს და იქვე ჯდება დაკოჟრილი ხელისგულით იებს ეფერება, იები ჭკნება, ზის ბერიკაცი, უიმედოდ დაქვავებული, უკან შორი გზა გასავლელი ღამეში რჩება. მთვარე დაჰყურებს სევდიანი, ჰგავს ქანდაკებას, წაებლანდება მოღიღინე, მთვრალი მხატვარი, უცებ შედგება მთვარის შუქზე, გაშლის ძველ მოლბერტს და გამალებით ხატავს, ხატავს მოხუცის პორტრეტს. ახლა იმ ქუჩას მინიმარკეტის ამშვენებს აბრა, წლებმა წალეკა სილუეტი, უჩუმრად გაქრა, იქვე, კუთხეში. ციცქნა.

•არ ვიცი მარ, დამიბეჭდავ თუ არა ამ სმს-ს, მაგრამ ბედს ვცდი მაინც. ძალიან მინდა გავიცნო რუისპირი, მისტერი, ბერბიჭა, ლუნა, SWEET GIRL. იმედია ბავშვებო, გამეცნობით.

• დღეს ჩვენი ტკბილი თათას იუბილეა. მინდა მივულოცო, ვურეკავ, მაგრამ არ პასუხობს. ნეტავ, რა სჭირს? ჯ. ხავი. P.S. ატარექსია, შენც ქებამ გაწყინა? სად დამეკარგე?

•ეს დედალი გოგონები თუ ვინმე ხართ, მე ხომ ზეპირად არ ვიცი, გასათხოვარი სულ რამდენი ხართ. თქვენ თუ დაგიჯერებთ, ისე გამოდის, რომ მე ტყუილად ვბღუივარ, გაგიჟებული მოზვერივით. თქვენ რა, გგონიათ, მიხარია ამ ჟურნალში მესიჯების გზავნა? გოგო მინდა გავიცნო! არ გესმით, თქვენა? კუნკულა.

•მუკი, ისეთი გაბრაზებული ვარ, რომ არ იცი, კიდევ არ აქვს მოსამართლეს დაწერილი. ვჩხუბობ, მაგრამ აზრი? დავიტანჯე, ამდენი ხანია, არ მინახავხარ. არ მოიწყინო, მალე მოვალთ.

• მუკი, შენმა მეგობარმა დამირეკა ქსანიდან, ზურამ. ბიჭები მომიკითხოს, კარგად ვარო. მე კი არ ვარ კარგად, ძაან მენატრები. ბავშვებსაც ველარ ვაკავებ, კიევში უნდათ.

•როგორ ხართ, მგზავნელებო? CRAZY GIRL და აურა, სად დამეკარგეთ? უწუწური, შემოგევლე გულში, დავმეგობრდებით, მჯერა. ახლებო — ლაქლაქა, ბიბიკო, ქრისტი, მიხარია, აქ რომ ხართ. ლი23.

• გიო, პაწი, დე, როგორ ხარ? იმედია, მაგრად იქნები, დე. ყველას გვენატრები. ნიაკო დიდი გოგოა უკვე. ნიკუშა ბუზღუნებს, მალე ჩამოვიდესო. ბაღში წასვლა რომ არ უნდა, დაახველებს და ავად ვარო, ამბობს. ძალიან გვენატრები. ა-სიდედრი?!

•უფალო მოწყალეო და მამაო ჩვენო, მაღალო, ძლიერო და დიდო ღმერთო, შენზე ვართ მონდობილნი იმედო ჩვენო, შენს წყალობას ველით, წმიდაო ღმერთო. შენს სიყვარულს ბოლოს ნუ იწყენ ძმობილო, შენი ცხოვრების გმობასა, წარსულს ნუ დაემდურები, ნუ იქმ მომავლის თმობასა. სანამ ცხოვრებას დაიწყებ, ელოდე ოფლში წრთობასა, უნდა იცოდე, რა მოსდევს, ცოლობას, — გინდა ქმრობასა. ცხოვრებას ისე შეხედე, რომ გქონდეს საღი გონება, თუ გსურს, ბოლოს არ მოგიხდეს, ულირსთა ყოფნა, მონება. მწყურვალეს ყველა სასმელი, ბადაგი ნუ ეგონება, წუთიერ გრძნობას აყოლილს, ვის გააჩნია გონება? როს ცხოვრების გზას ადგები, წინ შორს უნდა გაიხედო, თუ გსურს წყალი რომ დალიო, ჯერ შიგ უნდა ჩაიხედო, ზღვის ტალღებთან შეჭიდება, არასოდეს არ გაბედო, თორემ ბევრი დაუხრჩვია, თავის მკლავის მოიმედო. უპირველესად, არ გირჩევ, ყველა დიაცის ტრფობასა, იგია ცეცხლთან თამაში, წააგავს ბანგით თრობასა და მთვრალი განა რასა იქმს, მოეკითხება გრძნობასა? ისმინე ჩემო მკითხველო, გაფიცებ კაცურ გრძნობასა. ყველა ქალი ნუ გგონია, რომ იყოს მზეთუნახავი, ყველა გრძნობა ნუ გგონია, რომც იყოს შენახულია. ყველა ტრფიალის ნუ გჯერა, ნურც მისი მონაჩმახავი, თუ არ იცოდე მის გულში, მიზნები განაზრახავი. ერთ სოფელში დიდი ხნის წინ, იყო ვინმე ქვრივი ქალი, მშვენიერი, ტანად სარო, ვით ნათალი ქვა-ფიქალი. წარბი ოდნავ მოშვილდნოდა, სახე ოდნავ ფერმიმკრთალი, თვალთა შუქით გამოკრთოდა, დიდი სევდის ნაფიქრალი. მშრომელი და გამრჯე ქალი, არ ჩიოდა ბედზე ნინა, თუმცა მისი ტკბილი ქმარი, ღმერთმა მიწას ჩააწვინა, 8 წელია, არ ჰყავს ქმარი, 8 წელია გლოვობს ნინა, მხოლოდ ერთადერთ ნუგეშად, ღმერთმა შვილი შეარჩინა. 16 წლის არის პირმშო, შვილი მისი ანატოლი, მთელ სოფელში ვერ ედრება, მას ვერც ერთი თანატოლი, ტანადობა მამას უგავს, სიმხნე მისგან ანაყოლი, მშვენება და სილამაზე, დედისგან აქვს დანაყოლი.

•პრივეტები. მე ახალი ვარ. ძაან მევასებით ყველა. თუმცა, ბევრნი კამათობთ, რატომ? რა ვერ გაიყავით? მანსკი.

•მიყვარხარ ჩემო ციცქნა, მენატრები ყოველთვის და სულ მეყვარები, შენ მე ცხოვრება შემიცვალე და ბედნიერი ვარ. მ.გ. (შენი გოგო).

•მარ, გთხოვ, დამიბეჭდე ეს სმს. მინდა, პირობა მივცე ჩემს სიცოცხლეს და ჩემი ცხოვრების იმედს, გვიანიშვილ გიოს. გიო, არასდროს აღარ გაგაბრაზებ. შენი გოჭი.

•მააააარ, გიო გულში მიყვაააარს! გვიანიშვილი, მე შენი სიხარული ვარ, შენ კი ჩემი ცხოვრება. მიყვარხარ. შენი გოჭი.

•ქ.ნ. ნანი, ფლამინგო, ლაკვასტ, ჭრიჭი, მილე, ედე, რუი და ბექა (ბოტკოველი), დიიდი სიყვარულით მოგიკითხავთ. კლეოპატრა.

•მე და შენ ძლიერ გვიხდება, ალერსი, კოცნა-მოცნაო, სხვას ვერაფერს დაგპირდები, მოგიწევს ისევ მოცდაო. მინდა გითხრა ქორწილს ველი, დამამშვენებს თეთრი ფერი, ღამღამობით მესიზმრები, დილით კიდევ შენთვის ვმღერი... აღარ მინდა შენ გარეშე, მარტოობით ვკვდები, ვდნები, გულს რომ

სევდა მომაწვება, შენს ფიქრებში უკეთ ვხდები. სხვას ვერაფერს ველარ გეტყვი ან რა გითხრა უკეთესი, ქორწილამდე ვერ გაკოცებ, ასეთია ჩვენი წესი. ლუნა.

• მარ, საყვარელო, ძალიან, ძალიან, ძალიან გთხოვ, ის SMS-ი, ახლა რომ მოგწერე, შემიკოწიწე და სადმე მიმიბეჭდე როგორმე. მიყვარხარ და გკოცნი! CRAZY GIRL.

• მაი, გევედრები, იქნებ გადააფიქრებინო ზურას, მართლა დავიტანჯე, ცხოვრება შემძულდა, გთხოვ, მაპატიოთ, რაც ჩავიდინე, მაი, დასავით მიყვარხარ, მართლა ვინანე ყველაფერი, მაი, რაც დავაშავე, ეს ყველაფერი ჩემ გამო არაა, ყველაფერი ბებიაჩემის ბრალია, გთხოვ, ერთხელღა მომეცით შანსი, მითხარი, შენები დაივიწყეო, თანახმა ვარ ამაზეც, მაიკო მინდაძე, დიდი ბოდიში, რაც ჩავიდინე, ამას აღარ ვიზამ, მაპატიეთ, გთხოვთ... ახლა თქვენზეა დამოკიდებული, მიმიღებთ თუ ჩემების მონობაში გავაგრძელებ ცხოვრებას, ზურას შვილს მაინც გაუფრთხილდით, მიყვარხართ ყველანი. დიკი ანგელი, ზურას კნეინა.

• ძნელია, როცა გიყვარს და იცი, რომ ეს სიყვარული აკრძალულია, როცა ცხოვრობ და ბედნიერების ყოველი წამი დაკარგულია, ძნელია, როცა გჯერა ტყუილის და სიმარტოვეს თვალს ვერ უსწორებ, გრძნობ, როგორ ქრება და შენ სიყვარულს ხელს ვერ უწოდებ, ძნელია, როცა შეგცვალა დრომ და გულს არაფერი არ შეუცვლია, როცა ძებნაში გადის წლები და ჯერ არაფერი არ გიპოვია, ძნელია, როცა ცხოვრობ და იცი, რომ არასოდეს არ გიცხოვრია. მაი, ლიანა, ზურა, გთხოვთ, მაპატიოთ. მარი, გთხოვ, დამიბეჭდე, გვიანაა, მარა გთხოვ, შანსი მაქვს, ოჯახი შევინარჩუნო, მაიკო მინდაძეს მინდა ბოდიში მოვუხადო. მაი, არ ვიცი რა დამემართა, მაპატიე, გთხოვ...

• გამარჯობა მარ, მე ახალი ვარ, ძაან მომწონს თქვენი ჟურნალი. დიდი სიყვარულით მოვიკითხავ კლეოპატრას და რუისპირს. უცნობი.

• დილა მშვიდობისა, მარიამულ... ლამაზ დღეს გისურვებ! კარგი ამბავი უნდა მოგწერო, წუხელ მოხუცმა მომიყვა. გკოცნი უამრავს. შენი ლუნა.

• მადლობა კიკე, რომ გამიხსენე. იცი, მეც ახალი ვარ და ჯერ არავინ მამჩნევს. ძაან გამახარე. მგონი გიცანი, ქორწილში გამიცანი, ხომ? თეთრო.

• მგზავნელებო, ძაან მიყვარხართ. მართალია, ხშირად ვერ გწერთ და ზოგჯერ არც იბეჭდება, მაგრამ „გზას“ სულ ვკითხულობ. კიკე, მაპატიე, მაგრამ არ მინდოდა ჩემი სქესის გამხელა, მაგრამ უკვე გვიანია. შენც კარგი ბიჭი ხარ, ოღონდ მართლა. გაკოცეთ ყველას. მაარ, შენ — ბევრი, რომ გვიტან ყველას. თეთრო.

• გამარჯობა. მე ვარ თამუნა, 19 წლის. რადგან ამ ნომრის თემაა „შემთხვევითი ქორწინება“, მე გიამბობთ ჩემს ამბავს... ჩემი და აკოს ურთიერთობა მაშინ დაიწყო, როცა ძალიან პატარები ვიყავით და გაგრძელდა რამდენიმე წელი. 7 სექტემბერს ვიყავი მეგობრის დაბადების დღეზე და მირეკავს აკო, საქმე მაქვს, გარეთ გამოდიო. გარეთ აკო, მისი ორი ძმაკაცი და მანქანა დამხვდა. ასე შემთხვევით და მოულოდნელად დავოჯახდით. გვყავს 7 თვის მარიამი, გვიყვარს ერთმანეთი და ვცხოვრობთ ბედნიერად. ყველას გისურვებთ მარადიულ სიყვარულს...

• ზუსტად არავინ იცის, როდის იბადება მეგობრობა. როგორც თასი ივსება წვეთწვეთობით და რომელიღაც წვეთი პირამდე ავსებს, აქაც, სათნოებათა წყებაში, ბოლოს და ბოლოს აღმოჩნდებიან ის „წვეთები“, რომლებიც გულებს პირამდე გვივსებენ. მეგობრობას, გრძნობათაგან, უპირველესს, ალბათ ის შესანიშნავი, ენით უთქმელი შეგრძნება ქმნის... სულიერი, ჭეშმარიტი კავშირი აქვთ კონკრეტულ ადამიანებს ერთმანეთთან. მეგობრები უბრალოდ, ჰარმონიას კი არ ქმნიან, როგორც ზოგს ჰგონია, არამედ — მელოდიას... ზოგი ადამიანი განმარტავს, რომ მეგობრობა არის ქცევა, რომელიც ვლინდება ურთიერთგაგებითა და მხარდაჭერით, პიროვნებებს შორის. ის მოიცავს ურთიერთობას ადამიანთა შორის, რომელთაც გააჩნიათ საერთო ცოდნა, ინტერესი, გატაცება. დღესდღეობით მსოფლიოში მოხდა ბევრი ღირებულების გადაფასება, სოციალური პრობლემებით დავიტვირთეთ, ჩვენთვის უცხო გახდა ერთგულება, მეგობრობა და ურთიერთგატანა. ვერც კი მივხვდით, რომ ამის გამო უფრო გაგვიჭირდა. თითქოს, ღალატი, დაბეზღება, გაუტანლობა მეტად დაფასდა... მაგრამ მე ბედნიერი ვარ იმ ფაქტით, რომ მყავს და ვიძენ ერთგულ მეგობრებს. ჩემი აზრით, ჩვენს კეთილ და პატივსაცემ მარი ჯაფარიძეს დიდი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ დღეს ადამიანები ერთგულ, ჭეშმარიტ მეგობრებს პოულობენ, ბევრი ადამიანის სული, გული დააკავშირა ერთმანეთთან იმ რუბრიკამ, რომელსაც „გზავნილები“ ჰქვია. რა საოცარია, როგორ შეიკრიბა ამდენი კეთილი, ლამაზი სულის ადამიანი სულ რაღაც ორ ფურცელზე და ორი ფურცლის საშუალებით ბევრ სითბოს უზიარებენ ერთმანეთს, მეგობრდებიან და ნამდვილ, ჭეშმარიტ ურთიერთობას აყალიბებენ... ხშირად მიფიქრია: ნეტავ, მარი ჯაფარიძის ზრახვა, მიზანი რა იყო, როდესაც ამ რუბრიკას ქმნიდა? უამრავი რამ მომდის თავში, მაგრამ ფაქტია, რომ კეთილი და ამაღლებული მიზანი დაისახა... მამა პაისი მთაწმინდელი წერს: ადამიანის ერთი კეთილი ზრახვა, მიზანი, დღე-ღამის განუწყვეტლივ გულით ლოცვის ტოლფასია, აკეთე წმინდა გულით კეთილი საქმე და რაც გინდა, ის აკეთეო... ეს ადამიანი აკეთებს წმინდა გულით საქმეს და უფალი მადლს სდებს, ის მადლი თითოეულ მგზავნელში გადადის და პატარა, თბილი გულების პლანეტა იქმნება... მე ბევრი მეგობარი შევიძინე „გზის“ მეშვეობით, რომლებსაც კეთილი ზრახვა ამოძრავებთ, ადამიანებზე, სიცოცხლეზე არიან შეყვარებულნი... აპრილის თვე ძალიან მიყვარს და ასე ბედნიერად არ გასულა ეს თვე, როგორც ახლა... 30 აპრილს ფლამინგო, ფიფქია, ქაჯების დედოფალი და სალო მესტუმრნენ, მთელი დღე ველოდი მათ გამოჩენას რა სიხარული და ბედნიერება მოჰყვა, ვერანაირი სიტყვების შერწყმით ვერ გადმოგცემთ, ძალიან ლამაზები, სათნოები და ნაზები... არიან. ათმაგად გამიმძაფრდა სიყვარული მათ მიმართ, შეხვედრისას სიხარულის ცრემლი გვქონდა თვალებზე და ვერ ვაცნობიერებდით, რომ ჩვენ ერთად ვიყავით, ასევე უნებლიედ წამომივიდა ცრემლი დაშორების დროს... ვაი, მე... :) როგორ მინდა, ნათლად გადმოგცეთ, თუ როგორი თბილები, ჭკვიანები და სულში ჩამწვდომები არიან, რომ წავიდნენ და მარტო დავრჩი. ასე მეგონა, ჩემი სხეულის ნაწილი გაჰყვა მათ. ალბათ — გული... მინდა, ულრმესი მადლობა გადაგიხადო ამ სიხარულისთვის პირველ რიგში შენ, მარი და შემდეგ თქვენ, ჩემო ტკბილებო ძალიან მიყვარხართ და უკვე მენატრებით... P.S. კიდევ მელოდება ამგვარი სიხარული წინ, რადგან ჩემი მზეთა მზე, ეთო, ტირიფი73, გრუზი, ლუნა, ნაომი, გადარეული, 9717, რუი, კუტრი, ჩემი კეთილი კლეოპატრა და ქალის ეტალონი, ქალბატონი ნანი დუმბაძე უნდა გავიცნო. მოვიკითხავ ყველას, ასევე ჩემს მეგობარ ედეს და ჯაყისმანელს... ლაკვასტი.

• ძაან მომწონს „გზავნილები“. ასე გააგრძელეთ.

• მაშინ დაგკარგე, როდესაც ჩემი მუზა გიწოდე, ასე გაქციე ასე ძვირფასი ახლა არჩემად, როგორ მიჭირდა ეს უშენობა, ნეტავ იცოდე, მაგრამ დამთავრდა, გრძნობები უკვე არ გადარჩება. ასე ნუ ღელავ, მე უშენობას როგორმე შევძლებ, ავცდები ზეცას, რომ დავემალო შენზე ოცნებას, მხოლოდ გრძნობათა ეს აღელვება დარჩება შენზე, მაგრამ ფურცლებზე აცრემლებულ მრავალ ლექსებად. მაშინ დაგკარგე, როდესაც ჩემი მუზა გიწოდე, იქნები ახლა ასეთი შორი და უცნაური, ნეტავი ახლა შენთა ყოფნის ცეცხლში ვიწოდე... მაშინ დაგკარგე, როდესაც ჩემი მუზა გიწოდე. 22.04.2011. კლეოპატრა.

• საღამო მშვიდობისა, მარიამულო... როგორ მენატრები... ხომ კარგად ხარ? განვიცადე, შენ მიერ დაწერილი ამბავი. სიმართლე უნდა ითქვას, დედამთილები კი არა, ხშირად შვილები სცოდავენ.

• გიორგობას გილოცავთ, ძვირფასებო. მისი მადლი და ძალა გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის. P.S. მაიკო ბერიშვილს ვულოცავ იუბილეს. ღმერთი გფარავდეს მუდამ. CRAZY GIRL.

• მარიამ, ჩემო კარგო, ჯერ გიორგობამდე ერთი კვირაა, მაგრამ მერე მოწერა გვიანი იქნებდა დააა...

• გამარჯობა. როგორ ბრძანდებით?

გთხოვთ, დიკი ანგელის ნომერი მომცეთ.

• გამარჯობა. პირველად გწერთ, არ გთხოვთ დამიბეჭდოთ, უბრალოდ მინდა, თქვენ მაინც წაიკითხოთ. ყველაზე დიდი უსამართლობა ის იყო ჩემს ცხოვრებაში, რომ 1 წლისას მამა გარდაამეცვალა. არც ერთი ბებია და ბაბუა ცოცხალი არ იყო, მე რომ დავიბადე, და და ძმა არ მყავს. ვინც მიყვარდა, არ ვუყვარდი, გავაგრძელო?..

• მინდა, რაღაცა დავწერო, მაგრამ არ გამომდის, მინდა, მინდა მას მივმართო, მაგრამ ვერ წაიკითხავს, მინდა, ისე იყოს ყველაფერი, როგორც მე მინდა, მაგრამ ასეც არ ხდება, მინდა, ღრმად ვისუნთქო, მაგრამ მიჭირს სუნთქვა. მინდა ბევრი რამ, მაგრამ ამას დრო სჭირდება. დრო კიდევ ცოტაა, მინდა სულ ჩემთან იყოს, მაგრამ ესეც არ იქნება ჯერ, მაგრამ მჯერა, სხვა თუ არაფერი, ეს მაინც იქნება, იმიტომ, რომ აქ უკვე დიდი სიყვარულია თავში და მერე ყველაფერი დალაგდება, „ნეტავ“ და „მინდა“ აღარ იარსებებს, რადგან შენ იქნები ჩემთან, შენთან ერთად ცივ და წვიმიან ამინდშიც თბილა, უბრალოდ მადლობა, რომ არსებობ და ერთს გეტყვი — მიყვარხარ... და მაინც მე ბედნიერი ვარ. ბუცა.

• დილა მშვიდობის, მარორიტა, როგორ ხარ? იცი, რა ბედნიერი ვარ? გუშინ მე და ფიფქიამ ფლამინგო გავიცანით. იცით, რა ჩასაყლაპია?

• ის ერთი ჩვეულებრივი ქალაქის ჩვეულებრივ უბანში ცხოვრობდა და უყვარდა... ფიქრობდა, თითქოს უჩვეულოდ ჩვეულებრივი იყო ყველაფერი და მერე მაინც ჩაერივნენ, მაინც უჩვეულო გახადეს ყველაფერი, თითქოს გახუნებულ ფურცლებს დაამსგავსეს. არ უნდოდათ, მაგრამ მაინც დააშორეს, ერთმანეთს მოწყვიტეს ორი გახუნებული ფურცელი. მერე იყო დაუფიქრებელი ნაბიჯი, ჯიბრით სხვასთან ყოფნა და ისევ დაუფიქრებელი ნაბიჯი. დილით უკვე სხვისი ცოლი ერქვა. იყო უჩვეულო სევდა, უჩვეულო სინანული და უჩვეულო, სხვისი ცოლობა. P.S. იბრძოლეთ, რომ სინანულით არ იცხოვროთ. უფალმა დაგლოცოთ. კლეოპატრა.

• ნამდვილი სიყვარული და სიხარული სად არის ნეტავ? სიყვარულიც, სიხარულიც, ტირილიც, ვნებაც! ხალხო, იცოდეთ სიყვარულის ფასი, ნუ ჩხუბობთ, მე ვარ ბედნიერი იმით, რომ ზურიკო ლურსმანაშვილისგან პატარას ველი. გთხოვთ, ნუ იტანჯავთ თავს. იყავით ბედნიერები, გიყვარდეთ ერთმანეთი, 19 წლის გოგოს დარიგება უნდა დაგჭირდეთ? მიჰყევით ცხოვრების დინებას, დღეიდან ზურას კნეინათი დავამესიჯებ, მე „გზიდან“ აღარ მივდივარ. მორიელო, მადლობა... მშვიდობით — აღარ... მეც გილოცავ აღდგომას, გაიხარე და გამახარე. აბა ჰეე, პაჩები. დიკი ანგელი.

• რუისპირზე რა მოთხოვნაა?! :) „გზის“ სიმპო ბიჭია. :) 2 მაისს ქუთაისი აჯაზებს. აბა, თუ იცით, რატომ? საფიჩხიაზე ღვინოს დავლევ და თეთრი ხიდიდან გადავვარდები. გადარეული.

• ყველა ცუდს კარგი მოსდევს, გული არ გაიტეხოთ, ღმერთი ყველას გადმოხედავს. მიყვარხართ ყველა. გკოცნით. თათია17.

• შემომხვდა ქალი შეხსნილი რიდით და იგი ღიმილს ახლა ყიდიდა... მე ხომ მერჩივნა მენახა მკვდარი, (აჰა, არ ვმალავ მე ჩემს სისუსტეს), კვლავ გამიშტერდა უეცრად თვალი, და შევცქეროდი ზეცის სილურჯეს... სადღაც აღელდა ლურჯი ზვირთები და შეშლილივით შეკრთა თოლია, შემომხვდა ქალი, შეხსნილი რიდით, და ხარბი მზერა გაიყოლია... და ქალი ჩაივლის ქუჩაზე რიდით, დაფარული აქვს მწყაზარი სახე, თუ სთხოვ, გაჩუქებს იგი ერთ ღიმილს და მერე ქუჩას მოავლებს თვალებს... არ გავიხსენებ აწი არაფერს, თუმც მახსენდება როგორ მაწვიმდა, კიოდა ქარი, და სველ მინაზე, პატარა ფეხის კვალი გაცივდა... ის აღარ იყო და შევცქეროდი ზეცის სილურჯეს... სადღაც აღელდა ლურჯი ზვირთები და შეშლილივით შეკრთა თოლია, შემომხვდა ქალი, შეხსნილი რიდით და ხარბი მზერა გაიყოლია... და სადღაც ჩამწყდა გულში სიმები და გამახსენდა როგორ მაწვიმდა. კიოდა ქარი და სველ მიწაზე, პატარა ფეხის კვალი გაცივდა... ამორძალი (აჩრდილი).

• მინდა, გამოვეხმაურო უსახელოს. მარ, იგი გწერდა, ნომერი მინდაო, ხომ? ან მე მომწერე მისი ნომერი, ან მას ეს ნომერი მიეცი. მარ, ზურა საერთოდ დავკარგე. ჩემს ნათესავს დავარეკვინე და დამივიწყოს სოფომო, უთხრა. აუ, ვერ ვირიგებ. დავიტანჯე, უსიყვარულოდ დავიტანჯე. სიყვარული მინდა, დიკი ანგელი.

• მარი, როგორ ხარ? მოვიკითხავ ყველა მგზავნელს. ხომ მიმიღებთ თქვენთან? ძალიან ცუდად ვარ და თქვენ მიკეთებთ გუნებას. მიყვარხართ ყველა. სალო111.

• ღამით, როდესაც ადამის მოდგმა ძილს მიეცემა... გთხოვთ დამაბრუნეთ, მარტო ვარ, მცივა... გიო, მენატრები! იცოდე, მე სულ მახსოვხარ!

• როგორც ჩანს, სიხარულებო, ჩემმა ზღაპარმა რომანტიკულ განწყობილებაზე დაგაყენათ და ეს ძალიან მახარებს. ჩიკო.

• გიო, ძალიან მენატრები, მაგრამ მაინც ვბრაზობ შენზე. იმედი მაქვს, რომ ჭკუით იქნები სხვა დროს. ნაილი.

• მინდა, ყველა იმ მგზავნელს მივმართო, ვინც მიცნობს. ვერ გწერთ, მაგრამ არ მავიწყდებით. ყველა მიყვარხართ. იმედია, კიდევ გახსოვართ. გკოცნით, მიყვარხართ! ლადიკო.

• მაისმშვიდობისა, საქართველოვ! გაიხარეთ! ლალი, გილოცაააავ! ენამწარე მეგრელებს არ ჰგავხარ. ყველას ვეებერთელა სალამიიი! ლიზიკო.

• მადლობა ყველას, ასეთ კარგ მგზავნელებთან ხსენებისთვის. გზავნილთა ქალაქში ლტოლვილს მიიღებთ? ბევრს არ ვითხოვ, მხოლოდ პატარა ადგილს, თქვენს თბილ გულებში. ლილუ.

• გენო, მენატრები. სად ხარ? უშენოდ აღარაფერი მინდა. შენთან მინდა. შენი ხმა მენატრება, შენი სიცილი. შენი მანჩო.

• ჩემი კაკუნა როგორ არის? ვიცი, მანდ კარგად ვერ იქნები, მაგრამ უნდა მოთმინებით აღიჭურვო და დრო მალე გავა. მიყვარხარ, პატარავ. შენ ჩემი სიკალულები ხარ.

• მარი, მგზავნელებო, როგორ ხართ ყველა განურჩევლად მომენატრეთ. ჰო, მართლა, გეტერა, დიდი სურვილი მაქვს გაგიცნო... ბავშვებო, შემეხმიანეთ. ბუშტი.

• პრივეტები, როგორ ხართ, ჩემო კარგებო? ყველანი ძალიან მიყვარხართ. განსაკუთრებით — მარი. მარი, ძალიან მაგარი ხარ. გკოცნით. ნინი.

• ჩემი თანამშრომელი დღეს იაპონიაში მომხდარ მოვლენებზე ხუმრობდა. მეორეს არ მოეწონა ხუმრობა და უთხრა: შენ იცინე და მე მართლა მეშინიაო.

• გამარჯობა მარიკუნა და მგზავნელებო. მიმიღებთ თქვენს ქალაქში? ჯერ მოქალაქეობას არ ვითხოვ, ნამეტანს ვერ ვინაგლებ, ჩვენი წვრილთვალა მოძმეებივით. ნიავი.

• მარი, მგზავნელებო, როგორ ხართ? მე ახალი ვარ. იმედი მაქვს, მიმიღებთ. მიყვარხართ ძალიან. შემეხმიანეთ. მარი, გთხოვ, დამიბეჭდე. თვით სულელი.

• მადონა, მე შენ ძალიან მიყვარხარ. ეს იცოდე და გთხოვ, არ დამივიწყო.

• როგორ მყავხართ, სიხარულებო? მე — ცუდად. ბატონები მყავს... ნაომ, პაჩი-პუჩი, გაიხარე... კრიზისია, კრიზისიიიი! სონა.

• გამარჯობა მარი, მინდა რაღაც გთხოვო, ეს მესიჯი დამიბეჭდე, შენი საშუალებით მინდა გავიცნო „გზის“ მკითხველი, და ყველა ყიფშიძე, რადგანაც ჩემი გვარი ყიფშიძეა.

• გუგა, ჩემი სიხარული ვინ არიო, ვინაოო? :-) ხომ იცი, როგორ მიყვარხარ ცუნცულ, ჰოდა, ნუ მაბრაზებ ხოლმე! ჭკვიანი ბიჭი ხარ და მიხვდები, ვინც ვარ. :-)

• მარი, ერთი რამე გითხრაა? გუშინ რომ „გზა“ მეყიდა, 10 ლიტრი ბენზინი დავწვი. მარტო „გზის“ საყიდლად გამოვედი რაიონში. მართლა მაგარი ჟურნალი გაქვთ.

• ნაომ, გიჟებისთვის მაღალვოლტიანი მაგნიტური ველი ვარ, შენთვის კი ცეცხლი ვიქნები. მოსულა? თვით სულელი.

• მარი სალამი, აუ, რა მაგარი იქნებოდა, „გზა“ კვირაში ორჯერ რომ გამოდიოდეს. მისტერ, სიამოვნებით გაგიცნობდი. მარი, გემუდარები, დამიბეჭდე — „გზის“ ერთგული მკითხველი ვარ.

• ჩემო ნოდო, ჩემო დიდო ტკივილო და სიყვარულო, 4 წელია, არ მინახავხ-

არ. ვერ ვბედავ დაგირეკო. ამის მიზეზი ისევ შენ ხარ. იცოდე, ყოველდღე გიხსენებ. მიყვარხარ.

• როგორ ხართ, ძვირფასებო? ძალიან გამახარეთ, ვინც შემეხმიანა... დიდი მადლობა, თბილი სიტყვებისთვის. ზოგიერთი მგზავნელი დამეკარგა. მაპოვნინეთ, რა? მიყვარხართ.

• მივესალმები საყვარელ ადამიანებს და თვით მარი ჯაფარიძეს. გეხუტუნეთ... ძალიან თბილი და ჩემეული გარემოა. ამიტომ მინდა გაგიცნოთ, კარგო ადამიანებო.

• ყველა მგზავნელს გენაცვალეთ, გეხუტუნეთ გულში, მოდი ერთურთს გავეჯიბროთ მხოლოდ სიყვარულში, არას გვარგებს ერთმანეთთან, დავა, ღრენა, ჩხუბი, ჩვენს ჟურნალსაც წაადგება, ქვეყნის სიყვარულში.

• პრივეტები ყველას, როგორ ხართ, მგზავნელებო? გაიხარეთ ყველამ. მე ახალი ვარ, მიმიღებთ? პარიჟანკა რატომ აღარ ჩანს? ნათია.

• დიდი ხანია, ჟურნალ „გზის“ ერთგული მკითხველი ვარ და აი, ახლა სურვილი გამიჩნდა, დაგიმესიჯოთ და თქვენს საკრებულოში გავწევრდე. ყველა ძალიან მიყვარხართ.

• მე არსად დავკარგულვარ, ისევ თქვენთან ვარ და ყოველ ხუთშაბათს მოუთმენლად ველი, რომ თქვენი მესიჯები წავიკითხო. უბრალოდ, აღარ ვამესიჯებ. მარი.

• მარი, სალამი. რა მაგრად გამიხარდა, „გზაში“ ჩემი მესიჯები რომ ვნახე. ნაომ, არ გინდა, ერთმანეთი გავიცნოთ? მარი, გემუდარები, დამიბეჭდე.

• მე გაბრაზეებთ? რავა ყველას მე ვაბრაზებ, აბა, კიდევ ვის ვაბრაზებ? :-( ყველა ახალს გოუმარჯოს! რამდენი ხართ! ხომ არ მღალატობთ? :-) გაიხარეეეთ!

• მარ, როგორ მომენატრე ქალ, შენ ხომ არ იცი. ყველა მომენატრეთ, მაგრამ ერთი — განსაკუთრებით. ლაშა.

• გოჩა გელაშვილს: ჩემო სიხარულო, ძალიან მენატრები. უზომოდ მიყვარხარ. მჯერა, მალე გნახავ. გელოდები. მიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად. ეკატერინე ჯ.

• თუ ჩემთან მოსვლა გწადია, თუ გულმა ჩემკენ მოგიხმო, თუ შორს არა ხარ წასული, მოდი, მე გულით მოგიხმობ.

• გამარჯობა მარი, მე ახალი ვარ. ყველანი საყვარლები ხართ. :) იმედი მაქვს, მიმიღებთ დიდ ოჯახში. ბურატინო.

• მარ, აუ, ყურადღებას არავინ მაქცევს, აქ თითქოს არ ვარსებობდე. :) მგზავნელებო, მომაქციეთ ყურადღება, მე აქ ვარ... ახალი ნიკით დავამესიჯებ — თვით სულელი.

• დილით როგორ ვიცინეე... მესიზმრა, ვითომ მაღაზიაში, პურის ნაცვლად კაცებს ვყიდულობდით. მაგარიააა!

• ყველანი კარგები და საყვარლები ხართ. მარ, ზუსტად ისეთი ხარ, როგორსაც ვფიქრობდი. მიყვარხართ ყველა მგზავნელი. ისე, ქვრივის გაცნობა მინდა. :-) ნანკა.

• სალამი, ჩემო ძვირფასებო, ყველანი კარგები ხართ და მე ყველას გეფერებით და გესიყვარულებით, ჩემო დიკი ანგელო, გაიხარე, თუ ჩვენთან მეგობრობა გინდა, ვიმეგობროთ, ამაზე უკეთესი რა არის. მეგობრობა წმინდა გრძნობაა და უდიდეს პატივს ვცემ ნაღდ მეგობრებს. გაკოცეთ ბევრი.

• მოგესალმებით, მგზავნელებო, პირველად ვამესიჯებ, მაგრამ დიდი ხანია, თქვენი ერთგული მკითხველი ვარ, სიყვარულით მოვიკითხავ ქვრივს.

• მგზავნელებო, მე თქვენმა სიყვარულმა და სითბომ გამიჩინა მოწერისა და თქვენს ლამაზ ქალაქში შემოსვლის სურვილი. რა გემართებათ, სად ხართ? მართლა რომ კარგები ხართ, სათითაოდ ვერ ჩამოვთვლი, ბევრნი ხართ, მე ყველას მიმართ კეთილად ვარ განწყობილი. ნუ მიწყენთ და სვანებს განსაკუთრებულად მივეფერები.

• მარ, ჩემი სიცოცხლე ხარ! ანგელოზი ვიპოვე შენი სახით და გაგიჟებით მიყვარხარ! ვიცი, შენ არასდროს მიმატოვებ და არც სხვაში გამცვლი.

• სიყვარულისთვის გაჩენილო პატარა მტრედო, ოცნებისა და სილამაზის ლამაზო გედო — ძალიან მიყვარხარ. გაიხარე, ჩემი ხსენებისთვის. რაც მთავარია, შენ გახსოვარ.

• მარ, უსაყვარლესი ადამიანი ხარ. ადამიანობის, პატიოსნებისა და სიწმინდის სიმბოლო ხარ. ძალიან მიყვარხარ. გაკოცე ლამაზ თვალებში.

• თავს შეგახსენებს შეცდომა ძველი, როგორც იარა უშუშებელი, შენი ტუჩები ცრემლებით სველი, მე აღარ მოვალ, ნუღარ მომელი.

• ყოველთვის ნუ ხარ გულჩათხრობილი, ნურასდროს იტყვი, უბედური ვარ. მუდამ გახსოვდეს ვისაც უყვარხარ, მისთვის ყოველთვის სიხარული ხარ.

• ყველანი ვყოფილვართ ზღვის სანაპიროზე, კენჭები გვიკრეფია დიდხანს. გადაგვირჩევია და გადაგვიყრია, ულამაზოაო, გვითქვამს. მაინც რა ვყოფილვართ ადამიანები...

• თუ გინდა, რომ ცხოვრებაში გული გრძნობდეს სიხარულს, შენი გულის ნურც ერთ კუნჭულს ნუ დაუთმობ სიყვარულს.

• დიდი სიყვარულით მოვიკითხავ ყველა მგზავნელს. განსაკუთრებით დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მათ, ვინც გამომეხმაურა. ყველანი მაგრები ხართ და ძალიან მიყვარხართ. მინდა თქვენთან მეგობრობა. კუკარაჩა.

• ჟურნალ გზის ლამაზმანს და მგზავნელების მთავარსარდალს სულით, გულით მოვიკითხავ, სიყვარულით ვუძღვნი სალამს, ჯაფარიძე მარიმ ყველა მოგვიწვია ჟურნალ „გზაში“, ყველა დაგვაახლოვა და გადაგვიშვა ლექსის ზღვაში!

• მართლა ძალიან მიყვარხართ ყველა, ძველები, ახლებიც და ვინც აწი შემოგვიერთდება, ისინიც. ოღონდ ეს ფუჭი და ჰაერზე ნათქვამი სიტყვები არ არის, გულით ვამბობ.

• „გზის“ მთელ კოლექტივზე ვგიჟდები, ნამდვილი პროფესიონალები ხართ. ყველა სტატია ძალიან საინტერესოა. დიდი მადლობა ამისთვის. წარმატებებს გისურვებთ.



# გილოცავ!

• გიო-66, ზარების გუგუნი ისმოდა ზეციდან, ტაძარში იწვოდა ათასი სანთელი, თქვენთვის ლოცულობდნენ პატარა სანთლები, გფარავდეთ წმინდა გიორგის ნათელი. წმინდა გიორგის მადლი გფარავდეთ, გლოცავდეთ მუდამ დედა ქართლისა, გზას გინათებდეთ ცხოვრების სავალს, შუქი კაშკაშა, წმინდა სანთლისა. გიორგობას ვულოცავ მამა-შვილ, გიო-66-ს და გიორგი ჩუთლაშვილებს. გფარავდეთ მისი მადლი და ძალა. გკოცნით, თქვენი დედა და ბებია.

• ძამიკო, გილოცავ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს. მრავალს დაესწარი. მისი ძალა და მადლი გფარავდეს მუდამ. მიყვარხარ ძალიან, ჩემო ანგელოზო. მენატრები. მირანდა. მპუაა.

• მინდა დაწეროთ ასეთი რამ: ირაკლი ალანია, მიყვარხარ და გთხოვ, მაპატიე, რაც დავაშავე.

• ირაკლი, გილოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. უფალი გფარავდეს, დედი.

• როგორ ხარ? მაინტერესებს, ხომ არ გტკივა რამე? აბა, შენ იცი, დედიკო, ჭკვიანად იყავი. თავს გაუფრთხილდი.

• იკა კვაჭანტირაძე, ნოდარიკო ცინცაძე გილოცავს დაბადების დღეს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ღვთის მადლი და სიყვარული იყოს შენი ცხოვრების მეგზური.

• ნინო, სიხარულო, 1-ელ მაისს ვაჟკაცის დაბადებასა და გაზაფხულის შემობრძანებას ერთად გილოცავ. სულ მუდამ გაზაფხულივით ლამაზი ყოფილიყავ, მთელი ცხოვრება. მარი გუგუშვილი.

• ნინო, გილოცავ ვაჟკაცის დაბადებას. გაგეზარდოს. გმადლობ ქალბატონო ლალი, გულთბილი სიტყვებისთვის. ნაომ, კარგი ადამიანი ჩანხარ.

• მარის, მგზავნელებსა და ჟურნალ „გზის“ კოლექტივს ვულოცავ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს. უფალი გფარავდეთ! ნუცი.

• 8 მაისს დაბადების დღეს ვულო-

ცავთ ვეფხია ლალიაშვილს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, გაბედნიერებასა და ღვთის წყალობას. სიყვარულით, ოჯახის წევრები.

• ჩემს მონატრებულ და უსაყვარლეს შვილიშვილს, საბა ვაშაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 13 მაისს. ჯანმრთელობა, სიხარული და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს. გილოცავ ჩემო კარგო გიორგობის დღესასწაულს. ღმერთი გფარავდეს. მინდა იცოდე, რომ ვამაყობ შენით. გთხოვ, მაგრად იყავი, გაუფრთხილდი შენს თავს. ყველაფერი მოგვარდება.

• ქრისტე აღდგა! გილოცავთ ქრისტეს სასწაულებრივად აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ამ დიდი დღის სიძლიერე და მადლი გფარავდეთ, თითოეულ თქვენგანს და სრულიად საქართველოს! რწმენით, სიყვარულით, სიკეთითა და მშვიდობით გვეცხოვროს, ჩემო კარგებო. არაჩვეულებრივი განწყობილება მაქვს, ისევე, როგორც ყველას. გაკოცეთ.

• ღვთისა და აღდგომის წმინდა დღესასწაულის მადლი გადმოსულიყოს „გზის" თანამშრომლებზე, მგზავნელებსა და ყველა მკითხველზე, ვისაც უყვარს „გზა".

• ცისარტყელა აკისკისდა, მიებჯინა მზესო, თოლიები ზღვის ნაპირზე ჩუმად კრავენ წრესო, გეფერები და გილოცავ დაბადების დღესო. ნანო, მიყვარხარ. გაკოცე. დათო.

• ჩემს უსაყვარლეს და უძვირფასეს მეგობარს, ნანკა სიხარულიძეს ვულოცავ სიყვარულის დღეს. სულ სიყვარულსა და სიხარულში გაგევლოს მთელი ცხოვრება. სიტყვები არ მყოფნის გამოვხატო, თუ როგორ მიყვარხარ. გკოცნი და მენატრები. ნინიკო.

• ჩემს მძახალს, დალი მასურაშვილს ვულოცავ 60 წლის იუბილეს, გისურვებ ჯანმრთელობას, უფლის წყალობას, უამრავი ლამაზი და ბედნიერი დღე გაგთენებოდეს. მანანა.

• თამუნა, საყვარელო, დაბადების დღეს გილოცავ. გაიზარდე დიიდი გოგო. შენ „გზაში" ჩემი სიმდიდრე ხარ. რუისპირო, მიყვარხარ. კლეოპატრა, გაიხარე.

• ნინიკო, გილოცავ პატარას დაბადებას. ჯანმრთელი და ბედნიერი ბიჭი გაგეზარდოს. იხარეთ და იდღეგრძელეთ. მოკითხვა ყველას, ვისაც ვახსოვარ.

• ქუთაისში, საფიჩხიაზე, ტარიელ მინდაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 15 მაისს. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, მშობლებთან და მეუღლესთან ერთად.

• ჩემს პატარა ვაჟკაცს, ოთიკო მამალაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 30 აპრილს. უკვე 3 წლის გახდი და დიდი კაცი ხარ. გაიხარე და გაიზარდე, შენს ძამიკოსა და დაიკოსთან ერთად. ღმერთმა უბედნიერესები გამყოფოთ, მშობლებისა და ახლობლების გასახარად. ნანიკო მამიდა.

• ჩემს საყვარელ მამას, თამაზ მერაბიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. შენი შვილი, ნატალია.

• ხაშურში მცხოვრებ ზაზა ელოშვილს ვულოცავ 9 მაისს, 24 წლის იუბილეს. ზაზ, გისურვებ სიხარულს, სიყვარულს და ბედნიერებას, ოჯახთან ერთად.

• მარიკო წიკლაურს ვულოცავ 5 მაისს, დაბადების დღეს. საყვარელო ადამიანო, დაესწარი მრავალს, შენს საყვარელ ხალხთან ერთად. გისურვებ ყოველივე კარგს, ცხოვრებაში. თინი.

• აღდგომის დღესასწაულს ვულოცავ მთელ თიანეთს და ჩემს კოლეგებს, სკოლაში. უფალი გფარავდეთ! მიყვარხართ. მალე მენახოთ ბედნიერნი.

• ჩემს ნათლიას, ლამაზ და მშვენიერ რუსუდან ფაილოძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 12 მაისს. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. მიყვარხარ და გკოცნი.

• მარი, გილოცავ დაბადების დღეს, 9 მაისს. გისურვებ უფლის მფარველობას, ჩემო თოჯინავ. შენი სიცოცხლე, მამუკა.

• მარი, პირველად გწერთ. უფლის აღდგომას, გიორგობას გილოცავთ. მიყვარხართ. საქართველოში ახლა ჩამოვედი და მომეცი საშუალება, მოგეფეროთ. დამიბეჭდე, რა.

• საკუთარ თავს მინდა დაბადების დღე მივულოცო, ჰა მარი, ხომ დამიბეჭდავ? გაიხარე. მადლობა თქვენ, რომ არსებობთ.

• თბილისში, ერთ-ერთი საჯარო სკოლის პედაგოგს, ნანა კობიაშვილს ვულოცავ გიორგობას. ნანუჩი, მალე გეპოვოს ჭეშმარიტი სიყვარული. გფარავდეს უფალი.

• ჩემს მონატრებულ მეგობარს, ათენში დროებით მყოფ ლაურა მიგრიაულს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, უფლის წყალობას, დიდხანს სიცოცხლეს. გკოცნი. ნანი.

• ხატი, მთელი გულითა და სულით მთელი ოჯახი გილოცავთ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, შენს ოჯახთან ერთად. იხარე და იბედნიერე. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს.

• ჩემს მონატრებულ შვილიშვილს, ვანო მაისურაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 13 მაისს. ჯანმრთელობა, სიხარული და ღვთის წყალობა არ მოჰკლებოდეს. ჩემო პატარა ანგელოზო, მიყვარხარ და მენატრები. შენი ბებია.

• მარინა სადუნიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთს თავისი წყალობა შენი ცხოვრების გზაზე დაებერტყოს.

• ნანა დიასამიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ყოველივე კარგს, ცხოვრებაში. გაიხარე და გამრავლდი, გფარავდეს ყოვლადწმინდა. გკოცნი, თამილა.

• რუსუდან ტაბატაძეს ვულოცავ დაბადებისა დღეს. ჯანმრთელობას, ბედნიერ მომავალს, სიხარულს ვუსურვებ. გფარავდეს უფლის კალთა. გკოცნი.

• მამუ, მთელი გულითა და სულით მთელი ოჯახი გილოცავთ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, შენს ოჯახთან ერთად. იხარე და იბედნიერე. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს.

• ნიკა ჯაფარიძესა და მარინა ლაკობას ვულოცავ დაბადების დღეს. იხარეთ და იდღეგრძელეთ. ნანა.

• ჩემს უსაყვარლეს და უძვირფასეს დედას, ნატალი გურგენიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. რწმენით, სიკეთითა და სიყვარულით გეცხოვროს. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს.

• ნატა გურგენიძეს: დაბადების იმ ლამაზ ღამეს შენი აკვნისთვის ღმერთს უკოცნია, დიდხანს სიცოცხლე შენთვის ცოტაა, დიდი სიცოცხლე დამილოცია. ლალი.

• 18 მაისს დაბადების დღეს ვულოცავთ ნატო გურგენიძეს. ვუსურვებთ გაზაფხულისამებრ წარმტაცი და აყვავებული ყოფილიყოს მისი ცხოვრების გზა. სიყვარულით, მეგობრები.

• დაიკო, 4-ში დაბადების დღეს გილოცავ. გისურვებ შენი ოცნების ასრულებას. ჩემი ლამაზი, ძაან მიყვარხარ, უფალი გფარავდეს. ასევე ჩემს თავსაც ვულოცავ იუბილეს.

• გამარჯობა სიხარულო. გილოცავ მეუღლის დაბადების დღეს. არაფერი იჯავრო, ადრე თუ გვიან, ყველაფერი მოგვარდება. მთელი ცხოვრებაა წინ. გელით. გვიყვარხარ და გვენატრები. ელენე.

• საყვარელ დედას, ირმა მუშკუდიანს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელ და ულევი სიხარულით სავსე ცხოვრებას.

• ჩემს საყვარელ დეიდას ვულოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს. დიდხანს სიცოცხლეს და ულევ სიხარულს გისურვებ. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს. მიყვარხარ.

• ჩემს სიცოცხლეს, თემურ მალაქმანიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას, სიყვარულს და ულევ სიხარულს ვუსურვებ. გფარავდეს უფალი, ჩემო სიხარულო.

• 7 მაისს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს ანგელოზს, მარიკუნა გელაშვილს. რწმენით, სიხარულით და სიყვარულით გეცხოვროს მუდამ, ჩემო კუდრაჭავ.

• ჩემს სიცოცხლეს, ლაშიკოს ვულოცავ დაბადების დღეს და ქუთაისობას. სიხარულით და სიყვარულით გეცხოვროს მუდამ, ჩემთან და ჩვენს მერცხლებთან ერთად, სიხარულო. უფალი გფარავდეს.

• ჩემს ლამაზ და მონატრებულ შვილს, ირინა ნათაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 5 მაისს. ჯანმრთელობა, სიხარული და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს, შენს ლამაზ ქმარ-შვილთან ერთად. გკოცნი, მონატრებული დედიკო, თინა.

• მეგობარს, გულო ბერიძეს ვულო-

ცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ საუკეთესო სურვილების შესრულებას. საყვარელ ოჯახთან ერთად გაიხარე, ჩვენო საყვარელო. გულო, გილოცავენ მეგობრები.

• ჩვენო ბათურიკა, ძალიან გვენატრები. გილოცავთ დაბადების დღეს და გისურვებთ ჯანმრთელობას, გამძლეობას და სულ მალე ოჯახთან ყოფნას. ჩათვალე, რომ რაც ხდება, ძალიან ცუდი სიზმარია და მალე გათენდება. ყველაფერი ჩაივლის და მალე გნახავთ. არ დაგავიწყდეს არასოდეს, რომ სიმართლის და სიკეთის სანთელი არასოდეს ქრება. აბა, შენ იცი ბუბუ, მაგრად იყავი. გკოცნით. გვიყვარხარ და სულმოუთქმელად გელით. დროებით ათენში მცხოვრებ გაბუნია მანანას დიდი სიყვარულითა და ლამაზი სურვილებით მინდა მივულოცო დაბადების დღე. შენი სიცოცხლის ყოველი დღე ყოფილიყოს მზის შუქივით ბრწყინვალე და ნათელი. გისურვებ ბევრ ლამაზ წელს.

• ჩემო ლამაზო, უპირველეს ყოვლისა, გილოცავ დაბადების დღეს და გისურვებ ყოველივე საუკეთესოს. არ მოიწყინო, გამაგრდი. მალე გაივლის დრო და ისევ ოჯახთან იქნები. აბა შენ იცი, მაგრად იყავი.

• ხაშურში გელას და მაიკოს ვულოცავთ შვილის, პატარა თორნიკეს დაბადებას. ღმერთმა ჯანმრთელი და სასახელო გაზარდოს. გკოცნით შორიდან და მენატრებით.

• 6 მაისს დაბადების დღეს ვულოცავ 3 წლის უნახავ და სიგიჟემდე მონატრებულ შვილიშვილს, გიორგი ლაშქარაშვილს. წმინდა გიორგის კალთა და ძალა გფარავდეს, ჩემო სიხარულო, მუდამ. გაიხარე და გაიზარდე სასახელო ვაჟკაცი. მიყვარხარ და მენატრები. გკოცნის გულში მაკა ბებო.

• სალონიკში დროებით მცხოვრებ ჩემს დაიკოს, ლიანა კოლუას ვულოცავ დაბადების დღეს, 7 მაისს. დაი, ბედნიერი და გახარებული მეყოლე, მთელი ცხოვრება. ხათუნა.

• ჩემს მონატრებულ შვილებს, თეონა და ნატა კობახიძეებს მინდა მივულოცო 7 და 19 მაისი, დაბადების დღე. გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს. ვარდობის თვეში დაიბადეთ და ია-ვარდით ყოფილიყოს თქვენი მომავალი მოფენილი. თქვენი დედიკო.

• ჩემს მონატრებულ შვილს, ზურა მამაცაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 8 მაისს. გისურვებ ჯანმრთელობას, გახარებას, შენს მეუღლესთან და მომავალ პატარასთან ერთად. გამიმრავლდი ქვეყანაზე, ჩემო შვილო. გკოცნის დედა ნინო.

• ათენში დროებით მყოფ მეგობარს, რუსუდან ლაბაურს ვულოცავ დაბადების დღეს. ვარსკვლავი ბევრია, მთვარე კი ერთი, სიცრუე ბევრია, სიმართლე ერთი, ამ ქვეყანაზე ხარ ერთადერთი, ჩემო მეგობარო, გფარავდეს ღმერთი.

• ყველას გილოცავთ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს. მრავალს დაესწარით და გფარავდეთ მისი მადლი და ძალა (რა მეშველება? ამ კვირას „გზა“ არ ჩამოიტანეს).

• ჩემს ლამაზ და მონატრებულ შვილს, მანანა ლაცაბიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 5 მაისს. ჯანმრთელობა, სიხარული და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს, შენს ლამაზ ქმარ-შვილთან ერთად. გკოცნი, დედიკო ნინა.

• SWEET GIRL-ს ვულოცავ დაბადების დღეს. ძალიან, ძალიან მიყვარს.

• ჩვენს საყვარელ შვილს, თიკო ლომიძეს 30 აპრილს დაბადების დღეს ვულოცავთ. ვუსურვებთ დიდ სიხარულს და ლამაზ მომავალს! დედა, მამა და ნინო.

• მალხაზ და მაიკო თაბაგარებს 30 აპრილს ვულოცავ დაბადების დღეს. იყავით მუდამ ასეთი ლამაზები და ნიჭიერები! თქვენი თანაკლასელი და მეგობარი.

• საყვარელ მამიკოს, დათო აბაშიძეს ვულოცავთ იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, წელთა სიმრავლეს და ყველა ოცნების ასრულებას.

• ნათია სვანო, გილოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი, საყვარელ ქმარ-შვილთან და ოჯახთან ერთად. სიხარული და ბედნიერება არ მოგკლებოდეს. გკოცნი.

• ნათია სვანო, გილოცავთ დაბადების დღეს. ბედნიერებას და სიხარულს გისურვებთ. მრავალს დაესწარი ზვიადთან, ანანოსა და ოჯახთან ერთად.

• ჩვენს ბიძაშვილს, თორნიკე მუხაძეს ვულოცავთ გიორგობას და დაბადების დღეს, 7 მაისს. თოკო, გისურვებთ კარგ სწავლას და ოცნებების ასრულებას.

• მარიკუნა, ჩვენს უტკბეს და უსაყვარლეს SWEET GIRL-ს ვულოცავ იუბილეს! თათ, ღვთის წყალობა, ჯანმრთელობა, სიხარული, სიყვარული და წარმატებები! გკოცნი გულში. CRAZY GIRL.

• მახო, 7 მაისს შენი დაბადების დღეა. გილოცავ. გამიმრავლდი და ბედნიერი მიმყოფოს ღმერთმა შენი თავი. სიდო ბაბო.

• ათენში მყოფ ჩემს მეგობარს, ნელი აკოფაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ყველაფერ საუკეთესოს. სიხარულით სავსე ცხოვრებას, ოჯახთან ერთად. გკოცნი. მარი.

• მარი დეიდა, გილოცავ დაბადების დღეს. ბედნიერი, ჯანმრთელი და გახარებული მენახე, ქმარ-შვილთან ერთად. ღმერთი გფარავდეთ. გკოცნი. ხატია.

• ჩემს საყვარელ მამიდას, ლილი წიკლაურს ვულოცავ დაბადების დღეს. ყოველივე კარგს გისურვებ. გაიხარე და იდღეგრძელე... ნატალია.

• 8 მაისს დუდანა თხელიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. ბებო, 65 წლის ხდები. გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. ძალიან, ძალიან გვენატრები, ჩემო სიცოცხლევ. ძალიან უყვარხარ ყველას, გფარავდეს უფალი, გკოცნით და გეფერებით.

• 9 მაისს დაბადების დღეს ვულოცავ დავით გულიაშვილს. ბედნიერებას გისურვებ. მიყვარხარ. შენთვის ნაცნობი უცნობი.

• ლიაკო, გილოცავ დაბადების დღეს, ჩემო ლამაზუკა, ყველაფერს საუკეთესოს გისურვებ ცხოვრებაში... და ჩვენ რომ ვიცით, კიდევ იმას. :) თუთიყუში.

• ხათუნა, 30 აპრილს გილოცავთ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, კეთილის მსურველებით. გფარავდეს ღმერთი. სიყვარულით, შენი ქმარ-შვილი, დათო, მარი გუგა ჩიორაშვილები.

• ჩემს სიცოცხლეს, აჩიკო ვერულაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. სიხარულო, ღმერთი იყოს შენი მფარველი და მრავალს დაესწარი, ჩემთან ერთად. მაკო.

• კუკა, ჩემო სიყვარულო, გილოცავ დაბადების დღეს, 10 მაისს. გისურვებ ყველაფერ საუკეთესოს, რაც არსებობს ამ ქვეყანაზე. ძალიან, ძალიან მიყვარხარ. შენი სიცოცხლე.

• წმინდა გიორგი დაგლოცავთ, ალალმართალი შვილსაო და დაგიფარავთ მარადჟამს, თქვენ კალთა, ღვთისმშობლისაო, ზეცით უფალი გაკურთხებთ, მოგცემთ წყალობას თვისასო. მრავალ გიორგობას დაგასწროთ უფალმა, ჩემო ძვირფასო მარი და ჩემო საყვარელო მგზავნელებო!

• გიორგობაა დღესაო, ფერი შესცვლია მზესაო. დღეს მისი მადლი გფარავდეთ, გულით ვისურვე ესაო, მუდამ მის მადლით დაფარულს, გხედავდეთ ბედნიერსაო...

• მარინა სიამაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 7 მაისს. ყოველივე საუკეთესოს გისურვებ. იყავი ბედნიერი. ძალიან მიყვარხარ. შენი მეგობარი, ნია.

**„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.**

# ტაიმ-აუტი

## მინდორში მიმოფანტული ქოთნები



ლაოსში, სიანგკჰუანგის პროვინციაში არქეოლოგებმა ათასობით ქვის ქოთანი აღმოაჩინეს. ქალაქ პხონსავაის მახლობლად ასეთი 250 ქოთანია აღმოჩენილი. თითოეული 3 მ სიმაღლისაა და 6000 კგ-ს იწონის. ზოგიერთს ქვის ფილა ადევს. მეცნიერების აზრით, ქოთნები 1500-2000 წლის წინ უნდა დაემზადებინათ. მათ ან ხორბლის შესანახად ან მიცვალებულის ჩასასვენებლად იყენებდნენ. ზოგიერთის აზრით, ქოთანში წვიმის წყალი გროვდებოდა, რათა სავაჭრო ქარავნებს უწყლობა არ გასჭირვებოდათ.

ქვის ქოთნები პირველად 1930 წელს ფრანგმა არქეოლოგმა — მადლენ კოლანიმ აღმოაჩინა. სხვათა შორის, ასეთი ქოთნები ინდოეთისა და ტაილანდის ტერიტორიაზეცაა აღმოჩენილი. მანვე აღმოაჩინა იარაღები, რომლითაც ქოთნებს აკეთებდნენ. კოლანის აზრით, ქოთნებს სარიტუალო დაკრძალვისთვის იყენებდნენ.

ერთი ლეგენდის თანახმად, ძველად ამ ტერიტორიაზე გულივერები ცხოვრობდნენ და ქოთნებში მარცვლეულს ინახავდნენ. მეორის მიხედვით, მტრებზე გამარჯვების აღსანიშნავად, მეფე კხუნგ ჩინგმა ბრინჯის ღვინის დასაყენებლად ქოთნების დამზადება ბრძანა.

70-იან წლებში სიანგკჰუანგის პროვინციას ამერიკელი მფრინავები ე.წ. „საიდუმლო ომის“ დროს მასობრივად ბომბავდნენ; ამიტომაც, ტერიტორია დღემდე ბოლომდე შესწავლილი არაა და ტურისტებსაც მხოლოდ გარკვეულ მონაკვეთებზე უშვებენ.

ქოთნების მდელოს „იუნესკო“ იცავს. ■

## ანაკონდა



დედამიწაზე არსებულ გველებს შორის ანაკონდა ყველაზე მსხვილია. იგი სამხრეთ ამერიკაში, ამაზონსა და ორინოკოში, ჭაობებსა და ტბორებში ბინადრობს და 6-9 მეტრამდე იზრდება. ყველაზე დიდი, 11-მეტრიანი ანაკონდა 500 კგ-ს იწონის. ძირითადად, თევზებით იკვებება, მაგრამ უარს არც შინაურ ცხოველებსა და ფრინველებზე ამბობს. ჩაყლაპული საკვების მონელებას რამდენიმე დღეს (ზოგჯერ თვესაც) უნდება. ადამიანს იშვიათად ესხმის თავს (ერთხელ 13 წლის ბიჭი გადაყლაპა). ანაკონდა შხამიანი არაა, მსხვერპლს გუდავს და ყლაპავს. ფრთხილი „მონადირეა“ — მსხვერპლს დიდხანს უთვალთვალებს და მოულოდნელად ესხმის. ერთხელ 2,5-მეტრიანი პითონის ჩაყლაპვას 45 წუთი მოანდომა. თვითონაც ხშირად გამხდარა ადამიანის მსხვერპლი. ინდიელები ამბობენ, რომ ანაკონდას გემრიელი ხორცი აქვს, ტყავისგან კი სხვადასხვა სუვენირსა და საოჯახო ნივთს ამზადებენ. დაჭრილ ანაკონდას პირანიები წამში აქრობენ. ანაკონდა 5-7 წელიწადს ცხოვრობს. ყველაზე დიდხანს (20-დან 28 წლამდე) გველები ტერარიუმში ცოცხლობენ. წელიწადში ერთხელ 30 ნაშიერს (ახალდაბადებული ანაკონდას სიგრძე 60 სმ-დან 1 მეტრამდეა) შობს, მაგრამ მათი ნახევარი მტრის ლუკმა ხდება. ანაკონდებში ხშირია კანიბალიზმის შემთხვევა. ■

# მატყუარა გამომგონებლები

• ყველასთვის ცნობილია, რომ გალილეო გალილეიმ ტელესკოპი გამოიგონა, მაგრამ როგორც გაირკვა, მეცნიერმა სხვისი წარმატება მიითვისა.

XVII საუკუნეში ჰოლანდიელმა ჰანს ლიპერსგეიმ ვარსკვლავებზე დასაკვირვებლად პრიმიტიული ხელსაწყო — ტელესკოპი გამოიგონა. 1608 წელს მისი დაპატენტებაც სცადა, მაგრამ გამომგონებელს ნახელავი დაუწუნეს და უარით გაისტუმრეს. ერთი წლის შემდეგ, გალილეომ ლიპერსგეიმის ქმნილება გააუმჯობესა და დააპატენტა კიდეც. „გამომგონებლის" სახელს ატარებს იუპიტერის ოთხი თანამგზავრი; ლიპერსგეი კი მთვარის ციცქნა კრატერს ჰქვია.

• ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, ალექსანდრე ფლემინგის მამამ პატარა ბიჭი დახრჩობას გადაარჩინა. გადარჩენილის მამამ, მადლობის ნიშნად, მხსნელის შვილის სწავლა დააფინანსა. ფლემინგმა სამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრა, პენიცილინი აღმოაჩინა და წლების შემდეგ უინსტონ ჩერჩილი — იგივე ბიჭი, რომელიც მამამისმა დახრჩობას გადაარჩინა — პნევმონიისგან იხსნა. ფლემინგის „აღმოჩენამდე" 1000 წლით ადრე აფრიკის ზოგიერთი ტომი პენიცილინს უკვე იცნობდა. მეცნიერმა ვინმე ერნესტ დუშენის აღმოჩენა მიითვისა, რომელიც პენიცილინით ღორებს მკურნალობდა. 1897 წელს დუშენმა მედიკამენტი სწავლულებს წარუდგინა, მაგრამ იგი მასხრად აიგდეს. სხვათა შორის, ფლემინგმა პენიცილინი „აღმოაჩინა", ხოლო პრეპარატის თვისებები სხვა მეცნიერმა შეისწავლა.

• ალექსანდრე ბელმა, რომელსაც ყრუ დედა და ცოლი ჰყავდა, მრავალი წელი უსმენოთა პრობლემების შესწავლას მოანდომა. ერთ დღეს კი ტელეფონი „გამოიგონა". სინამდვილეში კი მან იტალიელი ანტონიო მეუჩის გამოგონება მიითვისა. 1860 წელს მეუჩიმ ტელეფონის სამუშაო ვერსია, რომელსაც „ტელეტროფონო" ერქვა, იტალიელ მეცნიერებს წარუდგინა. 11 წლის შემდეგ კი გაუმჯობესებული აპარატის დასაპატენტებლად ამერიკაში გაემგზავრა. სამწუხაროდ, პატენტისთვის ფული არ ეყო და სამშობლოში დაბრუნდა, სადაც ცოტა ხანში ყავის მადუღარისთვის ფილტრი გამოიგონა. 2 წლის შემდეგ ტელეფონი ბელმა დააპატენტა. მეუჩიმ საქმე სასამართლოში აღძრა, მაგრამ მისი ხელნაწერები უკვალოდ გამქრალიყო. ბოროტი ენები ამბობდნენ, რომ იტალიელის სქემები თავად ბელმა დაწვა.

• „ნობელიანტმა" — ალბერტ აინშტაინმა, რომელიც XX საუკუნის უდიდეს მეცნიერად აღიარეს, ფარდობითობის თეორია შექმნა. სინამდვილეში, თეორიის დიდი ნაწილი ანრი პუანკარემ შეიმუშავა. ნაშრომს 30 წიგნი და 500 მონოგრაფია უძღვნა, მაგრამ მისი სახელი არსად ფიგურირებს. სხვათა შორის, ზოგიერთი მკვლევრის ცნობით, აინშტაინს დისლექსია და აუტიზმის მსუბუქი ფორმა ჰქონდა.

• ამერიკელ გამომგონებელსა და მეწარმეს, თომას ედისონს 1093 პატენტი აქვს დაფიქსირებული. არავინ იცის, აქედან ზუსტად რამდენის ავტორია თავად ედისონი, მაგრამ ცნობილია, რომ ელექტრონათურის შექმნაზე რამდენიმე მეცნიერი (ჟან ფუკო, ჰემფრი დევი და ა.შ.) მუშაობდა. საბოლოოდ, იგი ჰაინრიხ გებელსმა 1854 წელს შექმნა. მეცნიერი ცდილობდა, ნახაზები ედისონისთვის მიეყიდა, მაგრამ მეწარმისთვის ის „უინტერესო" აღმოჩნდა. ცოტა ხანში გამომგონებელი გარდაიცვალა და ედისონმა მისი ქვრივისგან ნახაზები „გროშებად" იყიდა. სხვისი გამოგონება მიითვისა და სახელიც გაითქვა. ■


თომას ედისონი


ალექსანდრე ბელი


ალექსანდრე ფლემინგი


გალილეო გალილეი


ალბერტ აინშტაინი

მოამზადა რუსუდან ბელაშვილმა

## გონების სავარჯიშო

### „გზის" ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

**ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში" სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ**

**„პასუხების" სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი**

1. ყურძენი „ადესა" ბუნებრივი ჰიბრიდია. „ადესა" მისი ხალხური სახელწოდებაა. რა ჰქვია ამ ყურძენს სინამდვილეში?
2. ვის ეძახიან „ნამგალას"?
3. ვის ეკუთვნის სიტყვები: „ყველაზე ჩლუნგი, ლაყე თავები, ყველაზე მეტად ამპარტავნობენ"?
4. რა ჰქვია სასყიდელს, რომელსაც აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში საქმრო საცოლის მშობლებს აძლევს?
5. რა არის ბუზმენტი?
6. რა ჰქვია ბუზმენტის მქსოველ ოსტატს?
7. რა მიზნით დაამზადა თავისი პირველი აბაზანა კანდიო ჯაკუზიმ?
8. ალექსანდრე მაკედონელის სიყმაწვილეში სამეფო სასახლეში ხშირად მიდიოდა ამბავი: ფილიპე მაკედონელმა ესა და ეს ცნობილი ქალაქი აიღო და ამა და ამ ღირსშესანიშნავ ბრძოლაში მოიპოვა გამარჯვებაო. ალექსანდრე ამ ამბებს ნაღვლიანი სახით ისმენდა. რატომ?
9. ვის ეძახიან ბერეიტორს?
10. რა არის ლაჭანი?
11. დაასახელეთ მწერალი ქალი, რომელსაც ჰუმანისტური ხასიათის შემოქმედებისათვის ჰანს კრისტიან ანდერსენის პრემია აქვს მიღებული. 1987 წელს მიხაილ გორბაჩოვმა იგი ლევ ტოლსტოის სახელობის ოქროს ვარსკვლავით დააჯილდოვა.
12. შტატ ვისკონსინში პლატინის ასაშენებლად არჩეულ ადგილზე ინჟინრებმა ძველი პლატინის კვალი აღმოაჩინეს, რომელიც ჩვენს წელთ აღრიცხვამდე 870 წელს იყო აგებული. ვისი ნახელავი იყო იგი?

# ანეკდოტები



* * *

ღამე ცოლი აღვიძებს ქმარს:
— სახლში ქურდია შემოპარული!
— რას აკეთებს?
— შენ რომ კატლეტი მოგიმზადე, იმას ჭამს.
— დაიძინე, — ამშვიდებს ქმარი, — გათენდება და გადავასვენებთ...

* * *

შეკითხვა სომხეთის რადიოს:
— რა ელის სიძეს, რომელიც მდინარეში სიდედრს დაახრჩობს?
— ათწლიანი ციხე... გარემოს დაბინძურებისთვის...

* * *

სვანი მეასე სართულიდან გადმოვარდა და ფილტვების ანთებით მოკვდა.

* * *

კანონმორჩილი ამერიკელის დღიურიდან:
8:00 — დღეს ამერიკა ტერაქტისაგან გადავარჩინე, 2 მავთული გადავჭერი.
8:05 — რატომღაც მაუსი და კლავიატურა აღარ მუშაობს...

* * *

— როგორ სიკვდილს ინატრებდი?
— ბაბუაჩემს რომ ჰქონდა... მშვიდად, ძილში...
— როგორს არ ინატრებდი?
— იმ თვითმფრინავის მგზავრებს რომ ჰქონდათ, ბაბუაჩემი რომ მართავდა...

* * *

სიტუაცია ვეტერინართან:
— ახლა აქ ჩემი სიდედრი მოვა ძაღლთან ერთად და რაც შეიძლება უფრო სწრაფად მოქმედი შხამი გაუკეთეთ, რომ არ იწვალოს.
— კარგი... და ძაღლს რა ვუყო?

* * *

— ნებისმიერს შეუძლია მოკრივეს აწყენინოს, მაგრამ ყველა როდი ასწრებს ბოდიშის მოხდას.

* * *

მთვრალი წრეებს ურტყამს ღვინის კასრს და თავისთვის ბუტბუტებს:
— სადმე უნდა გადავძვრე, თორემ ამ ღობეს ბოლო არ უჩანს...

* * *

განცხადება: „ვიყიდი სპილოს. კითხვით — „სპილო რა ჯანდაბად გინდა?" — ნუ გამომეხმაურებით".

* * *

მოსაზრება: სრულიად შესაძლებელია 99 მილიონი დოლარის მფლობელი უფრო ბედნიერად გრძნობდეს თავს, ვიდრე 100 მილიონის მფლობელი.

* * *

სვანმა მეკობრეობა გადაწყვიტა და თვალი ამოითხარა.

* * *

ცოლი ქმარს:
— ვერ ვიგებ, რით ხარ უკმაყოფილო, ყოველ დილით ყავა მომაქვს შენთვის ლოგინში... დაფქვაღა სჭირდება...



* * *

— ბიძია, მაგხელა ღიპი ლუდისგან გაქვს?
— არა, ლუდისთვის!..

* * *

მეგრელი ტელეფონზე რეკავს:

— ძაძამიას ბინაა?

— არა, ბატონო, შეცდომით აკრიბეთ ნომერი.

— როგორ გეკადრებათ, ქალბატონო, ალბათ თქვენ აიღეთ ყურმილი შეცდომით.

* * *

ბექჰემი და ზიდანი სანაძლეოს დადებენ. ზიდანი ამბობს, მარტო მოვუგებ საქართველოს ნაკრებსო. მატჩი პირდაპირ ეთერში გადაიცემა. ბექჰემი სახლშია და ტელევიზორში უყურებს თამაშს. გავიდა 2 წუთი და ზიდანმა პირველი გოლი შეაგდო, გავიდა ხუთი წუთი და მეორე გოლი გაიტანა. გაბრაზებულმა ბექჰემმა ტელევიზორი დაამტვრია და აღარც თამაში უნახავს. მეორე დღეს შეხვდნენ ერთმანეთს. ბექჰემი ეკითხება:

— გუშინ რა ანგარიშით მოიგე?

— რა მოვიგე, ფრედ დამთავრდა — 2:2!

— ეგ როგორ?

— მეორე გოლის გატანიდან ათ წუთში მსაჯმა მოედნიდან გამაგდო...

* * *

გოგონას გზაში შემოაღამდა და ერთ-ერთ სახლს მიადგა ღამის გასათევად. სახლში ხუთი მამაკაცი დახვდა. ერთი ეუბნება:

— ღამეს გაგათევინებთ, ოღონდ ერთი პირობით, გამოცანას გეტყვით და თუ ვერ გამოიცნობ, ყველა ჩვენგანთან მოგიწევს დაწოლა.

გოგონა დათანხმდა.

— პატარაა, წითელი და ხეზე იზრდება, რა არის? — ეკითხება ერთ-ერთი. გოგონამ მხრები აიჩეჩა...

გათენდა მეორე დილა. სახლში მეზობელმა შეიხედა. ხედავს ოთხი კაცი ძირს აგდია არაქათგამოცლილი, მეხუთე კი მუხლებზე მდგარი გოგონას ეხვეწება:

— გემუდარები, თქვი რა, „ალუბალი"!

— მიდი, კაცო, საქმეს მიხედე, გეუბნები კიტრია-მეთქი!

* * *

მონადირე აღესრულა და ცაში ღმერთთან მოხვდა. შეეხვეწა მამაზეციერს, — დედამიწაზე დამაბრუნეო და ღმერთმაც შეუსრულა თხოვნა, ოღონდ, ნადირის უზომო ხოცვისთვის დასაჯა და კურდღლად გადააქცია. რამდენიმე დღეში კურდღელი ხაფანგში გაება და თავზე მონადირე დაადგა. კურდღელი შეეხვეწა:

— არ მომკლა ძმობილო, არ დამიჯერებ, და წინა ცხოვრებაში მეც მონადირე ვიყავი...

— მით უარესი შენთვის!.. წინა ცხოვრებაში მე კურდღელი ვიყავი!..

* * *

ახალ მანქანას ძაღლი მიუჩინეს დარაჯად. მეორე დილით საბურავები დახვდათ მოხსნილი, საქარე მინაზე კი წერილი იყო დამაგრებული: „ძაღლს არ გაუწყრე, ისეთი მწვადები მივუტანეთ, შენც არ ამოიღებდი ხმას..."

* * *

სვანმა წითელი „ჩორნი ბუმერი" იყიდა.

* * *

მოდის ზანგი. მხარზე თუთიყუში უზის.

— ვა, სად იშოვე? — ეკითხება ერთი კაცი.

— აფრიკაში!... სავსეა იქაურობა ზანგებით! — პასუხობს თუთიყუში.



## გონების სავარჯიშო

### „გზის" ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. „იზაბელა".
2. საძოვარზე ერთი მწყემსის სიახლოვეს დაბინავებულ მეორე მწყემსს.
3. გოეთეს.
4. ყალიმი.
5. ტანისამოსზე შემოსავლები ოქრომკედის ფართო ზონარი.
6. ყაზაზი.
7. რევმატიული ართრიტით დაავადებული ვაჟიშვილისთვის ტკივილი რომ შეემსუბუქებინა.
8. ახალგაზრდა უფლისწული ტოლ-ამხანაგებს ეუბნებოდა: „ყმაწვილებო, მამაჩემი ყველაფერს დაიპყრობს და მე აღარაფერს დამიტოვებს, თქვენთან ერთად საგმირო და ბრწყინვალე საქმენი რომ ჩავიდინო!"
9. ცხენების გამხედნსა და ცხენოსნობის მასწავლებელს.
10. წნელისგან მოწნული საწოლი, რომელშიც თივა ან ჩალაა ჩაგებული.
11. ასტრიდ ლინდგრენი.
12. თახვების.

## ჩვენი ფოტო მაღერეა



# ჰოროსკოპი

## 5-11 მაისი

### ვერძი
ახალი საქმე დროსა და ენერგიას წაგართმევთ. ნუ დაივიწყებთ ოჯახის წევრებს. მეტი ყურადღება გამოიჩინეთ მშობლების მიმართ. კარგი პერიოდია რემონტის დასაწყებად.

### კურო
რამდენიმე ახალ სამსახურს შემოგთავაზებენ. აირჩიეთ ის, რომელიც მატერიალურ კეთილდღეობას მოგიტანთ. შემოირიგეთ განაწყენებული ნათესავები.

### ტყუპი
პრობლემების თავიდან ასაცილებლად, უცნობებს ნუ მიიყვანთ სახლში. მოერიდეთ სექსუალურ ურთიერთობას შემთხვევით გაცნობილთან. დრო და ენერგია ახალი იდეების განხორციელებას დაუთმეთ.

### კირჩხიბი
კვირა სიურპრიზებით იქნება სავსე, ყველგან და ყველაფერში გაგიმართლებთ. კარგი დროა იდეების განსახორციელებლად.

### ლომი
უმჯობესი იქნება, დამხმარე აიყვანოთ. დასვენების დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად ქალაქგარეთ გაატარეთ.

### ქალწული
თუ დროს სწორად გადაანაწილებთ, ყველა საქმეს მოასწრებთ. მთავარია, ცუდი ფიქრები თავიდან მოიცილოთ და გამხიარულდეთ.

### სასწორი
კარგი პერიოდია შემოქმედებითი საქმიანობისთვის. შესაძლოა, საზღვარგარეთიდან მოწვევაც მიიღოთ. დასვენების დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ.

### მორიელი
კოლეგებისთვის პროფესიონალი ხართ და ნუ გაგიკვირდებათ, თუ რჩევისთვის ხშირად მოგმართავენ. დასახულ მიზნებს იოლად მიაღწევთ.

### მშვილდოსანი
დაკმაყოფილდით იმით, რაც გაქვთ ამ პერიოდში არ გირჩევთ ახალი საქმეების წამოწყებას. მეტი დრო გაატარეთ ბავშვებთან და საყვარელ ადამიანებთან.

### თხის რქა
თუ ყველა ნერვებს გიშლით და საქმიანობაშიც არაფერი გამოგდით, დროა, თავად შეიცვალოთ, დამთმობი და ლოიალური გახდეთ. ხშირად ისეირნეთ ბუნებაში.

### მერწყული
ახალი საქმეების დაწყებისას, რჩევა პროფესიონალებს ჰკითხეთ. შუა კვირაში ნუ გაასესხებთ ფულს. ურთიერთობის გასამყარებლად, მეტი დრო გაატარეთ საყვარელ ადამიანთან ერთად. დასვენების დღეები მშობლებთან გაატარეთ.

### თევზები
ახალი საქმეები კოლეგებთან ერთად დაასრულეთ. წვეულებები და მხიარულება კარგ განწყობილებას შეგიქმნით. დასვენების დღეებში ქალაქგარეთ გაემგზავრებით.

# მზრუნველი, ერთგული და ეჭვიანი ქმრები

### ვერძი – ვნებიანი საყვარელი
საყვარელი ქალის გულისთვის ნებისმიერ მსხვერპლს გაიღებს. შეუძლია ციდან ვარსკვლავებიც ჩამოუხსნას. ვერძს ადვილად უყვარდება და შეიძლება, პარტნიორის მიმართ ასევე სწრაფად „გაცივდეს“. ქალი მუდამ ფორმაში უნდა იყოს. შეეძლოს ვერძის გაოცება და მოხიბვლა, თორემ მას სამუდამოდ დაკარგავს.

### კურო – უნაკლო პრინცი
ერთგული, მზრუნველი და ვნებიანი ქმარი იქნება. გრძნობებზე ლაპარაკი არ უყვარს. თუ ცდილობს ქალს თავი მოაწონოს, მას მდიდრულ რესტორანში დაპატიჟებს, ძვირფას საჩუქრებს მიუძღვნის. ცოლის მიმართ ზედმეტად ეჭვიანია. მას თავის საკუთრებად მიიჩნევს და მუდამ მის გვერდით უნდა ყოფნა.

### ტყუპი – მხიარული პარტნიორი
მისგან სიყვარულის ახსნას ნუ ელით. თავს ისე მოგაჩვენებთ, თითქოს ყურადღებასაც არ გაქცევთ, მაგრამ იცოდეთ, რომ მუდმივად გაკონტროლებთ. დააკვირდით, თუ თქვენთან განმარტოებას ცდილობს, თუ ახალ ამბებს პირველს თქვენ გიყვებათ, მხიარულობს და ცდილობს, თქვენც აგიყოლიოთ, ე.ი. შეყვარებულია. ტყუპს გრძნობის ასე-



თი გამოხატვა სჩვევია, რადგან მას გულით კი არა, გონებით უყვარს.

### კირჩხიბი – უბერებელი რომეო
ცოლის ერთგული, მისი საუკეთესო მეგობარი და მასზე მზრუნველია. წვეულებაზე წასვლას, ცოლთან ერთად ტელევიზორის ყურება ან წიგნის კითხვა ურჩევნია. მთავარია, განუყრელად ერთად იყვნენ. ხშირად ერთდროულად ავადდებიან კიდეც. კირჩხიბი ცოლზე არ ეჭვიანობს, მაგრამ არ მოსწონს, როცა მეუღლე მის გარეშე სადმე მიდის.

### ლომი – გულუხვი პარტნიორი
გვერდით ყველაზე ლამაზი და ჭკვიანი ქალი უნდა ჰყავდეს. მისით ყველა აღფრთოვანებული უნდა იყოს. საყვარელ ქალს მდიდრული საჩუქრებით აავსებს. მასთან ერთად გამოფენაზე, თეატრში, რესტორანში წავა, რათა ყველამ შეაქოს და მოუწონოს პარტნიორი. ლომი ცოლისგან მზრუნველობასა და ყურადღებას ითხოვს.

### ქალწული – მზრუნველი ქმარი
საყვარელ ქალს ხშირად მოუწყობს სიურპრიზს. ძვირფას საჩუქარს არ დაჰპირდება, მაგრამ იაფფასიანსა და, რაც მთავარია, გამოსადეგს ხშირად მიართმევს. მამაკაცი-ქალწული ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ შეყვარებულს სიტყვის თქმაც კი უჭირს. გრძნობას სითბოთი და ყურადღებით გამოხატავს. ერთგული და მზრუნველი ქმარია. ცოლს საყიდლებზე არასდროს გაუშვებს. სამსახურიდან დაბრუნებულს კი ცხელ კერძსაც დაახვედრებს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)




1. საკონდიტრო ნაწარმი
2. ესპანეთის ფეხბურთის გუნდი
3. ავსტრიის დედაქალაქი
4. ძვირფასი ქვა
5. დაბალი ხარისხის
6. ჯარის უფროსი ძველად
7. იაპონური ჭიდაობა
8. ადვილი, მარტივი
9. ცოდვების განდობა მამაოსთვის
10. სინამდვილე
11. მშობელი
12. სქელი მურაბა
13. ინგლისური არაყი
14. ღვინით მოვაჭრე ძველად
15. ზღვის მოლუსკი
16. დამსხვრეული ქვა
17. ქალაქი საქართველოში
18. დროის ათდღიანი მონაკვეთი
19. ერთ-ერთი შეგრძნება
20. მსხლის ჯიში
21. თოკი
22. წყევლა
23. ლოდსატყორცნი მანქანა ძველად
24. მცირეალკოჰოლიანი სასმელი
25. ამერიკის შტატი
26. ქალაქი საქართველოში
27. გასაღებზე დასაკიდი სამკაული
28. დიდედა
29. ქართველი პოეტი
30. ... კოკერი
31. ხის პატარა ბაყაყი
32. ცელქი
33. გრძელი ნაწნავი
34. საწვიმარი
35. ფოთლოვანი ხე
36. გერმანელი კომპოზიტორი
37. გარეული ვირი
38. მხარე საქართველოში
39. წარწერა საფლავის ქვაზე




**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები**

1. გვირგვინი; 2. იუტა; 3. არგენტინა; 4. გოლგოთა; 5. ნოტა; 6. ბილიარდი; 7. ინტელექტი; 8. ევროპა; 9. შენ; 10. აქტი; 11. მონეტა; 12. ტორი; 13. შოთი; 14. მაშარაბი; 15. ალენ; 16. შარაპოვა; 17. პანტა; 18. პონი; 19. ნახირი; 20. სკა; 21. თხა; 22. ტალავერი; 23. ლასო; 24. ვაკე; 25. პიტ; 26. კაფია; 27. ბაწარი; 28. ბანდიტი; 29. ბია; 30. მიკ; 31. რკალი; 32. პროფილი; 33. სუმო; 34. სურდო; 35. კრეკერი; 36. კრიმინალი; 37. ლამაზი; 38. მისისიპი.

**სურათებზე:** 1. გვინეტ პელტროუ; 2. პატრიკ სუეიზი.

# საფირმო კროსვორდი

| გ | ა | ე | რ | თ | ე | თ | ჩ | ვ | ე | ნ | ს | ჟ | შ | რ | ნ | ა | ლ | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

| ე | ზ | რ | ა | ვ | ი | ლ | ე | ა | | ა | ვ | ე | ი | ი | ნ | | ი | ა | ი | ს | ა | თ | ლ | ე |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქე-ბულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

**გ**. მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „... შადური“; **ა**. დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან მყოფი ამა თუ იმ დარგის სპეციალისტ-კონსულტანტი; **ე**. მხატვრული ფილმის — „ნატვრის ხე“ პერსონაჟი, რომელსაც „არც მცურავისა ეშინოდა და არც გველკუასი“; **რ**. ლითონის ფულის, ან მედლის უკანა მხარე; **თ**. ქალაქი, სადაც 1943 წლის 30 ნოემბერს (ჩერჩილის დაბადების დღეს) ერთმანეთს შეხვდნენ სტალინი, ჩერჩილი და რუზველტი; **ე**. რუსი მწერალი, ცნობილი ზღაპრის „კუზიანი კვიცის“ ავტორი; **თ**. ცხოველი, რომელიც ენის გასატეხის თანახმად „თეთრი“ იყო და „თეთრ თრთვილზე თრთოდა“; **ჩ**. ერთი და ორწლოვანი კულტურების თესლიდან სათბურში გამოყვანილი ნერგი; **ვ**. წვრილი, ბოლოში ორად გაყოფილი დროშა, რომელსაც სამხედრო გემებზე აღმართავენ; **ე**. სცენა, სადაც გამოდიან მომღერლები; **ნ**. ბიბლიური პერსონაჟი; **ს**. ბერძნული ცეკვა; **ჟ**. ქალაქი შვეიცარიაში; **შ**. ძალიან იშვიათი რამ; **რ**. ქალაქ მადრიდის საფეხბურთო კლუბი; **ნ**. საკუთარ თავზე უზომოდ შეყვარებული ჭაბუკი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელიც უიმედოდ უყვარდა ნიმფა ექოს. დარდისაგან ექო კლდედ იქცა, მისგან მხოლოდ ხმა დარჩა; **ა**. ძველებური რუსული სიგრძის საზომი ერთეული; **ლ**. ძველი ფრანგული სიგრძის საზომი ერთეული, უდრიდა ოთხ კილომეტრს; **თ**. მცენარე, რომლის გათლილი ტოტისგანაც ამზადებენ ჩიჩილაკს; **ა**. თეატრსა და კინოში გამოკრული განცხადება იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ სანახაობაზე ყველა ბილეთი გაყიდულია; **ნ**. სპორტული ტანსაცმლისა და ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; **ე**. რა ერქვა ჩე გევარას? **რ**. რა ერქვა აივენჰოს სატრფოს? **თ**. ივნისის თვის ძველი ქართული სახელწოდება; **ა**. კრეტის მეფის მინოსის ასული, რომელმაც თეზევსს ჯადოსნური ძაფის გორგალი მისცა და ლაბირინთიდან თავის დაღწევაში დაეხმარა; **დ**. მოსკოვის საფეხბურთო კლუბ „სპარტაკისა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი მეკარე.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**გ**. გიტარა; **ზ**. ზაური; **ა**. აბრაზია; **ს**. სვანეთი; **თ**. თოდაძე; **ა**. აზატი; **ნ**. ნამაზი; **ე**. ელეგია; **რ**. რელიეფი; **თ**. თიანეთი; **ა**. ამერიკა; **დ**. დერგი; **ა**. აფთარი; **რ**. რეიგანი; **ა**. ანგარი; **ს**. სეზანი; **დ**. დონინჯი; **რ**. რითმა; **ო**. ონისე; **ს**. სპარტა; **ი**. იორდანე; **წ**. წყევლა; **ყ**. ყაბახი; **ე**. ელიოზი; **ნ**. ნიანგი; **ე**. ერნესტი; **ნ**. ნიორი.

### გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

**ტურა და მელა ერთი გზით იარებიანო**

# იაპონური სენსაცია
# sudoku

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული
**სუდოკუს პასუხები**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 9 | 8 | 2 | 3 | 1 | 5 | 4 | 6 |
| 2 | 4 | 1 | 8 | 5 | 6 | 9 | 3 | 7 |
| 5 | 3 | 6 | 9 | 7 | 4 | 2 | 8 | 1 |
| 1 | 6 | 7 | 4 | 9 | 3 | 8 | 5 | 2 |
| 3 | 2 | 9 | 5 | 1 | 8 | 7 | 6 | 4 |
| 8 | 5 | 4 | 7 | 6 | 2 | 3 | 1 | 9 |
| 6 | 1 | 5 | 3 | 2 | 7 | 4 | 9 | 8 |
| 9 | 8 | 2 | 1 | 4 | 5 | 6 | 7 | 3 |
| 4 | 7 | 3 | 6 | 8 | 9 | 1 | 2 | 5 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | 8 | 2 | 9 | 4 | 7 | 1 | 3 |
| 9 | 7 | 3 | 5 | 1 | 6 | 8 | 2 | 4 |
| 2 | 1 | 4 | 3 | 8 | 7 | 5 | 9 | 6 |
| 5 | 3 | 6 | 1 | 2 | 9 | 4 | 7 | 8 |
| 4 | 2 | 1 | 7 | 6 | 8 | 9 | 3 | 5 |
| 7 | 8 | 9 | 4 | 3 | 5 | 2 | 6 | 1 |
| 1 | 9 | 7 | 8 | 5 | 3 | 6 | 4 | 2 |
| 3 | 6 | 5 | 9 | 4 | 2 | 1 | 8 | 7 |
| 8 | 4 | 2 | 6 | 7 | 1 | 3 | 5 | 9 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 6 | 2 | 7 | 3 | 9 | 8 | 4 | 1 |
| 4 | 7 | 3 | 1 | 8 | 6 | 5 | 9 | 2 |
| 1 | 8 | 9 | 2 | 4 | 5 | 7 | 3 | 6 |
| 8 | 4 | 1 | 6 | 5 | 3 | 9 | 2 | 7 |
| 2 | 9 | 6 | 8 | 7 | 1 | 4 | 5 | 3 |
| 3 | 5 | 7 | 4 | 9 | 2 | 6 | 1 | 8 |
| 6 | 3 | 5 | 9 | 1 | 7 | 2 | 8 | 4 |
| 7 | 1 | 4 | 5 | 2 | 8 | 3 | 6 | 9 |
| 9 | 2 | 8 | 3 | 6 | 4 | 1 | 7 | 5 |

* მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | 5 | | 3 | 2 | 4 | | |
| | 8 | | | | 7 | 1 | | 5 |
| | | 7 | 6 | | | 2 | | |
| | | 2 | | 9 | | | 4 | |
| 8 | 6 | | 3 | | 4 | | 7 | 1 |
| | 3 | | | 5 | | 9 | | |
| | | 4 | | | 9 | 3 | | |
| 1 | | 6 | 2 | | | | 5 | |
| | | 8 | 4 | 6 | | 7 | | 9 |

** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | | | | 4 | | 5 | |
| | 1 | | | 8 | | | | 2 |
| | | | | 2 | | | | 9 |
| | 7 | | | | 5 | | 3 | |
| 5 | | | | 4 | | | | 1 |
| | 8 | | | 7 | 9 | | 6 | |
| 7 | | | | 1 | | | | |
| 6 | | | | 9 | | | 2 | |
| | 3 | | 2 | | | | 1 | |

*** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | 9 | | | 4 | | |
| | 8 | | | 4 | | 7 | | |
| | | | 3 | | | | 6 | |
| | | 1 | 6 | | | | 4 | |
| | | 2 | 8 | 9 | | 3 | | |
| | 3 | | | | 7 | 8 | | |
| | 5 | | | | 9 | | | |
| | | 7 | | 8 | | | 1 | |
| | | 4 | | | 1 | 2 | | |

# ფოტოკურიოზები













ბილაინი®

გადმოდი ნათელ მხარეზე

ჩაერთე «ბილაინის გათამაშებაში» 17 ივნისამდე და მოიგე:

- ოროთახიანი ბინა ვაკეში
- 20 000 ლარი
- 15 000 ლარი
- 10 000 ლარი
- 5 000 ლარი

მონაწილეობისთვის აკრიფე *500#



ბალანსის ერთჯერადად ყოველი 3 ლარით შევსებისას მიიღებ გათამაშების 1 ბილეთს

გათამაშება გაიმართება19 ივნისს რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში

რეგისტრაცია უფასოა

ბალანსის შევსებად არ ითვლება ბალანს ტრანსფერი

06 11 20 06 11

www.beeline.ge